მიხეილ როკეტლიშვილი

საქართველოს ცნობილ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა ზოგიერთ ნაშრომზე ჩემი თვალსაზრისი

ნიუ იორკი 2009

რედაქტორები: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი,
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **ლეო ჩიქავა**

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **დავით კურტანიძე**

რეცენზენტები: ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **მიხეილ თოქმაზიშვილი**

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **რევაზ შენგელია**

ცნობისათვის

უდიდეს და გულწრფელ მადლობას ეუხდი ნიუ იორკის ქართველ ებრაელთა თემის და სალოცავის გამგეობის პრეზიდენტს, ბატონ **იაკობ ელბერგს** (**ელიგულაშვილს**), ექს-პრეზიდენტს, ბატონ **რომან ზაკს** (**ცხვირაშვილს**), ცნობილი ბიზნესმენს, ბატონ **სოსო მოშეშვილს** და ცნობილ გინეკოლოგს, ბატონ **ნოდარ კოჟინს** (**კოჟიაშვილს**) ჩემი წიგნის -"საქართველოს ცნობილ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა ზოგიერთ ნაშრომზე ჩემი თვალსაზრისი" გამოცემის დაფინანსებისათვის.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი თემის ცნობილი ბიზნესმენები ყოველთვის მზად არიან აქტიური მონაწილეობა მიიღონ ჯამაათის ოჯახების საკეთილდღეოდ და სალოცავის გამგეობის მიერ დასახული ღონისძიებების ცხოვრებაში გატარებისათვის.

ავტორისაგან

რედაქტორებისაგან

ძვირფასო მკითხველო! ვიდრე წიგნის გაცნობას დაიწყებთ, გვსურს წარმოგიდგინოთ მისი ავტორი, რამეთუ თქვენ ხელთ გაქვთ ორიგინალური ავტორის ორიგინალურად შესრულებული ნაშრომი.

ჯერ ავტორის ორიგინალობის შესახებ მოგახსენებთ. ავტორის ორიგინალობა—თვითმყოფადობა, არაჩვეულებრიობა, პირველ ყოვლისა, მის პიროვნულ თვისებებში ვლინდება: იგი კეთილსახიერი, კეთილმოსურნე, კეთილისმყოფელი, კეთილსინდისიერი, გულქართლი ადამიანია. ახლა რაც შეეხება მის განსწავლულობას, ძალზე მოკლედ მიგახსენებთ. საშუალო განათლება მიიღო ქ. თბილისში, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჯერ იურიდიული, შემდეგ ეკონომიკური ფაკულტეტები. აქვს სწავლული იურისტის და საქართველოს დამსახურებული ეკონომისტის წოდება. წარმატებით დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დასერტაციები და მიენიჭა შესაბამისად, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის და ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხები. მინიჭებული აქვს უფროსი მეცნიერ თანამშრომლის და პროფესორის წოდებები. არჩეულია ქ. ნიუ იორკის მეცნიერებათა აკადემიის წევრად. არის სოციალურ-ეკონომიკური საერთაშორისო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი. იგი არის აგრეთვე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრი, აკადემიკოსი, რამდენიმე სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო ინსტიტუტების სამეცნიერო საბჭოსა და საერთაშორისო ჟურნალების რედკოლეგიის წევრი. იგი აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევა. არის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) ქვეყნებიდან ემიგრანტთა ასოციაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტი ქ. ნიუ იორკში. დაჯილდოებულია საქართველოს ღირსების ორდენით და თბილისის ერთგულების მედლით. თავის პუბლიკაციებში, ჟურნალებსა და საგაზეთო სტატიებში ბატონი მიხეილი ეხება ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებს და სახავს მათი აღმოფხვრის გზებს. მისი ვერბალური გამოსვლები საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და სხვადასხვა ხასიათის შეკრებებზე გამოირჩევა ელოკვენციით, იგი ენერგიას არ იშურებს ფაქტების ვერიფიკაციისთვის, რამეთუ ავთენტიკური მასალა მიაწოდოს მსმენელებს, საზოგადოებას. აკადემიკოს მიხეილს ეკონომიკის აქტუალურ საკითხებზე ექვს ათეულზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული, მათ შორის 12 მონოგრაფიაა.

ახლა ნაშრომის ორიგინალობის შესახებ. ძალიან მოკლედ ვიტყვით, რომ მსგავსი სახის ნაშრომს ქართულ ენაზე (და არა მარტო ქართულ ენაზე) წინამორბედი არ გააჩნია. მასში ჩანს წიგნის ავტორის ერუდიცია, მოყვანილი ავტორების შემოქმედების ობიექტური შეფასება და ავტორთა პიროვნებების მოფერებაც, რაც თავისთავად, გარკვეულწილად საყურადღებო და მისაბაძია.

დაბოლოს, მკითხველთა ფართო წრეს, მათ ვინაც არ უწყის, უნდა ვაცნობოთ, რომ წიგნის ავტორის, მიხეილ როკეტლიშვილის გვარტომობა, მისივე აღიარებით ჯანაშვილებიდან მოდის და მისი ნამდვილი გვარია ჯანაშვილი და არა როკეტლიშვილი, რომელიც სკოლის მოწაფეობიდან იძულებით ატარებინეს და გრძელდება დღემდე.

ჩვენი სურვილია, რაც, აგრეთვე შეესაბამება ბატონი მიხეილის სურვილს, ძალთაძალი ძალისხმევით დაიბრუნოს მან თავისი ნამდვილი გვარი და აღიდგინოს ისტორიული ჭეშმარიტება.

ახლა კი, ვსარგებლობთ შემთხვევით და ბატონ მიხეილ როკეტლიშვილს (ჯანაშვილს) ვულოცავთ დაბადების 80 და საზოგადოებრივი საქმიანობის 60 წლისთავს. ვუსურვებთ ჯანმრთელ ხანგრძლივ სიცოცხლეს და წარმატებებს, როგორც საზოგადოებრივ, ისე პირად ცხოვრებასა და მეცნიერულ შემოქმედებაში.

ლეო ჩიქავა
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ღირსების ორდენის კავალერი.

დავით კურტანიძე
თბილისის საფინანსო-იურიდიული აკადემიის რექტორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ანოტაცია

ნაშრომში მოცემულია ვრცელი რეცენზიები, გამოხმაურებანი, თვალსაზრისი იმ ცნობილ მეცნიერთა, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა წიგნებზე, რომლებიც მათმა ავტორებმა მისახსოვრეს ავტოგრაფებით. წიგნის დანიშნულებაა დახმარება გაუწიოს საქართველოდან იმიგრირებულ ქართულენოვან მოსახლეობას, მათ, ვისაც ხელი არ მიუწვდებათ უშუალოდ წაიკითხონ რეცენზირებული ნაშრომები. ამასთან იგი ავტორებისადმი გულწრფელი პატივისცემისა და მეგობრული ურთიერთობის გამოხატულებაა.

АННОТАЦИЯ

В данной работе даны обширные рецензии, отзывы, точки зрения тех известных учёных, писателей и общественных деятелей, книги которых были подарены мне от авторов с автографами. Она предназначена для оказания помощи грузиноязычному населению, иммигрированному из Грузии, которого нет возможности непосредственно прочитать эти рецензированные труды. В тоже время она является фактом выражения добросердечного и дружественного отношения к авторам.

Annotation

This book has gathered reviews, responses and viewpoints regarding works of renowned scientists, writers and public figures, works that have been autographed and granted to me by their authors. This volume is dedicated to assist immigrated georgian-speaking population in getting knowledge about the above reviewed works. Also this work constitutes an expression of my kind and friendly relation to authors.

წინასიტყვაობა

მკითხველს მსურს მოვახსენო, თუ რამ გადამაწყვეტინა დამეწერა რეცენზიები იმ ცნობილ მეცნიერთა,მწერალთა და სა'სოგადო მოღვაწეთა წიგნებზე, რომლებიც მათმა მისახსოვრეს. საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ მკითხველთა უმრავლესობა საკუთარი სახსრებით შეძენილ წიგნებს უფრო დროულად კითხულობს, ვიდრე ნაჩუქარს, ყოველ შემთხვევაში მე ასე ვფიქრობ, თუმცა გამონაკლის შემთხვევასაც შეიძლება ჰქონდეს ადგილი, ნაჩუქარი წიგნის მფლობელმა დროულად წაკითხვასთან ერთად დადებითი რეცენზიაც კი დაწეროს მას'ე, მით უფრო, თუ ეს წიგნი მის სპეციალობასთანაა ახლოს, ან სხვამხრივაა მისთვის საინტერესო.

როგორც წესი, ყოველი წიგნი, რომელიც საოჯახო ბიბლიოთეკაშია, წაკითხული უნდა იყოს და მისი შინაარსი მოკლედ მაინც უნდა გააცნოს მფლობელმა ოჯახის წევრებს, ახლობლებს, მათ ვისაც ხელი არ მიუწვდებათ უშუალოდ წაიკითხონ საინტერესო წიგნები (მხედველობაში მყავს ჩემსავით ემიგრაციაში მყოფი ქართულ ენაზე მოსაუბრე მკითხველები).

სამწუხაროდ სოგიერთი წიგნებს იძენს მისი მხატერული გაფორმების, გარეკანისა და ქაღალდის ხარისხის მიხედვით, წიგნის თარო'ზე ესთეტიკურად რომ გამოიყურებოდეს, შინაარსს კი უმნიშვნელოდ მიიჩნევენ.

გადაეწყვიტე მკითხველებს გავაცნო ჩემი რეცენზიები და გამოხმაურებები იმ ავტორთა შესანიშნავ ნაშრომებზე, რომლებმაც სხვადასხვა დროს მომიძღვნეს ისინი სათანადო წარწერებით. ასეთი გადაწყვეტილება მიმაღებინა ავტორებისადმი ჩემმა ურთიერთობამ, სამეცნიერო-კელევით ინსტიტუტებსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მათთან ერთად მოღვაწეობამ და, რაც მთავარია, ჩემმა მათდამი გულწრფელმა სიყვარულმა, რომელიც უფრო მეტად განმიმტკიცდა მუდმივ საცხოვრებ ამერიკის შეერთებულ შტატებში შვილებთან გამგზავრების შემდეგ.

ძვირფასო მკითხველო, თქვენს ყოველგვარ, ჭეშმარიტად ობიექტურ შენიშვნებს გულისხმიერად მივიღებ და გავითვალისწინებ ჩემს შემდგომ შემოქმედებით მოღვაწეობაში.

ჩემი თვალსაზრისი საქართველოს ექს-პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის წიგნზე "ფიქრი წარსულსა და მომავალზე - მემუარები"

აღნიშნული წიგნი მეტად მნიშვნელოვანია, რადგან, როგორც მის შესავალშია ნათქვამი, მართლაც,რომ მისი გათვალისწინების გარეშე ყოველად შეუძლებელია საბჭოთა კავშირის ბოლო პერიოდის და მეოცე საუკუნის საქართველოს ისტორიის სრულყოფილი აღქმა. საერთოდ ცნობილია, რომ მემუარებს ყოველთვის მსოფლიოში გამორჩენილი ადამიანები წერდნენ და ამდენად დიდია მათ წიგნებზე მკითხველთა მოთხოვნები და ინტერესი.

რაც შეეხება ბატონ ედუარდ შევარდნაძის მემუარებს არა მგონია შეედრებოდეს მსოფლიოში თუნდაც რომელიმე, ყველაზე დიდი და მდიდარი ქვეყნის მეთაურთა მემუარები, იმიტომ რომ ბატონი ედუარდი მცირერიცხოვანი ერის და პატარა ქვეყნის შვილი იყო და, ამდენად, მას

ყოველი ღონე უნდა ეხმარა, ენერგიის დაუზოგავად და ძალების მაქსიმალური დაძაბვით ერის და ქვეყნის საკეთილდღეოდ სასწაულები მოეხდინა, რათა მსოფლიო არენაზე გასულიყო. ამიტომ იყო, რომ იგი ყველა პოსტზე და ყველა ეტაპზე (რესპუბლიკის თუ კავშირის მასშტაბით) მოწოდების სიმაღლეზე იდგა და ყველაფერს ჩინებულად ართმევდა თავს.

მსოფლიოში თითქმის არ დარჩა არც ერთი ქვეყნის პრეზიდენტი, თუ პრემიერ-მინისტრი, რომელთაც ბატონი ედუარდი ქება-დიდების შარავანდედით არ შეემკოთ და შესაბამისი პრემიით თუ ორდენით არ დაეჯილდოებინათ.ძირითადად მას ცხოვრებამ გაუმართლა და მეტეორივით გავიდა ჯერ საკავშირო, შემდეგ კი მსოფლიო არენაზე.

მე ღრმად მწამს, რომ დადგება დრო და ქართველი ერი, რომლის მსგავსი არ არსებობს მსოფლიოში (სტუმართმოყვარეობით თუ ინტერნაციონალურობით), სამართლიანად შეაფასებს ბატონ ედუარდ შევარდნაძის ხელმძღვანელობის დროს გატარებულ ღონისძიებებს, დარწმუნდებიან, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, იგი ყველა პოსტზე და ყოველ მომენტში მოქმედებდა მიმდინარე მოვლენების შესაბამისად და, რაც მთავარია, შემოქმედებითად, თავგანწირვით და გაბედულად. ყოველივე ამის გამო მთელი სიცოცხლის მანძილზე მას ნორმალურად არც კი დაუსვენია. მე ჩემს წერილებსა და წიგნებში არაერთხელ აღმინიშნავს, რომ ბატონ ედუარდს თავისუფლად შეეძლო ეცხოვრა მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, განსაკუთრებით აშშ-სა და გერმანიაში. იგი ყოველმხრივ უზრუნველყოფილი იქნებოდა, მაგრამ მან კვლავ საქართველოში ისურვა დაბრუნება, რათა სიცოცხლის ბოლო წლები დაეყო თავის სამშობლოში.

არა მგონია რომელიმე ქვეყნის პრე'სიდენტს თავისი მოღვაწეობისას მემკვიდრეობის ისეთი მძიმე ტვირთი ე'სიდოს, როგორიც წილად ხვდა ბატონ ედუარდს. არც სხვა რომელიმე ქვეყნის პრე'სიდენტი წარმოიდგენია, რომელსაც მისებრ მომადლებული ჰქონოდა ინტერნაციონალურობის გრძნობა და სხვა ერებისადმი ესოდენ ჭეშმარიტი ქომაგი და პატივისმცემელი ყოფილიყო.

ჩემს წერილებში სრული პასუხისმგებლობით იმასაც აღნიშნავდი, რომ საქაართველოში ებრაელთა დაფუძნების და ცხოვრების 2600 წლის აღსანიშნავ ზეიმ'ზე ებრაელი ერის მიმართ ისეთი ქება-დიდების სიტყვა წარმოთქვა (გამოქვეყნდა ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებ'ზე), რომ მჯერა ასეთი საქები სიტყვა ებრაელი ერის მიმართ არ წარმოუთქვამს არც ერთი ქვეყნის პრე'სიდენტს კაცობრიობის ისტორიაში.არც ისაა შემთხვევითი, რომ ბატონ ედუარდის აღნიშნულ წიგნს წინასიტყვაობა წარუმძღვარა მსოფლიოში ცნობილმა მწერალმა, მთელი სა'სოგადოების უსაყვარლესმა პიროვნებამ, საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში დაღუპული შვილის მამამ, რომელმაც დაგმობილი კომუნისტური რეჟიმის შეუმწყნარებლობისათვის 25 წლის ვადით პატიმრობა მოიხადა, და ისეთი მხატერული ნაწარმოები შექმნა "დათა თუთაშხიას" სახით, რომელსაც ბევრი მწერალი ტოლს ვერ დაუდებს თავიანთი ნაწარმოებებით. მკითხველები, თუ აღნიშნულ წინასიტყვაობას ყურადღებით წაიკითხავენ, დარწმუნებული ვარ სწორ ანალიზს გააკეთებენ და კმაყოფილებიც დარჩებიან. თავს უფლებას მივცემ და წინასიტყვაობიდან რამდენიმე ფრაზას მოვაგონებ მკითხველს. როგორც ბატონი ჭაბუა ამირეჯიბი დასძენს მართალია 25 წლიან სასჯელს ციმბირში იხდიდა, მაგრამ იგი იქ 'სოგიერთ საქართველოში მყოფზე უფრო ყოფილა საქმის კურსში საქართველოში მიმდინარე მოვლენების მიმართ. მას არ მოკლებია პრესა, რადიო და საქართველოსთან მიწერ-მოწერა. აი რას დასძენს იგი: "დამწყებ მწერალს როგორც იტყვიან დაკვირვებისა და ანალიზის უნარი ღვთისგანვე მქონდა ნაბოძები. ჩემს გონებასა და თვალთა ხედვას არც ედუარდ შევარდნაძე გამორჩენია, რადგან ქართველი ერისა და სა'სოგადოებისათვის მნიშვნელოვანი, საჭირო და სასარგებლო ადამიანთა ღირსებებისა და ხასიათის შესწავლა შეიძლება ითქვას მთავაროგანი ამოცანა და საქმე გახლდათ" " ედუარდ შევარდნაძემ ჭაბუკობაშივე გამოამჟღავნა სერიო'სული მოღვაწეობისათვის დამახასიათებელი ღირსებები, ერის ცხოვრებაში არაორდინარული ადგილი დაიკავა და ცხადია ჩემი ყურადღებაც მიიპყრო". ნუთუ შეიძლება ყოველივე ამის შემდეგ პატივცემულო მკითხველო ოდნავი ეჭვის შეტანა ბატონ ამირეჯიბის წამძღვარებაში წარმოდგენილ საქებ სიტყვებში, რომელიც მან დაუროო ხსენებულ წიგნს. კვლავ დასძენს იგი, რომ "ამჟამად ოთხმოცდახუთისა

ვარ და სამოცი წლის მანძილზე იგი ჩემი ყურადღებისა და დაკვირვების არეში იყო, ჯერ როგორც ჩემი თანამედროვე მაღალ ნიჭიერი მოღვაწე, ერთხანს როგორც სახელმწიფო საბჭოს, შემდეგ პარლამენტის თავმჯდომარე და ბოლოს როგორც პრეზიდენტი.მე ამ ორგანოების წევრი ვიყავი, უშუალო დაკვირვების საშუალება მქონდა. სემოთქმულიდან გამომდინარე, აღნიშნავს ბატონი ამირეჯიბი, თავს უფლება მივეცი, როგორც ყოველდღიურ, ისე უაღრესად კრიტიკულ ვითარებაში მის მიერ გამჟღავნებული ხასიათისა და ადამიანური ღირსებების ერთობლიობას ჩაეწედმოდი და ამ წამძღვარებაშიც მომეყვანა". ამის შემდეგ ბატონი ამირეჯიბი კვლავ აგრძელებს ბატონ ედუარდის სიღრმისეულ დახასიათებას და ასე დასძენს:

"ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძე მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე მშვიდი, აუმღერეველი, გამჭრიახი გონებისა და თვალის მქონე, კეთილგანწყობილი თანამოსაუბრე, დახვეწილი იუმორის პატრონი (რასაც იგი როგორც ყოველდღიურობაში, ისე დიპლომატიურ მოლაპარაკებებში ამყღავნებდა), ხელოვნებამდე აყვანილი მომსმენი და მთქმელი, საჭიროებისას თავისებურად გამბედავი, სახელმწიფოს ხელმძღვანელის, პოლიტიკოსის და დიპლომატისათვის აუცილებელი, დაბადებითვე დაყოლილი პოტენციისა და ცხოვრებით დახვეწილი ღირსებებით აღჭურვილი პიროვნება იყო და არის. ამ დახასიათებას ვინმე მისი თანამედროვე რაიმეს თუ დაუმატებს, თორემ ჩამოთვლილ ღირსებათაგან რომელიმეს უარყოფა მგონია ა'სრად არავის მოუვა."

გავკადნიერდები და აღნიშნულ დახასიათებას, ესოდენ ქებადიდებით შემოსილს და უაღრესად დადებით ფერებში წარმოდგენილს, მეც დავუმატებდი: ბატონ ედუარდს გააჩნდა ამავე დროს ღმერთიდან მომადლებული და ნაკურთხი ინტერნაციონალურობის გრძნობა,ანუ სხვა ერების მიმართაც უდიდესი პატივისცემა. ეს იმ დროს – რომ ჩემი სოგიერთი მკვიდრი ქართველი კოლეგა და მეგობარი მეტყოდა ხოლმე, –"მგონი შევარდნაძეს სხვა ერები ჩვენს ქართველებზე მეტად უყვარსო". მე კი ეპასუხობდი, რომ მიუხედავად შევარდნაძის ესოდენ დიდი ინტერნაციონალურობისა, ბატონ ედუარდს მაინც ყველა'ზე მეტად თავისი ქვეყანა, საქართველო და ქართველი ერი უყვარს-მეთქი.

ამის შესახებ მე ადრეც ვწერდი ჩემს წერილებსა და წიგნებში, რომელიც გამოქვეყნებული მაქვს ამერიკაში, და ახლაც ვიმეორებ სრული პასუხისმგებლობით, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ბატონი ედუარდი არ დაბრუნდებოდა საქართველოში, იმ ქაოსურ მდგომარეობაში მყოფ სამშობლოში და ესოდენ მძიმე და საშინელი მემკვიდრეობის ტვირთის სიდვას არ შეუდგებოდა. რა გააკეთა და რას მიაღწია ედუარდ შევარდნაძემ როგორც პიროვნებამ საქართველოში, თუ მის გარეთ მოღვაწეობის შედეგად, კვლავ დასძენს ბატონი ამირეჯიბი თავის

წამძღვარებაში, მკითხველი თავად დაინახავს და დარწმუნდება. ამასთან მის თანამედროვეთა ჩანაწერების ამოკითხვისას მისი ნაღვაწი უდაოდ გაცხადდება, მაგრამ, როგორც ამირეჯიბი დასძენს, მას სურს ბატონ ედუარდის იმ საქმეს და დანატოვარს შეეხოს, რომელიც ჩვენი ერის აწყმო თუ მომავალი სახელმწიფოებრიეობისათვის უმნიშვნელოვანესად მიაჩნია. ყოველივე ამას სარწმუნო ფაქტების მოტანით ადასტურებს: საქართველო როგორც სახელმწიფო საერთაშორისო მნიშვნელობას იძენდა მხოლოდ ისტორიის იმ პერიოდებში, როდესაც მის ტერიტორიაზე უსაფრთხოდ მოძრაობდნენ ქარავნები, როდესაც ჩვენი მიწა-წყალი აბრეშუმის დიდი გზის ნაწილი იყო. ქარავნები და საერთაშორისო აღებ-მიცემობა არა მარტო ჩვენი ხაზინის მკეებაეი იყო, არამედ ჩვენი სახელმწიფოებრიობის,მისიეე უსაფრთხოების დარაჯი, გარეშე- მტრის მადის დამაოკებელი ფაქტორიც იყო. ანუ ეფლობდით სხვა ერთა ინტერესების, მათი ეკონომიკების მომსახურების ფუნქციას. ცნობილია, საერთაშორისო ფუნქციას მოკლებული ერები ან უკვე აღიგაეენ პირისაგან მიწისა, ან უმწეო არსებობას ეწევიან. ედუარდ შევარდნაძემ, საქართველოს იმდროინდელმა პრეზიდენტმა ჩვენს გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვან ქვეყანას საერთაშორისო ფუნქციაც შესძინა ბაქო-სუფსის, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენებისა და ბაქო-თბილისი-არსრუმის აირსადენის სახით. ამ სამივე მაგისტრალს საქართველოზე, რომ გაევლო, მკითხველი დამეთანხმება, დასძენს ამირეჯიბი ჩრდილოელი 'სეიგენის მუქარით თანხლებული პრეტენზიების ვითარებაში, დიდი პოლიტიკური ალღო და დიპლომატიური ნიჭი სჭირდებოდა. აღარას ვამბობ იმ შეუპოვრობაზე, რომელიც ამ ღონისძიებას ახლდა. ედუარდ შევარდნაძემ შეძლო ის, რომ ორივე მილსადენი ამჟამად მსოფლიო ინტერესების საგანია და, მაშასადამე, საქართველის უსაფრთხოების დამცველი ფუნქციაც. ბოლოს სამართლიანად შენიშნავს ამირეჯიბი: "წინამდებარე მემუარების ბატონი__ედუარდ__წამძღვარება სრული არ იქნება, თუ არ ვიტყვი, რომ შევარდნაძე ოცდათხუთმეტი აკადემიის, უნივერსიტეტის ქალაქისა და ქვეყნის__საპატიო წევრი და 23 ორდენისა და მედლის კავალერია. მის მოღვაწეობაზე დაწერილი და გამოცემულია თხუთმეტიოდე წიგნი და თანამედროვე პოლიტიკოსთა წიგნებშიც ედუარდ შევარდნაძისადმი მიძღვნილია სერიოზული ნაკვეთები. ეს ჩამონათვალი ალბათ ნაწილია მსოფლიო მნიშვნელობის პოლიტიკოსთაგან აღიარების, ყურადღებისა და დაფასებისა, მე აღვნიშნე, დასძენს ბატონი ამირეჯიბი, მხოლოდ ის, რასაც მივაგენი." წინასწარ მსურს მკითხველს ჩემი შეხედულებაც გაეუზიარო ჯერ ამირეჯიბის ამ წამძღვარებაზე, და შემდეგ კი, ბუნებრივია შეეუდგები თანმიმდევრობით შევაფასო წიგნის თითოეული პარაგრაფი, მკაფიოდ და მოკლედ წარმოვაჩინო მთავარი და მნიშვნელოვანი.

სიმართლე მოგახსენოთ პატივცემულო მკითხველო დაძაბულობამ შემიპყრო, თუ როგორ გამერჩია მთავარი და მნიშვნელოვანი და ის შემეტანა რეცენზიაში, არადა წიგნს რომ თვალი გადავავლე და შერჩევით ყურადღებით გადავხედე ფოტო-სურათებს, ყველაზე ძლიერ და მდიდარი ქვეყნის მეთაურებთან მაღალი დონის შეხვედრებს, დავფიქრდი და წარმოვიდგინე, რომ აქ ყველაფერი მთავარია და ყოველი ფაქტი თუ რეცენზიაში მოვიტანე, მაშინ მთლიანად წიგნის გადაწერა გამომივიდოდა და არა რეცენზია. ამდენად გადავწყვიტე, რომ თავი გამეწირა და რაც შეიძლება მოკლედ და მკაფიოდ ამესახა მთავართა შორის უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი, და ბოლოს, უმორჩილესი თხოვნით მიმემართა მკითხველთათვის თვით შეეძინათ და წაეკითხათ წიგნი და უშუალოდ გამოეტანათ ობიექტური დასკვნა. იმ შემთხვევაში თუ ისინი ჩემს რეცენზიასაც გაეცნობიან და შემეხმიანებიან და თავიანთ შეხედულებებს გამიზიარებენ როგორც წიგნზე, ასევე ჩემს რეცენზიაზე დიდად მადლიერი ვიქნები. წიგნს ასე იწყებს ავტორი, ბატონი ედუარდ შევარდნაძე, "ორიოდე სიტყვა წინათქმის მაგივრად" და აღნიშნავს, რომ ეს წიგნი მას უპირველესად წარსულის შეფასების სურვილმა დააწერინა. იმ მოვლენათა და ადამიანთა გახსენების სურვილმა, რომელმაც განსაზღვრეს ყოფილი საბჭოთა კავშირის, მისი ქვეყნის და თანამედროვე მსოფლიოს ისტორია. ამავე დროს იგი იწერებოდა, დასძენს ბატონი ედუარდი, მომავალზე ფიქრით, რომლის ადრესატი მომავალი თაობაა, რომელსაც ამ წარსულის მძიმე ტვირთად ხიდვა, საბედნიეროდ აღარ მოუწევსო," მანვე მოისურვა თავისი ჩანაფიქრი გაუსიაროს არა მარტო თავის ხალხს, არამედ ყველა მის თანამედროვეს, რათა გავიხსენოთ და ერთად განვსაჯოთ ის რაც იყო და როგორც იყო. აგრეთვე სურს მთლიანობაში მიმოიხილოს ის ურთიერთობა, რომელიც ჩვენს მეზობელთან, უპირველესად რუსეთთან გვქონდა; წარმოაჩინოს ის წვლილი, რომელიც მან შეიტანა მეოცე საუკუნის ბოლო მეოთხედის იმ პოლიტიკურ პროცესებში, რომლებმაც ძირეულად შეცვალეს მსოფლიო: "ახალი ხნეობრივი საგარეო პოლიტიკა, ცივი ომის დასრულება, აღმოსავლეთიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანა, გერმანიის გაერთიანება,საბჭოთაიმპერიის დაშლა, აღმოსავლეთ ევროპის გათავისუფლება, დამოუკიდებელი და დემოკრატიული საქართველოს მშენებლობა".

მეტად საგულისხმო და ნიშანდობლივია, რომ ბატონი ედუარდი ამ წინათქმაში ერთ ფრიად მნიშვნელოვან საკითხს შეეხო. სახელდობრ, აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში, მწერლებთან ურთიერთობაში მას ერთი რამ სახასიათო შეუნიშნავს: "ისინი წერისას არა მხოლოდ სამყაროს სურათს გარდაქმნიდნენ თავისებურად, არამედ თავის პიროვნებასაც სხვაგვარი ფერებით წარმოაჩენდნენ, ვიდრე სინამდვილეში იყო და არის. სწორედ ამგვარი მიდრეკილების დაძლევის მძაფრი სურვილითაა

დაწერილი ეს წიგნი, რადგან მე მინდოდა, დასძენს იგი, ობიექტური ეყოფილიყავი დროისა და საკუთარი თავის მიმართ"[1].

წინათქმაში ბატონი ედუარდი წერს:"ჩემი ცხოვრება, ყოველ შემთხვევაში ის, რაც თქვენი ყურადღების ღირსად მიგიჩნიე, აქ არის: შეგიძლიათ თავისუფლად განსაჯოთ – შეუბრალებლად, უკომპრომისოდ".

"თუმცა ჩემზე მკაცრად მაინც ვერავინ განსჯის. ვიცი – მქონდა შეცდომები, ვიცი – სოგგან არ ვიყავი მართალი, ვიცი – ბევრსაც გული ვატკინე და თუ შეძლებენ იქნებ მომიტევონ მეც დავიწყე ყოველი წყენა, არავის ბოღმა არ მიმყევება და არც არავისი შემშურებია, თუნდაც იმიტომ,რომ შემეძლო დასახული მიზნებისათვის თავადვე მიმეღწია. ყოველთვის ვცდილობდი ღვთისაგან ბოძებული ნიჭი და უნარი სრულად გამომეყენინა და მეკეთებინა ის, რაც შემეძლო და რისთვისაც მოვედი ამ ქვეყნად. ვფიქრობ, ბევრი რამ კარგიც მიკეთებია და არა მარტო საქართველოსთვის.

სიყვარულისა და სიმშვიდის განცდა მივსებს სულს და იმავეს ვუსურვებ ჩემს ხალხსა და ჩემს შთამომავლობას"[2].

ვიდრე წიგნის შინაარსის შეფასებაზე გადავიდოდე მსურს მკითხველს გავაცნო მისი წინათქმის ბოლო ფრაზები;"ფიქრი წარსულსა და მომავალ'ზე" იმ დოკუმენტურ მასალებს ეყრდნობა, რომელსაც თავის დრო'ზე მეც ვაგროვებდი და ჩემი თანაშემწეებიც – თეიმურა'ს სტეპანოვი და სერგეი ტარასენკო. ასევე ბევრი რამ იქნა მოძიებული საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საარქივო მასალებში, რომლებიც რუსეთის საგარეო საქმეთა ყოფილმა მინისტრმა იგორ ივანოვმა გადმომცა. ამ მასალამ წიგნს მეტი სიზუსტე შესძინა.

დიდი მადლობელი ვარ კობა იმედაშვილის, რომელიც ჩემთვის ყველაზე ძნელ დროს გვერდში ამომიდგა. სწორედ მისი დახმარებით შეეძელი სხვადასხვა ხასიათის დოკუმენტების, ჩემი ხელნაწერებისა და აუდიო მასალის ერთ მთლიანობაში მოქცევა.

მადლობას ვუხდი ჩემს შვილებს – პაატას და მანანას, ჩემს სიძეს გია ჯოხთაბერიძეს, ჩემს რძალს ნინო ახვლედიანს, ისტორიკოს მანანა შეყილაძეს, მწერალ სურაბ ქარუმიძეს, რომლებმაც გულდასმით წაიკითხეს წიგნის ხელნაწერი და მეტად საყურადღებო შენიშვნები მომცეს, მადლობა მინდა ვუთხრა ციცო ჩიხლაძეს, რომელიც წლების მანძილზე უწლიდა ჩემს არქივს – და ახლაც უწლის. დასასრულს მადლობა მინდა ვუთხრა ჩემი მეუღლის, ნანულის სულს, რომელიც ახლაც ჩემთან არის – ამ წიგნის ყოველ სიტყვასა და ყოველ პუკარში."[3]

---

[1] სარეცენზიო ნაშრომი, გვ.8

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 10

მკითხველთა დიდ უმრავლესობას, და მათ შორის მეც, არა ერთი წიგნი, ბროშურა, ჟურნალი თუ სტატია წაგვიკითხავს, მათ სარჩევსაც გავცნობიერართ, მაგრამ არა მგონია რომელიმე ავტორის წიგნის სარჩევს გააჩნდეს ყოველ თემასთან იმდენი მეტად საინტერესო ქვესაკითხები, რომელიც გააჩნია ბატონ ედუარდის წიგნს. სახელდობრ, პირველიეე სათაურში: "ჩემი სამშობლო – საქართველო". აქ უამრავ საკითხებს ეხება ბატონი ედუარდი;

"საქართველო – ჯორჯია, გრუზია, გურჯისტანი;პრომეთე,-ამირანი, ოქროს საწმისი; საქართველოში ნაპოვნი მილიონ რვაასი ათასი წლის ევროპელი, ქართული მრავალხმიანი სიმღერა, წარმართული და ქრისტიანული კულტურა; ქართული დამწერლობა; ჩემი მშობლიური კუთხე გურია; მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნის ქართული კლასიკური პოემა "ვეფხისტყაოსანი", ქართული ხასიათის გამოვლინება; სწრაფვა ევროპისაკენ; რუსეთთან 1783 წელს დადებული ხელშეკრულება; საქართველოს სამეფოს გაუქმება;ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის; 1918 წელს დამოუკიდებლობის დაბრუნება; 1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირება; კომუნისტური იმპერიის რეპრესიები საქართველოში; 1921,1924,1937,1950,1956,1989 წლები საქართველო რუსეთის ომებში; ჩემი ოჯახი, ჩემი მეუღლე, სტალინი, ბერია, კომუნისტური წარსული; ბრძოლა ქართული კულტურისა და ქართული ენის გადარჩენისათვის; კინოხელოვან სერგო ფარაჯანოვის დახსნა კგბ-სგან; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ნიკო მუსხელიშვილი – საპატიო მილიციელი; მსტისლავ როსტროპოვიჩის წერილი; საქართველოში საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრების მცდელობანი, გორბაჩოვი, კოსიგინი; ებრაელთა ისრაელში წასვლისათვის ხელშეწყობა; მასობრივი კონფლიქტები და მათი გადაჭრის წარმატებული და წარუმატებელი ცდები, ბრეჟნევი, სტალინის შვილი სვეტლანა და შვილიშვილი ოლგა თბილისში; თენგიზ აბულაძის ფილმი "მონანიება"– საბჭოთა სინამდვილის ტრაგიკული ასახვა; გზა ღმერთისკენ,სამების კათედრალური ტაძრის მშენებლობა". ვიდრე ამ რთული საკითხების გარჩევაზე გადავალ, ძალზე მოკლედ მსურს შევაფასო წიგნში მოცემული საკითხი "საბოლოო გადადგომა: ნოემბერი, 2003." ამ დროს თბილისში გახლდით ამერიკიდან სტუმრად ჩასული და ჩემს თვალწინ ხდებოდა ყოველივე.

წიგნის ამ პარაგრაფში ბატონი ედუარდი აღნიშავს, რომ საქართველოს პირველ პირად მას საკმაოდ დიდ ხანს მოუწია ყოფნა –1972 წლიდან 2003 წლამდე, იმ შვიდი წლის გამოკლებით, როდესაც მოსკოვში იყო გადასული საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად. ამ წლების განმავლობაში რამდენიმეჯერ მოუხდა საკუთარ პოლიტიკურ შეხედულებათა გადაფასება. შესაბამისად იცვლებოდა, დასძენს იგი, საზოგადოებრივი სტერეოტიპები მისი პოლიტიკური ფიგურის მიმართ.

მიუხედავად ამისა, მუდამ ვცდილობდი და თითქოს ვახერხებდი კიდეც, აღნიშნავს ბატონი ედუარდი, საერთო ენა გამომენახა ჩემს ხალხთან. სამწუხაროდ ამას ვერ ვიტყვი ჩემი მმართველობის ბოლო ხანებზე, მე, როგორც პოლიტიკოსმა გაუცხოება ვიგრძენი ჩემსა და საზოგადოების ერთ ნაწილს შორის. სწორედ ამ პერიოდში გამძაფრდა და გამოაშკარავდა დაპირისპირება პოლიტიკოსთა იმ ნაწილთან, რომელმაც ჩემიევე ხელშეწყობით დაიმკვიდრა ადგილი ხელისუფლებაში.

როდესაც 1992 წელს სამშობლოში დაებრუნდი, აღნიშნავს იგი, საქართველო სრულ იზოლაციაში იყო, ამ დროისათვის მხოლოდ უკრაინამ აღიარა იგი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, ქვეყანა ქაოსში იყო ჩაფლული, ეკონომიკა დანგრეული, მძვინვარებდა სამოქალაქო ომი, საძმოების თარეში, ძარცვა და განუკითხაობა. ავად თუ კარგად, საქართველო გამოვიყვანე ამ მდგომარეობიდან, მაგრამ გავიდა დრო და ხალხისათვის ყოველივე ეს ნაკლებად საინტერესო გახდა. ეს არც არის გასაკვირი კოლექტიურ მეხსიერებას თან სდევს დავიწყების ელემენტები.

ეს ეპიზოდი მე ვრცლად მაქვს განხილული ჩემს წიგნში. უფრო ადრე კი – ამერიკის პრესაში გამოქვეყნებულ ჩემს სტატიაში მისი ფენომენის შესახებ. აგრეთვე გაზეთში "საქართველოს რესპუბლიკა" გამოქვეყნებულ სტსტიაში, 'რომლის სათაურია "თქვენ მძიმე ტვირთი გხვდათ წილად".[4] აღნიშნულ სტატიაში ვულოცავდი ბატონ ედუარდს დაბადების 70 და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლისთავს. მკითხველის ნებართვით მოვიტან ამონარიდს ამ სტატიიდან.

"დედამიწის ზურგზე არ მეგულება ქვეყანა, რომლის მეთაურს თავისი მოღვაწეობის მმართველობის ისეთი მძიმე ტვირთი ესიდოს, რომელიც თქვენ გხვდათ წილად საქართველოში. არც სხვა პრეზიდენტი წარმომიდგენია, რომელსაც თქვენებრ მომადლებული ინტერნაციონალურობის გრძნობა ჰქონდეს და სხვა ერებისადმი ესოდენ ჭეშმარიტი პატივისმცემელი იყოს. სრული პასუხისმგებლობით იმასაც ეაცხადებ, რომ ვერც ერთი ქვეყნის პრეზიდენტი ტოლს ვერ დაგიდებთ თავისი ქვეყნისა და ერის სიყვარულში. აი სწორედ ეს გახლდა მისეული, რომ მსოფლიო არენაზე გასული კაცი კვლავ საქართველოში დაბრუნდით და მძიმე მემკვიდრეობის მოელა-პატრონობა იკისრეთ. დიდ სამამულო ომზე ნაკლები როდი იყო ექსტრემისტული ძალების მიერ ქვეყანაში გაჩაღებული ეთნოკონფლიქტები, ინსპირირებული შინაარეულობა და სამოქალაქო ომი. ყოველივე ამის მოკლე დროში დამთავრება, ისიც მცირედი მსხვერპლის გაღებით, იოლი არ იყო. ცნობილია,რომ საერთოდ ომების დროს სახელმწიფოებმა კარგად იციან ვინ ვის ებრძვის, გარკვეულია ორი ურთიერთდაპირისპირებული ბანაკი, მათი ადგილ-

[4]გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა",28 თებერვალი, 1998წ.

მდებარეობა. რაც შეეხება შინა აშლილობას და სამოქალაქო ომს, როცა ძმათა შორისაც სისხლი იღვრება, ირგვლივ მტრებით გარშემორტყმულმა, როგორ გინდა დააცხრო იგი. თქვენ სწორედ აქ შესძელით შეუძლებელი. ყოველივე ეს დასტურდება მრავალი ფაქტით,რომელთა ჩამოთვლა ზედმეტად მიმაჩნია." გადაეწყვიტე კელავ მოვიტანო შემდგომი საკითხების სათაურები, რათა მკითხველს ნათელი წარმოდგენა შეექმნას ბატონი ედუარდ შევარდნაძის მოღვაწეობის რთული და დაძაბული პერიოდის შესახებ. აი სარჩევის საკითხები: ახალი ზნეობრივი საგარეო პოლიტიკა, ბრიტანული გამოცდილება, გერმანიის გაერთიანება, პოლონური ტრიადა: ვალენსა, იარუზელსკი, ვოიტილა, ქართველების დასჯა, სისხლიანი 9 აპრილი, დაკარგული პაქტის ძიებაში, გორბაჩოვისა და ელცინის დაპირისპირება, პირველი გადადგომა, გადადგომის შემდეგ, საბჭოთა იმპერიის დანგრევა, დაბრუნება საქართველოში, მარტოობის ასი დღე. რუსეთი კავკასია,-საქართველო, გამოუცხადებელი ომი რუსეთთან, ტერაქტები და ტერორიზმი, ბოლო თქმა, ანუ ბარათი შთამომაელობას, პაატა შევარდნაძე-წამი, წამიერება, წამება. საგულისხმოა აღინიშნოს, რომ აქ ჩამოთვლილ საკითხებს იმდენი საინტერესო ქვესაკითხები გააჩნია, რომ მკითხველს აღუძრავს წიგნის დეტალურად წაკითხვის სურვილს. წიგნში განსაკუთრებით სრული დამაჯერებლობითა და უდიდესი განცდით არის დაწერილი მისი ბოლო თანამდებობიდან გადადგომის ეპიზოდები. როგორი გულგრილიც არ უნდა იყოს მკითხველი, არა მგონია უცრემლოდ წაიკითხოს იგი.

სახელდობრ, აი როგორ აღწერს ყოველივე ამას ბატონი ედუარდი თავის მემუარებში. "დადგა 22 ნოემბერი – ახლად არჩეული პარლამენტის პირველი სხდომის დღე. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ მოგვახსენ, რომ არჩევნები კანონიერად ჩატარდა და ახალი პარლამენტის შეკრებაც ლეგიტიმური იყო. რეგლამენტის მიხედვით ეს სხდომა მე უნდა გამეხსნა. იგი დანიშნული იყო ოთხი საათისათვის, მაგრამ ხუთის ნახევრამდე ვერ დავიწყეთ – რამდენიმე დეპუტატს ველოდით, რათა კვორუმი შემდგარიყო. მოკლე გამოსვლა იყო და საკმაოდ ნელა ვკითხულობი. რამდენიმე სტრიქონი მრჩებოდა წასაკითხად, როდესაც არაადამიანური შეძახილები გაისმა – ერთხელ, ორჯერ სხდომათა დარბაზის კარი შემოამტერიეს. ჩამესმა ვიღაცის როყიო წამოძახილი – გადადექი!, გადადექი! თავი რომ ავწიე, ნაცნობი ადამიანები დავინახე, რომლებიც რამდენიმე დეპუტატისა და ჩემთვის უცნობი ახალგაზრდების გარემოცვაში იყვნენ".[55] შემდეგ, აგრძელებს იგი, "დაცვამ პარლამენტის ეზოში ჩამიყვანა; იქ მანქანაში ჩავსხედით და მარცხენა ჭიშკარიდან გავედით პარლამენტის შენობის წინ, სადაც თბილისიდან, აჭარიდან და კახეთიდან ჩემს მხარდასაჭერად

[55] სარეცენზიო ნაშრომი,გვ.25

მოსულ მომიტინგეებს შევხვედი. მოკლედ მივმართე ხალხს და მომხდარი შევაფასე როგორც სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა. შემდეგ მანქანაში ჩავჯექი და ჩემი რეზიდენციისაკენ გავემგზავრე. საღამოს, ძალოვანებთან თათბირის შემდეგ, კონსტიტუციის შესაბამისად საგანგებო მდგომარეობა გამოვაცხადე. საათანადო განკარგულება ტელერადიომაუწყებლობით გადაიცა. მეორე დღეს კი გაზეთებში დაიბეჭდა.მაგრამ ამ ფორმალურ პროცედურათა დროს და შემდეგაც თვალწინ საშინელი სურათი მედგა: მომიტინგეები და ჯარი (მე ხომ მთავარსარდალიც ვიყავი) ერთმანეთს ეჯახება, სისხლის ღვრა გარდაუვალია, შემდეგ შეტაკებები ქვეყნის სხვა რეგიონებშიც გადაინაცვლებს. ჩემთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, რომელ მხარეს დაიღუპებოდნენ ადამიანები – იქითაც და აქეთაც საქართველოს მოქალაქეები იდგნენ. ამასვე მეუბნებოდნენ ჩემი მეუღლე და ჩემი შვილი პაატა, რომელიც აღელვებული მირეკავდა პარიზიდან (იგი იუნესკოში მუშაობს). მე ისინი დავამშვიდე და ვუთხარი, რომ გადაწყვეტილება უკვე მივიღე – და არავითარი საგანგებო მდგომარეობა არ იქნებოდა. ქვეყანაში რომელმაც გადაიტანა სისხლიანი 1921, 1924, 1937, 1956, 1989 წლები და სამოქალაქო ომი, ეროვნული ხელისუფლების მიერ სისხლის დაღვრა უდიდესი ბოროტება იქნებოდა. მეტსაც გეტყვით დარწმუნებული ვარ – თვით ოპოზიციის ლიდერებსაც მიაჩნდათ, რომ შეუვარდნაძე სისხლის ღვრასე არ წავიდოდა – ამიტომაც მოქმედებდნენ ასე თამამად პარლამენტსა და სახელმწიფო კანცელარიაში შეჭრისას. თუმცა არც იმას გამოვრიცხავ, რომ ზოგიერთებს ჩემი სრული დისკრედიტაციისათვის მართლაც ხელს აძლევდა სისხლის დაღვრა."[6] შემდეგ, განაგრძობს, – "23 ნოემბერს, გვიან საღამოს, ჩემთან კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში, მიხეილ სააკაშვილი და ზურაბ ჟვანია მოვიდნენ. რეზიდენციას დაახლოებით ათასამდე მომიტინგეც მოადგა. მიშამ და ზურამ ჩემი გადადგომის შესახებ დაიწყეს საუბარი, თუმცა არც ისე მტკიცედ და კატეგორიულად. ჩემი პასუხი ´უბრალო იყო – ბიჭებო, ტყუილად ნერვიულობთ, გადადგომის შესახებ გადაწყვეტილება უკვე მივიღე და შეცვლას არ ვაპირებ. უმჯობესია ახლა ხვალინდელ დღეს იფიქროთ – ქვეყნის მართვა მთელი ხელოვნებაა – და არ მინდა ამ საქმეში მარცხი განიცადოთ თუ რამეში გამოგადგებათ ჩემი კონსულტაცია მზად ვიქნები". რა თქმა უნდაო, მიპასუხა ორივემ. შემდეგ კი ვკითხე – "დავამთავრეთ საუბარი?" შევატყვე მათთვის ეს მოულოდნელი იყო – ეტყობა, ფიქრობდნენ,რომ დავიწყებდი მთელი რიგი დაომობების, ან კომპრომისების მოთხოვნას." ავტორი, ბატონი ედუარდი კელაე ასე დასძენს: "დაღლილი ვიყავი, მაგრამ გულზე სიმშვიდე მომეფინა – დაპირისპირება უმსხვერპლოდ და უსისხლოდ დამთავრდა. შევთავაზე

[6] იქვე, გვ.26

ჟურნალისტებთან ჯერ ისინი გასულიყვნენ, მაგრამ უარი თქვეს ვატყობდი – ემოციურად ძალზე დატვირთულები იყვნენ. მაშინ გამოვეთხოვე და ქვედა სართულზე ჩავედი, სადაც უამრავ ჟურნალისტს მოეყარა თავი. შემომეხვივნენ და მეკითხებოდნენ, რით დამთავრდა შეხვედრა. ვუპასუხე, რომ გადავდექი, რომ გადაწყვეტილება საბოლოოა და გადასინჯვას არ ექვემდებარება. მკითხეს:

– ბატონო პრეზიდენტო, ახლა სად მიდიხართ?

– სახლში-ვუპასუხე.

– კი მაგრამ მერე?

– მერე ცხოვრება გვიჩვენებს.

პრესასთან ყოველთვის განსაკუთრებული დამოკიდებულება მქონდა. ყველა ნაცნობი სახე იყო. ვკითხე: "გრძნობთ, როგორ შეიცვალეთ ამ წლების განმავლობაში? და ერთმა მიპასუხა – "დიახ, თქვენც შეიცვალეთ ბატონო პრეზიდენტო."[7]

მადლობა გადავუხადე და მართლაც სახლში წავედი. გადადგომიდან რამდენიმე ხნის შემდეგ, ამ მოგონებებზე მუშაობას რომ შევუდექი, ამერიკის პრეზიდენტის, უმცროსი ჯორჯ ბუშის წერილიმივიღე:

დეკემბერი, 2003

"მის აღმატებულებას

ედუარდ შევარდნაძეს

ბატონო პრეზიდენტო,

დიდ მადლობას მოგახსენებთ თავისუფლების დამკვიდრებაში.თქვენ მიერ გაწეული უდიდესი ღვაწლისათვის. თქვენი ხელმძღვანელობით შესაძლებელი გახდა ცივი ომის დამთავრება. ყოფილ საბჭოთა სივრცეში თავისუფლების დამკვიდრება, სამოქალაქო ომის წყედიადიდან საქართველოს გამოყვანა და ქვეყანაში დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის დაფუძნება, ამერიკის შეერთებულ შტატებთან მტკიცე მეგობრობის ჩამოყალიბება. მინდა მადლობა მოგახსენოთ, როგორც ერაყის საკითხში მხარდაჭერისათვის, ისე პანკისში განხორციელებული კონტრტერორისტული ოპერაციისათვის.

თქვენი ღირსეული გადადგომა 23 ნოემბერს და მზადყოფნა გაუზიაროთ თქვენი სიბრძნე და გამოცდილება საქართველოს ხელმძღვანელობის ახალ თაობას, რომელიც თქვენი აღზრდილები არიან, თქვენს კიდევ ერთ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს. თქვენი გადაწყვეტილება გადადგომის თაობაზე, თბილისის ქუჩებში ძალის გამოყენების ნაცვლად, თქვენი შესანიშნავი კარიერის ღირსეული დაგვირგვინებაა.

[7] იქვე, გვ.27

მჯერა, რომ თქვენ, ისევე როგორც ამერიკის შეერთებული შტატები, ძალისხმევას არ დაიშურებთ საქართველოს დამოუკიდებლობის, დემოკრატიის განმტკიცებასა და ქვეყნის
განვითარებისათვის.

პატივისცემით ჯორჯ. უ. ბუში."

ამჯერად შეეცდები პატივცემულო მკითხველო ჩემს რეცენზიაში წიგნიდან შედარებით ნაკლები ფრაზები მოვიყვანო და მეტი დრო და სიტყვები რეცენზიაში მის ობიექტურ შეფასებას მოვანდომო.

წიგნის 29-ე გვერდზე მოცემულია თემის დასაბაურება "ჩემი სამშობლო – საქართველო", რომელიც გრძელდება 119 გვერდამდე.

წერილში მოცემულია მისი ბავშვობის წლები, მისიკუთხის – გურიის და გურულების საოცრად საინტერესო და მეტად დიდებული ადათ-წესების შესახებ. თუნდაც ის ფაქტი, რომ, თუ რომელიმე ოჯახი სახლს იშენებდა მთელი სოფელი უნდა მიხმარებოდა. ამასთან, ეს დახმარება მიმდინარეობდა უდიდესი ენთუზიაზმით. ავტორის ენით, რომ ვთქვათ, ამ დროს მუშაობა, რომ ხალისიანი და რიტმული ყოფილიყო მღეროდნენ ოთხხმიან ხალხურ შრომის სიმღერას. ეს საუკუნის სიღრმიდან წამოსული მრავალხმიანი სიმღერა იყო. ქართული პოლიფონიის უნიკალური ნიმუში. ქართული მრავალხმიანობა არქაული ხანიდან მოდის. მან გაუძლო ათასწლეულებს და იმედი მაქვს – დასძენს ავტორი – რა მძაფრიც არ უნდა იყოს გლობალიზაციის პროცესი, ქართული მრავალხმიანი სიმღერა ყოველთვის დარჩება ქართული ხასიათის საუკეთესო გამოხატულებად. აქვე ერთ მეტად სამართლიან დახასიათებას იძლევა ავტორი ქართველი ერის შესახებ. აი რას დასძენს იგი: "საქართველოს მოსახლეობა მრავალეთნიკური და მრავალკონფესურია. ქართველთა უმრავლესობა მართლმადიდებელია, მაგრამ ისინი ტოლერანტულნი არიან სხვა ეროვნებისა და განსხვავებული აღმსარებლობის ადამიანთა მიმართ. ამის შესანიშნავი მაგალითია უძველეს ებრაელ ხალხთან ოცდაექვსსაუკუნოვანი თანაცხოვრება, რომლის დროსაც, სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, ებრაელთა დევნა არ ყოფილა."[8] შემდეგ აგრძელებს, რომ "საქართველოს ისტორია გადარჩენისათვის მუდმივი ბრძოლის ისტორიაა. ეს დიდ ქვეყნებთან რთული ურთიერთობისა და მსოფლიო კონტექსტში თავისი ადგილის დამკვიდრების ისტორიაა; ეს არის გარედან მხარდაჭერის აქტიური ძიების უსასრულო პროცესი, რომელიც ახლა გრძელდება ამერიკასთან, ევროკავშირსა და ნატოსთან ინტეგრირებით".

ყოველივე ამის შემდეგ იმდენად მკაფიოდ, მოკლედ და საინტერესოდ განმარტავს, სულ რაღაც ორ გვერდზე, საქართველოს დამოუკიდე-

[8] იქვე, გვ.33

ბლობისათვის ბრძოლის ისტორიას, რომ მსგავსად ყველაზე ცნობილი ისტორიკოსიც ვერ დაწერდა.

იყო დრო, აღნიშნავს ბატონი ედუარდი, საქართველო საერთაშორისო მასშტაბით მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ როლს თამაშობდა და, როგორც სახელმწიფოს, თავისი საერთაშორისო ფუნქცია ჰქონდა. მას ანგარიშს უწევდნენ. მაგალითად, ჯერ კიდევ სახელგანთქმული მეფის, დავით აღმაშენებლის დროს 1121 წელს მუსულმანურ სამყაროსთან გადამწყვეტი ბრძოლისას (დიდგორის ბრძოლა) ქართველთა მეფის ლაშქარში ჯვაროსნებიც (ფრანგები) იყვნენ, შემდეგ უკვე თავად ქართველებმა ითამაშეს დიდი როლი იერუსალიმის გათავისუფლებაში და ამ წმინდა ქალაქში აღმართული დროშებით შესვლის უფლება მოიპოვეს რაოდენ სულის შემძვრელი ფაქტია, პატივცემულო მკითხველო, რომ საქართველო იმ დროსაც კი ესოდენ გმირულ ქმედებას ასრულებდა მოძმე ებრაელი ერის მიმართ. ამდენად, აღარაა გასაკვირი, რომ დღეს საქართველომ ერთადერთმა პირველმა დაუჭირა მხარი ამერიკას საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მაგრამ მე-13 საუკუნიდან, როგორც ავტორი აღნიშნავს, ევროპა უკვე იცვლება. მისი სახელმწიფოებრივი ინტერესები და პრიორიტეტები უკვე სხვაა. ჯერ მონღოლების შემოსევამ, ხოლო შემდეგ კონსტანტინეპოლის დაცემამ მნიშვნელოვნად განაპირობა საქართველოს ძლიერი სახელმწიფოს დანგრევა. მაჰმადიანთა გარემოცვაში მყოფი საქართველოსათვის ერთადერთ რეალურ პარტნიორად ქრისტიანული რუსეთი ჩანდა, – სახელმწიფო, რომელიც ნელნელა იკრებდა მიწებს და ძალას. ჩრდილოეთისკენ მიმავალი გზები ძნელი იყო, მათ გავლას დიდი დრო უნდოდა. მართალია, ქართველები უკვე გაშინაურებული იყვნენ რუსეთის საიმპერატორო კარზე, მაგრამ ამ ორ ქვეყანას შორის სამოკავშირეო ხელშეკრულება მხოლოდ 1783 წელს დაიდო. იოსებ სტალინის შეფასებით, ეს იყო "ნაკლები ბოროტება", რომელიც საქართველოს ემუქრებოდა. ამასთან საქართველო ფიზიკურ განადგურებას გადაარჩინა.

აქვე ბატონი ედუარდი რუსეთს აუგად იხსენიებს და შენიშნავს, რომ, თუმცა რუსეთს ხელი არ გაუნძრევია 1795 წელს, როდესაც მასთან ქართველთა კავშირის გამო აღამაჰმად-ხანმა თბილისი მიწასთან გაასწორაო. შემდეგ, 1801 წელს რუსეთმა კოლონიური უღელი დაადგა საქართველოს, როდესაც იმპერატორ ალექსანდრეს მანიფესტით 1783 წლის ხელშეკრულება გაბათილდა და საქართველოს სამეფო გაუქმდა.

საქართველოში არასოდეს შეწყვეტილა ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა. ქართველი ხალხი ვერ შეეგუა თავისუფლების დაკარგვას, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის მმართველობამ მას

მშვიდობა მოუტანა, დაშლილი სახელმწიფოს სხვადასხვა კუთხე რუსეთის იმპერიის ფარგლებში კვლავ გააერთიანა, ქართველობა ევროპის კულტურას აზიარა და ბოლოს და ბოლოს, ფიზიკურად გადაარჩინა. ერთი კია, პეტრე პირველის მიერ ევროპაში გაჭრილი ფანჯარა ქართველთათვის კარად ვერ იქცა. ყოველი ქართველის სასიცოცხლო ოცნება დამოუკიდებლობის დაბრუნება იყო. აჯანყებები 1804 წლიდან დაიწყო და მხოლოდ დამოუკიდებლობის დაბრუნების შემდეგ, 1990 წელს დასრულდა. თუმცა დღესაც არ დამთავრებულა რუსეთის მცდელობა – კვლავ თაეის წიაღში დააბრუნოს ჩვენი ქვეყანა, რაც თუნდაც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ანექსირების მცდელობაში ვლინდება კიდეც.

ბატონი ედუარდი ამ ფრაზის დამთავრების შემდეგ, კვლავ მისთვის ჩვეული ობიექტურობით და გულახდილობით დასძენს, რომ "ვიცი ამ წიგნის ცალკეულ დებულებას ბევრი მოიწონებს, ბევრიც კრიტიკულად განეწყობა.

სხვა საკითხებთან ერთად, პირველ რიგში, ეს რუსეთსა და საქართველოს ურთიერთობების ცალკეულ შეფასებას შეეხება. შემახსენებენ, გეორგიევსკის ტრაქტატის მე-200 წლისთავი რომ აღინიშნა, ან მაშინ, როცა მე საქართველოს კომუნისტების ლიდერი ვიყავი, რატომ არ ვამბობდი სრულ სიმართლეს ორი ხალხის ურთიერთობის ჩრდილოეან წერტილებზე?

მართალია, მე მქონდა რესპუბლიკური თუ საკავშირო მნიშვნელობის მაღალი ტრიბუნები, მაგრამ რა შედეგი მოჰყვებოდა ჩემს გაბედულ დემარშებს? პირველ რიგში ის, რომ მე სამუშაოდან გამანთავისუფლებდნენ და ყველაფერი, რასაც ქართული კულტურის, მისი თვითმყოფადობის უსრუნველსაყოფად ვაკეთებდი შეიძლებოდა წყალში გადაყრილიყო".

დამოუკიდებლობის დაბრუნების რეალური შანსი საქართველოს 1917 წელს მისცა რუსეთის იმპერიის დაშლამ. 1918 წლის 26 მაისს გერმანიისა და საფრანგეთის მნიშვნელოვანი დახმარებით საქართველო დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადდა,ამ რესპუბლიკამ მხოლოდ სამ წელს იარსება. 1921 წლის 21 თებერვალს საქართველოს რესპუბლიკა საბჭოთა რუსეთმა დაიპყრო. მან მეორედ მოახდინა საქართველის ოკუპირება.

რუსეთის იმპერიას საბჭოთა იმპერია ჩაენაცვლა, რომლის სათავეშიც, ბედის ირონიით, ათწლეულების განმავლობაში წარმოშობოთ ქართველი, ყმაწვილკაცობაში შესანიშნავი ქართული პატრიოტული ლექსების ავტორი, იოსებ ჯუღაშვილი, იგივე იოსებ სტალინი იდგა.

საბჭოთა იმპერიის ხელმძღვანელობისათვის და მათ შორის მყოფი ქართველებისათვისაც იდეოლოგიურადაც და ეკონომიკურადაც მიუღებელი იყო სამხრეთ კავკასიაში დამოუკიდებელი სახელმწიფოების არსებობა-

ჯანის, საქართველისა და სომხეთის არსებობა და სწორედ ამიტომ საბჭოთა რუსეთის ინტერვენციის შედეგად 1920-1921 წლებში სამივე რესპუბლიკამ არსებობა შეწყვიტა. ისინი ერთმანეთის მიყოლებით გასაბჭოვდნენ. საქართელოს ლეგიტიმური მთავრობა უცხოეთში – საფრანგეთში გაიხიზნა.

დამოუკიდებლობის დაკარგვას ქართველები არ შეეგუნენ, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ყველა რეგიონი, ყველა ფენა – თავადაზნაურობა და გლეხები, ჩინოვნიკები და სამღვდელოების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ამ ბრძოლის ბევრი ფურცელია ცნობილი და ბევრსაც დავიწყების ფერფლი წაეყარა. ეს მოძრაობა იმდენად გმირული და თავგანწირული იყო, რომ მისი თითოეული დეტალიც კი საქართველის შთამომაელობის კუთვნილებად უნდა იქცეს, ეიცით ეს არ არის იოლი საქმე, მაგრამ დღევანდელი დამოუკიდებელი ქვეყნის ვალია, ყველაფერი მოიძიოს და ჭეშმარიტება აღადგინოს.

ბატონი ედუარდი იხსენებს მამამისის ბიძაშვილს დათიკო შეგარდნაძეს, რომელიც გურიის ერთ-ერთ სოფელში – ნასაკირალში, 1905 წელს აჯანყებულთა რაზმს მეთაურობდა. ისიც ჭეშმარიტი გმირი იყო, მაგრამ დამარცხდა და თანამებრძოლებთან ერთად ტყეს შეაფარა თავი, სადაც ერთ-ერთმა თანამებრძოლმა, მაშინდელი ხელისუფლების მიერ მოსყიდულმა პირმა მოწამლა.

"1921 წელს მოჰყვა, დასძენს ავტორი, სისხლიანი 1924 წელი, როდესაც თითქმის მთლიანად ამოწყვიტეს საბჭოთა ხელისუფლების რეალური თუ ეჭვმიტანილი მოწინააღმდეგენი. შემდეგ იყო 1937 წლის რეპრესიები. იყო 1950 წლის მასობრივი გადასახლებანი, 1956 წელს – საპროტესტო დემონსტრაციის სისხლიანი ანგარიშსწორება და 1989 წლის სისხლიანი 9 აპრილი. შემდეგ, 1991-93 წლებში, სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში – რუსეთთან გამოუცხადებელი ომი რომელშიც, არასრული მონაცემებით, ექვსი ათასამდე მშვიდობიანი მოსახლე დაიღუპა და სამას ათასამდე კაცს სახლ-კარის მიტოვება მოუხდა. Iსინი სამშობლოში დეენილად იქცნენ. ეს იყო კლასიკური ეთნოწმენდის "ნიმუში" საზარელი შედეგებით".[9]

ისიც უნდა ვთქვა, აღნიშნავს ბატონი ედუარდი, რომ მანამდე 1941-1945 წლების სამამულო ომში სამას ათასზე მეტი ქართველი დაიღუპა, საქართველოს მაშინდელი მოსახლეობის ათი პროცენტი.მოკლედ, რუსეთთან ურთიერთობა და მის "მფარველობის" ქვეშ ყოფნა 1801 წლიდან დღემდე საქართველოს ბევრი სისხლი დაუჯდა". [10]

[9] სარეცენზიო ნაშრომი, გვ.37
[10] იქვე.

საქართველომ, ქართველმა ხალხმა, ქართულმა კულტურამ ბევრი რამ მიიღო რუსეთისაგან, რუსი ხალხისაგან რუსული კულტურისაგან. თუმცა არც ჩვენ დავრჩენილვართ ვალში, ჩვენც ბევრი რამ გაეცით, რუსეთის ომებში ქართველებიც იბრძოდნენ და იღუპებოდნენ, როგორც

1801 წლის სამამულო ომში, ისე კავკასიის ომებში (1817-44წწ), რუსეთ-ოსმალეთის ომებში (1828-29წწ 1877-78წწ), რუსეთ-ირანის ომებში (1804-13, 1826-28 წწ), პირველ თუ მეორე მსოფლიო ომებში. ბევრი ქართველი შეეწირა ამ პროცესებს და ბევრი ქართველი გმირი ჰყავს ამ ომებს. მათგან თუნდაც ერთის, ბოროდინოს გმირის პეტრე ბაგრატიონის გახსენება იკმარებდა.

ბატონ ედუარდს შევახსენებდი, რომ ქართველი ერისაგან კიდევ ვალშია არა მარტო რუსეთი, არამედ მსოფლიოს მთელი რიგი ქვეყნებიც. იგი მაგალითი იყო სხვა ერების სარწმუნოებათა შემწყნარებლობის და ინტერნაციონალურობის,ამასთან მაღალი დონის სტუმართმოყვარეობის, ანუ მასპინძლობის, რომლის მსგავსი არ გააჩნია არც ერთი ქვეყნის ერს. მე მგონი არც ის არის საიდუმლო, რომ უმაღლესი განათლების მხრივაც საქართველო პირველ ადგილზე იყო და არის მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით.

სამართლიანად შენიშნავს აეტორი, რომ "დაინგრა მეფის რუსეთისა და საბჭოთა იმპერიები, ხალხებმა დამოუკიდებელი სახელმწიფოების შენება დაიწყეს, მათაც კი – ვისაც სახელმწიფოებრიობის ისტორია საქართველოსთან შედარებით მოკლე ჰქონდათ.

დღეს რუსეთში ზოგიერთებს, მათ შორის პოლიტიკოსებს, უჭირთ იმასთან შეგუება, რომ საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოს აშენებს, მაგრამ საქართველოს მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივობის აღდგენა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ უგულებელვყოფთ რუსეთს და ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია ქართული ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის სრულფასოვანი და სწრაფი განვითარება რუსეთის ეკონომიკასთან, მეცნიერებასთან და კულტურასთან მჭიდრო ურთიერთობის გარეშე. გეოგრაფიულადაც ხომ იქვე დავრჩით, სადაც ვიყავით რუსეთში დღეს ასიათასობით ქართველი ცხოვრობს. ბსოლუტური უმრავლესობა კარგი სპეციალისტი, მეცნიერი, ხელოვნების მოღვაწეა. ბევრი სხვადასხვა საწარმოში მუშაობს და უაღრესად საჭირო პროდუქციას ქმნის, ბევრი რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობს. მართალია საქართველოში მცხოვრები რუსი ეროვნების მოქალაქეთა რიცხვი ერთგვარად შემცირდა, მაგრამ ეს რთული სიტუაციებითაა გაპირობებული, რომლებსაც წიგნშია ლაპარაკი. ამავე დროს კვლავ ფუნქციონირებს რუსული სკოლები, ფაკულტეტები, მოღვაწეობენ რუსი მეცნიერები და მსახიობები, ეს ჩვენი დამოუკიდებელი სახელმწიფოს ოქროს ფონდია, დასძენს ბატონი ედუარდი. იქვე აგრძელებს: ქართველები

უმადურები არ ვართ – ჩვენ ყველა ის სიკეთე გვახსოვს, რაც რუსეთს ჩვენთვის გაუკეთებია. ავის დავიწყებაც შეგვიძლია. ჩვენი სახლის კარი და ჩვენი საზღვარი ისევ ღიაა ყველასათვის, ვინც სიყვარულით მოდის ჩვენთან. ქვეყნების დამოუკიდებლობა სულაც არ ნიშნავს საუკუნოვანი კავშირების გაწყვეტას. ჩვენ ახლა უფრო მეტად ვიდრე ოდესმე, მზად ვართ თანამშრომლობისა და მეგობრობისათვის. რაც იყო კარგიც და ცუდიც ორივე მხარემ მშვიდი გონებით და ემოციების გარეშე უნდა გავაანალიზოთ, რათა ჩვენი მომავალი ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინებაზე, ურთიერთპატივისცემასა და მეგობრობაზე იყოს დამყარებული.

საქართველო მცირერიცხოვანი ქვეყანაა და ფაქტობრივად,ოჯახს ვერ ნახავთ, მასზე თუ მის სანათესაოზე არ იყოს გადავლილი ყველა ის უბედურება, რომელიც რუსეთს დამართია. ყველას ჰყავს ვინმე დაღუპული, დაკარგული, რეპრესირებული. ამა თუ იმ დროს ჩემს ოჯახსაც და სანათესაოსაც შეეხო ყველაფერი ეს — დასძენს ბატონი ედუარდ შევარდნაძე.

შემდეგ ავტორი თავისი მშობლების და საკუთარ ბიოგრაფიას იმდენად საინტერესოდ და უაღრესად შინაარსიანად მოგვითხრობს, რომ ყველას, მის წამკითხველს უდიდესი შთაბეჭდილება შეექმნება და იტყვის, რომ მსოფლიოს ქვეყნების მეთაურთა შორის იშვიათია მსგავსი ისტორიის და თავგადასავლის მქონე პიროვნება, რომელსაც კაცობრიობის საკეთილდღეო პრობლემები ესოდენ ბრწყინვალედ გადაეწყვიტოს.

თქვენ რა მოგახსენოთ პატივცემულო მკითხველო, მე კი, არა თუ გავიხსენე, არამედ ხელმეორედ და არსებითად შევისწავლე ამ წიგნში,სულ რაღაც ორ-სამ გვერდზე მოთავსებული ჩვენი მზიური საქართველის და დიდი რუსეთის თითქმის მთელი ისტორია. ეს იყო დიდი გულისტკივილით და ხალასი გრძნობით გადმოცემული ორი ხალხის და, რაც მთავარია, საქართველის ქვეყნის და ქართველი ერის გმირული და ტრაგიკული ისტორია.

განსაკუთრებით კმაყოფილების გრძნობით გავიმსჭვალე,როდესაც ბატონი ედუარდის, ამ ბუმბერაზი პიროვნების თავს გადახდილი, უაღრესად დაბრკოლებებით აღსავსე, თავგანწირული მოღვაწეობის წლები გავიხსენე და ბევრიც მისი ამ წინამდებარე წიგნიდან შევიტყვე. ველაფერთან ერთად დაუოკებელი სურვილი გამიჩნდა – ერთხელ კიდევ შემახედრა ამ კაცთან და მომასმენინა ბევრი რამ ახალი და ჯერ კიდევ არ თქმული. ბრძნული ნათქვამია, რომ "ადამიანები გონს მაშინ მოეგებიან, როცა გამოუსწორებელი შედეგი დგება". ამასთან, სამწუხაროდ, რატომღაც არც თუ ცოტა არიან ისეთნი, რომლებიც ადამიანში მხოლოდ უარყოფითს ხედავენ და შეცდომებზე ამახვილებენ ყურადღებას და არა დადებითზე, თუნდაც დადებითი ზღვა რომ გააჩნდეს და უარყოფითი კი – ზღვაში წვეთი. ამიტომ ჩვენი ყველას საერთო ამოცანაა ვიმოქმედოთ ასეთ

პირებზე და დავარწმუნოთ, რომ მთავარია მადლიერების გრძნობით აღვიჭურვოთ და არა უმადურობის, და ამით სასუფეველსაც გავინაღდებთ და ამ ქვეყნადაც ღირსეულად წარმოვჩინდებით.

არავის აუკრძალავს დროულად მეგობრული რჩევა, სიტყვის თუ ხელის წაშველება და სწორ გზაზე დაყენების ცდა, ისე, რომ გული არ ატკინო და საქმე გართულებამდე არ მიიყვანო. მაგრამ, სამწუხაროდ სადიზმის გრძნობით გაჟღენთილებს ქვენა გრძნობა რომ დაიკმაყოფილონ, ახარებთ სხვათა უბედურება, სხვისი შეცდომები, რათა ამით შეება იგრძნონ.

საღად მოაზროვნეთა დიდი უმრავლესობა კი იმედის თვალით შეჰყურებს მომავალს, რომ დადგება დრო და ისინი ერთმანეთს შეეჯიბრებიან მხოლოდ სიკეთის თესვასა და ყოველგვარი ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლაში. აი სწორედ ამისაკენ მოგვიწოდებს ექს-პრე'სიდენტი, ბატონი ედუარდ შევარდნაძის წიგნი "მემუარები". მე მგონი, ენით ვერ გამოითქმება და ვერც კალამი აღწერს, ყოველ იმ გონიერულ და გაბედულ ქმედებებს რომელსაც ბატონი ედუარდი ყოფილ საბჭოთა კავშირის მასშტაბით ანხორციელებდა ყოფილ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად მიღვაწეობის დროს, თანაც მსოფლიოს ორი ურთიერთმოწინააღმდეგე ბანაკების და ცივი ომის არსებობის პირობებში. 1987-88 წლებში მის მიერ ბევრი რამ გაკეთდა, რომ მოწესრიგებულიყო ურთიერთობა აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნებს შორის. ყველა ისინი თავიანთ სახელმწიფო ინტერესებს იცავდნენ. აქედან გამომდინარე, როგორი წარმოსადგენი იქნებოდა ბატონი ედუარდის მდგომარეობა, როდესაც ქვეყნებს შორის კონფრონტაცია იყო დასაძლევი, მსოფლიო პრობლემები მოსაგვარებელი, იმპერიები დასამხობი, ორი დაპირისპირებული ბანაკი შესარიგებელი და მსოფლიო ცივილიზაცია გადასარჩენი. თვითონვე აღნიშნავს ბატონი ედუარდი, რომ სხვადასხვა ქვეყნებთან მოლაპარაკებები იყო მეტად მძიმე და უროულესი. როდესაც იგი მიემგზავრებოდა სხვადასხვა ქვეყნებში, კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ დამოკიდებულება საბჭოთა კავშირისადმი არ იქნებოდა ეროგვაროვანი, მიუხედავად იმისა, რომ გარდაქმნისადმი ცხოველი ინტერესი ყველგან შეიმჩნეოდა.

მოსკოვიდან დიალოგი მათთვის სერიოზული პოლიტიკური ამბიციების გაცხადება გახლდათ. ჩვენთან დიალოგი, დასძენს ბატონი ედუარდი, არა მარტო აძლევდა მათ საშუალებას მიეღით მონაწილეობა დიდ პოლიტიკაში, არამედ — დაეცვათ საკუთარი ინტერესებიც.

პატივცემულო მკითხველო,აღნიშნული წიგნის დეტალური შეფასება, რომ გავაგრძელო, იგი წიგნის თითქმის ნახევარ მოცულობას დაიკავებს და ამდენად გადავწყვიტე უკვე დასკვნით ნაწილზე გადასვლა.

უაღრესად საინტერესოა ბატონ ედუარდის პირველი ვიზიტები დიდ ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელებთან. ჩვენს ქვეყანასთან დიდი ხნის განმავლობაში დაძაბული ურთიერთობის შემდეგ მან, რომ შექმნა ურთიერთგაგებისა და ნდობის ატმოსფერო. ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს გერმანიის გაერთიანების საკითხს, რაშიც გადამწყვეტი როლი ბატონმა ედუარდმა შეასრულა. გერმანია და მისი გაერთიანება, როგორც იგი აღნიშნავს, იქცა მისთვის ცხოვრების იმ უმნიშვნელოვანეს საქმედ, რომელმაც მსოფლიო ავტორიტეტიც მოუხვეჭა და ისეთი მეგობარიც შესძინა როგორიც პანსდიტრიხ გენშერია. მან თურმე 1992 წლიდან ყველაფერი იღონა, რაოა ქაოსში ჩაფლული ქვეყანა სახელმწიფოდ ექცია, რომელსაც თავისი კონსტიტუცია, პარლამენტი, სასამართლო, ჯარი, ფულად-საკრედიტო სისტემა გაუჩინა და საშუალება მისცა ფუნდამენტური რეფორმების გზას დადგომოდა. ჩემთვის გერმანია, აღნიშნავს ავტორი, მარტო დიდი მეცნიერების, ფილოსოფოსების და მუსიკოსების ქვეყანა კი არა, არამედ იმ ადამიანების ქვეყანაცაა, რომელთაც გაპარტახებული გერმანია ააღორძინეს და ააშენეს უბადლო გამარჯვებისა და თავისუფლების მოყვარე სულის წყალობით, დამმარცხებული ხალხი გამარჯვებულზე უფრო ძლიერი და მდიდარი გახადეს.

ბედმა სამუდამოდ დამაკავშირა ამ გერმანიასთან და თუ ერთმა ქართველმა, საბჭოთა კავშირის ბელადმა, იოსებ სტალინმა გადამწყვეტი როლი ითამაშა გერმანიის დამარცხება'ში, მე ჩემი შესაძლებლობების ფარგლებში, როგორც საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი, შევეცადე ხელი შემეწყო მისი გამთლიანებისათვის.

ბოდიშს მოვიხდი მკითხველთა წინაშე და თვით ავტორთან, თუ თემას ოდნავ გადაუხვევ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩემი მოღვაწეობისას ერთ ეპიზოდს გავიხსენებ. ეკონომიკური ფაკულტეტის ფინანსების და კრედიტის კათედრის წევრი, უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივანი ბატონი შოთა ქისტაური სადოქტორო დისერტაციას იცავდა და მისი ერთ-ერთი ოპონენტი მე გახლდით. ყველა ოპონენტებმა მისი დისერტაცია მაღალ დონე'ზე შეაფასეთ და მხარი დაეუჭირეთ, რომ სამეცნიერო საბჭოს ფარული კენჭის ყრის შედეგად უთუოდ მიენიჭებინათ ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. დისერტაციის სათაური იყო გერმანიის ეკონომიკის აღორძინების მაგალითი'ზე – საქართველოს კრიზისიდან გამოსვლის გზები. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა, ბატონმა ვასილ ჩანტლაძემ საბჭოს წევრებს მიმართა თხოვნით ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები დისერტანტთან და ოპონენტებთან. საბჭოს ორმა წევრმა დისერტანტს დაუსვეს მეტად რთული კითხვები, რომლებზეც მიიღეს შესაბამისი პასუხიც, მაგრამ მე შეკითხვის ტონი არ მომწონა და გავიფიქრე კენჭის ყრის დროს ვინმემ შავი არ ჩაუგდოს-

მეთქი და ვთხოვე საბჭის თავმჯდომარეს დამატებით მოეცა სიტყვის უფლება. მივიღე რა ნებართვა, ასეთი რამ წარმოვთქვი:

"ბატონებო, ერთმა ქართველმა, იოსებ სტალინმა ფაშისტური გერმანია დაამარცხა და მსოფლიო ცივილიზაცია იხსნა სამარადისო მონობისაგან. მეორე ქართველმა გერმანია გააერთიანა და მსოფლიოს ქვეყნების ორი მოწინააღმდეგე ბანაკი დააკავშირა, ეს გახლდა ედუარდ შევარდნაძე. ჰოდა, რას ვერჩით ამ მესამე ქართველს – შოთა ქისტაურს, რომელმაც გერმანიის ეკონომიკის აღორძინების მაგალითზე საქართველოს კრიზისიდან გამოსვლის გზები დაგვისახა." რა თქმა უნდა ატყდა სიცილი და ყველა მხიარულ გუნებაზე დადგა, რადგან დისერტანტი სტალინს და შევარდნაძეს შეადარაო. საგულისხმო და ნიშანდობლივი ის იყო, რომ დისერტანტმა ყველა დადებითი ხმა მიიღო. საბანკეტო სუფრაზე პირველი სადღეგრძელოს შემდეგ ჩემი სადღეგრძელო შეისმა. ასე, რომ ბატონ ედუარდის უდიდესი დამსახურება მისი წიგნის გამოქვეყნებამდე უკვე საქვეყნოდ ცნობილი იყო.

წიგნის მეორე ნახევარი კი ეხება მსოფლიოს უამრავი ქვეყნის პრეზიდენტებთან და პრემიერ-მინისტრებთან ბატონ ედუარდ შევარდნაძის შეხვედრებს. მისადმი უდიდესი პატივისცემის გამოხატვას, რადგანაც უმრავლესთათვის იგი იყო არა მარტო სახელმწიფო მოღვაწე და დიდი ქვეყნის დიპლომატიის მეთაური, არამედ, როგორც მათი პირადი მეგობარიც. წინა პერიოდებში ასეთი რამ გამორიცხული იყო. სხვადასხვა ქვეყნის დიპლომატები ერთმანეთთან მხოლოდ ოფიციალურნი იყვნენ და დისტანციებს იცავდნენ. ის რაც ბატონ ედუარდის ირგვლივ ხდებოდა იშვიათი გამონაკლისი იყო საგარეო საქმეთა სფეროში. მე ვიტყოდი, რომ მას ღმერთიდან დაკურთხებული ჰქონდა მაგნიტური მიმზიდველობის და მისადმი უდიდესი ნდობის გამოხატვის ძალა. რა კარგადაა ნათქვამი ჩვენი უსაყვარლესი პოეტის, აკაკი წერეთლის "გამზრდელში", მარტო წვრთნა რას უშველის, თუ ბუნებამაც არ უშველა. აი სწორედ ეს ორივე კომპონენტი ჰქონდა მას უაღრესად მომადლებული.

რაც აქამდე აღვნიშნე, ორი იმდენი კიდევ სათქმელი მრჩება და ამდენად, მისანშეწონილად ჩავთვალე კიდევ ერთხელ მიუწოდო ჩვენს ღირსეულ მკითხველებს, როგორმე წიგნი მიოძიონ და უშუალოდ დედანში იხილონ მეტი სიტკბო, სიმართლე და ობიექტურობა. მე, ჩემი მხრივ, შევეცდები ახლო ნათესავებისა და მეგობრებისათვის შევიძინო და დავასაჩუქრო ისინი ამ წიგნით.

ვინც ბატონ ედუარდ შევარდნაძის აღნიშნულ წიგნში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ამბებს გაეცნობა და რუსეთის იმპერიის ძალადობის შედეგად აფხაზი სეპარატისტების ნამოქმედარს, აგრეთვე 2007 წელს ქართველების გენოციდს, უთუოდ დარწმუნდებიან, რომ ფაშისტური გერმანიის მიერ ჩადენილი დანაშაული შედარებით ნაკლებია, რადგან იგი

მიმართული იყო ძირითადად ებრაელი ერის მიმართ. ამდენად, ბევრად უფრო მართებულად მიმაჩნია საქართველოს პრეზიდენტის ბატონ მიხეილ სააკაშვილის მოქმედება რუსეთის მიმართ. სახელდობრ, ის, რომ ერთხელ და სამუდამოდ დაგმოს მათთან ურთიერთობა და კავშირი დაამყაროს "ნატოს" ქვეყნებთან, მათ შორის ამერიკასთან. (ძალაში აღარ არის ადრე თქმული და საყოველთაოდ გაერცელებული ანდაზა, რომ "გლახა მეზობელი სჯობია შორს მყოფ კარგ ნათესავსო"). ამჟამად, თანამედროვე ტექნიკის პირობებში შორს მყოფი ნათესავი უფრო ადრე მოგეშველება გაჭირვების ჟამს, ვიდრე გლახა მეზობელი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ისღა დაგვრჩენია შევაეედროთ გამჩენ ღმერთს ხელი მოუმართოს საქართველოს და ისე აღორძინებულიყოს იგი როგორც ეკონომიკურად, ისე პოლიტიკურად, რომ თვით გამხდარიყოს სხვა ქვეყნების დამხმარე და ქველმოქმედი.

ამ სიტყვების წარმოთქმა დამჭირდა ქ. ნიუ ორკში ბრუკლინის ერთ-ერთ დიდ რესტორანში ქართველ თანამემამულეთა თავყრილობაზე, სადაც თბილისიდან ჩამისული ხელოვნების მუშაკები მართავდნენ კონცერტს. მხოლოდ იქ დავამატე შემდეგი სიტყვებიც: "ამერიკელი ქალები სამუშაოდ თბილისში ჩამოსულიყვნენ, თბილისელებს კი, ნაცელად მუშაობისა, სტუმრად მიეღოთ და ხელფასები ჯილდოს სახით ეძლიოთ".

ორიოდე სიტყვით კელაე შევაფასებ ბატონ ედუარდის წიგნის ბოლო ნაწილს. იგი უდიდესი მამაშვილური გრძნობით, სულით და გულით მოუწოდებს საქართველოს ახალგაზრდა თაობას: "იყო დრო როდესაც ეფიქრობდი, რომ ცივი ომის დამთავრებას, სამხედრო ბლოკების დაპირისპირების დაძლევას, საბჭოთა კავშირის ურთიერთობათა დათბობას დასავლეთის ქვეყნებთან თუ მსოფლიოს სხვა რეგიონებთან, გერმანიის გაერთიანებას, საბჭოთა კავშირის დემოკრატიზაციას, ავღანეთიდან ჯარების გამოყვანას სამუდამო თუ არა, ხანგრძლივი და გარანტირებული მშვიდობა მაინც მოყვებოდა. თითქოს ასეც ჩანდა, მაგრამ ეს ჩანაფიქრი დროებითი და ხანმოკლე გამოდგა. ერთი ტიპის კონფლიქტებს მეორე ტიპის კონფლიქტები ჩაენაცვლა, მართალია "ბოროტების იმპერია" დაინგრა, მაგრამ მის მიერ მსოფლიოში დატოვებულმა ნაღმებმა პერმანენტულად დაიწყეს აფეთქება გათვლილ ადგილსა და დროში, უპირატესად საბჭოთა იმპერიის ადგილზე წარმოშობილ სახელმწიფოებში. თხუთმეტია ასეთი სახელმწიფო დემოკრატიის თავისი გაგებითა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შენების თავისი ძნელი გზით.

ჩემი საქართველო ამ თხუთმეტიდან ერთ-ერთია და მისი აწყმო და მომავალი ჩემთვის იმ ტკივილად და დარდად რჩება, რომელიც სიბერეს

გაუსაძლის ხდის, რადგან ვერარაფერს შეეცვლი, საფრთხეებს თავიდან ვერ ავიცილებ. ახალ დროს ახალი ადამიანები სჭირდება."[11]

აი ასეთი გახლავს ბატონ ედუარდის წიგნის, " ბოლო ოქმა," ანუ "ბარათი შთამომავლობას", დასაწყისი, რომლის გაგრძელებაც კიდევ მეტად საინტერესოა, და ამდენად, მი'სანშეწონილად ჩავთვალე ისევ მისივე სიტყვებით გადმოვცე მკითხველებს:

"არის პრობლემები და საშიშროებანი, რომელთაც გლობალური ხასიათი აქვთ და ჩემი ქვეყნის გარდა მთელ მსოფლიოს ემუქრებიან,"[12] შემდეგ ავტორს მოჰყავს მსოფლიოს თანამედროვე მოვლენების მონაცემები. 2005 წელს ცუნამიმ, ქარიშხლებმა და წყალდიდობებმა აზიასა და ჩრდილოეთ ამერიკაში ასიათასობით ადამიანი იმსხვერპლა და მილიონობით დოლარის ზარალი მიაყენა ამ რეგიონების ქვეყნებსა და მსოფლიოს ეკონომიკას. 2005 წლის მოვლენები და 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტი აშშ-ში დიდი გაფრთხილებაა მსოფლიო წარღვნის წინ.

დღევანდელ მსოფლიოს, სამწუხაროდ, ეს ტრაგიკული რეალობა სრულად გააზრებული არ აქვს. იგი ღრმა სიჯიუტითა და უფრო დიდი ინტენსიობით აგრძელებს იმ საქმიანობას, რაც გლობალური დათბობის ეფექტს უფრო და უფრო დამაგრეველსა და შეუქცევადს გახდის: "ერთნაირად გაწყდება ყველა, ყველა თაობის ადამიანი ყველა რელიგიის აღმსარებელი, კეთილიცა და ბოროტიც. ჯანმრთელიცა და ავადმყოფიც, ქალი და კაცი, ტერორისტიცა და ტერორიზმის მომავალი მსხვერპლიც."[13] მდგომარეობის ამგვარი აღწერის შემდეგ ავტორი თავის პროგნოზს, თუ შეხედულებას ასეთი რჩევა-დარიგებით გადმოგვცემს; "გამოსავალი აქ ერთადერთია – ყოველი ადამიანისათვის, ყოველი სახელმწიფოსათვის, მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის, გაეროსთვის, იუნესკოსთვის, ყველა საერთაშორისო ორგანიზაციისთვის გლობალური დათბობის პრობლემა უპირველეს სასიცოცხლო პრობლემად უნდა იქცეს, ყველა რესურსი უნდა მოხმარდეს ამ მოვლენების შეჩერებას და გლობალური დათბობის თავიდან აცილება პრიორიტეტულ მიმართულებად უნდა დაკანონდეს – ყველასათვის,– ყველგან და ყოველთვის.

მსოფლიოს მომავალზე ბედის განმსაზღვრელ გავლენას იქონიებს მეორე გლობალური საკითხი – დემოგრაფიული პრობლემა რომელსაც უკვე თავისი კორექტივები შეაქვს მსოფლიო გადანაწილებაში, რასებისა და ცივილიზაციათა ბედში. უამრავი დემოგრაფიული პროცესები 21 (ოცდამეერთე) საუკუნეში შიგნიდან ააფეთქებს ადამიანურ ცივილიზაციას,

[11] სარეცენზიო ნაშრომი , გვ. 404
[12] იქვე, გვ.405
[13] იქვე, გვ. 465-466

რადგან "სარეცელ'სე მოპოეებული გამარჯვებანი თუ დამარცხებანი" ფაქტობრივად განსაზღვრავს კაცობრიობის მომავალს და აქ არავითარი მნიშვნელობა არ ექნება იმას, ვის რა წვლილი აქვს შეტანილი კაცობრიობის ისტორიაში როგორია მისი ინტელექტუალური პოტენციალი, ვინ უფრო ძლიერია, ვინ უფრო მდიდარი და ა. შ. ევროპას, ისევე როგორც რუსეთს, ამერიკის შეერთებულ შტატებს, იაპონიას და ზოგიერთ სხვა სახელმწიფოს, დემოგრაფიული კატასტროფა ემუქრება და მათი კულტურა, ამ კულტურათა წარმომადგენლებთან ერთად მოისპობა, თუ რაღაც პრინციპულად არ შეიცვალა და რაღაცამ რადიკალურად არ იმოქმედა ამ პროცესზე."[14]

ბატონ ედუარდს აქვე მოაქვს საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიული მაჩვენებლები. ასე, მაგალითად, დღეისათვის საქართველოს მოსახლეობა ოთხ მილიონს შეადგენს, საბჭოთა კავშირის დროს 5 მილიონზე მეტი იყო, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ვარაუდით 2050 წლისათვის იგი მნიშვნელოვნად მცირდება, რა იქნება 3000 წელს? ვიქნებით თუ არა?

არანაკლებ საინტერესოა წიგნში მოტანილი რუსეთის მოსახლეობის დემოგრაფიული მონაცემები. ასე, მაგალითად,რუსეთის მოსახლეობა 2050 წლისათვის 147 მილიონიდან 114 მილიონამდე შემცირდება, ხოლო მის მეზობლად ჩინეთის მოსახლეობა 250 მილიონით გაიზრდება. მოსახლეობის სერიოზულ ზრდას ექნება ადგილი სხვა აზიურ ქვეყნებშიც. აი კიდევ რას მოგვიწოდებს ბატონი ედუარდი:

"ეცადეთ იყოთ სანიმუში წარმომადგენლები თქვენი ერისა, ისწავლეთ თქვენი ქვეყნის და სხვა ხალხების სიყვარული და თქვენს შთამომავლობასაც ასწავლეთ მოკლედ, საფიქრალი ბევრია, ერთად საფიქრალი და გასაკეთებელიც – ბევრი. ყველა ქვეყანამ აქ თავისი გზა უნდა მოძებნოს და იმ საერთაშორისო ორგანიზაციებმა, რომლებიც მეტნაკლებად ერევიან ჩვენი ქვეყნის განვითარების პროცესში, უნდა გაითვალისწინონ ეროვნული ტრადიციები, თავისებურებანი და ჩვენი შესაძლებლობანი.

დაბოლოს, ჩემმა შთამომაელებმა მინდა იცოდნენ, რომ ქართველი ერი, "ევფხისტყაოსანზე" იზრდებოდა, რომ მათი ძირები ქართულ ტრადიციებსა და ქართულ ოჯახშია, სამთაობიან ოჯახში, სადაც შვილიშვილსა და შვილს, დედასა და მამას, პაპასა და ბებიას თავიანთი ადგილი, პატივი და ზრუნვა აქვთ, თავისი სიყვარული, თავიანთი უფლება და თავისუფლება."[15] ამ შემთხვევაშიც ბატონ ედუარდს დაეეთანხმები, რადგან

[14] იქვე, გვ.466-467

[15] იქვე,გვ.471

სწორედ მშობლებსა და შვილებს შორის სრულიად განსხვავებული დამოკიდებულებაა საზღვარგარეთის ქვეყნებში, კერძოდ ამერიკაში. ასე, მაგალითად, ამერიკაში შვილების უმეტესობა მშობლებს სოგჯერ წელიწადში ერთხელაც არ ინახულებენ და მშობლებიც ამას შეჩვეულები არიან. ამიტომაა,რომ ამერიკის მრავალ ოჯახთა დიასახლისებს სახლებში ძაღლები და კატები ჰყავთ და შვილებზე ნაკლებად როდი უყვართ. ასეც ხდება ხოლმე, რომ შინ მოსამსახურე, ანუ მომვლელი ქალები, განსაკუთრებით, კი ქართველი ქალები სოგჯერ დიასახლისებს შვილებზე მეტად უყვართ, რადგან მათგან მეტ სითბოს და სიყვარულს გრძნობენ. ამდენად, რიგ შემთხვევებში თავიანთ უძრავ და მოძრავ ქონებას ანდერძით მათ უტოვებენ და არა შვილებს.

"ისიც მინდა იცოდეთ, დასძენს ავტორი, რომ ქართულ ოჯახში ქალი ყოველთვის დაფასებული იყო თავისი ქალობით, ხოლო კაცი– თავისი კაცობის გამო.

ოჯახმა მოიყვანა საქართველო დღემდე. სწორედ ოჯახია ღვთის მიერ შექმნილი შთამომავლობის გასაგრძელებლად და ერის თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. გაუფრთხილდით მას და მის ღირსებას."[16]

აი ყველაფერი, რის თქმაც მსურდა, აღნიშნავს ავტორი, თქვენ წინაა ჩემი ცხოვრება და ჩემი ბრძოლა, აქაც და კარგიც,ამ წიგნშია ის, რაც შეძელი და რაც ვერა.

ჩემში ღვთის მიერ მონიჭებული ნიჭითა და უნარით მე მხოლოდ ის გავაკეთე, რისი საშუალებაც დრომ და გარემოებებმა მომცა და ღმერთსა ვთხოვ, ჩემზე მეტის გაკეთება თქვენ შეძლით – თქვენი ქვეყნისა და ხალხისათვის, მსოფლიოსა და ადამიანებისათვის. ეს წიგნიც ამ სურვილმა დამაწერინა.

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ და ძალიან მსურს მკითხველმაც დამიჯეროს, რომ არა მგონია რომელიმე ქვეყნის პრეზიდენტს, თუ მეთაურს ოდესმე ასეთი კეთილშობილური და მეტად შთამბეჭდავი სიტყვებით მიემართოს თავისი ქვეყნისა და ხალხისათვის, როგორითაც მიმართა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ თავისი წიგნით.

მიხეილ როკეტლიშვილი
იურისტი და ეკონომისტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი,საქართველოს ღირსების ორდენის კავალერი და თბილისის ერთგულების მედალოსანი

[16] იქვე, გვ.471

გამოძახილი
აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილ კრებულზე

კრებულის მთავარი რედაქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლეო ჩიქავა, შემდგენელი და გამომცემელი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის განყოფილების გამგე იოსელდა აბაშიძე.

მე არ მახსოვს სხვა მეორე მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, რომლის მიმართ წიგნი დაწერილიყოს და მასში ესოდენ მაღალი შეფასება მიეღოს უამრავ ცნობილ მეცნიერთაგან, როგორც წილად ხვდა აკადემიკოს, ბატონ პაატა გუგუშვილს, მისი დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილ კრებულში. ავტორები აღნიშნულ წიგნში ისეთი დიდი რუდუნებით, სიყვარულით და ქება-დიდების შარავანდედით ამკობენ იუბილარს, რომ უმალ სურვილი გიჩნდება, რატომ უკედაი არ იყო ეს კაცი, ან სიცოცხლეშივე მაინც ღირსებოდა ასეთი დაფასება, რომ თვით გამხდარიყო ამგვარი აღიარების უშუალო მოწმე. ავტორებმა იმდენად საინტერესო ეპიზოდებით შეავსეს წიგნი, ისე მხატვრულად და დამაჯერებლად გააშუქეს იგი, რომ მკითხველს უთუოდ უდიდესი სურვილი აღეძრის თვალი არ მოაცილოს და მეორედ გადაიკითხოს თითოეული ავტორის სტატია თუ წერილი. საგულისხმოა აღინიშნოს, რომ გარკვეული საპატიო მიზეზების გამო ჩემთან, ამერიკაში ვერ მოაღწია ცნობამ იმის შესახებ, რომ ამ ბუმბერაზი ადამიანის შესახებ საიუბილეო კრებული მზადდებოდა გამოსაცემად. მსურდა მეც ორიოდე სიტყვა გამომეთქვა. სამაგიეროდ გადაეწყვიტე ჩემს ამ მორიგ წიგნში, რომლის გამოქვეყნებასაც მიმდინარე წელს ვაპირებ, ჩემი თვალსაზრისი გამოვხატო მისდამი მიძღვნილი კრებულის მიმართ. მეტადრე, მის მიერვე დაარსებულ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში თითქმის 20 წლის განმავლობაში მომიწია მოღვაწეობამ. არ ვიქნები მართალი მკითხველს რომ არ ვაუწყო იმ სიძნელეთა შესახებ, რომლებსაც მე წავაწყდი დასახული მიზნის შესრულებისას.

მართლაც, ძალზე რთულია ამ უამრავ ცნობილ მეცნიერთა მიერ გამოთქმული, ობიექტური, ესოდენ მრავაფეროვანი ქება-დიდების შემდეგ, რა უნდა თქვა ისეთი, ორიგინალობაში რომ ჩაგეთვალოს და თანაც ამ დიდებული ადამიანის ღირსებას მიესადაგებოდეს.

უპირველეს ყოვლისა, მსურს უღრმესი მადლობა გადაეუხადო როგორც ჩემი ოჯახის, ასევე კოლეგების სახელით საქართველოს

მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას, ეკონომისტთა ასოციაციას და დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტს ხსენებული წიგნის გამოქვეყნებისათვის. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის უდიდესი წვლილი და თავდაუზოგავი შრომა, რომელიც გასწიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ბატონმა ლეო ჩიქავამ, როგორც რედაქტორმა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის განყოფილების გამგემ, ქალბატონმა იზოლდა აბაშიძემ, რომელმაც შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა წიგნი.

ვინც მარტო წიგნის წინასიტყვაობას გაეცნობა, უმალ დარწმუნდება, რომ იგი ეძღვნება ადამიანს, რომელზეც ლეგენდები უნდა შეიქმნას და მსოფლიოს ყველა ქვეყნის ხალხებს ეცნობოს, რომ, თურმე არსებობს პლანეტაზე პატარა ქვეყანა საქართველო და ქართველი ერი, უდიდესი კულტურითა და მდიდარი ტრადიციებით შემკობილი, რომლის მსგავსი არ არსებობს არც ქვეყანა და არც ერი მსოფლიოში. რედაქტორის, ბატონ ლეო ჩიქავას წინასიტყვაობა იმდენად ტევადი და ყურადსაღებია, რომ მას უცვლელად, მთლიანად ვაქვეყნებ მკითხველისათვის. რამდენიმე მეცნიერის სტატიებიდან კი შერჩევით მომყავს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფრაზები და შემდეგ მეც გამოვთქვი ჩემი შეხედულება ამ ლეგენდარულ პიროვნებაზე. მაშ ასე, წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: "წინამდებარე კრებული ეძღვნება ქართული ეკონომიკური მეცნიერების პატრიარქის, საქართველოს ფარგლებს გარეთაც კარგად ცნობილი მოღვაწის, ქართველი ერის ჭეშმარიტად სასიქადული შვილის, აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადების 100 წლისთავს. უბადლო ნიჭიერებასთან ერთად, უშრეტმა ენერგიამ, მეცნიერული საქმიანობის არაორდინალურმა ორგანიზაციამ, უდიდესმა ნებისყოფამ და დაუოკებელმა მიზანსწრაფვამ შეაძლებინა ამ ფართო დიაპაზონის მკვლევარს ეროვნული ეკონომიკური მეცნიერების ახალ, მანამდე მიუღწეველ მწვერვალამდე აყვანა.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ სამეცნიერო სარბიელზე მისი ნაყოფიერი, შემოქმედებითი მოღვაწეობის პერიოდი – ეს იყო მთელი ეპოქა ქართული ეკონომიკური (და არა მარტო ეკონომიკური) მეცნიერების განვითარებაში, რომელმაც ამ დარგს დიდი ავტორიტეტი შესძინა და იგი ფრიად ანგარიშგასაწევ ძალად აქცია.

აღსანიშნავია, რომ ეს ბუმბერაზი მეცნიერი საოცრად წინდახედული აღმოჩნდა თავისი ძირითადი საკვლევი პრობლემის არჩევაშიც. ამის დასტურია ის, რომ „განვითარებული სოციალიზმის" პრობლემატიკაზე მომუშავე კოლეგების ნაწარმოებებისაგან განსხვავებით, მისი გამოკვლევები არამცთუ „მორალურად არ გაცვეთილა", არამედ, პირიქით,

თითქმის ყველა მათგანი დღევანდელი თვალსაწიერიდან განსაკუთრებული სიძლიერით ჟღერს.

მოგონებების კრებულში შევეცადეთ მეცნიერების ეს ნამდვილი რაინდი წარმოგვედგინა თავისი მრავალფეროვნებით: პაატა გუგუშვილი, უწინარეს ყოვლისა, როგორც სწავლული ეკონომისტი, შემდეგ – როგორც ისტორიკოსი, სოციოლოგი, დემოგრაფი, ჟურნალისტი, ლექსიკოლოგი, ბიბლიოფილი, პოლიგრაფისტი და არქეოგრაფი.

იმისათვის, რომ მკითხველს შეძლებიდაგვარად სრულად აღექვა ამ დიდი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის შემოქმედება და განვლილი სახელოვანი ცხოვრებისეული გ'ზა, კრებულში შევიტანეთ მისი როგორც მასწავლებლებისა და ოფიციალური ოპონენტების, ისე გამოჩენილი მწერლების, პოეტების, კოლეგების (მათ შორის საზღვარგარეთიდანაც), ყოფილი თანამშრომლების და მოწაფეების რეცენზიები და მოგონებები.

ამ სპეციფიკამ განაპირობა ტექსტში განმეორებები, რაც, ჩვენი გულმოდგინე მცდელობის მიუხედავად, სრულად მაინც ვერ ავიცილეთ თავიდან.

კრებულში ბატონი პაატას უმდიდრესი შემოქმედებიდან მხოლოდ ერთი სტატია დავბეჭდეთ. იგი, როგორც სახელოვანი მეცნიერი თავად ამბობდა, ჩვენი ციცილი'სებული საუკუნის ყველაზე მწვავე პრობლემას – დემოგრაფიას ეხება.

ვფიქრობთ, რომ თავმოყრილი და წიგნში შესული მასალა გარკვეულ წვლილს შეიტანს არა მარტო თვით აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახელის უკვდავებაში, არამედ ყოველ პატრიოტ ქართველს აღუძრავს სიამაყის გრძნობას, ხოლო ახალგაზრდობას შთაუნერგავს მისდამი მიბაძვის სურვილს."

ალბათ მკითხველი დამეთანხმება, რომ ხსენებულ წინასიტყვაობაში, მის თითოეულ ფრაზაში იმდენად მკაფიოდ და ლაკონურად არის ასახული ამ დიდებული, ბუმბერაზი, ბრძენი კაცის მრავალ სფეროში მოღვაწეობა, რომ თამამად შეიძლებოდა მარტო ამ წინასიტყვაობის საფუძველ'ზე მისი ყველა'ზე მაღალ ჯილდოზე წარდგენა, თუნდაც დანარჩენ ცნობილ მეცნიერებს თავი რომ შეეკავებინათ და არავითარი სიტყვა არ ეთქვათ მის შესახებ. ფაქტობრივად კი, არათუ თავი შეიკავეს, არამედ მეტი მსგავსი სიტყვა მანამდე არავისადმი არ წარმოუთქვამთ.

მკითხველი უთუოდ იმაშიც დარწმუნდება, რომ წიგნში შეტანილი თითოეული მეცნიერის მიერ ცალკე აღებული სტატია და წერილი საკმარისია ბატონ პაატას დიდ მეცნიერად წარმოსაჩენად. უფრო მეტიც, წიგნში მონაწილე ავტორების სტატიების და წერილების მარტო სათაურები რომ გამოცემულიყო, ალბათ ესეც კი იკმარებდა აკადემიკოს, ბატონ პაატა გუგუშვილის დიდ მეცნიერად აღიარებისათვის. მრავალთაგან მხოლოდ რამდენიმე ავტორის ნააზრევს ეამცნობთ მკითხველს. დაიწყოთ

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტ, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორ, პროფესორ, ბატონ ლეო ჩიქავას სტატიით, რომელსაც ასეთი სათაური აქვს: „პაატა გუგუშვილი ქართული ეკონომიკური მეცნიერების პატრიარქი". გამოჩენილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, აკადემიკოს პაატა გუგუშვილის მიერ განელილი გზა, დასძენს ბატონი ლეო, ნათელი მაგალითია, თუ რა სასწაულების მოხდენა შეუძლია მაღალ ნიჭიერებასთან ერთად ინტენსიურ, ხედმიწევნით მიზანმიმართულ და ღრმა შინაარსით გაცისკროვნებულ შრომას. შემდეგ გვამცნობს მის მოკლე ბიოგრაფიულ ცნობას, რომ დაიბადა 1905 წლის 28 სექტემბერს აბაშის რაიონის სოფ. კოდორში. იგი სრულიად ახალგაზრდა მუშაობდა მონტიორის, მოანგარიშის, კორექტორის, ასოთამწყობის, სტატისტიკოსის, ბუღალტრის, საფინანსო განყოფილების გამგის თანამდებობაზე თბილისსა და მოსკოვში სხვადასხვა დაწესებულებებში და ორგანიზაციებში.

ჩემთვის პირადად ძალზე განსაცვიფრებელია 17-25 წლის ასაკში ახალგაზრდის ესოდენ უნივერსალური ნიჭი.

ბატონი ლეო ჩიქავა აღნიშნავს,რომ პაატა გუგუშვილის პირველი ნაშრომი ცალკე წიგნად გამოვიდა სათაურით „ქართული წიგნი 1629-1929 წ.წ." ეს იყო 25 ფორმიანი ეკონომიკურ-სტატისტიკურ გამოკვლევა, რომელიც დაიწერა ცნობილი დიდი მეცნიერების ივ. ჯავახიშვილის და ფ. გოგიჩაიშვილის ხელმძღვანელობით. ნაშრომი მიეძღვნა ქართული სტამბის 300 წლისთავს. ბატონი ლეო ჩიქავა დასძენს, რომ 1938 წელს საჯარო დაცვის გარეშე ბატონ პაატას ერთხმად მიენიჭა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, რაც იშვიათი მოვლენა იყო უნივერსიტეტის (მით უმეტეს, სხვა სამეცნიერო დაწესებულებების) ისტორიაში.

1940 წელს წელს პაატა გუგუშვილმა სრულიად ახალგაზრდა მკვლევარმა ბრწყინვალედ დაიცვა დისერტაცია ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

პ. გუგუშვილის, როგორც მეცნიერისა და მკვლევარის პროდუქტიულობის შესაფასებლად საკმარისია თუნდაც იმის აღნიშვნა, რომ სტუდენტობის წლებიდან მოყოლებული მას გამოქვეყნებული აქვს 500-მდე მეცნიერული ნაშრომი, მათ შორის 50 მონოგრაფია, ცალკე წიგნად.

პროფესორი ლეო ჩიქავა კიდევ ერთ საინტერესო დეტალს უსვამს ხაზს ბატონ პ. გუგუშვილის სამეცნიერო შემოქმედებაში: „დღევანდელი თვალსაწიერიდან თუ შეეფასებთ, ნათლად დაეინახავთ, რაოდენი წინდახედულება და გამჭრიახობა გამოუჩენია პ. გუგუშვილს ჯერ კიდევ მაშინ, როცა თავის მთავარ (ფუნდამენტურ) საკვლევ პრობლემას ირჩევდა. ამას იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ საბჭოთა პერიოდში მოღვაწე ეკონომისტთა უმრავლესობის ნაშრომები, რომლებიც სოციალისტურ

ურთიერთობათა „უპირატესობის“ ანალიზს ეძღვნებოდა, სანაგვეში შეიქნა გადასაყრელი. ბატონი პაატას მონოგრაფიებში გაკეთებული დასკვნები კი დღესაც სრულიად ინარჩუნებენ ძალას და ამ პრობლემატიკასე მომუშავე ვერც ერთი მკვლევარი მათ მომავალშიც ვერ აუვლის გვერდს“.[17]

მისი მონოგრაფიების ეს მთავარი ღირსება შეუმჩნეველი არ დარჩენიათ არც ქართველ და არც უცხოელ სპეციალისტებს, რომლებიც მას ერთსულოვნად იწონებენ და მაღალ შეფასებას აძლევენ.

სტატიაში ბატონ ლეო ჩიქავას მიერ ჩამოთვლილია ყველა უცხო ქვეყნების ის მეცნიერები, რომლებიც უაღრესად მაღალ შეფასებას აძლევენ ბატონ პ. გუგუშვილის მონოგრაფიებს და ტომებად გამოცემულ წიგნებს. იქვე ბატონ ლეო ჩიქავა პაატა გუგუშვილის იმ უახლოეს მეგობართა წრეს ასახელებს, რომლებიც მეგობრობდნენ და მჭიდრო საქმიანი ურთიერთობები ჰქონდათ პაატა გუგუშვილთან. ესენი არიან გამოჩენილი მეცნიერები, მწერლები, პოეტები, საზოგადო მოღვაწენი: პეტრე შარია, ნიკო მუსხელიშვილი, ილია ვეკუა, ევგენი ხარაძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, სერგი დანელია, ვიქტორ ჩხიკვაძე, სიმონ ჩიქოვანი, ალექსანდრე ფრანგიშვილი, კანდიდ ჩარკვიანი, ვიქტორ კუპრაძე, ნიკო კეცხოველი, ანდრია აფაქიძე, როინ მეტრეველი, რაფაელ დვალი, სერგი დურმიშიძე, კონსტანტინე გამსახურდია, ირაკლი აბაშიძე, გრიგოლ აბაშიძე, იოსებ ნონეშვილი, ართაშეს არაქელიანი და სხვ. რომელთა გარემოცვაში და შემოქმედებითი მოღვაწეობით ქმნიდა პ. გუგუშვილი თავის შედევრებს. დასასრულს, ასეთი ანდაზა მოჰყავს ბატონ ლეო ჩიქავას: „მითხარი ვინ არიან შენი მეგობრები და გეტყვი ვინცა ხარ“. რა ბრძნულადაა ნათქვამი. ამ გრძელი ჩამონათვალისათვის თვალის ერთი გადავლებაც საკმარისია, რათა ნათლად წარმოვიდგინოთ თუ რა მაღალ ინტელექტუალურ ელიტასთან გვაქვს საქმე. ბატონ ლეო ჩიქავას ამ ბოლო ფრაზას შემდეგ სიტყვებს დავამატებდი მკითხველთა საყურადღებოდ: აკადემიკოს პაატა გუგუშვილს ასევე კარგი და მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა აკადემიის ყველა პრეზიდენტთან და განსაკუთრებით ილია ვეკუასთან. აგრეთვე ყველაზე ცნობილ მწერლებთან და პოეტებთან არა მარტო საქართველოში, არამედ ყოფილ საბჭოთა კავშირსა და მთელ მსოფლიოში.

ერთ ეპიზოდს გავიხსენებ ბატონი პაატას ცხოვრებიდან. როდესაც ბატონი ილია ვეკუა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი იყო, მას მოსკოვში მოუხდა მივლინებაში გამგზავრება, ბატონი პაატა გუგუშვილი თან გაიყოლა და გვერდიდან არ მოუცილებია. უფრო მეტიც,

[17] ლეო ჩიქავა. პაატა გუგუშვილი – ქართული ეკონომიკური მეცნიერების პატრიარქი. პაატა გუგუშვილი დაბადების 100 წლისთავი. საიუბილეო კრებული. თბ., 2007. გვ. 9.

ბატონები ილია და პაატა მაშინდელ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან ლეონიდ ბრეჟნევთან ერთად მოსკოვის დიდ თეატრში მოთარობის ლოჟაში ისხდნენ და ტკბილად საუბრობდნენ. მე არა მგონია მსგავსი დაჯასება, რომ ჰქონოდა რომელიმე რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრე'სიდენტს ან რომელიმე ინსტიტუტის დირექტორს. ამდენად, ჩვენც გვაქვს საამაყო, რომ იმ ქვეყნის შვილები ვართ, რომელმაც ბატონების ილია ვეკუას და პაატა გუგუშვილისთანა შვილები შვეს და აღ'სარდეს. მინდა როგორც მკითხველებს, ასევე წიგნში მონაწილე ყველა ავტორს ბოდიში მოვუხადო, რომ ძალზე გამიგრძელდა ჩემს გამოხმაურებაში ბატონ ლეო ჩიქავას წერილზე საუბარი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არ შემიძლია გვერდი ავუარო და მისი წერილიდან არ მოვიტანო ბატონ პაატას პიროვნების ხასიათის აღწერა, ანუ ზუსტი დახასიათება, რომელიც ყველასთვის, ვინც კი ბატონ პაატას იცნობდა და მასთან ერთი დღეც, რომ უმუშავია ჭეშმარტებად მიიჩნევდა და სავსებით დაეთანხმებოდა. აი რას წერს ბატონი ლეო ჩიქავა:

ცოტა რამ ჩემი თვალთა ხედვით, ბატონი პაატას პიროვნული პორტრეტის თაობაზე. "იყო უაღრესად დარბაისლური აღნაგობის, პირველი შეხვედრისთანავე მდიდარი შთაბეჭდილების მომხდენი, საოცრად მომხიბლავი, მუდამ ბრძნული იუმორის მქონე, ყოველმხრივ 'სედმიწევნით განსწავლული და ფართოდ ერუდირებული პიროვნება, რომელიც მეცნიერულ დისკუსიაში ჩაბმისას ისე გრძნობდა თავს, როგორც ორაგული მდინარეში. ამის კლასიკური დასტური იყო 1947 წელს ძირითადად მისი ავტორობით გამოცემული „ეკონომიკის ტერმინოლოგიის" საჯარო განხილვასთან დაკავშირებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართული ფართომასშტაბიანი დისკუსია, რომელშიც, ეკონომისტებთან ერთად მონაწილეობდნენ იურისტები, ისტორიკოსები, ფილოსოფოსები, ინჟინრები, აგრონომები და ა.შ. იგი გამძვინვარებული ენფხვიენით იგერიებდა „აგრესიულად" განწყობილი ოპონენტების შემოტევებს და, შეიძლება ითქვას, თითქმის ყველას სუფთად იგებდა." მე დავამატებდი და ისეთ ტერმინს ვიხმარდი მოკრივეთა შეჯიბრების დროს რომ ხმარობენ: "არა მარტო სუფთად, არამედ "ნოკდაუნით" იგებდა."

პატივცემულ მკითხველთა წინაშე ბოდიშს მოვიხდი და პატარა გადახვევას გავაკეთებ: მახსენდება 1947 წელი, როდესაც 20 წლის ასაკში უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტი გახლდით, ვესწრებოდი ამ დისკუსიას იურიდიული ფაკულტეტის სხვა სტუდენტებთან ერთად. ჩემთვის შემდგომ გახდა ცნობილი, რომ ბატონი ლეო ჩიქავაც (იმავე ასაკის, ისიც ალბათ ეკონომიკურ ფაკულტეტზე მე-3 კურსზე იქნებოდა) ესწრებოდა ბატონი პაატას წიგნის განხილვას. აღსანიშნავია, რომ დარბაზი სავსე იყო როგორც პროფესორ-მასწავლებლებით,

ასეევე სტუდენტებით. ეს იყო ნამდვილი დიდი წარმოდგენა, ანუ ძალთა გამოცდის პროცესის მსგავსი რამ სანახაობა. ბატონი პაატა ნამდვილად თავისებური, მისთვის ჩვეული იუმორნარევი მჭერმეტყველებით, ისე ამსიარულებდა დარბაზს და განსაკუთრებით კი სტუდენტობას, რომ თავმჯდომარემ არაერთხელ გაგვაფრთხილა სტუდენტები, თუ ასე ხმამაღლა გაიცინებდით სიცილს გარეთ გაგვიყვანდნენ.

ეს დისკუსია მთელი სიცოცხლის მანძილზე დაგვამახსოვრდა იქ მყოფ ყველა დამსწრეს, როგორც დიდი სკოლა და ინტელექტის მაღალი კლასი, და რაც მთავარია, ცნობილ მეცნიერთა ჯანსაღი პაექრობის უბადო ნიმუში.

მის შემდეგაც სტუდენტობა ყოველთვის ეცდილობდით არ გამოგვეტოვებინა არცერთი სამეცნიერო პაექრობა, წიგნების საჯარო განხილვა, ანუ პრეზენტაციები, თუ დისერტაციების დაცვაზე დასწრება.

აი რას დასძენს ცნობილი მწერალი **კონსტანტინე** გამსახურდია ბატონ პაატა გუგუშვილის შესახებ: არაერთ მეცნიერ მუშაკს ვიცნობ, რომელთა ნაწერები 3-5 წლის მანძილზე, სოგიც უფრო ადრე კარგაევენ ყოველგვარ მიმზიდველობას და მალე ბიბლიოთეკებიდან გააქვთ როგორც მაკულატურა. პაატა გუგუშვილის მიერ 25-30 წლის წინათ დაწერილი გამოკვლევები კი დღესაც ახალი გამოცემების სახით იბეჭდება და ყოველთვის დიდი ინტერესით იკითხება.

პოეტი გიორგი ლეონიძე ბატონ პაატა გუგუშვილის შესახებ წერდა: „პაატა გუგუშვილი არ ეკუთვნის ისეთ მეცნიერთა რიცხვს, რომლებიც ფიქრობენ: მე მითქვამს, გაიგებენ თუ არა, რა ჩემი საქმეაო. არა, ის თავისი აზრებისა და იდეების დაუცხრომელი პროპაგანდისტია. მე არ მეგულება ჩვენში მეცნიერი, რომელსაც მის ასაკში მასზე მეტი დაეწეროს და რაც მთავარია, რომლის შრომებსაც იმდენი საჯარო და ხანგრძლივი დისკუსიები გამოეწვიოს, რასაც ცხადია ყოველთვის დიდი სარგებლობა მოჰქონდა მეცნიერული აზრის შემდგომი განვითარებისაევის. იგი ყოველთვის პრინციპული საწყისებიდან იბრძოდა ამ გზაზე, სადაც მას არაერთი მსხვერპლიც გაუღია.

მინდა ისიც აღვნიშნო, კელავ განაგრძობს ბატონი გიორგი, რომ პაატა გუგუშვილი არის არა მხოლოდ საქვეყნოდ გამოჩენილი ეკონომისტი და სოციოლოგი, იგი ამასთანავე არის ქართული მწერლობის და ხელოვნების დიდი მოყვარული და და დამფასებელი, საერთოდ ძველი და თანამედროვე ქართული კულტურის საფუძვლიანი მცოდნე და პროპაგანდისტი,არა მარტო ჩვენში, არამედ უცხოეთის ქვეყნებშიც. ამ მხრივაც მას მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი მშობლიური ცივილიზაციის წინაშე“.

აკადემიკოსი ვასილ ჩანტლაძე აღნიშნავდა, რომ „სახალხო მეურნეობის, კერძოდ მრეწველობის ზოგადი ისტორიის ღრმა ცოდნამ

ბატონ პაატას მისცა შესაძლებლობა ამიერკავკასიაში მრეწველობის განვითარების კონკრეტული მოვლენები გაეშუქებინა მსოფლიო ისტორიის ასპექტში. რის გამოც მისმა ნაშრომმა ესოდენ დიდი გამოხმაურება ჰპოვა როგორც საბჭოთა, ისე უცხოეთის მეცნიერთა შორის". აკადემიკოს ვასილ ჩანტლაძეს მოჰყავს ცნობილი რუსი მეცნიერების რეცენზიები, რომლებშიც ისინი ასკვნიან, რომ ამიერკავკასიის ინდუსტრიულ განვითარებას ბატონი პაატა განიხილავს ფართო გეგმით და მის მიერ მრეწველობის ცალკეულ ფორმათა გამოკვლევა, როგორც წესი, იწყება მრეწველობის ფორმის არსისა და სოციალური ხასიათის სოციოლოგიური საკითხების გაშუქებით რუსეთისა და უცხო ქვეყნების მრეწველობის ისტორიიდან და აგრეთვე ბურჟუაზიულ ეკონომისტთა და ისტორიკოსთა შეხედულებების კრიტიკული განხილვის საფუძველზე".

ბატონ ვასილ ჩანტლაძის შეხედულებით პ. გუგუშვილის მონოგრაფიაში შესწავლილია ხელოსანთა ამქრების ორგანიზაციათა სტრუქტურა, ამქრების მმართველობა, მისი სოციალური და მეურნეობრივი ფუნქციები, უსტაბაშის, ოსტატთა, ჭარგალთა და შეგირდების უფლებრივი და ეკონომიკური მდგომარეობა.

ბატონ ვასილ ჩანტლაძეს მოჰყავს ჩეხიის, უნგრეთის, გერმანიის და სხვა ქვეყნების მეცნიერთა მოსაზრებანი რომლებმაც მთლიანად მოიწონეს და გაიზიარეს ბატონ პაატას მონოგრაფიებში წარმოდგენილი დასკვნები და რეკომენდაციები.

აკადემიკოსი ანდრია აფაქიძე დასძენს, რომ წილად ხვდა ბედნიერება ყოფილიყო სტუდენტი ისეთი ბრწყინვალე მეცნიერისა და სიტყვის დიდოსტატის, როგორიც პაატა გუგუშვილი იყო, ამიტომ ქართველი ერის ამ სასიქადულო შვილისადმი უღრმეს პატივისცემას ყოველთვის სათუთად ვინახავდი, ვინახავ დღესაც და შევინახავ მომავალშიცო. თავისი ფუნდამენტური გამოკვლევებით, აღნიშნავს აკადემიკოსი ანდრია აფაქიძე, ბატონმა პაატა გუგუშვილმა ეკონომიკურ, დემოგრაფიულ, სოციოლოგიურ, ფილოსოფიურ, იურიდიულ მეცნიერებებთან ერთად უხვად გაამდიდრა ქართული ისტორიული მეცნიერებაც. ამის დასტურია მისი თუნდაც მონოგრაფიული შვიდტომეული „საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს" (300 ნაბეჭდი თაბახის მოცულობით), რომელმაც როგორც საქართველოში, ისე მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში მოღვაწე მრავალი გამოჩენილი მეცნიერის ყურადღება მიიქცია.

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თამაზ ჩიკვაიძე თავის წერილში, რომლის სათაურია „დიდი მეცნიერის უკვდავება", აღნიშნავს შემდეგს: "ერისა და სახელმწიფოს სიძლიერეს ყოველთვის ის გამორჩეული ადამიანები განაპირობებენ, რომლებმაც განსაკუთრებული

წვლილი შეიტანეს ქვეყნისა და კაცობრიობის ინტელექტუალურ, ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაში.

ასეთ ადამიანთა რიცხვს, დასძენს იგი, მიეკუთვნება აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი. ამიტომ რეალურად უნდა შეფასდეს მისი მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. ცხადია ეს ურთულესი ამოცანაა და მისი გადაწყვეტა, სწორად შენიშნაეს იგი, მხოლოდ მეცნიერთა დიდი კოლექტივის ერთობლივი ძალისხმევით შეიძლება." თამაზ ჩიქვაიძემ აკადემიკოს პაატა გუგუშვილის მეცნიერული მოღვაწეობის დახასიათება ასე დაიწყო: პაატა გუგუშვილის მეცნიერული მოღვაწეობის მრავალი თეორიულ-მეთოდოლოგიური ხასიათის ნაშრომთაგან განსაკუთრებით საყურადღებოა შემდეგი:XIX – XX საუკუნეებში საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარების მონოგრაფიული გამოკვლევა, რომელმაც უდიდესი გამოხმაურება გამოიწვია საზღვარგარეთ მაღალი მეცნიერული ფასეულობისა და კავკასიისადმი ინტერესთა გამო. 1949-1984 წლებში გამოვიდა ამ ნაშრომის შვიდი ტომი; იგივე უნდა ითქვას მონოგრაფიულ გამოკვლევაზე კაპიტალიზმის წარმოშობისა და განვითარების შესახებ საქართველოსა და ამიერკავკასიაში; ფრიად მნიშვნელოვანია წარმოების ორგანიზაციის ფორმებისა და ეფექტიანობის, შრომის მწარმოებლურობის დონესთან შესაბამისობის შესახებ პაატა გუგუშვილის კონცეფცია. იგი ამის შესახებ მოხსენებით გამოვიდა სოციოლოგთა IV მსოფლიო კონგრესზე იტალიაში (1959 წ. 8-15 სექტემბერი). ავტორმა დაასაბუთა, რომ რაც უფრო პროგრესულია სამრეწველო წარმოების ორგანიზაციის ფორმა, მით უფრო მაღალია შრომის მწარმოებლურობა: მანუფაქტურას შეესაბამებოდა მწარმოებლურობის გარკვეული დონე, ხოლო კაპიტალისტურ ფაბრიკას – უფრო მაღალი; შესანიშნავია გამოკვლევები სახალხო მეურეობისა და ეკონომიკური აზრის ისტორიაში, დემოგრაფიაში, სოციოლოგიაში, რომლებმაც ფაქტობრივად საფუძველი ჩაუყარა ეკონომიკის ისტორიის, ეკონომიკური აზრის ისტორიის, დემოგრაფიის და სოციოლოგიის მეცნიერებათა ჩამოყალიბებასა და განვითარებას საქართველოში; შრომები პოლიტეკონომიის, სტატისტიკის, ქართული ეკონომიკური ტერმინოლოგიის შემუშავების სფეროებში."

უდიდესი მნიშვნელობისაა აკადემიკოს პაატა გუგუშვილის მეცნიერული საქმიანობის რეალური შედეგები.

აკადემიკოსი როინ მეტრეველი დასძენს, რომ პაატა გუგუშვილი ჭეშმარიტად იყო არა მარტო გამოჩენილი მეცნიერ-ეკონომისტი, სოციოლოგი, დემოგრაფი, ჟურნალისტი, არამედ ერთ-ერთი გამოჩენილი ისტორიკოსიც. საკმარისია ითქვას, რომ საქართველოსა და საერთოდ სამხრეთ კავკასიის ეკონომიკური ისტორიისადმი მიძღვნილი მისი მონოგრაფიების შვიდტომეული (თითოეული 50 ნაბეჭდი თაბახის მოცუ-

ლობით) ისეთი გამოკვლევაა, რომელსაც ამ პრობლემაზე მომუშავე ვერც ერთი მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის. ამ მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობით მან საპატიო ადგილი დაიმკვიდრა ერის ცხოვრებაში და შთამომავლობას უძვირფასესი განძი დაუტოვა.

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი ნადარეიშვილი თავის წერილს ასეთი სათაურით აქვეყნებს: გუგუშვილი და ქართული სამართლის ისტორია". პაატა გუგუშვილის სახელი მისთვის ცნობილი გახდა დაახლოებით ამ სამოცი წლის წინათ მისივე ნათესავი სტუდენტების მეშვეობით. პირადად კი 1957 წელს გაიცნო, როდესაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტთან გაიხსნა სამართლის განყოფილება. როგორც ბატონი გიორგი დასძენს, ბატონ პაატასთან თანამშრომლობა უაღრესად საინტერესო იყო. ბევრ საინტერესო საკითხზე უმსჯელია მასთან. ახსოვს მისი მონაყოლი გუგუშვილების გვარის წარმომავლობის შესახებ. "მას მიაჩნდა, რომ გუგუშვილთა წინაპარი სამეგრელოში რაჭიდან იყო ჩასული. მისგანვე გაუგონია, რომ ერთ-ერთი გუგუშვილი სამეგრელოს მთავრის ელჩად ყოფილა გაგზავნილი თურქეთში.

შემდეგ, როგორც ბატონი გიორგი აღნიშნავს, 1958 წელს ჟურნალ „საბჭოთა სამართალში" დაიბეჭდა მისი სტატია „არსებობდა თუ არა ე.წ. „პირველი ღამის უფლება" ფეოდალურ საქართველოში. უამრავი საქმით გადატვირთულ ბატონ პაატას წაუკითხავს ზემოხსენებული სტატია, ძალზე მოსწონებია და ინსტიტუტის საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე ინსტიტუტის მეცნიერთა მიერ შესრულებულ მნიშვნელოვან ნაშრომთა შორის აღნიშნული სტატიაც დაუსახელებია. თან აღუნიშნავს, რომ გიორგი ნადარეიშვილის სტატია სრულიად ახალია და ამასთან მეტად დამაჯერებელი. ბოლოს ცალკე საუბარში უთქვამს, რომ შენმა სტატიამ მე ასრი შემაცელევინაო. როგორც ჩანს პატივცემულო მკითხველო, მანამდე ბატონ პაატას საწინააღმდეგო ასრი ჰქონია.

ადვილი წარმოსადგენია როგორ აღტაცებაში მოვიდოდა გიორგი ნადარეიშვილი ბატონ პაატას მიერ ასეთი შექების შემდეგ. ბევრს, კიდევ უფრო საქებ სიტყვებს წერს ბატონი გიორგი აკადემიკოს პაატა გუგუშვილის შესახებ, მაგრამ მე მხოლოდ რამდენიმე ფრაზით შემოვიფარგლები. მისი შეხედულებითაც "პაატა გუგუშვილი იყო შეუდარებელი და უკომპრომისო პოლემისტი, ბრძოლა და კამათი მისი სტიქია იყო," შენიშნავს ბატონი გიორგი. ამ დროს მას ეძლეოდა შესაძლებლობა თავისი დიდი ცოდნისა და პატრიოტიზმის გამოვლინებისო.

"ამასთან ერთად ბატონი პაატა ყოველთვის კრიტიკულად აფასებდა საკუთარ და სხვათა საქციელს. ერთხელ დიდი პოლემიკური ბრძოლის შემდეგ იგი ჩაფიქრებული ბოლთას სცემდა, აღნიშნავს გიორგი. როდესაც შემამჩნია, მითხრა: იცი ზოგჯერ როცა გაკრიტიკებენ გგონია, რომ

უსამართლოდ გექცევიან. სასტიკ წინააღმდეგობას უწევ ოპონენტს. ცოტა ხნის შემდეგ კი მიდიხარ იმ დასკვნამდე, რომ არც ისე უსამართლოდ მოგექცნენ 'სოგ რამეში ოპონენტი მართალი იყო...",

როგორც ჩანს, ამ დევიაცს შეეძლო მონანიებაც და შეცდომის აღიარებაც. აქ მართლაც სწორად შენიშნავს გიორგი ბატონ პაატას დიდსულოვნებას და სამართლიანობაზე, და იქვე მის ამ ნამდვილ სებუნებრიობას შოთა რუსთაველის პოემიდან მოტანილი სიტყვებით ადასტურებს - „ღმერთი ალხენს მონანულსა."

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, იზოლდა აბაშიძე განსაკუთრებული სიყვარულითა და უდიდესი პატივისცემით იგონებს და უსასღვრო გრძნობებით გადმოგვცემს ბატონ პაატა გუგუშვილთან ერთად მოღვაწეობის პერიოდში ამ ბრძენ კაცსა და ბუმბერაზ ადამიანზე შექმნილ თავის შთაბეჭდილებას. აი როგორ შესანიშნავად იწყებს იგი: „რა სწრაფად გადის დრო. 100 წელი შესრულდა ბატონი პაატას დაბადებიდან. ასე მგონია გუშინ გადავუხადეთ 80 წლისთავი. რა ჭარმაგად და მხნედ გამოიყურებოდა, როგორი ბრწყინვალე, შეუბღალავი აზროვნება ჰქონდა. სწორედ იმ იუბილეს დღეებში წერდა ერთ-ერთი ჟურნალისტი: „ვისაც პაატა გუგუშვილი უნახავს და მით უმეტეს ისინი ვისაც ბედნიერება ჰქონია მასთან თანამშრომლობისა და ახლო ურთიერთობისა, ალბათ დაგვეთანხმება, რომ იგი საოცრად მოგვაგონებს ჩვენი წარსულის გამოჩენილ მწიგნობრებს, თერგდალეულთა პლეადის დარბაისელთ. ხშირად ამიდევნებია თვალი ქუჩაში დინჯად მიმავალი პაატა გუგუშვილისათვის. ასე დადიან აზრითა და ფიქრით დატვირთული ადამიანები, მძლავრი ტალანტის შუქით გაბრწყინებულნი".

"ნამდვილად დიდი ბედნიერება მხვდა წილად, დასძენს ქალბატონი იზოლდა, რომ წლების მანძილზე ვიშრომე და ვიმოღვაწე იმ დიდი ადამიანის გვერდით, რომელმაც ბრწყინვალედ აკეთა თავისი საკეთებელი, მიაღწია ისეთ წარმატებებს, რაც დიდად აჭარბებს ერთი ადამიანის შესაძლებლობებს, ბოლომდე გაიხარჯა თავისი ერისა და ქვეყნის სიყვარულში, არ დარჩენია საზოგადოებრივი ცხოვრების არცერთი სფერო თავისი კომპეტენტური სიტყვა რომ არ ეთქვა, თავისი გონიერება რომ არ წარმოეჩინა."

ბევრი რამ ითქვა და დაიწერა ბატონი პაატას მეცნიერული მოღვაწეობის შესახებ, შენიშნავს ქალბატონი იზოლდა. ამიტომ ისურვა როგორც მისმა ერთ-ერთმა მოწაფეთაგანმა დიდის მოწიწებით და მოკრძალებით შეხებოდა ბატონ პაატას როგორც პიროვნებას და მოქალაქეს. „ბატონი პაატა, აღნიშნავს იგი, ამ ამპლუაშიც ისეთივე ძლიერი იყო, როგორც მეცნიერებაში. მას ბედად დაჰყვა ცხოვრებაში თავისი საქმიანობით გამორჩეული ყოფილიყო. იგი ქართველ მეცნიერთა

შორის პირველი იყო, რომელსაც დისერტაციის დაცვის გარეშე სტუდენტობის დროს დაწერილი ნაშრომისათვის მიენიჭა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

საკმაოდ ავტორიტეტულ და ძლიერ მეცნიერ ეკონომისტთა შორის მას ერგო უპირატესობა და არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჯერ წევრ-კორესპონდენტად, შემდეგ აკადემიკოსად. შაქართველოში მან ითავა ბეჭდითი სიტყვის ისტორიის შესწავლა. აინტერესდა და შეუდგა ისეთი ახალგაზრდა მეცნიერული დარგების განვითარების ხელშეწყობას, როგორიცაა სოციოლოგია და დემოგრაფია. აღადგინა ჟურნალი „საქართველოს ეკონომისტი“, დააარსა ეკონომიკის ინსტიტუტი, შექმნა უძლიერესი ქართული ეკონომიკური სკოლა, ბევრი იბრძოლა და მოამზადა ნიადაგი დემოგრაფიის ინსტიტუტის ჩამოსაყალიბებლად. მთელი საქმიანობა მისი ცხოერების მთავარი აზრიდან – სამშობლოს უსაზღერო სიყვარულიდან გამომდინარეობდა. იგი ყოველთვის იქ იდგა, სადაც თავის ქვეყანას სჭირდებოდა, იმ საჭირო საქმეს აკეთებდა, რაც მოცემულ მომენტში ქვეყნისათვის იყო აუცილებელი. „მგზნებარედ უნდა გიყვარდეს ჩვენი ქვეყანა, მშობელი ხალხი, არა მხოლოდ სიტყვებით, არამედ საქმით. ეს გადამწყვეტია“, წერდა ბატონი პაატა და არაფერს ეპუებოდა ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ ბრძოლაში“. ამ შეუპოვრობამ ბევრი უსიამოვნებას შეამთხვია ცხოერებაში. მაშინ როდესაც, ხალხი თავს არიდებდა თამამი აზრის გამოთქმას, იგი თავგამოდებით იბრძოდა როკის გვირაბის გაყვანის წინააღმდეგ. არ მალავდა თავის შეხედულებას და ხმამაღლა აცხადებდა: ბუნებრივი საზღვრის დარღვევა კარგს არაფერს გეიქადისო. სასტიკი წინააღმდეგი იყო ტრანსკავკასიის რკინიგზის გაყვანისა. არასასურველ ეკონომიკურ შედეგებთან ერთად ეშინოდა მუშახელის ჩამოსახლებისა.

სიამოვნებით აღნიშნავდა, რომ საქართველოში ძალიან მაღალი იყო ქართველი მოსახლეობის კონცენტრაციის პროცენტი. ამაყობდა ჩვენი ქვეყნის გმირული წარსულით და ხშირად იმეორებდა ძველისძველ სიბრძნეს: „ვინც არ იცის საიდან მოდის, მან არ შეიძლება იცოდეს საით მიდისო“. ამიტომ ისტორიისა და წარსულის ცოდნას დიდ როლს ანიჭებდა მომავლის შენების საქმეში.

ამასთან, კატეგორიული წინააღმდეგი იყო ბატონი პაატა სასტუმროებში მომსახურე პერსონალი არაქართველები რომ იყვნენ და აგრეთვე ექსკურსიის მძღოლებიც, რადგან ეს უკანასკნელნი უცხოელ სტუმრებს სათანადო დონეზე ვერ აუხსნიდნენ საქართველოს გმირულ და ტრაგიკულ წარსულს.”

როგორც ქალბატონი იზოლდა დასძენს, “ბატონი პაატა ზედმიწევნით სრულიად ქართული ენის სიწმინდისა და მისი დახვეწის საქმეში. განსაკუთრებით ქართული ეკონომიკური ტერმინოლოგიის

შემუშაებაში. კითხულობდა და წერდა დღისით, ღამით, დილით და საღამოს. თავის განსაკუთრებული შრომის რეჟიმი ჰქონდა – აღნიშნავს ქალბატონი იზოლდა. ბოლო წლებში, მძიმე ოპერაციის გაკეთება დასჭირდა. გაოცებული იყო მისი მეუღლე, ქალბატონი ნინო ოპერაციის წინა ღამით ოდნავი აღელვებაც კი არ შემჩნეია, მაშინ როცა, მისსავე პალატაში ავადმყოფს, რომელსაც მასთან ერთად უნდა გაეკეთებინა ბევრად უფრო იოლი ოპერაცია, მთელი ღამე ნერვიულობისაგან არ ეძინა. ბატონ პაატას კი იმ ღამეს, როგორც ქალბატონი იზოლდა გვამცნობს, რამდენიმე ფურცელი დაუწერია დემოგრაფიის საკითხებზე და დილით საავადმყოფოში მის სანახავად მისულ თანამშრომლებს გადასცა და თხოვა გადაებეჭდათ და გაემზადებინათ მის გამოჯანმრთელებამდე. მადლობა ღმერთს, ოპერაციამ კარგად ჩაიარა, დასძენს ქალბატონი იზოლდა და ამ ეპიზოდს ასე ამთავრებს: ეს ერთი პატარა დეტალი იყო იმ დიდებული ადამიანის ცხოვრებიდან. შემდეგ აგრძელებს, რომ ბატონი პაატას შრომის საგანი არსებითად წიგნი იყო. სწორედ წიგნი მიაჩნდა ამ ენციკლოპედიური ცოდნის ადამიანს სიბრძნის უშრეტ წყაროდ," იგი ადამიანის ცნობიერების განვითარების უკიდეგანო ზღვაად, წერდა ბატონი პაატა. "სანიმუშო მეგობრობაც იცოდა, აღნიშნავს ქალბატონი იზოლდა. ბოლომდე თაყდადებული მეგობარი იყო ვასილ ჩანტლაძის, კონსტანტინე გამსახურდიასი, გოგლა ლეონიძის, სიმონ ჩიქოვანის, აკაკი გაწერელიასი და სხვების." მაროალია ქალბატონ იზოლდას წერილის შინაარსიდან საინტერესო ეპიზოდები მოეიყვანე, მაგრამ სხვა, კიდეე არანაკლები მნიშვნელობის შემთხვევები რჩება კრებულში.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვლადიმერ პაპავა ბატონ პაატა გუგუშვილისადმი მიძღვნილ წერილს სათაურით: „დიდი ერის კაცი" იწყებს ასეთი ერცელი შესავლით: "თითოეული ადამიანის ცხოვრებაში გარკვეული პიროვნებები სხვადასხვა გზით, სხვადასხვა დროს შედიან და მათ მომავალზე სხვადასხვაგვარ გავლენას ახდენენ. ჩემს ცხოვრებაში აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი მაშინ შემოვიდა და ღრმა კვალი დააჩნია, როცა მე ჯერ კიდეე პატარა ვიყავი."

მოგეხსენებათ ყველა ბავშეს აინტერესებს თუ ვინ არის ყველაზე დიდი ამა თუ იმ სფეროში. „მეც იმის გამო, რომ ეკონომისტის ოჯახში ვიზრდებოდი, დასძენს იგი, მაინტერესებდა გამეგო, თუ ვინ იყო ყველაზე დიდი ქართველი ეკონომისტი. ამ კითხვით ხშირად მიმიმართავს მამისათვის და მისგანაც ყოველთვის არგუმენტირებული პასუხი მიმიღია, რომ ყველაზე დიდი ქართველი ეკონომისტი, აკადემიკოსი პაატა გუგუშვილიაო." იგიეე ასრი, ხშირად მუსირებდა თავის ოჯახშიც, როდესაც ცნობილი ქართველი ეკონომისტები იკრიბებოდნენ და

ეკონომიკაზე ბჭობდნენ. ამგვარად, როგორც ბატონი ელადიმერი ამბობს, დაუსწრებლად იგი პაატა გუგუშვილის დიდი თაყვანისმცემელი იყო.

მასთან შესვედრა მოუხდა 1977 წელს, როცა უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის და სამართლის ინსტიტუტში მივიდა სამუშაოდ. როგორც თვითონ დასძენს, იგი ბატონ პაატას ხვდებოდა მხოლოდ საბჭოს სხდომებზე, რადგან როგორც მე მახსოვს, იმ დროს ბატონი პაატა ინსტიტუტის დირექტორად აღარ მუშაობდა, მაგრამ ხელმძღვანელობდა ყველაზე დიდ განყოფილებას. დღესაც თვალწინ მიდგას, განაგრძობს ბატონი ელადიმერი, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოზე პრინციპული, მკაცრი აკადემიკოსი, რომელიც არავის არაფერს არ აპატიებდა. იმთავითვე იგი ქართული ენის სიწმინდისათვის იღწოდა და ეს განსაკუთრებით ქართულ ეკონომიკურ ტერმინოლოგიას ეხებოდა. ყველა გამომსვლელს აჩერებდა და არასწორ ტერმინს უსწორებდა. ხშირად მისი პრეტენზიები უფროსი ასაკის კოლეგების მიმართ უხეშიც იყო, მაგრამ სულ სხვა იყო აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი ახალგაზრდა სპეციალისტების მიმართ. ახალგაზრდებისადმი იგი მეტ სითბოს და ლმობიერებას იჩენდა.

ბატონი ელადიმერი 1978 წელს მოხსენებით წარსდგა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წინაშე. მაშინ პაატა გუგუშვილს მეტად სამართლიანი, სასარგებლო და მამაშვილური რჩევა და შენიშვნები მიუცია, რომელიც დიდად გამოადგა და დაეხმარა მას შემდგომ შემოქმედებით მუშაობაში. იმავე 1978 წლის დასაწყისში საბჭოთა საქაროველო იხილავდა და ამუშავებდა ახალ კონსტიტუციურ პროექტს. მაშინ წესად იყო შემოღებული კონსტიტუციის პროექტის საჯარო განხილვები. მეცნიერებათა აკადემიის დირექტივით კონსტიტუციის პროექტი ინსტიტუტსაც უნდა განეხილა. აკადემიის მხრიდან აშკარად იგრძნობოდა კონსტიტუციის პროექტისადმი მხარის დაჭერა და მოწონება. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, დასძენს ბატონი ელადიმერი, თუ როგორ კატეგორიულად გაილაშქრა ბატონმა პაატამ და მისი ინიციატივით მთელმა ინსტიტუტმა.

მე მაშინ, დასძენს ბატონი ელადიმერი, პაატა გუგუშვილში კიდევ ერთი და ლამაზი შტრიხი დავინახე: "ეს იყო დიდი მამულიშვილი და ერის კაცი, რომელიც მიუხედავად ზემდგომი ორგანოების მითითებებისა, მტკიცედ იცავდა ეროვნულ ინტერესებს."

თავისი წერილის დასასრულს ბატონი ელადიმერი, კმაყოფილების ნეული თავმდაბლობით აცხადებს, რომ პაატა გუგუშვილის სახელის უკვდავებაში მცირე წვლილი მანაც შეიტანა. მან შეასრულა პირობა მისი ინსტიტუტის დირექტორად არჩევის დროს, რომ აღუთქვა თანამშრომლებს: იგი აღძრავდა შუამდგომლობას ინსტიტუტისადმი პაატა გუგუშვილის სახელის მისანიჭებლად და შეეცდებოდა კიდეც მის განხორციელებას. ეს

პირობა ნამდვილად შეასრულა და პირნათელი წარსდგა ინსტიტუტის წინაშე, რადგან დღეს ინსტიტუტი პაატა გუგუშვილის სახელს ატარებს.

პატარა გადახვევას გავაკეთებ და მკითხველის ყურადღება მინდა შევაჩერო ფრიად მნიშვნელოვან დეტალზე. როგორც ბევრისათვის ცნობილია, ბატონი ელადიმერი ქვეყნის უმაღლესმა ხელისუფლებამ ეკონომიკის მინისტრად დანიშნა და რამდენიმე წელი პარალელურად ინსტიტუტის დირექტორიც იყო. მაგრამ საბოლოოდ, მაინც მინისტრის პოსტზე იქნა დატოვებული, რასაც დიდებულად გაართვა თავი, რესპუბლიკის ეკონომიკას დაეტყო მისი ხელი.

სწორედ ამ პერიოდში ელადიმერის მამას – პროფესორ ბატონ გიორგის შევხვდი და ურთიერთ მოკითხვის შემდეგ მიემართე: ხედავთ ბატონო გიორგი, როგორ გაჯობათ თქვენმა ვაჟიშვილმა, იგი პროფესორია, ინსტიტუტის დირექტორი და მინისტრიც. ზუსტად ქართული ანდაზისა არ იყოს: „ის ურჩევნია მამულსა, შვილი რომ სჯობდეს მამასა“. მან ასე მიპასუხა: ნურას უკაცრავად ბატონო მიხეილ. იგი მე მაშინ მაჯობებს, როდესაც ჩემსავით ვაჟიშვილს გაზრდის, რომელიც მიაღწევს გახდეს პროფესორი, ინსტიტუტის დირექტორი და მინისტრიც. სათქმელი აღარ დამიტოვა. ეს მაგალითი უნივერსიტეტში სტუდენტებს მოვუყევი ლექციის კითხვის დროს და ძალზე გავამხიარულე აუდიტორია.

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი როზეტა ასათიანი ასეთი სათაურით გვამცნობს თავის წერილს: „თითქოს მაღალი მთის ძირას ვიდექი.“ მეტად ორიგინალურად იწყება ქალბატონ როზეტა ასათიანის წერილი: „დღეს როდესაც საზოგადოებრივი ცნობიერება გაურკვეველობის ბურუსშია გახვეული, გვიჭირს გავარჩიოთ მტერი და მოყვარე, ბოროტი და კეთილი, ხშირად მოვუხმობთ წარსულს, ვფიქრობთ გარდასულ დღეთათვის ასრის მიმცემ, შეიძლება იოქვას, წარსულის შემოქმედ პიროვნებებზე. ისინი დღესაც კი გვეხმარებიან გავერკვეთ არსებულ სიტუაციაში, გვეხმარებიან არა მხოლოდ თავიანთი შემოქმედებით, არამედ მოქალაქეობრივი, პიროვნული თვისებებითაც. ასეთ პიროვნებადაა აღიარებული XX საუკუნის ქართული ეკონომიკური მეცნიერების უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი, დიდი მეცნიერი და მოქალაქე, აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი“.

ბატონმა პაატამ, დასძენს ქალბატონი როზეტა, “ეკონომიკის სხვადასხვა დარგში დაგვიტოვა მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობა, რომელიც საოცრად ეხმიანება თანამედროვეობას და დღესაც საგანგებო შესწავლის სფეროა. მან აღსარდა ქართველ ეკონომისტთა არა ერთი თაობა, რომელთა ბეჭებზე დღეს ძევს ქართული ეკონომიკური მეცნიერების ტვირთი. მისი უშუალო ინიციატივით და ხელმძღვანელობით შეიქმნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტი,

რომელსაც დღეს ასერიგად აკლია ბატონი პაატას შემოქმედებითი პათოსი, ერუდიცია და თუ გნებავთ რაინდული გამბედაობა.

აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი ფართო გაქანების, არაორდინალური ხელმძღვანელი და საზოგადო მოღვაწე, რომ იტყვიან საქმის კაცი, სიტყვისათვის საქმის ღონის მიმცემი, ერის მსახური გახლდათ. მისი სახელისა და ღვაწლის გაუთვალისწინებლად ძნელია წარმოიდგინო ქართული (და არა მხოლოდ ქართული) ეკონომიკური მეცნიერება. დიდი სახელის მიუხედავად, დასძენს ქალბატონი როზეტა, ბატონი პაატა თავმდაბალი და გულწრფელი კაცი იყო. მასთან ყოველი შეხვედრა დიდი გაკვეთილი იყო ჩვენთვის, გვახიბლავდა მისი პიროვნული თვისებები. როდესაც ამ ბუმბერაზი ადამიანის ახლოს ვიდექი, ყოველთვის ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, თითქოს ვიდექი მაღალი მთის ძირას. ერთ ადამიანს ღმერთმა ასე უხვად მოამადლოს ნიჭი და სულის სიკეთე, უდიდესი შრომის უნარი, სიბრძნე და სიდარბაისლე, მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. ბოლოს ქალბატონი როზეტა ასეთი ფრაზით ამთავრებს თავის წერილს: ხშირად საირმეში ვისვენებდით ოჯახებით და ერთხელ, როდესაც ბატონი პაატა თავისი ცხოვრებისა და შემოქმედებითი საქმიანობის წინააღმდეგობებით სავსე ეპიზოდს გვიამბობდა, თავისი სიტყვები დიდი კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვებით დაასრულა: „კაცი შუბივით პირდაპირი უნდა იყოს და არა ღრიანკალიეით დაღეღლარჭნულიო." ეისაც ახსოვს ბატონი პაატა, ყველა დამეთანხმება, რადგან იგი მართლაც შუბივით პირდაპირი იყო. სწორედ ამაშია მისი ორიგინალობა და სიდიადე. ასეთად დარჩება ჩვენს ხსოვნაში აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი, რომელმაც სამუდამოდ დაიმკვიდრა საპატიო ადგილი ქართული ეკონომიკური აზრის ისტორიაში." მადლობის მეტი რა გვეთქმის ქალბატონ როზეტასადმი, რომელმაც ესოდენ ქება-დიდების შარავანდედით შეგვიმკო აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი.

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გიორგი მალაშხია წერს: „ყოველი ჭეშმარიტი მეცნიერისათვის უმაღლესი ჯილდო საზოგადოების მიერ ფართო აღიარებაა, რაც შეიძლება მას მოუტანოს შექმნილი ნაშრომების სიღრმემ, საკაცობრიო მნიშვნელობამ, ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონზომიერებათა წვდომამ. მაგრამ ეს ყველას ხვედრი როდია. პაატა გუგუშვილი იმ ქართველ მეცნიერთა გამორჩეულ მცირერიცხოვან ჯგუფს მიეკუთვნება, რომელთაც სიცოცხლეშივე საერთაშორისო აღიარება მოიპოვეს და ეს, რა თქმა უნდა, ბუნებისაგან მომადლებული დიდი ნიჭის, ტიტანური შრომის შედეგი იყო. საერთოდ, შემოქმედების სფერო, ზოგიერთი სფეროსაგან განსხვავებით, ის ასპარეზია, სადაც ყალბი ავტორიტეტები ფეხს ვერ იკიდებენ. ბატონი პაატა თავისი შთამბეჭდავი გარეგნობით, განელილი გზით, უღრმესი

ერუდიციით, მრავალმხრივი მოღვაწეობით, უშრეტი ენერგიით, ადამიანური ღირსებით, ადამიანებთან უშუალო ურთიერთობით, სითბოთი და სისადავით, სიბრძნით, ხალასი იუმორით ერთ-ერთი კოლორიტული ფიგურა იყო არა მარტო ქართველ ეკონომისტ მეცნიერებსა და საერთოდ სწაველულებს შორის, არამედ მთელ ჩვენს ინტელექტუალურ სასოგადოებაში". ბატონი გიორგი შემდეგ ეხება ბატონი პაატა გუგუშვილის მეცნიერული მემკვიდრეობის მნიშვნელობის საერთაშორისო ასპექტს. მის მიერ ჩამოთვლილია ბატონი პაატა გუგუშვილის საერთაშორისო მნიშვნელობის ნაშრომები, რომლებშიც ნათლად არის გაშუქებული საკაცობრიო პრობლემები. დახასიათებულია თვით მისი პიროვნებაც, რომ იგი იყო ღრმა, მასშტაბური, თავისუფალი სტილის, ნათელი აზროვნების მეცნიერი, ჭეშმარიტი მეცნიერული აზრის ქომაგი, მჭერმეტყველი ორატორი, პრინციპული პოლემისტი, პირდაპირი და კონფორმიზმთან შეურიგებელი, მედროვეებისაგან შორს მდგარი, თავისი ქვეყნის დიდი პატრიოტი. მან დიდი ბრძოლის ბატალიებიც გადაიტანა, დასძენს ბატონი გიორგი, თავისი ცხოვრების სხვადასხვა პერიოდში, მაგრამ საბოლოოდ მუდამ გამარჯვებული გამოდიოდა, რადგან ყოველთვის მართალი იყო. ბატონი გიორგი მალაშხია, წიგნში მონაწილე სხვათა ავტორების ანალოგიურად ბატონ პაატას თელის ახალგაზრდა თაობის უდიდეს ქომაგად და თავის თავს ასახელებს, რომ არა ბატონი პაატას ღმერთიდან მომადლებული ახალგაზრდობისადმი სიყვარული, შეიძლება იგი დღეს არ ყოფილიყო მეცნიერი. უდიდესი მადლიერების გრძნობით იგონებს ინსტიტუტში იმ დროს მომუშავე მეცნიერებს: თ. ხოშტარიას, მ. კახეთელიძეს, ა. ნუცუბიძეს, რომლებიც ბატონ პაატას ხელმძღვანელობით მას გვერდში ამოუდგნენ და მეცნიერებას ასიარეს.

შემდეგ გიორგი მალაშხიას მოჰყავს ბრძენი გოეთეს გამონათქვამი, რომ „მეცნიერება – აი ადამიანის ნამდვილი უპირატესობა" და იქვე შენიშნავს, რომ ამ უპირატესობას, მიუხედავად დღევანდელი ძნელბედობისა, შეინარჩუნებს ჩვენი ერი, ხალხი, რომელსაც ჰყავს ამაღლებული მიზნებისათვის, მეცნიერებისათვის თავდადებული მოღვაწენი, ჩვენი სახელოვანი ინტელექტუალური მამულიშვილების უპირატესობის მატარებელთა სახით, რომელთა საუკეთესო წარმომადგენელი იყო საქვეყნო აღიარებული მეცნიერი პაატა გუგუშვილი.

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რევაზ კაკულია თავის წერილს ბატონ პაატა გუგუშვილისადმი მიძღვნილს შემდეგნაირად ასათაურებს: „აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი და თანამედროვეობა".

"XX საუკუნის ეროვნული მეცნიერება და სასოგადოებრივი ცხოვრება,დასძენს ბატონი რევაზი, წარმოუდგენელია აკადემიკოს პაატა გუგუშვილის გარეშე. ამ პერიოდის საქართველოს მეცნიერ-ტიტანთა კოჰორტაში მას უაღრესად საპატიო ადგილი უკავია. აკადემიკოს პაატა

გუგუშვილს, საბოგადოებრივი განვითარების ისტორიისა და ეკონომიკური თეორიის უბადლო მცოდნეს, ჰქონდა განსაკუთრებული უნარი კვლევის პროცესში თანამედროვე მეთოდების გამოყენებით კოლოსალური ფაქტობრივი მასალების ანალიზის საფუძველზე გაეკეთებინა ჭეშმარიტად მაღალმეცნიერული დასკვნები თანამედროვე ეკონომიკური თეორიის, სოციოლოგიის, დემოგრაფიის, სახალხო მეურნეობის და ეკონომიკური აზრის ისტორიის აქტუალური პრობლემების გადასაჭრელად. ბატონი პაატა ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური პოტენციალის გამოყენების ეფექტიანობას ხალხის განაოლებულობაში ხედავდა." მას საუბარში ხშირად უყვარდა, წერს ბატონი რევაზი, დიდი ფრანგი განმანათლებლის შარლ მონტესკიეს შემდეგი დებულებების მოტანა: „უმეცრების ეპოქაში ადამიანებს არავითარი ეჭვიც კი არ ებადებათ, როდესაც უდიდეს ბოროტებას სჩადიოდნენ. განათლების ეპოქაშიც კი მაშინაც ეთრთით ხოლმე, როდესაც ყველაზე დიდ სიკეთეს ჩაედიგართ. ჩვენ ვხედავთ ძველ ბოროტებას, ვხედავთ მათი გამოსწორების გზებს, მაგრამ ასევე ვხედავთ ამ გამოსწორების გზებითან დაკავშირებულ ბოროტებებს. ბოროტებას ეურიგდებით ხოლმე უარესის შიშით. სიკეთეზეც ხელს ვიღებთ, თუ ეეჭვობთ, უკეთესიც არსებობს თუ არა."

როგორც ბატონი რევაზი აღნიშნავს, ჯერ კიდევ 70-იან წლებში მიუთითებდა. ბატონი პაატა ეკონომიკური კადრების მაღალ დონეზე მომზადების აუცილებლობაზე. გადაჭრით უნდა გაუმჯობესდეს საერთოდ ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკების და კერძოდ, ეკონომიკური კადრების მომზადება და მდგომარეობა. პაატა გუგუშვილი სამი ათეული წლის წინ გამოთქმული მოსაზრებებით დღევანდელობას ეხმაურება. იგი 1973 წელს ამტკიცებდა: „გასულ წლებში ჩვენი რესპუბლიკა თავისი ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლებით, როგორც ცნობილია, ზოგიერთ დარგში ჩამორჩებოდა როგორც საერთოდ საბჭოთა კავშირში, ისე მოკავშირე რესპუბლიკებს შორის". ეს ეხებოდა როგორც საერთოდ განვითარების ტემპებს, ისე კერძოდ ისეთ ეკონომიკურ მაჩვენებლებს, როგორიცაა მაგალითად, შრომის მწარმოებლურობა, ნაციონალური შემოსავალი და სხვ. ბატონი პაატა გუგუშვილი თელიდა, რომ ეკონომისტთა მნიშვნელოვანი ნაწილი სახელმწიფოში გამოყენებული იყო მეორეხარისხოვან თანამდებობებზე და მოწყვეტილი იყო იმ პოსტებიდან, სადაც სერიოზული მეურნეობრივი ამოცანები წყდებოდა. სრულიად სამართლიან, სწორ აზრს და წინადადებას გამოთქვამს ბატონი რევაზი, რომ ეკონომიკური სამსახურისა და თვით ეკონომიკური მეცნიერების არა მხოლოდ პრესტიჟის, არამედ საერთოდ მეცნიერული და პრაქტიკული მუშაობის დონის ამაღლებისათვის, აუცილებელია ეკონომიკური სამსახურის თანამდებობები, როგორც წესი, ეჭიროთ ეკონომისტებს. ამასთან დაკავშირებით ბატონ რევაზს საყურადღებო და შესაბამისი

წინადადება მოჰყავს, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს უდავოდ უნდა გაეთვალისწინებიათ და პრაქტიკაში დაენერგათ შესაბამისი ეკონომიკური თანამდებობები.

„საბჭოთა სახელმწიფოებრივი მმართველობის ისტორიაში მე არ მახსოვს შემთხვევა, რომ ვთქვათ, ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგის თანამდებობაზე ყოფილიყო კაცი, რომელსაც არ ქონდა სამედიცინო განათლება“ - წერდა ბატონი პაატა და გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ ეკონომიკური სამსახურის სფეროებში არც თუ იშვიათად იყო შემთხვევები, როცა მათი თანაკაცები არასპეციალისტები იყვენენ და არ გააჩნდათ ეკონომიკური განათლება.

მსურს მკითხველს შევახსენო, რომ მართალია თვითონ ბატონი რევაზ კაკულია იმ დროს მუშაობდა ფინანსთა მინისტრის მოადგილედ, მაგრამ, ეს როგორღაც გამონაკლისი იყო, თუმცა ბატონი რევაზი, როგორც ეკონომისტი, მეცნიერი და ამავე დროს კარგი ორგანიზატორი, პარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატშიც კი მუშაობდა. თამამად შეიძლებოდა ვინც ბატონ რევაზს იცნობდა არ გაკვირვებოდათ თუ მას მინისტრად, ან მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ, ან თუნდაც პარტიის ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთ მდივნად ემსახურა. სამწუხაროდ, რატომღაც მართლაც პრესტიჟულ თანამდებობებზე და ეკონომიკურ სფეროებში უფრო ხშირად იყვენებდნენ სოფლის მეურნეობის და საინჟინრო განათლების მქონე სპეციალისტებს ნაცვლად ეკონომისტებისა. ასეთ პრობლემებზე ბატონ პაატას არაერთგზის დაუსვამს სათანადო ორგანოების წინაშე საკითხი, რის გამოც მისი ეკონომიკის და სამართლის ინსტიტუტი დევნას და შევიწროებას განიცდიდა. მე ჩემს წინა გამოცემაში ბატონ რევაზს კაკულია შესახებ იმასაც კი ვწერდი, რომ საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში ის, რომ ეროვნებით რუსი ყოფილიყო და პროფესიით იურისტი, უთუოდ გენერალური პროკურორი იქნებოდა კაშირის მასშტაბით.

სამწუხაროდ თავის პროფესიის მიხედვით თანამდებობებზე დიდხანს არ ამყოფეს და ისევ ჩვენდა საბედნიეროდ მეცნიერებაში მაინც თავისი დიდებული სიტყვა თქვა. იგი სტუდენტებს კიდევ მეტად იმისთვის უყვარდათ და უყვართ, რომ თავის ღრმა მეცნიერულ ცოდნას დიდებული ლოგიკით და საოცრად კარგი ხმის ტემბრით გადასცემს.

მართალია ცოტა სიტყვა გამიგრძელდა, მაგრამ არ შემიძლია მისი მოგონებებიდან რამდენიმე შტრიხი ბატონ პაატას შესახებ არ მოვიყვანო.

1966 წლის ივლისის თვეში აკადემიკოს პაატას გვიან ღამით ტელეფონით დაურეკავს და რევაზი მიუწვევია სახლში. თანაც უთხოვია მასთან მიეტანა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის “მაცნეში” 1966 წლის მეორე ნომერში გამოქვეყნებული მისი სტატია. რამდენიმე წუთში ეახლა პაატას სახლში და იქ მას დახვდნენ პროფესორები: მიხეილ

კახეთელიძე და ბექირბი ხასია. სტატია გადასცა ბატონ პაატას, რომელმაც გულდასმით გადაიკითხა, შესჭდა რევაზს მისთვის ჩვეული მკაცრი ღიმილით და წარმოსთქვა: აგაშენათ ღმერთმა. ამ სტატიაში ანტიმარქსისტული მოსაზრებები ვერ აღმოვაჩინეთ. როგორც შემდეგში ცნობილი გახდა, პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერების განყოფილების გამგეს დაურეკია პაატასთვის და უთქვამს, რომ სტატიაში, რომელიც მისი რეკომენდაციით იქნა წარდგენილი რედაქციაში, გაპარულა ანტიმარქსისტული შეხედულებები. ამდენად, უთხოვია ამის თაობაზე ახსნა-განმარტებით წარდგენილიყო „ცეკას“ წინაშე. ბატონმა პაატამ თხოვა რევაზს მეორე დღისთვის დილის 10 საათზე „ცეკას“ წინ დახვედროდა, რომ ხლებოდა მას. ამ პერიოდისათვის ბატონი რევაზი მუშაობდა „ცეკას“ განყოფილებაში.

„ცეკას“ განყოფილების გამგემ მიმართა ბატონ პაატას: „რა მოხდა, რატომ არ გამოვიდა „მაცნეს“ წინა ნომერი, სადაც უნივერსიტეტის ერთ-ერთი პროფესორის კრიტიკული სტატია უნდა დაბეჭდილიყო“.

ბატონმა პაატამ მისთვის ჩვეული პირდაპირობით უპასუხა: „მაცნეს“ ნომერი რა მიზეზით არ დაიბეჭდა, მაგაზე მე ვერ მოგცემთ პასუხს, შეგიძლიათ გამომცემლობას შეეკითხოთ და ისინი გიპასუხებენ, ხოლო რაც შეეხება რევაზ კაკულიას სტატიას, მასში ანტისახელმწიფოებრივი, ან ანტიმარქსისტული შეხედულებები მე ვერ აღმოვაჩინე და გიტოვებთ მას წასაკითხად.

უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილმა განყოფილების გამგემ თქვა: მე მჯერა, რომ რევაზის სტატიაში უმსგავსო მოსაზრებები არ იქნებაო და ბოდიში მოიხადა იმაზე, რომ შეაცდინა უნივერსიტეტის ერთ-ერთმა პროფესორმა, რომელსაც სამწუხაროდ ბრმად მიენდო.

კიდევ ბევრ საინტერესო ეპიზოდებს მოგვითხრობს ბატონი რევაზ კაკულია, მაგრამ მე მხოლოდ ზემოაღნიშნულით შემოვიფარგლები იმ იმედით, რომ დანარჩენს მკითხველი თვით წიგნში გაეცნობა.

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დავით კურტანიძე პაატასადმი მიძღვნილ წერილს ასეთი საოარით წარმოადგენს: „იგი დიდი პაატა იყო“, წერილს კი ასე იწყებს: „ქართული ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში ფასდაუდებელია აკადემიკოს პაატა გუგუშვილის წვლილი, იგი მრავალმხრივი მეცნიერი იყო. XIX-XX საუკუნეებში საქართველოსა და ამიერკავკასიის სოციალურ ეკონომიკური განვითარების პრობლემათა შესწავლას მან ფუნდამენტური შვიდტომეული (1949-1984 წწ.) მიუძღვნა, მეტად მნიშვნელოვანი ნაშრომები აქვს ქართული სახოგადოებრივ-ეკონომიკური აზრისა და სახალხო მეურნეობის ისტორიის, სტატისტიკის, სოციოლოგიის, დემოგრაფიის, ბიბლიოლოგიის საკითხებზე“. როგორც ბატონი დავით კურტანიძე დასძენს „აკადემიკოსმა პაატა გუგუშვილმა პირველმა მოაწყო საქართველოში ანკეტური

გამოკითხვის მონაცემთა მობილიზაცია სოფლის ახალგაზრდობის სოციო-ლოგიური შესწავლისათვის – შრომითი რესურსების და პროფესიული ორიენტაციის ასპექტში". საყოველთაოდ ცნობილია, მას რაოდენ დიდი დამსახურება აქვს ქართული სოციალურ-ეკონომიკური ტერმინოლოგიის შემუშაებაში. ბატონ პაატა გუგუშვილს ასევე უდიდესი ღვაწლი მიუძღვის სამეცნიერო კადრების მომზადებაში. იგი ჭაროელ და სახლვარგარეთელ მეცნიერთა ფართო წრეში აღიარებული იყო და უდიდესი პატივისცემით სარგებლობდა. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ბატონი დავით კურტანიძე სწორ დასკვნას აკეთებს, როდესაც დასძენს, რომ აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი მეცნიერული ცოდნის დიაპაზონით მაღლა იდგა თავის თანამედროვეთა შორის. "იგი ძლიერი იყო პოლემიკაში ღრმა ცოდნის, მეცნიერული ჭვრეტის და სხვა თვისებათა გამო და ამიტომ ყოველთვის იმარჯვებდა პაექრობის დროს. მას მეცნიერული და პედაგოგიური საქმიანობის გარეშე არსებობაც კი ვერ წარმოედგინა, და აი სწორედ ამის შედეგია ის ფუნდამენტური გამოკვლევები, რომლებიც მან მომავალ თაობებს დაუტოვა. ისიც უნდა აღვნიშნოთ, დასძენს ბატონი დავითი, რომ პაატა გუგუშვილის დაუცხრომელი მოღვაწეობით 1944 წელს შეიქმნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტი, რომელსაც უცვლელად მეთაურობდა მთელი 32 წლის განმავლობაში." აკადემიკოს პაატა გუგუშვილთან ორ ათეულ წელზე მეტი ურთიერთობა მაკავშირებდა, წერს იგი, მისი შეხედულებით "მასთან ძნელია ვინმეს გატოლება, რადგან ბადალი არ ჰყავდა არა მარტო თავისი მრავალმხრივი კვლევის სფეროში, არამედ ყოფითი საკითხების ცოდნაშიც." უშუალო ურთიერთობა ბატონ პაატა გუგუშვილთან მან დაიწყო ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტურაში ჩარიცხვიდან – 1969 წელს. მეტად საინტერესო ეპიზოდს იგონებს ბატონი დავით კურტანიძე. ასპირანტურაში მისაღებ ერთ ადგილზე მასთან ერთად მეორე ასპირან-ტობის კანდიდატიც აბარებდა და ორივეს თანაბარი ქულები დაუგროვ-დათ. ამრიგად, ინსტიტუტის ასპირანტურაში ჩარიცხვის პრობლემა შეიქმნა. ბატონმა პაატამ მათ უთხრა, რომ საკითხის გარკვევამდე გაეგრძელებინათ მუშაობა, ვინაიდან მას, თურმე განსრახული ჰქონდა, ან ორივეს მიიღებდა, ან არც ერთს. ამასთან ორივეს განუმარტა, რომ მიემართათ აკადემიის პრეზიდენტისათვის და ეთხოვათ მისთვის, იქნებ რომელიმე ინსტიტუტმა ვერ აითვისა გამოყოფილი ასპირანტურის ადგილი და იგი ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტისთვის გადმოეცა, ან ინსტიტუტისთვის დაემატებინა ერთი ადგილი მომავალი წლის გეგმის ანგარიშზე. სამი თვის შემდეგ მიღწეული იქნა სასურველი შედეგი. ბატონმა პაატამ ორივე ჩარიცხა ასპირანტურაში, თანაც წინა თარიღით, რის შედეგადაც ასპირანტებმა სამი თვის ხელფასი ერთიანად მიიღეს, თითოეულმა 300-300 მანეთი (რადგან ყოველი თვის ანაზღაურება

განისაზღვრებოდა 100 მანეთის ოდენობით). ახლა წარმოვიდგინოთ, იმ პერიოდში, როდესაც საარსებო მინიმუმი ესოდენ ჭირდა, რაოდენ წამახალისებელი იქნებოდა პატივცემულო მკითხველო, ახალგაზრდა მეცნიერთათვის ჯერ ასპირანტურაში ჩარიცხვა და შემდეგ უეცრად ასეთი ოდენობით მატერიალური წყაროს გაჩენა. უთუოდ უდიდესი მადლიერების გრძნობით უნდა მოვიხსენიოთ აკადემიკოსი, ბატონი პაატა გუგუშვილი და მადლობას იმსახურებს თვით ბატონი დავით კურტანიძე, რომელმაც არ დაივიწყა და გაიხსენა ასეთი ფრიად მნიშვნელოვანი ეპიზოდი და გამოხატა ნამდვილი მადლიერების გრძნობა, რაც დამახასიათებელია ქართველი ერისათვის და ქართველი ებრაელისათვისაც. შემდეგ მეორე არასასიამოვნო ფაქტი მოჰყვას გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის ერთ-ერთი ხელმძღვანელის მიმართ, რომელმაც კანონიერად ნამუშევარიც კი არ აუნაზღაურა იმ მოტივით, რომ მან უკვე მიიღო პაატა გუგუშვილის ინსტიტუტში სათანადო თანხა და კუთვნილი ხელფასის მიცემა სახელმწიფოს კანონმდებლობის დარღვევად მიიჩნია. სულ მალე სახელმწიფოს "ერთგული" ის ჩინოვნიკი სახელმწიფო სახსრების მითვისების ბრალდებით თანამდებობიდან გადააყენეს. შემდეგ ბატონი დავითი დასძენს, რომ 10 წელი უმუშავია უშუალოდ ბატონ პაატას ხელმძღვანელობით სოციოლოგიისა და დემოგრაფიის პრობლემათა განყოფილებაში, სადაც 20-ზე მეტი თანამშრომელი იყო. ერთ-ერთ სხდომაზე წლიური სამეცნიერო-საკვლევი თემების განხილვისას დავითის გვერდზე მჯდომმა თანამშრომელმა მას, რაღაც შეეკითხა და ცოტა ხმამაღლა მოუვიდა. ეტყობა ბატონი პაატა იმ დღეს პარტიული ორგანოებიდან განაწყენებული და განერვიულებული იყო მისი, საერთოდ, პირდაპირობისა და ობიექტურობის გამო. ვერ მოითმინა სხდომის დროს ხმამაღალი წამოძახილი. ამასთან ვერ გაარჩია ზუსტად ვინ იყო და დავითს უბრძანა დაეტოვებინა სხდომათა დარბაზი. დავითი უხმოდ დამორჩილდა და დატოვა სხდომა. გარეთ თავი უხერხულად იგრძნო ბატონმა დავითმა და გადაწყვიტა კვლავ კარი შეეღო, რათა სხდომას დასწრებოდა. კაბინეტში შესულს ბატონი პაატა შეეკითხა: რატომ შემოხვედით? დავითმა ასეთი პასუხი გასცა: „ხომ დაგემორჩილეთ და გავედი, მაგრამ ქუჩაში თქვენნაირი არავინ დადის და იქ ვინ რას მასწავლის ჩემთვის სასარგებლოს. სხდომაზე და თქვენთან ურთიერთობისას ყოველთვის ვსწავლობ და მომეცით ნება განყოფილების სხდომაზე დასწრების." ეს უთხრა და „ნეტავი გენახათ, დასძენს ბატონი დავითი, სახე გაებადრა, იმ მომენტში ყველა წყენა დაავიწყდა და სიცილი აუვარდა". ყველაფერი ეს ბატონ დათოსადმი უაღრესად თბილი დამოკიდებულების დასტური იყო.

ამ ეპიზოდზე მსურს პატარა გადახვევა გავაკეთო და მკითხველს ჩემი მოსაზრება მოვახსენო: სხდომაზე მომხდარ ინციდენტზე ბატონი დავითის მსგავსად ის თანამშრომელიც პატიოსნად რომ მოქცეულიყო,

წამომდგარიყო ფეხზე და გულახდილად ელიარებინა, დათო კი არა, მან იხმაურა სხდომის დროს, მე თვითონ დავტოვებ სხდომასო, მაშინ ბატონი პაატა, ეს სულბუნებრივი პიროვნება არც ერთს არ დაატოვებინებდა სხდომათა დარბაზს და სხდომაც წეეულებისამებრ წარიმართებოდა. მკითხველებთან ერთად დიდი მადლობა ბატონ დავითს ამ ეპიზოდის გახსენებისათვის.

აი კიდევ რას იხსენებს ბატონი დავითი აკადემიკოს პაატას შესახებ: "ინსტიტუტის თანამშრომლებისათვის მისი ოჯახის კარი ღია იყო მუდამ. განყოფილების ნებისმიერ წევრს შეგვეძლო საჭირო საკითხებზე გაფრთხილების გარეშე მივსულიყავით მასთან. ჩვენი გამასპინძლებაც კი უყვარდა. 1980 წელს პარტიის საქალაქო კომიტეტმა ბატონ პაატას ერთერთ საკითხზე სოციოლოგიური კვლევის ჩატარება და შედეგების ანალიზის გაკეთება დაავალეს. ბატონმა პაატამ ეს სამუშაო მე მომანდო, რაც დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით შევასრულე წერს ბატონი დავითი. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ბატონ პაატას დაურეკეს და ჰკითხეს ჩემს შესახებ (მე შემთხვევით შევესწარი ამ სატელეფონო საუბარს). ბატონმა პაატამ ასე უპასუხა: თუ მისი პარტიულ სამუშაოზე გადაყვანა გსურთ არ გამოგადგებათ, ხოლო, თუ ისე მეკითხებით როგორია, როგორც ჩემი თანამშრომელი, მაშინ უთუოდ დადებითად ვახასიათებო." რა თქმა უნდა მოსაუბრე მიხვდა ბატონი პაატას გადაკრულ საუბარს და მის პასუხს. როგორც ბატონი დავითის წერილიდან ჩანს რამდენიმე წელი მოღვაწეობდა პარტიის თბილისის კომიტეტში ლექტორთა ჯგუფის ხელმძღვანელად. ქალაქკომში იმ დროს შექმნილი იყო საზოგადოებრივი აზრს შემსწავლელი საბჭო, რომლის თავმჯდომარე ბატონი პაატა გუგუშვილი ბრძანდებოდა. იგი მოხერხებულად იყენებდა ტრიბუნას მათი ობიექტური კრიტიკისათვის, რაც ბუნებრივია, საკმაოდ ეხამუშებოდათ. მაშინ ხომ საეროდ არ იყო სიტყვის თავისუფლება, მაგრამ ბატონ პაატას მიმართ ვერაფერს ხდებოდნენ, ვინაიდან იგი დიდი პაატა იყო.

კიდევ ერთ ეპიზოდს მივაწედი მკითხველს ბატონ დავითის წერილიდან და ამით დავამთავრებ მის მოგონებებს. 1985 წელს იგი ბატონ პაატას სახლში ესტუმრა. იმ დროს დავითი თბილისის სამრეწველო-ეკონომიკური ტექნიკუმის დირექტორად მუშაობდა. როგორც თვითონ აღნიშნავს, უფიქრია მოვინახულებო. თან თავისი შვილი,ალექსანდრე, პირველი კლასის მოსწავლე წაუყვანია. ბავშვი შესასვლელში გაუჩერებია, თვითონ კი კაბინეტში შესულა. ბატონი პაატა ტახტზე წოლილა. მაშინვე წამომჯდარა, გახარებია მისი სტუმრობა და ძალზედ მოხიბლულა. დავითს უთქვამს: "მარტო არ ვარ." გაკვირვებია, რადგან სტუმარს ვემგან არ მოელოდაო. "მე ავუხსენი ბავშვის თანხლების მიზეზი: "მთხოვა, დიდი მეცნიერი, აკადემიკოსი მაჩვენე." მე თქვენზე დიდ მეცნიერს არ ვიცნობ და

ასეთი გადაწყვეტილება მივიღე. ესიამოვნა ყოველივე ეს და მეგობრულად ვისაუბრეთ მისთვის ჩვეული იუმორით. როცა წამოვედით, მოსაწვევი ბარათი გამომატანა პაატა ბესარიონის ძე გუგუშვილის დაბადების 80 და სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 55 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სხდომაზე დასასწრებად, რომელიც გაიმართა ობილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1985 წლის 29 ოქტომბერს."

დასასრულს ბატონი დავითი დასძენს, რომ ბატონი პაატა გუგუშვილი დიდად კმაყოფილი იყო მაშინდელი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, თქვა:" დამაფასაო."

მთლად ბოლოსათვის წერილს ამთავრებს მეტად სწორი წინადადებებით და შუამდგომლობით დღევანდელი ხელისუფლების სათანადო ორგანოების წინაშე, რათა კვლავ გამოიცეს პაატა გუგუშვილის მონოგრაფიების შვიდტომეული – "საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში." ვინაიდან ისინი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენენ.

ახლა, როცა ამ წიგნის გამოცემაზე ვმუშაობ ეს პერიოდი დაემთხვა ბატონ დავით კურტანიძის და მისი მეუღლის, ქალბატონ მანანა ჯანელიძის ქ. ნიუ იორკში ყოფნას. მათმა შვილებმა ალექსანდრემ და დავითმა ნიუ იორკში მიიღეს უმაღლესი განათლება და წარმატებით მოღვაწეობენ ნიუ იორკის პრესტიჟულ ფინანსურ დაწესებულებებში. ჩვენ, მე და ბატონ დავითს ხშირად გვეხდებოდა და გვეხდება ამერიკელ და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ცნობილ მეცნიერებთან შეხვედრები, სამეცნიერო სიმპოზიუმებში მონაწილეობა. ერთერთ პირად საუბარში ბატონმა დავითმა მითხრა: "აქამდე თეორიულად, ახლა კი პრაქტიკულად დავამტკიცე, რომ ბატონი პაატა გუგუშვილი მართლაც დიდი პაატა იყო.

აკადემიკოსი მიხეილ როკეტლიშვილი, ჩემს გამოხმაურებას აკადემიკოს, ბატონ პაატა გუგუშვილზე ასეთ სათაურს გაუკეთებდი: „აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი ბიბლიისა და თორის ძირითადი მცნებების უსადო შემსრულებელი და დიდი ინტერნაციონალისტი".

ბიბლიის ძირითად მცნებებს, სამწუხაროდ მსოფლიოს ქვეყნების ხალხთა საღად მოაზროვნე, შეგნებული, ძალზე მცირე ნაწილი იცავს, არადა ამ მცნებებს თუ ადამიანთა უმრავლესობა დაიცავს და პირნათლად აღასრულებს, მაშინ აღარ იქნება ომები და ქიშპობა და დამყარდება მშვიდობა. ამასთან, დასადგურდება ერებს შორის შემწყნარებლობა, ურთიერთ გატანა, ძმობა და ერთობა. ბატონი პაატა გუგუშვილი ხსენებული მცნებების უსადო შემსრულებელი გახლდათ. იგი კაცური კაცობის, ერის კაცობის მაგალითი იყო. მას ტოლს ვერავინ დაუდებდა, ყველგან სიკეთის თესვასა და ყოველგვარი სიყალბის და ბოროტების წინააღმდეგ შეუპოვარ ბრძოლაში, მან ძნელბედობის პერიოდში

მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებით და იურისტი მეცნიერების შემოერთებით, მრავალი წლების მანძილზე დააპურა და საარსებო წყარო გაუჩინა ორივე ამ დარგის მეცნიერ სპეციალისტებს და ქვეყნის უმაღლეს ხელისუფლებას გაუადვილა მუშაობა და სახელმწიფოს მართვა მეცნიერთა მიერ წარდგენილი რეკომენდაციებით.

მე ბატონ პაატა გუგუშვილს, თბილისის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩარიცხვის დღიდან, 1945 წლიდან (17 წლის ასაკიდან) ვიცნობდი, რადგან მომავალი იურისტები დაინტერესებულნი ვიყავით ცნობილ მეცნიერებზე გარკვეული წარმოდგენა გვქონოდა. ეცდილობდით დავსწრებოდით მათ საჯარო ლექციებს ან მათი წიგნების პრეზენტაციებს. ასეეე ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც ეკონომიკური ფაკულტეტის სტუდენტები ესწრებოდნენ ჩვენს იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ მასწავლებელთა საჯარო ლექციებს.

მაგონდება 1947 წელს ჩატარებული აკადემიკოს პაატა გუგუშვილის წიგნის პრეზენტაცია ეკონომიკური ტერმინოლოგიის შესახებ ისეთ მაღალ დონეზე ჩატარდა და ისეთი დიდი დასწრება და ხალხმრავლობა იყო, რომ თითქმის 100-ზე მეტი კაცი ფეხზე მდგომი ისმენდა გამოსვლას. მიუხედავად ასეთი შეკრებებისა და კონფერენციებზე ჩემი დასწრებისა, ბატონი პაატა პირადად თვითონ ჯერ არ მიცნობდა.

მან გამიცნო 1962 წლიდან, როდესაც უნიეერსიტეტში მეორედ მომიხდა შესვლა, ამჯერად ეკონომიკურ ფაკულტეტზე ფინანსებისა და კრედიტის სპეციალობით.

ახალგაზრდობაში საგამომძიებლო სისტემაში მუშაობის შემდეგ 1955 წლიდან ორ ათეულ წელზე მეტი (22 წელი) ვიმუშაე საზოგადოებრივი კვების და რესპუბლიკის მშენბანკში. პირველში 2 წელი, ხოლო ბანკის სისტემაში დაახლოებით 20 წელი. მათ შორის, 10 წელი იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელად, ხოლო მეორე 10 წელი გრძელვადიანი დაკრედიტების განყოფილების გამგედ.

ვინაიდან ჩემს განყოფილებაში რამდენიმე ეკონომისტი და ერთიც ინჟინერი მუშაობდა, გადავწყვიტე ეკონომიკური ფაკულტეტის დამთავრებაც, რის გამოც იურისტის დიპლომის საფუძველზე და პირველი კურსის საგნების ჩაბარების შემდეგ, 1962 წელს ჩავირიცხე უნიეერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის მეორე კურსზე (საღამოს დასწრებულზე), რომელიც დავამთავრე 1967 წელს და მომენიჭა ეკონომისტის კვალიფიკაცია.

უნიეერსიტეტში მეორედ სწავლის პერიოდში დაიწყო ორ ბუმბერაზს, დიდ მეცნიერებთან ჩემი შეხვედრები. მე როგორც მოწვრდილი სტუდენტი და ისინი როგორც ლეგენდარული პროფესორ მასწავლებლები – ბატონები: პაატა გუგუშვილი და ვასილ ჩანტლაძე. ჩვენ, სტუდენტებს ძალზედ გვიყვარდა ორივე აკადემიკოსის ლექციების მოსმენა.

სახელმწიფო გამოცდაზე ჩემი სადიპლომო შრომის დაცვის დროს ბატონმა პაატამ თვალი, რომ გადაავლი ნაშრომს და ამოიკითხა ჩემს მიერ წარდგენილ რეკომენდაციების საფუძველზე ხელისუფლების მიერ კანონმდებლობებსა და მოქმედ ინსტანციებში შეტანილი ცვლილებები და დანერგვები, ასე მომმართა: ყმაწვილო, თქვენი ნაშრომი ოდნავ რომ გაასარდოთ, შესავალს და დასკვნით ნაწილებს ცოტა რომ დაუმატოთ, უდავოდ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხს იმსახურებთ. ამიტომ, ჩემი თხოვნა იქნება მოხვიდეთ ჩემთან ინსტიტუტში და დაიწყოთ საკანდიდატო მინიმუმის საგნების ჩაბარება და დისერტაციაზე მუშაობა. ამის შემდეგ ჩემს სამსახურში კვლავ გავაგრძელე მუშაობა ჩვეულებისამებრ და პარალელურად ვცდილობდი ისევ პირვანდელი, იურიდიული პროფესიით პროკურატურის სისტემაში გადავსულიყავი სამუშაოდ. ცხადია ეს ნატვრა არ შემისრულდა, რაიკომისა და სამსახურიდან რესპუბლიკის პროკურატურის და იუსტიციის სამინისტროს წინაშე მათ სისტემაში სამუშაოდ ჩემი გადაყვანის შესახებ შუამდგომლობის მიუხედავად, მივხვდი რომ სამართალდამცავ ორგანოებში თანამდებობაზე დასანიშნად მარტო დადებითი დახასიათებანი და შუამდგომლობები არ ყოფილა საკმარისი.

ერთ მშვენიერ დღეს, ბანკში ცნობილი ეკონომისტი მეცნიერი, პროფესორი, ბატონი ნოე პაიჭაძე გვესტუმრა, რომელსაც ჩვენი ერთერთი თანამშრომელი მოჰყვა ჩემთან გასაცნობად. გაცნობის მიზანი ასეთი იყო: მას სურდა მცხეთაში სააგარაკოდ კერძო სახლის შეძენა. რამდენადაც ჩემი განყოფილების მეშვეობით გაიცემოდა კრედიტები, როგორც ინდივიდუალურ ბინათმშენებლობაზე, ასევე კოოპერაციულზე, ანუ საბინაო სამშენებლო კოოპერატივებზე, მე მომმართეს ვინმე მსესხებელი თუ ჰყიდდა თავის სახლს, ან ბანკი უპირებდა თუ არა ურჩ მსესხებელს ბინის გაყიდვას დავალიანების დასაფარავად.

სწორედ იმ დროს აღძრული იყო სარჩელი ერთ-ერთ ურჩ მსესხებელზე, რომელსაც სახლი თბილისშიც ქონდა და მცხეთაშიც, და ამასთან, უკვე დანიშნული იყო სახლის საჯარო ვაჭრობის წესით გაყიდვა მცხეთის სასამართლის მეშვეობით. ბინა სასამართლომ პროფესორ პაიჭაძეს შეასყიდინა. ამოღებული თანხის სხვაობა, რომელის დარჩა ბანკის სესხის დავალიანების დაფარვის შემდეგ დაუბრუნდა მსესხებელს. ამის შემდეგ, ამ ურჩ მსესხებელს გამოუჩნდა დამხმარეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რედაქციის ერთ-ერთი ჟურნალისტი და ადვოკატის მეშვეობით სასამართლოს დადგენილება გასაჩივრებულ იქნა უმაღლეს სასამართლო'ში საკასაციო კოლეგიაზე. აქ, რა თქმა უნდა, მომიხდა პროცესზე გამოსვლა და ბანკის ინტერესების დაცვა. საბოლოოდ, საქმე უმაღლემა სასამართლომ ბანკის სასარგებლოდ გადაწყვიტა და ძალაში დატოვა მცხეთის სასამართლოს დადგენილება.

ყოველივე ამის შემდეგ, ბატონი ნოე პაიჭაძე ჩამაცივდა, რომ შენ მეცნიერებაში უნდა მოღვაწეობდე და არა ბანკში, ამიტომ მე გაგიგეები ეკონომიკისა და სამაროლის ინსტიტუტში და ვთხოვ მის დირექტორს, პაატა გუგუშვილს, რათა მიგიღოს ინსტიტუტში საკანდიდატო მინიმუმის ჩასაბარებლად და შემდეგ ხელი შეგიწყონ დისერტაციის დასაცავად. მე, ბატონ ნოე პაიჭაძეს განვუცხადე, რომ ბატონი პაატა, ჯერ კიდევ როდესაც ეკონომიკურ ფაკულტეტს ვამთავრებდი, 1967 წელს, სახელმწიფო გამოცდაზე სადიპლომო შრომის დაცვისას მთხოვდა ცოტა მიმემატებინა სადიპლომო ნაშრომისათვის და საკანდიდატო დისერტაციად მექცია, მაგრამ აგერ უკვე რამდენიმე წელი გავიდა და მე არ მომიკითხავს. მოისმინა რა ჩემგან ეს ამბავი, აღარ მომეშვა და მეორე დღეს დილით წამიყვანა ინსტიტუტში ბატონ პაატა გუგუშვილთან შესახვედრად. დაიწყო რა ჩემი წარდგენა და რეკომენდაციის გაწევა, პაატა გუგუშვილმა უმალ შეაწყვეტინა და იგივე გაიმეორა, რაც მე მოვახსენე ჩემი სადიპლომო შრომის ირგვლივ.

ბატონმა პაატამ იქვე ტელეფონით დაურეკა აკადემიკოს ვასილ ჩანტლაძეს და სთხოვა ხელმძღვანელობა გაეწია ჩემთვის. ბატონი ვასო ჩანტლაძე, რა თქმა უნდა, დათანხმდა და პირობა აღუთქვა, რომ უსაოუოდ მობრძანდებოდა ინსტიტუტის საბჭოს სხდომაზე ჩემი დისერტაციის ხელმძღვანელად გაფორმებისათვის. ამრიგად, ორივე ამ ბუმბერაზმა ადამიანმა, რომლებიც ამაღე დროს ცხოვრებაშიც ოჯახებითაც ურთიერთ დიდი მეგობრები იყვნენ ყოველმხრივ ხელი შემიწყვეს რომ დისერტაციაზე მემუშაცა და დავიცავი კიდეც 1976 წელს. საგულისხმოა აღინიშნოს, რომ საერთოდ ყველა ღონისძიებები და საბჭოს სხდომები ტარდებოდა დირექტორის კაბინეტში ან ზოგჯერ პირველ სართულზე „ფოიეში“, ხოლო ჩემი საკანდიდატო დისერტაციის დაცვისათვის ბატონმა პაატამ სთხოვა ხელოვნების სახლის ხელმძღვანელობას სააქტო დარბაზი, რათა იქ შემდგარიყო ჩემი დისერტაციის დაცვა. აი ასეთი უაღრესად უდიდესი სულგრძელობა და უანგარო დახმარება გამიწია ბატონმა პაატამ. ასეთი უკეთილშობილესი, ობიექტური და უდიდესი დამხმარე იყო ყველასათვის, განურჩეველად გვარისა, სქესისა თუ რანგისა, უკეთუ დარწმუნდებოდა მის წინაშე მდგომის ნიჭსა და პატიოსნებაში.

ამიტომ იყო, რომ მკვიდრი ქართველების გვერდით მის ინსტიტუტში მოღვაწეობდნენ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები: ებრაელები, რუსები, სომხები და სხვა, უფროს მეცნიერთანამშრომლებად, თუ განყოფილების უფროსებად. თუმცა რა გასაკვირია, როდესაც თვით საქართველო და ქართველი ერი ითვლება მსოფლიოში ყველაზე სტუმართმოყვარე და ინტერნაციონალურ ერად და მათი მსგავსი არ არსებობს, გარდა ქართველი ებრაელებისა, რადგან 26 საუკუნის განმავლობაში ერთად ცხოვრებამ და ურთიერთშეხმატკბილებულად

ჭირისა და ლხინის გაზიარებამ ტყუპის ცალივით დაამსგავსა ერთმანეთს თავიანთი გმირული თუ ტრაგიკული ისტორიით, ორივე ეს ერი – ქართველი და ქართველი ებრაელი. საგულისხმოა აღინიშნოს, რომ დისერტაციის დაცვის შემდეგ კვლავ მშენბანკში გაეგრძელე მუშაობა. მითუმეტეს, ინსტიტუტის ხელმძღვანელობა მთხოვდა გადავსულიყავი მათთან სამუშაოდ, მაგრამ მე უფრო მიზიდავდა ბანკში მუშაობა და ნახევარ შტატში კი ბატონ ვასო ჩანტლაძის ფინანსებისა და კრედიტის კათედრაზე ლექციების კითხვა და კათედრის წევრობა, რაცა ადვილად შემძლებოდა ჩემი პირველი პროფესიით საგამომძიებლო სისტემაში ან სამართალდამცავ ორგანოებში მუშაობის გაგრძელება. ერთ მშვენიერ დღეს ბატონები: პაატა გუგუშვილი და ვასილ ჩანტლაძე ბანკში ვნახე მოსული სტუმრად. დაბეჯითებით ვერ ვიტყვი სპეციალურად მოვიდნენ ჩემთან თუ საერთოდ საქმეზე იყვნენ და ჩემთან გზად შემოიარეს კაბინეტში. ბატონმა პაატამ ნაწყენი კილოთი მომმართა: დისერტაცია ტყუილად დაიცავით, რატომ არ მოდიხართ ჩემთან ინსტიტუტში ძირითად შტატში სამუშაოდ. რა გაქვს აქ ხელფასი – შემეკითხა ბატონი პაატა. ვუპასუხე 250 მანეთი-მეთქი. ჩვენ 300-ს მეტს დაგინიშნავთ და უფროს მეცნიერთანამშრომლად იმუშაებთ, და თუ უარს გვეტყვი, მაშინ უდავოდ ვიფიქრებთ, რომ აქ შენ ქრთამებსაც იღებ ალბათო. ამის შემდეგ რა მორალით უნდა მეთქვა უარი. მეორე დღესვე გავინთავისუფლე თავი და მივაშურე ინსტიტუტს. ბანკმა განთავისუფლების მოტივი სხვა სამუშაოზე გადასვლა გააფორმა და ინსტიტუტმაც იმავე დღის ბრძანებით უფროს მეცნიერთანამშრომლად დამნიშნა. აი ეს ბუმბერაზი მეცნიერები, რომელთაც უდიდესი ავტორიტეტი გააჩნდათ ესოდენ მამაშვილურად მომეპყრნენ. ისინი ხომ ხშირად საოცრად თავმდაბლები და მიმტევებლებიც იყვნენ. და ამასთან, არ ერიდებოდათ შეცდომების აღიარებაც. სწორედ ასეთი, ნამდვილად ადამიანური ჩვეულებით იყვნენ აღჭურვილნი, მაგრამ ზოგიერთმა შურიანებმა და კარიერისტებმა, სადისმით დაავადებულებმა არა თუ შეიყვარეს, პირიქით, გულს ატკენდნენ ხოლმე უსამართლოდ, დაუმსახურებლად ექცეოდნენ. თუმცა, როგორც ნათქვამია, სანთელ საკმეველი თავის გზას არასდროს არ კარგავსო და აკადემიკოს ბატონ პაატას სანთელმაც იმდენად შორს გაიკვლია გზა, რომ გასცდა ქვეყნის ფარგლებს და მეცნიერების დიდმა არმიამ ცამდე აიყვანეს, ქება-დიდების შარაგანდებით შეამკეს და 100 წლის საიუბილეო თარიღი დიდი ზარ-ზეიმით აღუნიშნეს და ისეთი წიგნი მიუძღვნეს, მსგავსი რომ არავის ღირსებია. ბატონ პაატასადმი მიძღვნილი წიგნის ყველა ავტორმა თითქმის ერთხმად, სრული რწმენით დაადასტურეს, რომ ამ პიროვნებას არა მარტო მთელი კავშირის მასშტაბით იცნობდნენ და პატივს სცემდნენ სხვადასხვა დარგის მეცნიერები, არამედ ასევე დიდ პატივს სცემდნენ საზღვარგარეთ მთელი რიგი გამოჩენილი მეცნიერები. ამასთან ერთად, ასევე ერთხმად

აღიარეს, რომ ბატონ პაატას მიერ ახალგაზრდობის ასაკში თუ ხანდაზმულობისას გამოცემულ წიგნთა ტომებს გახუნება არ უწერია და თაობიდან თაობებს გადაეცემა სახელმძღვანელოდ და ცხოვრებაში გამოსაყენებლად. ყველას წერილებში, ასევე ერთხმად გამოსჭვივის, რომ ბატონ პაატას ობიექტურობას, პირდაპირობას და შეუპოვრობას, ქვეყნის და ერის საკეთილდღეოდ, სამწუხაროდ სიცოცხლეში ჯეროვნად ვერ აფასებდნენ და ხშირად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ გულს ტკენდნენ. ამიტომ ერთხელ კიდევ მსურს უღრმესი მადლობა გადავუხადო წიგნში მონაწილე ყველა ავტორს და წიგნის რედაქტორს, ბატონ ლეო ჩიქავას წიგნის გამოცემაში აქტიურ მონაწილეს ქალბატონ იზოლდა აბაშიძეს აკადემიკოს, ბატონ პაატა გუგუშვილის ესოდენ დიდი დაფასებისა და მისი სახელის უკვდავყოფისათვის. ამჯერად ნება მიბოძეთ ამით შემოვიფარგლო და დიდი ბოდიში მოვიხადო წერილების იმ ავტორებთან, რომლებმაც ჩემს გამოხმაურებაში ასახვა ვერ ჰპოვეს, თუმცა შეიძლება მათი წერილები შინაარსით არანაკლებია იმ წერილებზე რომლებსაც მე შევეხე. მიზეზი მხოლოდ ის არის, რომ ძალზედ ერცელი გამოძახილი გამომივიდა და შეეცადე დაეკმაყოფილებინა განხილულით.

მე ზემოთ იმის შესახებაც აღვნიშნე, რომ პირადად აღნიშნულ წიგნში მონაწილეობა არ მიმიღია, რადგან გვიან შევიტყვე მისი გამოსვლის შესახებ. ამდენად, გადავწყვიტე მოცემულ წიგნში, რომელიც ჩემი რეცენზიებია მთელ რიგ ავტორთა წიგნებზე მეც მიმეძღვნა ჩემი მოგონებანი და შეხედულება აკადემიკოს ბატონ პაატა გუგუშვილზე.

მიხეილ როკეტლიშვილი
იურისტი და ეკონომისტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი,საქართველოს ღირსების ორდენის კავალერი და თბილისის ერთგულების მედალოსანი

რეცენზია

პ.გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორ, პროფესორ რამაზ აბესაძის ნაშრომზე: "ეკონომიკური განვითარება"

სარეცენზიო წიგნი ეძღვნება უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ პრობლემას – ეკონომიკური განვითარების თეორიულ საკითხებს.

წარსულში ყოფილ საბჭოთა კავშირში, მათ შორის საქართველოში, ეკონომიკური განვითარების პრობლემების კვლევას ნაკლები ყურადღება ეთმობოდა. აქედან გამომდინარე, ეკონომიკური ლიტერატურა აღნიშნულ პრობლემასე საქართველოში თითქმის არ არსებობდა. ბატონ რამაზ აბესაძის წინამდებარე წიგნი ამ ნაკლოვანების აღმოფხვრის ერთ-ერთი სერიოზული მცდელობაა. მას საფუძვლად უდევს პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტში ავტორის მიერ შესრულებული შრომები და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაწეული პედაგოგიური საქმიანობა.

ავტორის სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ ნაშრომი მაღალ მეცნიერულ დონეზეა შესრულებული. მასში საფუძვლიანადაა განხილული ისეთი საკითხები, როგორიცაა: ეკონომიკურ განვითარებას, ეკონომიკურ ზრდასა და ეკონომიკური სისტემის ელემენტებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ; ეკონომიკური განვითარების თეორიები; ეკონომიკური განვითარების მაჩვენებელთა სისტემა. ნაშრომში ვრცლად არის მოცემული ეკონომიკური განვითარების ფაქტორების (ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი, ფიზიკური კაპიტალი, ტექნოლოგია, მეცნიერება, გამო-გონება, ინოვაციები, ადამიანისეული კაპიტალი, ინსტიტუციური ცვლილე-ბები, ეკოლოგიური ცვლილებები და ა.შ.) მეცნიერული ანალიზი.

ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია ავტორის დასკვნა იმის შესახებ, რომ ეკონომიკურ განვითარებას ადგილი აქვს არა მხოლოდ განვითარებად ქვეყნებში, არამედ ნებისმიერ ეკონომიკურ სისტემაში. აქ მხოლოდ ეკონომიკური განვითარების მიზნები და ამოცანები განსხვავდება ერთმანეთისაგან. ნაშრომში ავტორს გამოკვლეული აქვს ის სპეციფიკური თავისებურებანი რომლებიც ახასიათებთ ეკონომიკური განვითარების ტენდენციებს განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებში,ასევე პოსტ-კომუნისტური ტრანსფორმაციის დროს.

წიგნი წარმოადგენს დამხმარე სახელმძღვანელოს ეკონომიკური პროფილის უმაღლესი სასწავლებლებისა და ფაკულტეტებისათვის შესაბამისი სასწავლო კურსის შესასწავლად.

ამრიგად, პროფესორ რამაზ აბესაძის წიგნი ფრიად მნიშვნელოვანი შენაძენია ქართულ ეკონომიკურ მეცნიერებაში.

აქეე, მსურს მკითხველს წარუდგინო ბატონი რამაზი. იგი დაიბადა 1952 წლის 14 მაისს. 1974 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტი, 1999 წლიდან არის ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, იგი არის საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, დაჯილდოებულია საქართველოს ღირსების ორდენით.

მიხეილ როკეტლიშვილი
იურისტი და ეკონომისტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი,საქართველოს ღირსების ორდენის კავალერი და თბილისის ერთგულების მედალოსანი

გამოძახილი
ნიუ იორკის მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის როზეტა ასათიანის წიგნზე:
„პატარა ქვეყანას დიდი შეცდომის უფლება არა აქვს“

ვინც აღნიშნული წიგნის თუნდაც სათაურს, წინასიტყვაობას, სარჩევს და აგრეთვე წერილების და სტატიების სახელწოდებებს წაიკითხავს უმალ უდიდესი შთაბეჭდილებებით და მადლიერების გრძნობით გაიმსჭვალება ავტორის მიმართ, ესოდენ ღრმაშინაარსიანი, მრავალ პრობლემის გადასაჭრელი, მაღალი დონის წიგნის გამოქვეყნებისათვის.

ავტორი, როგორც თავისი მოკლე წინასიტყვაობით გვამცნობს, კრებულში თავმოყრილია საუურნალო და საგაზეთო პუბლიკაციები, რომლებიც ძირითადად ეხება საქართველოს უახლესი ისტორიის უმნიშვნელოვანეს მონაკვეთში (1991-2003 წლებში) ქვეყნის ეკონომიკაში მიმდინარე წინააღმდეგობებით სავსე ღრმა სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებს.

ამასთან ერთად, რაც მთავარია, წიგნში განმარტებულია ამ ურთულეს პერიოდში წამოჭრილი პრობლემების როგორც გამომწვევი მიზეზები, ასევე მათი გადაჭრის გზები.

საგულისხმოა ისიც, რომ ნაშრომში შეტანილია ავტორის სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი სხვა მასალებიც.

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ყოველი სტატია თუ წერილი, რომელიც არ უნდა გადაიკითხოს მკითხველმა ნათელ წარმოდგენას შეუქმნის ყველას, რა რანგის და რა სფეროს წარმომადგენელიც არ უნდა იყოს იგი: მწერალი თუ მეცნიერი, სამეურნეო დარგის მუშაკი თუ უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენელი. უთუოდ იმდენად ღრმა შინაარსობრივი და მნიშვნელოვანია ჭეშმარიტად პატრიოტული, და ამასთან ქვეყნის და ერის საკეთილდღეოდ მიმართული, სურვილი აღგეძერის ღმერთს შეავედრო, რომ საქართველოს უმრავლოს როზეტა ასათიანის მსგავსი მეცნიერი ქალბატონები. ჯერ თვით სათაური როგორ გენიალურადაა შერჩეული და რაოდენ სინამდვილე ჟღერს მის შინაარსში.

ყველაზე უდიდეს, უძლიერეს და მდიდარ ქვეყანასაც კი რაოდენ ძვირად უჯდება ყოველი შეცდომის დაშვება და, მითუმეტეს, ყველაზე პატარა ქვეყანას, საქართველოს, და ისიც დღევანდელ დუხჭირ მდგომარეობაში მყოფს, რომლის ერის თითქმის მესამედი გასულია საზღვარ-

გარეთ სარჩოს საშოვნელად, ცხადია მართლაც, რომ არ აქვს დიდი შეცდომის დაშვების უფლება.

ქალბატონი როზეტა ასათიანის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მის ყოველ პუბლიკაციას, წერილს თუ სტატიას და, მითუმეტეს წიგნს, ახასიათებს არა მარტო აღწერილობითი ხასიათი, არამედ პოლიტიკასა თუ ეკონომიკაში არსებული მდგომარეობის გამომწვევი მიზეზების და მათი გამოსწორების და გადაჭრის გზების ჩვენება. ასევე წინა პლანზე აქვს წამოწეული, როგორც დადებითი, ისე ნაკლოვანი მხარეები ყოველგვარი მორიდების გარეშე და სრული პირდაპირობით, სულეროთია ეხება იგი რიგით მუშაკს თუ დიდი ეშელონების ხელმძღვანელებს.

ქალბატონი როზეტა ასათიანი მეცნიერების ისეთი დიდი კორიფეების, ლეგენდარული პიროვნებების, მეცნიერთა მიერ არის აღსრდილი, მეტად გამოწრთობილი და ოჯახიც ისეთი გააჩნდა აწ გარდაცვლილი მეუღლის, უსაყვარლესი ცნობილი მეცნიერის, ბატონ გიორგი ადეიშვილის სახით, რომ მისი რჩევა-დარიგებანი და რეკომენდაციები უდავოდ ჭეშმარიტი და განსახორციელებელია.

ნიშანდობლივია ისიც, რომ ქალბატონი როზეტა შეეცადა მკითხველს დიდი დრო რომ არ დაეკარგა და ადეილად გარკვეულიყო ქვეყნის და საზოგადოების პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობაში საცდელ და საკვლევ პერიოდად აირჩია სწორედ ყველაზე საინტერესო პერიოდი, სახელდობრ; ეს იყო წინააღმდეგობებით აღსავსე (1991-2003) წლების პერიოდი, როდესაც დაიწყო ყოფილ საბჭოთა კავშირში არსებული რესპუბლიკების დამოუკიდებელ ქვეყნებად გამოყოფა და მათში ეკონომიკური რეფორმების გატარება.

თავის წინასიტყვაობას ავტორმა შესანიშნავი სიტყვები წარუმძღვარა: „ჩემი ხატია სამშობლო, სახატე მთელი ქვეყანა“, რის შემდეგ გეინმარტავს, რომ ყოველ ადამიანს სამშობლოსადმი დამოკიდებულების გამოხატვის თავისებური ფორმა აქვს.

ზოგიერთი მას მომხმარებელის თვალით უყურებს, ზოგიერთისთვის კი იგი დედა სამშობლოა. ადამიანთა პირველი კატეგორია მხოლოდ იმაზე ფიქრობს, თუ რას მისცემს მას სამშობლო, და არა იმაზე, თვით რას გასცემს მისთვის, მაგრამ იქვე შენიშნავს ქალბატონი როზეტა „საქართველოში პოსიტიური ყოველთვის სჭარბობდა და ასეა დღესაც. სწორედ ამან გადაარჩინა საქართველო და ამაშია მისი ძლიერების წყარო“.

„ქვეყნის კეთილდღეობაზე, მის ტკივილსა და იარებზე ბევრს მსჯელობენ, მიუთითებენ ნაკლოვანებებზე, მაგრამ მხოლოდ მტკივნეულ საკითხებზე გვესმის ლაპარაკი. პრაქტიკულად კი საქმეზე ნაკლებად ვრუნავენ, არადა ბევრად უფრო მეტ გონებრივ და ფიზიკურ ძალებს მოითხოვს დასძენს ქალბატონი როზეტა პრაქტიკული მოქმედება და

მისი სასიკეთოდ დაგეირგვინება. ამასთან, იქვე შენიშნავს იგი, რომ დღეს საქართველოში, ჩამოყალიბდა უარყოფის თავისებური მოდელი. არადა ქვეყანას სჭირდება საქმიანი, შედეგიანი კრიტიკა, რომელიც გზას გადაუკეტავს ყოველგვარ მანკიერებას.

„ისიც გასათვალისწინებელია, დასძენს ავტორი, რომ ჩვენი ეკონომიკა იმდენად არის დამძიმებული უწესრიგობით, რომ ესოდენ მოჭარბებული პრობლემების სწრაფად დაძლევა შეუძლებელია.

ჩვენი წარმატებების საფუძველი კი, უპირველს ყოვლისა, წესრიგი და დისციპლინაა“.

თემის დასაწყისშივე ავტორი ეხება რა საკუთრების განსახელმწიფოებრიობას, მის არსს, ფორმებსა და მეთოდებს, სწორად განმარტავს, რომ სახელმწიფო საკუთრების ბატონობამ ქვეყანაში განსაზღვრა შრომით კოლექტივებსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთდაპირისპირება, გამოიწვია წარმოების მუშაკთა ეკონომიკური აქტიურობის მკვეთრი დაცემა და მატერიალური სტიმულის ჩაკვლა. ასევე ფასწარმოქმნაში ღირებულების კანონის მოთხოვნათა უგულებელყოფამ, დასძენს ავტორი, და ამასთან იშველიებს ნობელის პრემიის ლაურეატის ჯ. მ. ბიუქენენის შეხედულებას, რომ ამა თუ იმ სახის საქონელსა და მომსახურებაზე პატერნალიზმის თვალსაზრისით ფასების დაწესებამ მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომი გახადა ისეთი საქონელი და მომსახურება, როგორიცაა პური, რძე, საქალაქო ტრანსპორტი, საბავშვო ბაღი, განათლება, სამედიცინო მომსახურება და ა.შ. მაგრამ მიღწეულ იქნა არა მოთხოვნა-მიწოდების ურთიერთმოქმედების, არამედ პოლიტიკური გზით, პოლიტიკური ფასების დაწესების საფუძველზე.

ავტორი სამართლიანად და დროულად მოგვაგონებს, რომ სახელმწიფო მონოპოლისტური სოციალიზმიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისას მასთან დაკავშირებული ახალი ეკონომიკური ურთიერთობის ფორმირება შესაძლებელია მხოლოდ საკუთრების სხვადასხვა ფორმის პირობებში, სადაც წამყვანი როლი მიენიჭება კერძო საკუთრებას, აგრეთვე მის სხვადასხვა კომბინაციას, ხოლო სახელმწიფო სექტორი იქნება ეკონომიკის მნიშვნელოვანი, მაგრამ რამდენადმე დაქვემდებარებული კომპონენტი.

იქვე სწორად შენიშნავს, რომ აღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო მეურნეობის სტაბილიზაციისა და საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის ძირითად მიმართულებად საკუთრების განსახელმწიფოებრიობაა მიჩნეული. იგი გულისხმობს სახელმწიფო ქონების უსასყიდლოდ გადაცემას, ან სხვადასხვა პირობით გაყიდვას, როგორც შრომით კოლექტივებზე, ისე კერძო პირებზე, კოოპერატივებზე, აქციონერებზე, საზღვარგარეთ მცხოვრებ პირებზე და სხვ. ამასთან, ავტორი შესანიშნავად განმარტავს, თუ რას ნიშნავს და რა მიზანს ისახავს განსახელმწიფოე-

ბრიობა. ეს ნიშნავს: წარმოების საშუალებებისა და წარმოების შედეგებისაგან უშუალოდ მწარმოებელთა გაუცხოების მოსპობას, მეურნეობის აგენტებსა და მათი საქმიანობის შედეგებს შორის დაკარგული კავშირურთიერთობების აღდგენას, ბაზრის პოზიტიური შესაძლებლობების აქტივიზაციას. ამით გზა გაეხსნება სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების განვითარებას, მეწარმეობის ფართოდ გაშლას. ყოველივე ამას მოჰყვება საზოგადოების სნეობრივი გაწმენდა, უკაირათობის და კორუფციის მოსპობა, შრომით საქმიანობაში ახალი ეკონომიკური სტიმულების შეტანა. დასასრულს ავტორი სამართლიან დასკვნას აკეთებს, რომ ყოველივე ამის შემდეგ იცვლება სახელმწიფოს ეკონომიკური როლი, სახელდობრ, იგი მოგვეელინება არა მხოლოდ როგორც მესაკუთრე და მეურნეობრივი სუბიექტი, არამედ როგორც ეკონომიკის რეგულატორი.

ავტორი ზუსტად ცდილობს გაგვარკვიოს და გაგვიადვილოს ეკონომიკის განსახელმწიფობრიობის საკითხი, რომელიც არც თუ ისე ადვილად გასაგებია, მითუმეტეს, თანამედროვე პირობებში, სოციალურ-ეკონომიკური წინააღმდეგობების გამწვავების ფონზე. როდესაც ჩვენ გვიხდება კაცობრიობის ისტორიაში ისეთი უპრეცენდენტო პრობლემის გადაწყვეტა, რომელიც დაკავშირებულია მრავალ სირთულესთან და რომლის ანალოგიც არ მოიძებნება მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიაში.

ავტორი იმაშიც მართალია, რომ დასძენს საზოგადოებაში მიმდინარე მწვავე დისკუსიის და სხვადასხვა ასპექტის შესახებ. რომ არ არის შეთანხმება ურთიერთ შორის – ძირეულ საკითხში – ეკონომიკურ სისტემაში წარმოების საშუალებების კერძო საკუთრების დაშვებისა და აუცილებლობის შესახებ. ამასთან, თვით ცივილიზაციის აქტიურ მომხრეებს შორისაც არ არის აზრთა ერთიანობა, მისი გატარების ფორმების, მეთოდებისა და ვადების შესახებ. მისივე შეხედულებით ეკონომიკურ ლიტერატურაში არსებული მრავალი წინადადებების განზოგადებით შეიძლება გამოეყოთ შემდეგი სამი ძირითადი, ერთმანეთისაგან პრინციპულად განსხვავებული ვარიანტი:

პირველი ვარიანტის მომხრენი გვთავაზობენ სახელმწიფო საკუთრების უსასყიდლოდ და თანაბრად გადაცემის იდეას საზოგადოების ყველა წევრზე ან იმ მუშაკებზე, რომლებიც დასაქმებულნი არიან შესაბამის საწარმოში.

პრივატიზაციის მეორე ვარიანტი ითვალისწინებს სახელმწიფო ქონების მასობრივ გაყიდვას.

პრივატიზაციის მესამე ვარიანტი გულისხმობს სახელმწიფოს ისეთი ორგანიზაციების შექმნას, რომელთა განკარგულებაში იქმნება პრივატებულ საწარმოთა საკონტროლო პაკეტი, ხოლო მათ ფარგლებში საწარმოები ხდებიან აქციების ჯვარედინი მფლობელნი. ასეთი ვარიანტი, როგორც ავტორი განმარტავს, ეყრდნობა იმას, რომ დაბალი

გადახდისუნარიანი მოთხოვნილების გამო მოსახლეობას არ შეუძლია სახელმწიფო საკუთრების ძირითადი ნაწილის გამოსყიდვა, ამიტომ რეალური პრივატიზაცია გადაეადდება შესაბამისი ფინანსური რესურსების დაგროვებამდე. ამ საკითხთან დაკავშირებით სწორად მსჯელობს ავტორი, რომ აღნიშნული პრობლემა ძალზე ღრმა და სერიოზულია, რადგან რამდენად სწორია მისი შეხედულებით საზოგადოების მიერ საუკუნეების განმავლობაში შექმნილი და მილიონთა სიცოცხლის ფასად დაცული ეროვნული სიმდიდრის ასეთი დენაციონალიზაცია? ამასთან, პიროვნება ყოველგვარი შრომის გარეშე მიიღებს სახელმწიფო ქონების წილს და გადაიქცევა, შეიძლება ითქვას, ნომინალურ მესაკუთრედ. როგორ გამოიყენებს მას და რა წვლილს შეიტანს წარმოების პროცესში? სახელმწიფო საკუთრების ასეთი უსამართლო განაწილების გამო მომავალმა თაობამ ხომ შეიძლება გაილაშქროს იმ მიზნით, რომ ხელახლა მოახდინოს სახელმწიფო ქონების გადანაწილება. იმის ცდა, რომ მესაკუთრე გახდეს ყველა მოქალაქე, გამოიწვევს ავტორის აზრით, მაროლაც იმათი ინტერესების შელახვას, რომლებიც რეალურად ქმნიან მატერიალურ ფასეულობებს, ეროვნულ სიმდიდრეს.

ავტორი, პროფესორი ქალბატონი როზეტა ასათიანი კიდევ უფრო ყრცელ და მეტად სამართლიან განმარტებას იძლევა. სახელდობრ, არც ის გზა მიაჩნია უნაკლოდ, როდესაც სახელმწიფო ქონება უსასყიდლოდ მხოლოდ სახელმწიფო საწარმოებში დასაქმებულებს უნდა გადაეცეს. „ასეთი უზურპატორული ღონისძიება, დასძენს იგი, მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებს მასწავლებლებს, ექიმებს და საეროდ ყველა იმ მუშაკს, რომელიც არ მუშაობს მატერიალური წარმოების სფეროში".

როგორც ჩანს, ესენი „სახელმწიფო ქონების არაეითარ წილს არ მიიღებენ, დარჩებიან ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე და ფაქტობრივად განცალკევებულნი და გაუცხოებულნი აღმოჩნდებიან საკუთრებისაგან. ეს პროცესი, თაობიდან თაობას გადაეცემა და მართლაც გამორიცხული არ იქნება, რომ კიდევ უფრო გაღრმავდება ხალხის ცალკეულ ჯგუფებს შორის წინააღმდეგობა და უთანხმოება, რადგან, მისივე შეხედულებით, ერთი ნაწილი მიიღებს საკუთრებას, ხოლო მეორე ნაწილი მოკლებული იქნება საარსებო საშუალებებს, ისიც გასათვალისწინებელია, რომ კარგად აღჭურვილი საწარმოს მუშაკები უფრო მეტი საკუთრების მფლობელნი აღმოჩნდებიან, ვიდრე ისინი, რომლებიც დასაქმებული არიან მოძველებულ, არარენტაბელურ საწარმოებში. რაც შეეხება ავტორთა უმრაელესობის მიმართ პროფესორი ქალბატონი როზეტა ასათიანი შენიშნავს: „მათი დასკვნით სახელმწიფო საკუთრების უსასყიდლოდ გადაცემის შემთხვევაში მოქალაქეებს (ბავშვებისა და პენსიონერების ჩათვლით) მათ წილ საკუთრებაზე უნდა მიეცეთ დოკუმენტი სერტიფიკატის, აქციის, თამასუქის და ა.შ. სახით.

აღნიშნულ ნაშრომში ავტორი როდი იფარგლება კონსტიტუციით. იგი საბოლოოდ იძლევა თავის შესაბამის რეკომენდაციებს, რაც უსათუოდ ქვეყნის ხელისუფლებისათვის გარკვეულ საფუძველს აძლევს, რომ დაინერგოს პრაქტიკაში ისინი, რათა თავიდან იქნეს აცილებული ამ რთული პრობლემის გადაჭრისას უხეში შეცდომები, რითაც ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან არცერთი არ არის დაზღვეული.

მეტად საგულისხმოა, რომ ავტორმა პრივატიზაციის პრობლემას რამდენიმე საჟურნალო სტატია დაუთმო, სადაც კონკრეტულად იხილავს მცირე ზომის საწარმოებს. გვირჩევს, რომ საჭიროა შეღავათების დაწესება, გამოყენებულ უნდა იქნეს მყიდველთა სტიმულირების სხვადასხვა ფორმა. მიზანშეწონილად მიაჩნია ფიზიკურად მოძველებული და არარენტაბელური ობიექტები, შიდასაკარხნო ინფრასტრუქტურა და სხვა უსასყიდლიდ გადაეცეს შრომით კოლექტივებს. აგრეთვე გვთავაზობს კრედიტის გამოყენებასაც მეტად შეღავათიან პირობებში, და ამასთან იმ პირებს, რომელთა ოჯახებსაც გასაბჭოების პერიოდში უსამართლოდ ჩამოერთვათ ქონება ნაწილობრივ მაინც დაუბრუნდეს იგი, ან სხვა ფორმით აუნაზღურდეთ. ნაშრომში ასევე მაღალ დონეზე აქვს განხილული საკითხები მსოფლიო ბაზარზე თუ როგორი საბანკო მომსახურება გატარდეს და, ამასთან, მცირე ბიზნესის დროს, როგორ დავძლიოთ მისგან წარმოქმნილი წინააღმდეგობები.

შემდეგ განხილული აქვს საკითხი ბირჟის შესახებ, მისი ფორმირება, რომ ნულიდან დავიწყეთ და რომ იგი ძალზე რთული და წინააღმდეგობებით სავსე პროცესია. მოგვიწოდებს, რომ მკაცრად უნდა იქნეს დაცული საბირჟო ეჭვრობის წესები.

ამ საქმეში, ავტორის შეხედულებით, სახელმწიფომ მარეგულირებელი როლი უნდა შეასრულოს, რაც მთავარია, შეიმუშაოს საბირჟო საქმის წარმოების კანონმდებლობა. აქვე მიმოიხილავს ხარვეზებს და იძლევა სამართლიან რეკომენდაციებს.

ნაშრომში მოთავსებულია ცნობილ ეკონომისტ მეცნიერთა რეცენზიები ავტორის ზოგიერთ ბოლო პერიოდის ნაშრომებზე. ამ მხრივ, გამორჩევა ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ირიდიონ ქვაჩახიას რეცენზია ავტორის 19 ფორმიან გამოკვლევაზე „მომსახურება და საბაზრო სისტემა“, თბილისი. 1993 წ. რეცენზენტი სრული პასუხისმგებლობით გამოთქვამს რა უდიდეს კმაყოფილებას ავტორის ხსენებული ნაშრომის გაცნობის გამო, ასე დასძენს: „ეს არის, ერთი მხრივ, მიზანსწრაფული და ნებისყოფიანი მკვლევარის უაღრესად გულმოდგინე და ხანგრძლივი, ბეჯითი შრომის შედეგი, მეორე მხრივ, ქართულ ეკონომიკურ მეცნიერებაში შესრულებული პირველი სერიოზული მონოგრაფიული გამოკვლევა, რომელიც თავისუფალია იდეოლოგიური დოგმებისაგან“. შემდეგ კელაე განაგრძობს რეცენზენტი, რომ მეტად

გონებამახვილურად და სხარტად ახასიათებს ავტორი საქართველოში დღეს არსებულ ექსტრაორდინალურ ვითარებას: ეს სიტუაცია არა მხოლოდ „ფრიდმენამდელი", არამედ „კეინსიამდელი", კიდევ მეტი „სმითამდელიცაა". არსებული ვითარების გაგება და მკაცრი შეფასება ის საიმედო ფუნდამენტია, რომელსაც ავტორს თავისი გამოკვლევა აუგია. მას მიზნად დაუსახავს საბაზრო სისტემაში მომსახურების მაკრო-ეკონომიკური ასპექტების შესწავლა და მის საფუძველზე ჩვენი ქვეყნის მომსახურების სფეროში ახალი საბაზრო მექანიზმის ფორმირებასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება. ნაშრომის ყოველმხრივი შესწავლის საფუძველზე რეცენზენტი, ბატონი იროდიონ ქვაჩახია შენიშნავს, რომ „გამოკვლევა იწყება ბაზრის ფენომენის ახსნით, რასაც მოსდევს საუბარი მომსახურების ბაზრის მექანიზმზე. მასში მოცემულია გაერო-ს საერთაშორისო სტანდარტული დარგობრივი კლასიფიკაციისა და ეროვნული ანგარიშების სისტემის საფუძველზე მომსახურების სფეროს დარგობრივი სტრუქტურის, მომსახურების სახეებისა და ტიპების ანალიზი. ნაშრომში ნაჩვენებია მომსახურების სფეროს წილი მოწინავე ქვეყნების მთლიან ეროვნულ პროდუქტსა და დასაქმებულთა რიცხოვნებაში, ახსნილია ამ სფეროს განვითარების პირობები და კანონზომიერებები".

მონოგრაფიაში განსაკუთრებული ადგილები ეთმობა მომსახურების სფეროს მნიშვნელობას მოწინავე ქვეყნების ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაში, რეცენზენტის მიერ მონოგრაფიის მრავალი კუთხით დადებითი შეფასებებიდან გამოვყოფდით კიდევ მხოლოდ ორს მათ შორის და ესეც საკმარისი იქნებოდა მონოგრაფია მიგვეჩნია საქართველოსათვის ჰაერივით საჭიროდ მასში წარმოდგენილი რეკომენდაციების ცხოვრებაში გასატარებლად.

მკვლევარის მიერ შემოთავაზებულ სამომხმარებლო მოდელში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა მომსახურების სფეროს პრივატიზაცის, მცირე ბიზნესის ფართოდ გავრცელების, საქმიანი მომსახურების, იმპორტის და სხვა აქტუალურ საკითხებს.

დასასრულს, რეცენზენტის საბოლოო შეფასება ასეთია: „ეს არის დასრულებული მეცნიერული გამოკვლევა, ხანგრძლივი შემოქმედებითი შრომის ნაყოფი, რომელშიც თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკური აზრის მიღწევათა დონეზე განხილულია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით ჩვენთვის უაღრესად აქტუალური საკითხები. პროფესორ რიზეტა ასათიანის წიგნი დიდ დახმარებას გაუწევს როგორც საბაზრო ეკონომიკის პრობლემებით დაინტერესებულ სპეციალისტებს, ისე

ეკონომიკური თეორიის მასწავლებლებს და ამ თეორიის შემსწავლელ ახალგაზრდობას[1].

აღნიშნულ წიგნში მოცემულია სტატია, რომელიც ავტორს გამოქვეყნებული ჰქონდა 1999 წელს № 2 ჟურნალში, რომლის სახელწოდებაა „ეკონომიკური რეფორმები დღეს“ სათაურით: „რეფორმა საქართველოში, ქალთა როლი საბაზრო ეკონომიკაში“. სტატია მოიცავს მთელ რიგ საყურადღებო რეკომენდაციებს. სიტყვები წარმოთქმულია სხვადასხვა დროს საერთაშორისო კონფერენციებსა თუ ობილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ეკონომიკური თეორიის კათედის გამგის არჩევნებთან დაკავშირებით. აგრეთვე სტატია ჟურნალ „მაკრო მიკრო ეკონომიკა“-ში № 8, რომელიც 2000 წელს გამოქვეყნდა სათაურით: ეკონომიკური რეფორმები საქართველოში; ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან. ცხადია ყველა ზემოჩამოთვლილ სტატიებში უდაოდ პრობლემური საკითხებია განხილული და ისიც უაღრესად ყოველმხრივ მაღალ დონეზე. განსაკუთრებით უკანასკნელში გაანალიებულია ეკონომიკური რეფორმის დაწყებიდან 10 წლის განმავლობაში გატარებული ღონისძიებები და გაკეთებულია სათაანადო დასკვნა.

სახელდობრ, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის წარუმატებლობის მიზეზი რომელიც დადგენილ იქნა იყო მრავალი. აქედან ავტორმა გამოყო მთავარი და არსებითი, რაც გახდა ბევრი სხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზის წარმოქმნის საფუძველი.

XX საუკუნე ორი უდიდესი ეკონომიკური ექსპერიმენტითაა ცნობილი. პირველი ე.წ. სოციალისტური ექსპერიმენტი, რომელიც 70 წელი გრძელდებოდა და კრახით დასრულდა და მეორე, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ექსპერიმენტი. პირველის შეფასებისაგან ავტორი თავს იკავებს, ვინაიდან მისი სწორად შეფასებისათვის დროა საჭირო, რათა უფრო ობიექტურად მოხდეს მისი შეფასება. ეს დრო კი ჯერ არ დამდგარა. რას შეეხება მეორე ექსპერიმენტს, კარგი პირი არ უჩანს. მან გაცილებით მეტი პრობლემა წარმოშვა, ვიდრე გადაწყვიტა, განსაკუთრებით სოციალურ სფეროში. პირველ ყოვლისა, აუცილებელია ვიმსჯელოთ იმ მიზეზებზე, რომლებმაც 10 წლის განმავლობაში საქართველოში მწვავე საბიუჯეტო პრობლემები წარმოშვა და კიდევ უფრო გაავრმავა ეკონომიკური კრიზისი. ამ მიზეზებს ავტორი ორ ჯგუფად ჰყოფს. 1) ჩვენგან დამოუკიდებელი, გარედან თავს მოხვეული და 2) ჩვენგან გამომდინარე. მისივე შეხედულებით საერთოდ ეკონომიკური რეფორმების წარმატება თუ წარუმატებლობა დიდად არის დამოკიდებული იმ მოდელზე, რომელიც ქვეყანამ სისტემური გარდაქმნის, ეკონომიკური

[1] სარეცენზიო წიგნი გვ. 135

რეფორმირების საწყის ეტაპზე უნდა აირჩიოს. ეს არჩევანი გააკეთა საქართველომ, ოღონდ იგი ძალზე არაოპტიმალური აღმოჩნდა ჩვენი ქვეყნისათვის, ისევე როგორც ჩვენს მდგომარეობაში მყოფ სხვა ქვეყნებისათვის. ახალი ეკონომიკური სისტემის ფორმირების მოდელი ვაშინგტონში შემუშავდა. ეს არის ლიბერალურ მონეტარისტული მოდელი, რომელიც ძვირი ფულის პოლიტიკაში აისახა და ორთოდოქსული მაკროსტაბილიზაციის სახელწოდებითაა ცნობილი. მას წინ უძღოდა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის „შოკური გზა“, რომელიც ასევე ვაშინგტონში მიღწეული შეთანხმების საფუძველზე განხორციელდა. ამ მოდელმა, როგორც დასძენს ავტორი ვერ გაამართლა ვერც საქართველოში და ვერც სხვა ექსკომუნისტურ ქვეყნებში. შედეგიც ნათელია. იგი თვით ე.წ. პოსტვაშინგტონის კონსესუსმაც კი უარყოფითად შეაფასა. საინტერესოა ავტორის შეხედულება ჩინეთზე. „საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის სრულიად განსხვავებული გზა აირჩია ჩინეთმა, რომელიც დღეს აღმავლობას განიცდის. განვითარების შედეგების მიხედვით სურათი რადიკალურად განსხვავებულია ჩინეთსა და „შოკური“ გზით მიმავალ ქვეყნებში[1]“. ამ ჩინურ გზას ავტორი ასეთნაირად გეიხასიათებს: იგი გამორიცხავს უკიდურეს რადიკალიზმს და უშუალოდ გათვლილია ქვეყნის წარმოებრივი პოტენციალის განვითარებაზე. მისთვის დამახასიათებელია ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის მნიშვნელოვანი შენარჩუნება საინვესტიციო და პროგრესული სტრუქტურული პოლიტიკის გატარებით, ეროვნული მეწარმეობის სტიმულირებით, სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის საკვანძო სფეროების მართვის შენარჩუნებით, წარმოების მოდერნიზაციითა და ა.შ. ძველი ეკონომიკური სისტემის ელემენტების გამოყენების საფუძველზე თანდათანობითი, ევოლუციური გზით გარდაქმნა. ამასთან, აღნიშნავს ავტორი, ეს მოდელი გათვლილია ერთობლივი მიწოდების ზრდისა და სამამულო წარმოების პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე. აქედან გამომდინარე, ავტორი მეტად სწორ დასკვნას აკეთებს, რომ საბაზრო ეკონომიკაზე ევოლუციური გზით გადასვლის შესაძლებლობა ჩვენ ხელიდან გავუშვით.

ამასთან, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად აქცენტი საგარეო ვალზე გააკეთა. საგარეო ვალის გაზრდამ საქართველოს ეკონომიკა მჭიდროდ დამოკიდებული გახადა მსოფლიო ორგანიზაციაზე და საერთოდ, მსოფლიო საფინანსო ბაზრების კონიუნქტურაზე, რამაც ხელი შეუწყო სახელმწიფო ხარჯების არარაციონალური სტრუქტურის ჩამოყალიბებას.

ინფლაციის დათრგუნვას უნდა შეექმნა პირობები ეკონომიკაში ინვესტირების გადიდებისათვის, მაგრამ არსებული ეკონომიკური

[1] ხსენებული წიგნი. გვ. 346.

პოლიტიკა და, თუ გნებავთ, პოლიტიკური გარემო ხელს უშლის ეკონომიკის განვითარებას.

ქართულ ეკონომიკურ პოლიტიკაში, როგორც ავტორი დასძენს, თავი იჩინა დაგეგმარების ეფექტმა; ჩვენ მისწრობრივად ვერ გამოვიყენეთ ის შეღავათიანი კრედიტები და გრანტები, რომლებიც ნაკადებად მოედინებოდა საქართველოსაკენ. დღეს ეს შესაძლებლობას ფაქტობრივად ამოწურულია. ყოველივე ეს, და სხვა ნეგატიური ფაქტორი, მათ შორის, კორუფცია ხელს უშლის ქვეყნის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას.

ზემოაღნიშნულ საკითხთა შორის ავტორი დასასრულს კრიტიკულად მიუდგა და არასწორად ჩათვალა საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს ჩამოყალიბება, რომელიც ეერავითარ დადებით შედეგს ვერ მოგვიტანსო და ამდენად, სრულიად დაუშვებლად მიიჩნია მისი ფინანსთა სამინისტროს შემადგენლობიდან გამოყოფა ცალკე სტრუქტურად – თუ კი, მითუმეტეს, მექანიზმი არ ამოქმედდებოდა.

სტატია საბოლოოდ დამაიმედებელი სიტყვებით დაამთავრა.

ერთხელ კიდევ მსურს გავიმეორო, რომ მოცემული წიგნი კიდევ იმითაა მეტად საინტერესო და შთამბეჭდავი, რომ მასში მოთავსებული თითოეული წერილი, მოხსენება თუ ცნობილ მეცნიერთა მიერ ავტორის ნაშრომებზე მიძღვნილი რეცენზიები იმდენად დადებითი, ღრმა შინაარსიანი და სასარგებლოა, რომ შეუძლებელია მკითხველმა არ მოიწონოს და ხელისუფლების უმაღლესმა ორგანოებმაც ცხოვრებაში არ დანერგოს.

რაც შეეხება თვით ავტორის მიერ რომელიმე მეცნიერის საიუბილეო თარიღის აღსანიშნავ შეკრებებზე თქმული სიტყვები თუ მათ ნაშრომებზე მიძღვნილი რეცენზიებიც იმდენად დასაბუთებული, ობიექტური და მაღალ დონეზეა განხილული, რომ როგორც დამსწრე საზოგადოებას, ასევე მკითხველებს მთელი სიცოცხლის მანძილზე თან გაჰყვებათ და დაამახსოვრდებათ.

დასასრულს, მსურს მოვუწოდო ყველა ქართველ მკითხველს, რომ თუ სურს გაერკვეს და არსებითად გაითვითცნობიეროს თავისი მშობლიური ქვეყნის, საქართველოს თანამედროვე ეკონომიკური მდგომარეობა და მისი კრიზისიდან გამოსვლის გზები, ოღონდ თავიდან ბოლომდე გადაიკითხოს პროფესორ რ. ასათიანის ხსენებული წიგნი, რომლის სახელწოდებაა: „პატარა ქვეყანას დიდი შეცდომის უფლება არა აქვს“. ასეთი თხოვნით იმისათვის მოგმართავთ, რომ ყოველად შეუძლებელია რეცენზიამ რა მოცულობისა და რა დონის იყოს იგი, სრულად ასახოს ნაშრომში მოცემული ყველა დებულების და რეკომენდაციების მნიშვნელობა.

ასეთ შემთხვევაში, და მითუმეტეს მოცემული ნაშრომის ირგვლივ ყოველი კარგი და მნიშვნელოვანი, რომ აღმენიშნა მომიხდებოდა მთლიანად წიგნის გადმოწერა. ამდენად, ისღა დამრჩენია, ვუსურვო ავტორს მწვანე გზა ჰქონოდეს ყველა მის ნაშრომებში წარმოდგენილ

რეკომენდაციებს და თვით მას კი თვალნათლივ ეხილოს საქართველო კვლავ აყვავებული და აღორძინებული, როგორც ეკონომიკურად, ასევე პოლიტიკურად იმ დონემდე, რომ იგი თვით გამხდარიყოს სხვათა, მთელი რიგი ქვეყნების დამხმარე და ქველმოქმედი. ხოლო იმ ქვეყნებს კი, რომლებიც საქართველოს აუგად იხსენიებენ და თვალში ეჩხირებათ, ვუსურვებ: მათი ქალები სამუშაოს საძებნად საქართველოში ჩამოსულიყვნენ

ქართველ ერს კი ვუსურვებ მათთვის ჩვეული მაღალი კლასის მასპინძლობა გამოეჩინათ და ჩამოსული ქალები სტუმრად მიეღოთ და არ ემუშავებინოთ, ხოლო ყოველთვიური ხელფასის თანხა ჯილდოს სახით ეძლიოთ.

მიხეილ როკეტლიშვილი
იურისტი და ეკონომისტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი,საქართველოს ღირსების ორდენის კავალერი და თბილისის ერთგულების მედალოსანი

გამოძახილი
მწერლის, დრამატურგის და საზოგადო მოღვაწის, ქართულენოვანი გაზეთის „მენორა“ დამაარსებლის და მთავარი რედაქტორის, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, საქართველოს ღირსების ორდენის კავალერის, ბატონ გურამ ბათიაშვილის წიგნზე: „ვარ დარაჯი ჩემი ძმისა“

წიგნის შესავალ ნაწილში ავტორი აღნიშნავს, რომ დღეს ჩვენს მკაცრ დროში, ისე როგორც არასდროს, საჭიროა გვესმოდეს მოძმის გასაჭირი, ადამიანი იყოს დარაჯი თავის ძმისა. „და თუ ეს წიგნი მკითხველს კიდევ ერთხელ შეახსენებს, რომ არა მხოლოდ ერთი ებრაელია პასუხისმგებელი მეორე ებრაელის ბედის გამო, არამედ ყოველი ჩვენთაგანი უნდა იყოს დარაჯი თავის ძმისა, რომ ყოველი ადამიანის ღირსებას და სიცოცხლეს ისე უნდა ეუფრთხილდებოდეთ, როგორც ცეცხლზე შედგმულ რძეს. აი სწორედ მაშინ ჩავთელიდი ჩემს თავს ბედნიერად,“ დასძენს ბატონი გურამი.

მეტად საგულისხმო და ნიშანდობლივია, რომ ავტორი რატომღაც წიგნის წაკითხვას გვაწყებინებს „საბას“ სახელწოდებით. ანუ წიგნი იწყება სათაურით „საბა“. მე ეს გარემოება არ მაკეირვებს, რადგან კარგად ვიცნობ რა ავტორის კეთილ ბუნებას და მის ფაქიზ ამაღელვებელ გრძნობებს, უთუოდ მისანშეწონილად მიმაჩნია, რომ მან წიგნის საწყის სათაურად შეარჩია სწორედ სახელი საბა, რადგან კაცობრიობის ისტორიაში საბას მსგავსი ფაქტი არ გვახსოვს, რაც მისი ქმედობის ანალოგიური იყოს. ყოველ შემთხვევაში სხვა ერის შვილს ისეთი ფორმით და თავის განწირვით ებრაელი ერის დასაცავად საკუთარი სიცოცხლე მსხვერპლად გაეღოს, ისიც ულმობელ და უთანასწორო ბრძოლაში. ეს მხოლოდ ქართველი ერის შვილს შეეძლო, რომელსაც სახელად საბა ერქვა.

პირდაპირ საოცარია, თუ, როგორ საინტერესოდ იწყებს თხრობას წიგნის ავტორი ბატონი გურამ ბათიაშვილი:

„საქართველომ ერთი დიდი საბა იცის სულხან-საბა ორბელიანი. ქართველი ხალხი თითქმის არ გიცნობს შენ, საბა კლდიაშვილო, დიდი დავით კლდიაშვილის ახლობელო. არც ჩვენი ებრაელები გიცნობენ! თითო ოროლა კაცმა თუ იცის შენი ამბავი! უნდა გიცნობდნენ კია. ყველა უნდა გიცნობდეს, მთელი ქვეყანა, ქვეყნები! სულხან-საბაც გაიხარებდა შენით და იტყოდა, რომ შენ ხარ დიდი შვილი შენი ხალხისა. იგი მორჭმული წა-

ვიდა ამ ქვეყნიდან ომებდათოვლილი, ხანმოლეული, შენ კი ჭაბუკი კაცი, ოდესის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი".

რამდენი წელია თვალწინ მიდგას, დასძენს ავტორი, შენი სიცოცხლის ბოლო დღეები, რამდენი წელია მინდა დავწერო შენ'სე არა ის, რასაც ახლა ვწერ, არამედ პიესა, იქნებ რომანიც კი, მაგრამ ...

„თვალწინ მიდგას ოდესა, 1905 წელი, დიდი უბედურება ტრიალებს ქალაქში ლამის სისხლმა წალეკოს ოდესის ქუჩები, ებრაელთა სისხლმა. კვლავ დაიწყო რბევა საბრალოთა. რბევას ვინ დაგიდევს, საცხოვრებლისა და საწოლის გადაქცევას, ან ფერფლად ქცევას ვინ ინაღვლებს რახან ღმერთმა ასე გასწირა, არაფერს სჩივიან საბრალონი ოღონდ გადარჩნენ, ოღონდ რამენაირად გადაურჩნენ ქვეყნის „პატრიოტ" ბრბოს, რომლებიც გაიძახიან „დაჰკათ ებრაელთ და იხსენით რუსეთიო." ყოველთვის ასე იყო, ასე მოსდგამთ: როცა თავად გაუჭირდებოდათ ებრაელებს დაჰკარით და სამშობლო იხსენითო."

თავიანთ სულში რომ ჩაეხედათ, თავად რომ ეფიქრათ, თუ რა და რატომ სჭირთ, იქნებ, მართლაც, სწეოდნენ ბედს, იქნებ უკეთ წასელოდათ საქმე. არა! ამიტომ მისდევდნენ სხვებს, რომ მათი მოკლე ჭკუით ვიღაც ხომ უნდა იყოს ბრალეული, ქვეყანა, რომ დასნეულდა, ვიღაცას ხომ უნდა მოეკითხოს!

„აი სწორედ ამ დროს, როდესაც იღერებოდა სისხლი ებრაელობისა, შენ სიმონეთელო საბა კლდიაშვილო, ქუჩაში გამოხვედი, რომ დაგეცვა ებრაელები!", აღნიშნავს ბატონი გურამი.

თვალწინ მიდგას ებრაელთა გაოგნებული სახეები, კვლავ აღნიშნავს ავტორი. ღმერთის მეტი არავინ გვიცავს, დღეს ჩვენი წივილი იმასაც კი არ ესმის და ვინ არის ეს ყმაწვილი ჩვენ მხარეს რომ დადგაო?! უცხო, უცნობი, შორეული, მაგრამ მაინც ჩვენ შორის ჩადგაო. თვით ის ბრბოც გაოცებული იყო, თავდამსხმელთა ბრბო, რომ შეხედეს სხვა რჯულისა და ერის ხალხს იცავს გმირი გამორჩეულიო, კვლავ წარმოუდგენლად მიიჩნიეს. თუმცა ასეთმა ბრბომ კარგად იცის თუ გამარჯვება გწადია, თუ სხვათა სისხლით გაძღომა გწადია, უწინარესად გმირები უნდა ჩამოიცილო გზიდან, რადგან ერთი გმირი ათასებს აძლევს ძალას, ათასებს ამხედრებს სიბნელის წინააღმდეგ. და ამის შემდეგ ავტორი კვლავ აღტაცებული და მგზნებარე გრძნობით მიმართავს გმირს: „და შენ იმერეთის ლურჯ და მშვიდ ცასავით ხასხასა სიმონეთში გაზრდილმა საბა კლდიაშვილმა, ქართველმა, ახალგაზრდა მეცნიერმა, ოდესის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტმა, გერმანიაში სამეცნიერო მივლინებიდან ახლახან დაბრუნებულმა, იარაღი აიღე ხელში, რომ დაგეცვა ჩემი ხალხი, რომ დაგეცვა ადამიანი და ოდესის ქუჩებში შეჩერებულიყო სისხლის ღვრა".

ავტორი, ბატონი გურამ ბათიაშვილი სვავს სამართლიან კითხვებს: რატომ? რისთვის? შენ ხომ არავინ გაგიალებდა, გარდა იმისა, რასაც ბავშვობიდან ჩაგაგონებდნენ, გასწავლიდნენ. ამ შემთხვევაშიც უაღრესად შემოქმედობითობას იჩენს ავტორი.

„მცირე გადახვევა და ესეც შენ გეხება საბავ ბატონო". ამ მცირე გადახვევით ავტორი შეეცადა ერთხელ კიდევ მოეგონებინა მკითხველისათვის, თუ რომელი ქვეყნის, ხალხის და ერის შვილი გახლდა საბა კლდიაშვილი, რომ მათ წიაღში აღზრდილი შვილი სხვაგვარად არ შეიძლებოდა მოქცეულიყო.

ამჯერად ვუბრუნდები ავტორის დანაპირებს, თუ რა მცირე გადახვევას გეპირდებოდა იგი:

„ქუთაისი ქართული თეატრის გაზაფხულის ქალაქია. აქ ყველაფერზე მეტად ქართული სიტყვა უყვარდათ და იმას ვისაც ქართული სიტყვა და თეატრი უყვარს, უყვარს ადამიანი".

„1901 წლის აპრილი. ქუთაისში საგასტროლოდ ჩამოდის რუსული დასი. ქუთაისმა პატივით მიიღო თეატრი. ისე მიიღო, როგორც ამ ქალაქს ეკადრება. 16 აპრილს დასი თამაშობს ს. ლიტვინისა და ფ. კრილოვის პიესას „კონტრაბანდისტები". მაყურებელი დაიძაბა - ებრაელობას სპექტაკლშიც ისე ექცევიან, რამაც იქ ოდესის ქუჩებში აღაშფოთა შენი სული".

„ქუთაისი ქუთაისია! ეს სიტყვების თამაში არ არის, ქუთაისი ყოველთვის ისეთი იყო, როგორიც უნდა ყოფილიყო თეატრის და პოეზიის ქალაქი, როცა მეორე მოქმედებაში მაყურებელმა ნახა, რომ სპექტაკლის აზრი არა გაჭირვებულთა, ბედკრულთა დაცვაა, არამედ კიდევ ერთი მოწოდება მაგათ დაჰკათ და სამშობლო იხსენითო, სიცილით კი არ მოიქციეს ყბები, ტაში კი არ დაუკრეს, არამედ ადგნენ ქუთათურები, სპექტაკლი ჩაშალეს და მოედანზე გავიდნენ, დემონსტრაცია მოაწყეს".

იმ ღამეს პოლიციამ 200 ქუთაისელი დააპატიმრა 200 ჰუმანისტი, 200 კაცთმოყვარე, "ვეფხისტყაოსნის" იდეებზე გაზრდილი 200 ქალი და კაცი დააპატიმრა და იცით ვინ იყო მათ შორის? ნიკო ლორთქიფანიძე!

„იქნებ შენც იქ ბრძანდებოდი, საბავ ბატონი, იქნებ შენც იმ 200 კაცში ერიე", ამ სიტყვებით მიმართავს ავტორი გმირს.

მეორედ რომ დააპირა თეატრმა ამ პიესის თამაში, მეორედაც რომ მოინდომეს სცენიდან დაეძახათ დაჰკათ ებრაელებს და სამშობლო იხსენითო, ქუთაისელებმა ფარდაც კი არ გაახსნევინეს და სპექტაკლი კელავ ჩაშალეს.

„ერთხელ რუსული დასი ჩამოვიდა. გასტროლები კარგად დაიწყო. მესამე საღამოს ანტისემიტური პიესა ითამაშეს. ისევ ებრაელებზე იყრიდნენ ჯავრს. დამსწრენი ჩუმად დაიშალნენ. მაგრამ მეორე დღეს თეატრს ეწვია ქალაქის დეპუტაცია და განუცხადა: ქუთაისში სხვა ერებს არასოდეს ამცირებენ, ამიტომ გთხოვთ ქალაქი დასტოვეთო. ავტორი

კითხვით მოგვმართავს: იცით ვინ მიუძღოდა ამ დეპუტაციას? და თვითონვე პასუხობს. ლადო მეხიშვილი! რა არის ეს ლეგენდა? სინამდვილე? ლეგენდა, რომელიც სინამდვილეში იღებს საფუძველს. სინამდვილე, რომელიც ლეგენდას ჰგავს. იქ კი, ოდესის ქუჩებში, დასძენს ავტორი, იცოდნენ, რომ უწინარესად გმირი უნდა მოაცილო ქვეყანას, ამიტომ ტყვია შუბლში მოგარტყეს. და შენ დაეცი როგორც დამცველი, დვინილის და შენი ერის წიაღში გულგამთბარი ხალხის".

შენი სისხლი დღესაც ხელებზე სცხია ყოველ შავრასმელს. ამბობენ მგლებმა ხვრიპეს ქუჩებში დაღვრილი ებრაელთა სისხლი. ვის დედა მოუკლეს, ვის მამა, სოგს ძმა ან და, შემთხვევით გადარჩენილნი ახლობელთა გვამებს ეძებდნენ.

„შენ კი საბა კლდიაშვილო, თეთრი გემით ჩამოგასვენეს საქართველოში ბათუმის ნავსადგურში, რამდენიმე მომტირალით. მთელი ბათუმის ხალხი სტიროდა „ლამაზი ბიჭის" სიკვდილს, მაგრამ აზრითა და გრძნობით საესე სიტყვა სერგო ქავარაძეს უთქვამს თურმე, და კიდევ ერთ ჯარისკაცს, ერთ საბრალო ებრაელ ჯარისკაცს! ამ ეპიზოდის ავტორი შესანიშნავი სიტყვებით ამთავრებს: „რა დღეში უნდა იყოს ხალხი, რომელიც თავის ერთადერთ დამცველს გულგანგმირულს ხედავს. ესეც ატირებდათ: გმირის დაღუპვაც და თავიანთი შავი დღეც. ბევრი მოსდევდა შენს კუბოს საბავ ბატონო, ძალიან ბევრი ცრემლიც დაიღვარა და ბედნიერებიც იყვნენ, რადგან კიდევ ერთი გმირი ემატებოდა ქართულ მიწას. მამულიშვილთა აკლდამაში შედიოდა კიდევ ერთი ძეგლი დასტური ხალხის სულიერი უსადობისა, სხვათა შემწყნარებლობისა".

„მრავალი მეხი დასცემია შენს სამშობლოს. ჭირიც მრავალჯერ მოსდებია სოგი შინაურთა, სოგიც გარეულთა მიზეზით, მაგრამ სხვებზე არასოდეს არაფერი გადაუბრალებია. ეს კარგად იცის ქვეყნიერებამ, იციან ხალხებმა". არა მგონია მკითხველო, რომელიმე არაქართველ ავტორს ასე შესანიშნავად დაეხასიათებინოს ქართველი ერის ეს ღმერთიდან ნაკურთხი ბუნება, როგორც ეს გამოხატა ბატონმა გურამ ბათიაშვილმა.

შემდგომ პარაგრაფში, რომლის სათაურია „სიყვარული გარემომცველი სამყაროსი", მოცემულია თარიღი 1936 წელი, როდესაც ჟენევაში ჩატარდა ებრაელთა მსოფლიო კონგრესი, რომლის ამოცანა ერთობ კეთილშობილური და ჰუმანურია. მასში გამოსჭვივის ებრაელი ერის არსებობისა და ერთიანობის განმტკიცებისათვის სრუნვა, აღნიშნულმა კონგრესმა ერთობ აქტიური როლი შეასრულა მეორე მსოფლიო ომის შემდეგდროინდელი ებრაული პოლიტიკის შემუშავებაში, მის აზრს ითვალისწინებენ სასავო ხელშეკრულებათა დადებისას. დღეს ებრაელობას ჰყავს თავისი წარმომადგენლობა გაეროში, იუნესკოში. თავდადებით წარმოებს ბრძოლა ანტისემიტიზმის წინააღმდეგ და სხვ.

ამ პარაგრაფში აღნიშნულია აგრეთვე კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენა 1592 წელს, თუმცა იმავე წელს ესპანეთში ააწიოკეს ებრაელობა. ამბობენ ამ აქციის მსხვერპლი 600 ათასი ებრაელი ყოფილა. აქვე ნახსენებია იმის შესახებაც, რომ პორტუგალიის პრეზიდენტმა მარიო სუარეშმა და ესპანეთის მეფემ ხუან კარლოსმა თქვეს, რომ დღევანდელმა ებრაელობამ აპატიოს ჩემს ხალხს ის ტანჯვა, რაც ესპანელთაგან ებრაელებმა ნახესო.

ისრაელის სახელმწიფო მაინც თავისებურად ებრძვის ანტისემიტიზმს. ეს თავისებურება კი იმაში გამოიხატება, რომ იგი თავისი ისტორიული სამშობლოსაკენ მოუხმობს ყველა ქვეყნიდან ებრაელობას, რათა გაზარდოს ებრაელთა რიცხვი ისრაელში. წიგნში მოტანილია მეტად საინტერესო ცნობა იმის შესახებ, რომ 1949 წლისათვის როცა ისრაელმა დამოუკიდებლობა მოიპოვა მოსახლეობა იყო 600 ათასი, 1995 წლისათვის მათი რაოდენობა 5 მილიონზე მეტი გახდა.

ცხადია, ბოლო 11 წლის განმავლობაში ეს ოდენობა კვლავ საგრძნობლად გაიზრდებოდა. წიგნში არსებითად აღწერილია ისრაელში ჩასულ რეპატრიანტთა უდიდესი სიძნელენი, სახელდობრ: უმრავლესობას აწუხებთ უბინაობა და უმუშევრობა; იძულებულნი არიან ხელისუფალნი, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი კარვებში განეთავსებინათ, ნაცელად ბინებისა.

წიგნის შემდეგ პარაგრაფებში მოცემულია მოყვასის სიყვარულის და ებრაული თვითშეგნების ამაღლების საკითხები. ებრაელთა დიდ წიგნში სიყვარული სამჯერ არის ნახსენები: გიყვარდეს ღმერთი, გიყვარდეს გარემომცველი სამყარი, გიყვარდეს მოყვასი. აქედან გამომდინარე, ავტორი შემდეგ დასკვნას აკეთებს: „დღევანდელ მსოფლიოს კი განსაკუთრებით მართებს სიყვარულისათვის ბრძოლა“. იქვე მოთხრობილია ავტორის მგზავრობის შესახებ ისრაელში, პოლონეთის და გერმანიის გავლით, სადაც რიგ სანახაობებთან ერთად, მათი ველ-მინდვრებიც მოინახულა. იმათი ველ-მინდვრები, დასძენს ავტორი, დიასახლისის მიერ საგულდა-გულოდ მოვლილ ეზო-კარს მოგაგონებდა. ყველაფერს მზრუნველი, გამრჯე, მოუღლელი კაცის ხელი ეტყობოდა. ჩვენი ეკონომიკური ჩამოეჩენის მიზეზი მხოლოდ ის არ უნდა ყოფილიყო, რომ მართვის სოციალისტური სისტემა გექონდა, იმათ კი საბაზრო ეკონომიკა.

ამიტომ, თუ შრომის მაღალი კულტურის დონეს არ მიაღწიე, ეკონომიკის სისტემის შეცვლა ვერაფერი პანაცეაა. ასე სამართლიანად აღნიშნავს ბატონი გურამი.

კონფერენციაზე ბრიუსელში შეეხნენ ანტისემიტიზმის საკითხსაც, ტოტალიტარული რეჟიმისაგან განთავისუფლებულ ქვეყნებში.

ბელგია თითქოს არ იოველება ანტისემიტურ ქვეყნად, პირიქით, აქ მუდამ ჰარმონიული, ტოლარენტული სულისკვეთება სუფევდა, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის წლებში ვერც მან გაუძლო ფაშისტური იდეოლოგიის დაწოლას და 25 000 ებრაელის დეპორტაცია (1942 წ.) მოახდინა. დღეს ამის გამო, სინდისი ქვიშნით მათ და იმ 25 000 ებრაელის ხსოვნის დამადასტურებლად ბრიუსელში აგებულია მემორიალი.

ავტორის მიერ წიგნში იმდენი სიღვა საინტერესო მასალაა შესული, რომ სარეცენზიო გამოძახილი ვერაფრით ვერ დაიტევს და შეუძლებელიცაა ყველა ამ მასალის აღწერა და სათანადო შეფასების მიცემა. ავტორს ყოველივე ამაში დიდ დახმარებას უწევდა ის, რომ იგი ხშირად მოგზაურობდა საზღვარგარეთის ქვეყნებში, როგორც პირადი ინიციატივით და პროფესიონალიზმის ნიშნით გამოწვეული, ასევე ხელისუფლების თხოვნით და საშუალება გააჩნდა პირადათ ეხილა და უშუალო მოწმე ყოფილიყო ყოველივე თვალსაჩინოების ამ კუთხით. ამასთან, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა საზღვარგარეთ გამართულ კონფერენციებსე თუ სიმპოზიუმებსე, ებრაელთა მსოფლიო კონგრესის მუშაობაში თუ სხვდასხვა თათბირებსე, ზოგჯერ თეატრალურ ფესტივალებსეც კი.

არ შემიძლია მკითხველის ყურადღება არ შევაჩერო წიგნის იმ პარაგრაფსე, რომლის სათაური გახლავს „ებრაული თვითშეგნების ამაღლებისათვის". პირდაპირ კმაყოფილების გრძნობით განიმსჭვალებით თითოეული ეპიზოდის, წინადადების, თუ ფრაზის წაკითხვისას. სახელდობრ, აღნიშნულია, რომ ვაშინგტონში მისი კონგრესის სხდომაზე ყოფნისას გამგეობის წევრებისადმი წერილობით მისალმების პირველი სტრიქონი გახლდა ემიგრანტებისადმი მიმართვა: „ჩამოხვედით მსოფლიოს ერთადერთ ზესახელმწიფოში". ამ ფრაზის გამო ავტორი სამართლიან განმარტებას იძლევა:

„ერთადერთი ზესახელმწიფო... ერთადერთობა უპირატესობას, სხვებზე ამაღლებას განაპირობებს. ერთადერთობა დაუსჯელობის სინდრომსაც ქმნის. ქვეყანაც ადამიანივითაა. თუ ადამიანი აცნობიერებს თავის ერთადერთობას, ე.ი. თავის უპირატესობას სხვებზე, არავინ იცის ეს გრძნობა შემდგომში რაში გადაიზრდება, ხვალ როგორ მოგვეელინება. არადა, დღეს ამერიკა, მართლაც ერთადერთი ზესახელმწიფო, ეს მსოფლიოს ახალი რეალობაა, რეალობა, რომელიც ალბათ, კიდევ მრავალი სიახლის წინაშე დაგვაყენებს".

იმავე პარაგრაფში ავტორი ეხება აგრეთვე მეორე მსოფლიო ომში ებრაელთა კატასტროფის ვაშინგტონის მუზეუმს, რომელიც დიდ კინკურენციას უწევს იერუსალიმის „იად ვა შემის" მუზეუმს.

თუ იერუსალიმში კატასტროფის ემოციურად აღქმაზე გადააქვთ აქცენტი, ვაშინგტონში ტრაგედიის ემოციური შეფასება მეორე პლანზეა. პირველ რიგში, ფაქტებით ზემოქმედებას ცდილობენ. ზოგჯერ კი ფაქტი,

დოკუმენტი, იმდენად ემოციურია, რომ ფაშისტურ საკონცენტრაციო ბანაკში ყოფნის სრული განცდა გეუფლება. მით უმეტეს, რომ იქ შექმნილია იმის სრული სურათი, რაც აღმოსავლეთ ევროპის ებრაელობამ გამოიარა 40-იანი წლებიდან გერმანიაში ფაშიზმის დამხობამდე. ისეთი ატმოსფეროა შექმნილი, რომ შედიხარ ნამდვილ კრემატორიუმში, წამების ოთახებში, სადაც გამუდმებით გესმის ხმები, ხმები მომაკვდავთა და ძალმომრეთა, ხმები განწირულთა და მომღიმართა. შემდეგ ნაწევნებია ის მონაცემები, რაც მოიპოვეს კატასტროფის მსხვერპლთაგან. არის აგრეთვე სურათი იმ გემის, ლეგენდარული პატარა გემის, რომლის მეოხებითაც დანიელმა მეზღვაურებმა უკვდავყვეს დანიის სახელი ებრაელთა ხსოვნაში. მათ ერთ ღამეში 8 ათასი სასიკვდილოდ განწირული ებრაელი ამ პაწია გემით შვეციაში გადაიყვანეს. პირდაპირ საოცრებად მიაჩნია ავტორს, რომ განა რამდენი რეისი უნდა გაეკეთებინა, რომ ერთ ღამეში ამდენი ადამიანის სიცოცხლე ეხსნა.

აი, რას ამოიკითხავთ კიდევ ხსენებულ წიგნში. ებრაელთა მსოფლიო კონგრესის სხდომებს ყოველთვის ესწრებიან ამერიკის პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი. მათი სიტყვები აღსავსეა ებრაელებისადმი პატივის-ცემით, იმ გზის თუ ისტორიის გამო, რომელიც ამ ერმა გამოიარა და იმ საგანძურისათვის, რომელიც ამ ერმა კაცობრიობას მისცა. ამასთან, როგორც ამერიკის პრეზიდენი განსაკუთრებით უსვავს ხაზს ამერიკის ებრაელობის როლს შეერთებულ შტატებში მეცნიერების, კულტურის, დემოკრატიისა და ბიზნესის განვითარების საქმეში. სწორედ მეცნიერება, დემოკრატია და ბიზნესი ეს სამი წყაროა ამერიკის ძლიერებისა. ამერიკა იმიტომ არის ძლიერი და დიდებული ქვეყანა, რომ იქ არ არიან დიდი და მცირე ერები, უფროსი და უმცროსი ძმები. ყოველი ერი ცხოვრობს, ვითარდება ისე, როგორც მას შეუძლია, და ქვეყანას აძლევს იმას, რისი მიცემაც მას შეუძლია. ეს არის ქვეყნის ერთგულება, ურთიერთგატანა და სიყვარული. იქვე ავტორი, ბატონი გურამ ბათიაშვილი აცხადებს, რომ რასაკვირველია ყველაფერს ერთ სტატიაში ვერ ჩატევ, ყველაფერს ვერ დაწერ, მაგრამ ერთ საკითხს მაინც არ მინდა გვერდი ავუაროო. ეს გახლავთ, დასძენს იგი, ადამიანის პრობლემა, ამა თუ იმ საზოგადოებრივ ფორმაციაში. საოცრად დამწყდა გული, როცა აღმოვაჩინე ადამიანი იქაც, უძლიერეს და უმდიდრეს ქვეყანაში, ამერიკაში, ისევე დგას მრავალი პრობლემის წინაშე, როგორც ჩვენთან საქართველოში. დასკვნასაც კი უაღრესად სამართლიანს აკეთებს, რომელსაც მკითხველს შევთავაზებ, ხოლო ბოლოში ჩემს შეხედულებასაც დავურთავ, რათა უფრო დამაჯერე-ბელი და აბსოლუტურად სწორად და მისაღებად წარმოვაჩინო ავტორის ხსენებული დასკვნა.

„იქნებ, ასეთი შთაბეჭდილება იმან შემიქმნა, რომ ჩვენ, ძალზე ხედაპირულად ვიცნობით დასავლეთს საერთოდ. იქნებ, ისიც იყო მიზეზი,

რომ ამერიკის (ისე როგორც დასავლეთის) ყოფა უცნაურად გეკონდა გაიდეალებული? ან იქნებ, ისიც რომ ჩვენ ვერ დაგვიფასებია ის ადამინური ურთიერთობები, სულიერი კაეშირი ადამიანებს შორის, რომელიც საქართველოში გვქონდა?"

აი რას გულისხმობდა ბატონი გურამი, როდესაც ადამიანის დათრგუნველობაზე ლაპარაკობდა: „იყო საბჭოთა რეჟიმი, სისტემა, რომელიც თავისი ცენზურით მკაცრად განსაზღვრული, ცხოვრებაში ბრიყვულად გატარებული დებულებებით თრგუნავდა ადამიანს, მის მისწრაფებებს და ინტერესების სფეროს. ამიტომ ადამიანი მუდამ ეძებდა ამ ბრიყვული დებულებების შემოელის გზებს. იპოვიდა იგი ამ გზებს თუ არა სულიერი დათრგუნვილობის განცდა იმისა, რომ იგი ვერ ახერხებს თავისი შინაგანი „მეს" სრულად გამოვლენას, მაინც თან სდევდა".

„გამოხდა ხანი. საბჭოთა სისტემა დაინგრა. აღარ არის ის შეზღუდვები, რაც მას თან ახლდა, მაგრამ ადამიანმა მაინც ვერ იგრძნო შინაგანი თავისუფლება (კი, რასაკვირველია, მაგრამ გარემო უსარმაზარ ზეგავლენას ახდენს ინდივიდის თავისუფლებაზე) იქნებ დღეს ადამიანი უფრო მეტად გახლავს დათრგუნული, ვიდრე ამ აოი წლის წინათ საბჭოთა ზეობის ხანაში იყო. დათრგუნვილია ეკონომიკური გასაჭირის გამო, თავს რომ დაატყდა და აგრეთვე კრიმინოგენური ქაოსის გამო, რომელიც მის გარშემო შეიქმნა".

„იქ ამერიკაში ბევრისათვის, ეკონომიკური გასაჭირიც არის და კრიმინოგენური საფრთხეც, მაგრამ მისი ხვედრითი წონა ერთობ მცირეა. მონდომებული, გამრჯე, მუყაითი კაცი იოლად დააღწევს თავს ეკონომიკურ სიდუხჭირეს, ცენზურაზე, ტოტალიტარული რეჟიმისათვის დამახასიათებელ ატრიბუტებზე ლაპარაკი ხომ სედმეტია."

მაგრამ იქაც არის ის, რაც თრგუნავს ადამიანს. „ცხოვრების რიტმი, შრომის ის ძლიერი გაუნელებელი ინტენსიური რიტმი, რომელიც ამერიკაში შეიგრძნობა, ხვალინდელი დღის შიში გახლავთ დამთრგუნველი ადამიანისა".

„ამას უჩივიან ადამიანები, უჩივის ახალგაზრდობაც კი. უჩივიან იმის გამო, რომ ამ რიტმიდან ამოვარდნა ცხოვრების მდინარებიდან ამოვარდნას ნიშნავს და თუ ერთხელ გამოეთიშე ამ რიტმს, ძალიან ძნელია, თითქმის შეუძლებელიც, ხელახლა შეახტე მატარებელს. მატარებელი ულმობელი სიჩქარით მიჰქრის".

შემდეგ ავტორი თვითონვე სვამს სამართლიან კითხვას და პასუხსაც ჭეშმარიტი სიზუსტით იძლევა.

„რა ქნას ადამიანმა? სად ჰპოვოს სულიერი სავსეობა და სიმშვიდე? ალბათ ისევ იმაში, რომ ეცადო შენი ქვეყანა ხვალ იყოს უკეთესი ვიდრე არის დღეს, იმიტომ რომ ის შენი ქვეყანაა და ყველაფერს გაგიგებს". ათასჯერ მართალია ბატონი გურამი ამ სიტყვებისათვის, ძნელია იმ

მდიდარი ტრადიციების დათმობა, რასაც საუკუნეობით შეესარდე და შეისისხლხორცე.

მხარს ეუჭერ ავტორის ამ მოსაზრებას იმის გამო, რომ მართლაც ძალიან ძნელია ახალ გარემოში ცხოვრებაში გაუნელებელ რიტმისადმი შეჩვევა და ამიტომაა, რომ ადამიანი დათრგუნვილად გრძნობს თავს. ტყუილად როდი არსებობს ანდაზა „შეჩვეული ჭირი სჯობია შეუჩვეველ ლხინსაო." ამასთან, ბედის უკუღმართობით თუ საპატიო მიზეზით პლანეტის ყველა კუთხეში მიმოფანტული ებრაელობა, განსაკუთრებით კი ქართველი ებრაელობა, ისიც ოკეანის გაღმა ამერიკაში, რა თქმა უნდა, ძნელად შეეჩვეოდა მათი ცხოვრების, როგორც აჩქარებულ რიტმს, ასევე აღვირახსნილ დემოკრატიას, მიუხედავად იმისა, რაც არ უნდა უსრუნველყოფილ იყოს მოსახლეობა საცხოვრებელი მინიმუმით.

ჩემს ბოლო დროინდელ გამოქვეყნებულ ჟურნალებსა და წიგნებში, არაერხელ აღმინიშნავს, რომ ხედმიწევნითმა დემოკრატიამ ემიგრანტთა არასრულწლოვანი შვილები გადააქცია თავიანთი მშობლების პოტენციურ უნებლიე მკვლელებად. სკოლებში მათ შთააგონებენ, რომ მშობლების მიერ თქვენი მოთხოვნის დამოუკიდებლობის შემთხვევაში, ანუ თუ, ოდესმე დატუქსავენ მათ (შვილებს), მაშინ ამ უკანასნელმა პოლიციას გამოუძახონ მშობლების დასაჯერად.

ისიც ცნობილი ფაქტია, რომ ამერიკელთა ოჯახების უმრავლესობა შვილებიდან განცალკევებულად ცხოვრობენ და მათ ოჯახებში ძაღლები და კატები ჰყავთ, რომლებთანაც საერთო ენა უფრო აქვთ გამონახული, ვიდრე შვილებთან. ურჩევნიათ შვილები შორს იყოლიონ, რომ მათგან ინფრაქტები არ დაიმართონ და ძაღლებთან კი ისეირნონ პროსპექტებსა თუ ქუჩებში.

ის კი მისასალმებელია, რომ ოჯახებში სამუშაოდ მიმაგრებულ ადამიანებთან ძალიან კარგი ურთიერთობა აქვთ და ისინი შვილებზე არა ნაკლებ უყვართ, უფრო მეტიც, არის შემთხვევები, როდესაც მათ ამერიკელები ანდერძით სამკვიდრო ქონებასაც კი უტოვებენ და ისიც ნიშანდობლივია, რომ ასეთი ბედნიერება საქართველოს მკვიდრ ქალებს უფრო ხვდათ წილად, ვიდრე სხვათა ქვეყნის ქალებს, რადგან მათგან უფრო მეტ სითბოს, ერთგულებას და სიყვარულს გრძნობენ, ვიდრე სხვა ქვეყნის ქალებიდან. ეს ამბავი არც არის გასაკვირი, რადგან რიგი მწერლების და მით უმეტეს ბატონ გურამ ბათიაშვილის ნაშრომებიდანაც ჩანს, რომ ქართველი ქალს ტოლს ვერ დაუდებს და ვერ შეედრება დედობაში, სტუმართმოყვარეობასა და ინტერნაციონალურობაში სხვათა ქვეყნის ქალები.

2005 წელს ქ. ნიუ იორკში, ბრუკლინში რესტორან "ნაციონალში," სადაც ხუთასზე მეტი ქართულად მოლაპარაკე ადამიანები სუფრებს უსხდნენ და, ამასთან, საქართველოდან ჩამოსული ხელოვნების მუშაკთა

მიერ დიდებული კონცერტი მიმდინარეობდა, სიტყვა მათქმევინეს. გაეკადნიერდები და ამ სიტყვის ბოლო ფრაზებზე შევანერებ მკითხველის ყურადღებას:

„ოქვენ, მკვიდრმა ქართველებმა, საპატიო მისიით, სამუშაოს ძებნის გამო დროებით მიატოვეთ საქართველო, მშიური ოქვენი ქვეყანა და მალე კვლავ დაუბრუნდებით მშობლიურ კერას, კვლავ ეზიარებით ოქვენს მდიდარ ტრადიციას, რომლის მსგავსი არ გააჩნია თითქმის მსოფლიოს არც ერთ ქვეყანას. ჩვენ კი, ქართველმა ებრაელებმა, ორი სამშობლოს პატრონებმა თითქმის სამუდამოდ ორივე სამშობლო მოვატოვეთ. ერთი ეს არის საქართველო, სადაც დავიბადეთ, გავიზარდეთ, სადაც ჩვენი წინაპართა თუ ახლობელთა საფლავებია, და, სადაც 26 საუკუნე ერთად ვიცხოვრეთ და ვიზიარებდით ურთიერთის მწუხარებას თუ ლხინს, მეორე, კი ისტორიული სამშობლო ისრაელიც მივატოვეთ, რომელიც ისე ახლოსაა საქართველოსთან, რომ ორ საათში იქ გაეჩნდებოდით, როცა კი მოგვესურვებოდა. ამიტომ სწორად აღნიშნავს ბატონი გურამი, რომ მაინც დათრგუნვილად ვიგრძნობთ ჩვენს თავს აქ (დიასპორაში) ამერიკაში მცხოვრები ქართველი ებრაელობა, როგორც არ უნდა მატერიალურად უზრუნველყოფილი განცხრომაში ვცხოვრობდეთ.

იქ ჩემს სიტყვაში ისიც ვახსენე, რომ საქართველოს და ისრაელის ქვეყნის, ქართველის და ებრაელის ბედი, მათი გმირული და ტრაგიკული ისტორია ტყუპის ცალივით ჰგავს ერთმანეთს. ამიტომ ბოლოს ჩემი სიტყვა ასე დავამთავრე: ისეთ ბედზე შეკრებილიყავით ოკეანის გამოღმა ამ უცხო ქვეყანაში თანამემამულენი, რომ ამიერიდან საქართველო და ისრაელი ტერიტორიულად გამთელებულიყვნენ და ყველა ლტოლვილი, რომლებიც ბედის უკუღმართობამ მიმოფანტა პლანეტის სხვადასხვა კუთხეში, დაბრუნებოდნენ მშობლიურ კერას. ამასთან, ორივე ეს ქვეყანა ისე გაძლიერებულიყვნენ ეკონომიკურად, რომ თვით გამხდარიყვნენ სხვა მთელი რიგი ქვეყნების დამხმარე და ქველმოქმედნი, ხოლო რაც შეეხება ამ ქვეყნის ქალებს, ისინი საქართველოში ჩამოსულიყვნენ სამუშაოდ.

ბატონ გურამ ბათიაშვილის წიგნის მორიგი პარაგრაფის სათაური გახლავს: „არა ქართული ანტისემიტიზმი ანუ ვარიაცები ნაცნობ თემაზე". მასში საუბარია გიორგი გაბაშვილის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაზე გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა"-ში (15, X, 1991 წ.), რომლის სახელწოდება იყო „მსოფლიო ინტეგრაციული პროცესი ქრისტიანული ექსტალოგიის შუქზე".

როგორც ავტორი ამ პარაგრაფის დასაწყისშივე დასძენს გაზეთის რედაქციამ სტატიას წინ წარუმძღვარა განმარტება, რომ მართალია ეს თემა თეოლოგიურ-მსოფლმხედველობით სფეროს განეკუთვნება და ამიტომ მასზე საუბარი სამეცნიერო გამოცემებში და აუდიტორიებში უნდა იქნას გადატანილიო. რადგან სტატია მაინც გაზეთში იქნა დაბეჭდილი, სწორედ

ისეთ პერიოდში, როდესაც ჯერ კიდევ ყურში ჩაგვესმოდა თბილისის ზღვის მიდამოებში, რუსთაველის გამსირზე ატეხილი სროლის ხმა. და გასეთმა მას ადგილი დაუთმო, მაშინ როცა, ჯერ კიდევ თბილი გახლდათ ამ ძმათა სისხლისღვრის დროს დაცემულ ჭაბუკთა გვამები. ე.ი. ჩვენ სატკივარი და საწუხარი ბევრი გვქონდა, და, როცა ასეთ დღეებში იბეჭდება ამგვარი სტატია, რჩება შთაბეჭდილება, რომ საქართველოში გამოჩნდნენ ადამიანები, გამოჩნდა ძალა, რომელსაც სწადია ისარგებლოს შექმნილი პოლიტიკური სიტუაციით და ქართულ-ებრაული ურთიერთობის მრავალსაუკუნოვან ტრადიციებში კორექტივები შეიტანოს (დავამატებდი ბზარი გააჩინოს). ამით საშიშროება იქმნება, დასძენს ავტორი, რომ თუნდაც დროებით, მაგრამ შესაძლოა წყალში ჩაიყაროს და არარად იქცეს ქართველ და ებრაელ ერთა ისტორიული მეხსიერება. ოსალოდნელი საშიშროების განცდას სარედაქციო წანამძღვარიც აძლიერებს, თუმცა რედაქცია გვამშვიდებს, დასძენს ავტორი, როცა გვეუბნება, რომ „არაფრით არ შეიძლება ამ თვალსაზრისით რომელიმე ერს ბრალი დაედოს სხვა ერების წინააღმდეგ მიმართულ მოქმედებაში, და ამით უშიშროების გარანტიას გვაძლევს, მაგრამ სწორედ ეს იქცა განგაშის სათავედ. აქედან იმ აზრის გამოტანა შეგვიძლია, რომ წიგნის ავტორი, ბატონი გურამი ძალზედ განრისხებულია ხსენებული სტატიით, ამიტომ სათანადო პასუხი გასცა. მან არ დაინდო არც რედაქცია, და არც სტატიის ავტორი. ვიდრე ამ უკანასკნელის კრიტიკაზე გადავიდოდა, მან მოიშველია ცნობილი ქართველი უსაყვარლესი მწერლების გამონათქვამები ებრაელობაზე. აი რა გამონათქვამები ჰქონდა დიდ ილია ჭავჭავაძეს „არც ერთ ერს არ გამოუელია იმდენი ტანჯვა-წამება, რამდენიც ებრაელთა ერს თავს გადახდენია. ამ ოდესღაც დიდებულსა და სახელგანთქმულ ერს ბედმა ხელიდან გამოსხლტა სამშობლო და თვითმყოფელობა და განაბნია იგი მთელს დედამიწის ზურგზე. ყველგან ერთი და იგივე ბედი სდევნიდა უბედურ ერსა, რომელიც იბრძოდა და იბრძვის ყველანაირი საშუალებით, რათა თავი დაიცვას და არ გახდეს მსხვერპლი იძულებისა და წამებისა. აბა რომელი საბუთი არ უხმარიათ და ხელზე არ დაუხვევიათ ებრაელთა სადევნელად და საწამებლად. სდევნიდნენ ვითარცა ერს, სდევნიდნენ ვითარცა თავისებურისა და განსაკუთრებულის რჯულის მაღიარებელთ, სდევნიდნენ, ვითარცა უსამართლო ეკონომიკური წეს-წყობილების წარმომადგენელთ და სხვა ერთა ეკონომიკურ მჩაგვრელებს. მდევნელები ხან ერთ საბუთს აძლევდნენ უპირატესობას, ხან მეორეს და არასოდეს არ დამცხრალა სიძულვილი ებრაელებისადმი“. ამიტომ მე უფლებას ვიტოვებ, აღნიშნავს ბატონი გურამ ბათიაშვილი, უფრო მჯეროდეს ილიას, აკაკის, კონსტანტინე გამსახურდიას და სხვათა და სხვათა კეთილგანწყობილი დამოკიდებულებისა ებრაელობის მიმართ, ვიდრე გ. გაბაშვილისა. მისი კომპილაციური

სტატია ადამიანებს შორის ურთიერთუნდობლობას, მტრობას აღძრაყს. წიგნიერმა მსოფლიომ კარგა ხანია უარყო ეს აბდა-უბდა თაყი და თაყი ინტეგრირების მსოფლიოსე ებრაელ მასონთა დაუფლების საკითხი. სწორედ მასშია ჩაბუდებული იუდოფობიის ათასი ბაცილა. თურმე რაც ძვ. წ. 929 წლიდან უბედურება ხდება ქვეყნად სწორედ იმ შეკრებიდან იღებს სათავეს. გ. გაბაშვილი საილუსტრაციოდ ასახელებს საფრანგეთისა და რუსეთის რევოლუციებს სანამ აშკარად და შეუფარავად დადგებოდა ეჭვ ქვეშ 1917 წლის რევოლუციის მონაპოვარი "პერსტროიკის" დაწყებამდე არსად არ წამიკითხავს, დასძენს ბატონი გურამი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია ებრაელებმა მოახდინესო. სულ იმას გაიძახოდნენ რევოლუციის შემოქმედი დიდი რუსი ხალხი და მუშათა კლასი გახლავსო. 1985 წლის შემდეგ, კი როდესაც საეჭვო გახდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ფასეულობანი, მის ავტორობას ხან რუსულ დემოკრატიულ ინტელიგენციას გადაულოცავენ, ხან აზერბაიჯანის მუშათა კლასს, ხან ქართველობას, ხანაც ებრაელობას.

„საყოველთაოდ ცნობილია, რომ ებრაელობა უძველესი ისტორიის ერია, შენიშნავს გურამი, ამასთან ერთად, მის პარალელურად მრავალი ერი არსებობდა, ამასთან ბევრი ებრძოდა ებრაელობას, ფიზიკურად ანადგურებდა, მაგრამ მის დამრთგუნველთაგან დღეს ბევრი აღარც არსებობს. თვითონ მოისრნენ. თავად ჩაიფერფლნენ ისტორიის გზებსე, ებრაელობა კი დარჩა, არის, ცოცხლობს, იღწვის, ქმნის. მაგ., ამერიკელი მეცნიერები ჯოსეფ ნორტი და დენის ბრეიგერი ებრაელობის გადარჩენას ხსნიან: „უკუდავების საიდუმლო" იმაში მდგომარეობს, რომ ებრაელთა ისტორიაში ღმერთი მონაწილეობს, ხოლო მეორე ამერიკელი მეცნიერი მაქს დაიმონტი ებრაელობის გადარჩენის მიზეზად იმას მიიჩნევს, რომ ებრაელობას მუდამ ახალი იდეები მოჰქონდაო. დიახ, იმეორებს ბატონი გურამი „ებრაელობა მაძიებელი ერია! კი ბატონო, ებრაელობის წიაღში იშვა მასონიზმი, მაგრამ გ. გაბაშვილს მინდა შევნიშნო, რომ ებრაელობის წიაღში იშვა არა მარტო ის რაც არ მოსწონს-მასიონიზმი, არამედ ქრიტიანობა. იქვე სამართლიანად იშველიებს კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვებს:(კონსტანტინე გამსახურდიამ შესანიშნავად შენიშნა მეფე გიორგის პირით) „ქურდები არიან ბერძნები, რჯული ებრაელებს მოჰპარეს!." ასევე ებრაელობის წიაღში იშვა მესიანიზმის იდეა. მათ, ებრაელებმა შექმნეს ათი მცნება, ბიბლია, ისლამი, მარქსიზმი. ასევე ებრაელობის წიაღში იშვა მონოთეიზმი-რწმენა ერთი ღმერთისა. ისტორიული ფაქტის გაყალბებად არ ჩამომერთმევა, თუ ვიტყვი, რომ საქართველოში მონოთეიზმი ებრაელებმა მოიტანეს და ქრისტიანობის გავრცელებაშიც შეიტანეს გარკვეული წვლილი. ანარქონიზმია? გაუგებრობაა? შესაძლოა ასეც იყოს, მაგრამ თუ ამას შევხედავთ იმ

პოსიციებიდან, რომ ასრის დაუცხრომელობა, მარადი ძიება ამ ერის თვისებაა, მაშინ არაფერი გაუგებარი არ იქნება".

„ღმერთისაკენ მიქცეული კაცი, უწინარესად, სნეობრივია. ამით არის იგი დიდებული. უსნეო კაცს, რამდენჯერაც არ უნდა შედიოდეს სინაგოგაში, მეჩეთში, ან რამდენჯერაც არ უნდა იწერდეს პირჯვარს, არაფერი აქვს საეროო ჭეშმარიტ რწმენასთან."

რწმენას მოკლებულმა იდეამ შვა გაუკუღმართებული სიციალიზმი, ფაშიზმი, ჰომეინიზმი. დღეს ადამიანები არ უნდა იმეორებდნენ იმ შეცდომებს, რომელმაც კაცობრიობას ცუდი სამსახური გაუწია. გ. გაბაშვილის სტატია ადამიანებს შორის მტრობას აღეიქებს, რაც ოდითგანვე უცხო გახლდათ ქართული ეკლესიისათვის. ასე რომ არ ყოფილიყო, მე დღეს ვერ ვიმაყებდი, აღნიშნავს ბატონი გურამი ქართულ-რჯულთშემწყნარებლობით, როგორც ამ ქვეყნის შვილი და დავით ბაასოვის სიონიზმის ქართული ორიენტაციით, როგორც ებრაელი. სწორედ ამიტომ ვაძლევ თავს უფლებას, თუ კადნიერებაში არ ჩამომერთვა, რასაკვირველია ვთქვა: „რამდენიც არ უნდა გაიკვირვოს მისმა ავტორმა, ის სტატია მაინც ანტისემიტიზმის ნიშნით გახლავთ აღბეჭდილი. მინდა ვირწმუნო, რომ მას ეს მიზანი არ ამოძრავებდა, მაგრამ სამწუხარო ფაქტი ფაქტად რჩება. უფრო სამწუხარი კი ის გახლავთ, რომ სტატია სწორედ დღევანდელ საქართველოში გამოჩნდა, დამოუკიდებლობის გზასე შემდგარ საქართველოში. ამიტომ ბუნებრივია ისმის კითხვა: რამ განაპირობა ამ სტატიის გამოჩენა? რა ისეთი საზოგადოებრივი წინაპირობა გახლდათ შექმნილი საქართველოში? კანონზომიერია იგი თუ შემთხვევითი? ჩემთვის ეს კითხვები ჯერჯერობით უპასუხოდ რჩება". ჩვენ უნდა გვახსოვდეს, შენიშნავს ბატონი გურამი, რომ ადამიანებს აკრთობთ გარდამავალი პერიოდი, როცა ირღვევა ძველი, ხოლო ახალი კონტურებში ჩანს. ეს ბუნებივი პროცესია და, როცა ხდება ამ ახლის რეტუშირება, ის აფორიაქებს ხალხის სულს. არანაკლებ მნიშვნელოვანია, ისიც რომ იგი ცუდ სამსახურს უწევს როგორც დღეს იტყვიან, არასასურველ იმიჯს უქმნის საქართველოს. ამის შემდეგ ავტორს ბატონ გურამს სურს ეს თავისი მოკრძალებული შენიშვნები, რომელიც კვლავ და კვალ ქართულ-ებრაული ურთიერთობების მრავალსაუკუნეობრივ ტრადიციაში იღებს სათავეს მარკ ტვენის ეროი ციტატით დააასრულოს, ამდენად მის წიგნში მოტანილია მარკ ტვენის ეს სიტყვები: „ეგვიპტე, ბაბილონი და სპარსეთი აყვავდნენ, გაიფურჩქნენ. ქვეყნიერებაზე ვლვარებდა მათი სახელი, მაგრამ შემდეგ დრო-ჟამის წყვდიადში შთაინთქნენ, ბერძნებმა და რომაელებმაც მათს კვალს მისდიეს.ბევრი ერი ამაღლდა. ბევრ ერს ეჭირა ხელთ თავიანთი დიდების ჩირაღდანი, მაგრამ ეს ჩირაღდნები დაიწვა, დაიფერფლა და დღეს ის ერები, თუ კიდევ არსებობენ, მრუმე სიბნელეში სხედან. ებრაელებმა ყველანი ნახეს, ყველა ამ ხალხმა ებრაელების

თვალწინ ჩაიარა, ყველას სძლია და დღეს ისეთივეა, როგორიც იყო – არ გახრწნილა, არ დაცემულა. ამ ერს არ შეჰპარვია სიბერე, არც გონება დაბნელებია და არც ნებისყოფა მოსდუნებია. კვლავ იგივე დაუოკებელი ენერგია, დაუმორჩილებელი მოძრაობა."

თუ რატომ მოიშველია ბატონმა გურამმა ეს ციტატი, იქვე შენიშნავს: "მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ დავსძინო: ამ ბიოგრაფიიის და თვისებების მქონე ბევრი ერი უკეთურ სამსახურს არავის არ გაუწევს, ხოლო თუ ვინმე მოინდომებს მისი ღვაწლის არასწორად დანახვას, ამაოდ გაირჯება, ამ ერის ნაფიცქრით, ნაღვაწით ხელისუფალთა დაფრთხობა-დაშინებაც ამაო გარჯაა! დღეს ჩვენ იმაზე ფიქრი უფრო გვჭირდება, თუ რა გადაარჩენს საქართველოს, რამ შეიძლება გვიხსნას მძიმე გასაჭირის ჟამს." ეს პარაგრაფი დათარიღებულია: 1991წ. ოქტომბერი.

ბოლოში, ავტორის, ბატონ გურამის მიერ გაკეთებულია ასეთი შენიშვნა, რომ გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ" წინამდებარე სტატია არ დაბეჭდა. იმას კი გაუკეთა ორგანიზაცია, რომ დაბეჭდა გ. გაბაშვილის განცხადება ჩემი წერილით ებრაელობის შეურცხყოფა არ მეწადაო.

სწორედ იმ განცხადებას მოჰყვა მომდევნო წერილი, რომლის დაბეჭდვა შესაძლებელი გახდა.

მე დავამატებდი, რომ ამ შემთხვევაში გაზეთის რეაქციაც ტყუის, რომ ჯერ წერილი გამოუქვეყნა გ. გაბაშვილს და მერე ოდნავ კომენტარი არ გაუკეთა, თუ რამდენად იზიარებდა, ან თუ არ ეთანხმებოდა ავტორს. დაეწერა რაიმე შენიშვნა პროტესტის ნიშნად. ის უფრო უპრიანი იქნებოდა ქართველი ერის წარმომადგენელს დაეცვა ებრაელობა და არა ებრაელი ერისას.

შემდეგი პარაგრაფები ეხება საკითხებს, როგორიც გახლავს:

1)საქართველოში საქართველოს დავეძებ. 2)ქართული ცა მალე გაცისკროვდება. 3)ქართულ მთარგმნელობით სკოლას შევმატა. 4)რეალურად შევაფასოთ მოვლენები. 5)მარადიული ძახილი. 6)ღმერთმა შეიწყნაროს ჩვენი ლოცვა, რომ საქართველო გადარჩეს. 7) საგალალო სინამდვილე. 8) აღორძინებაც იმედით იწყება. 9) დრამატურგის ჩანაწერები და სხვა.

ერთი სიტყვით, ყოველი მათგანი ფრიად მნიშვნელოვანი, უაღრესად საინტერესო და მეტად დამაფიქრებელია. თითოეული სიტყვა თუ წინადადება სულის შემძვრელია და ღაღადებს ხალხთა შორის ურთიერთ ძმობას, ძმობას და სიყვარულს. სხვის მიწას კი არ უნდა ეპატრონებოდე, არამედ შენი სამშობლო, შენი მიწა და ზეცა უნდა გიყვარდეს.

ასეთ დიდმნიშვნელოვან ნაწარმოებზე ძალზედ რთულია რეცენზიის თუ გამოძახილის დაწერა. თითქმის მთელი წიგნის გადაწერა მოგიწევს. ერთ მომენტში ასეთი აზრი გამიჩნდა ეხ, რატომ არ ვარ ისეთი მდიდარი ეს წიგნი ჩემი ხარჯებით ოქროს ყდაში ჩასმული გამომექვეყნებინა და ყველასთვის ყოველ შემთხვევისთვის ახლობელთათვის, მეგობრებსა და

კოლეგებს შორის დამერიგებინა, რომ მათ საშუალება ჰქონოდათ დედანში მთლიანად წიგნი წაეკითხათ და არა ჩემი რეცენზია.

გამოძახილის დასასრულს გადაეწყვიტე დამერთო ადრე გამოცემული ჩემი წიგნიდან გურამ ბათიაშვილის შესახებ მის დაბადების საიუბილეო თარიღთან დაკავშირებული ჩემი წერილი და ამით დამემთავრებინა ეს რეცენზია. აი ისიც:

საქართველოს და ქართველი ებრაელი ერის სასიქადულო მამულიშვილს ცნობილ მწერალს, დრამატურგს და საზოგადო მოღვაწეს ბატონ გურამ ბათიაშვილს

როგორც სღვაში ქვიშა არ დაითვლება, ისე ვერ დაეთვლით თქვენი გმირული ქმედობის ეპიზოდებს ებრაელი ერის დასაცავად პრესაში თუ შეკრებებზე, საერთაშორისო ფურუმებსა და შინ გამოთქმულს, რასაც თქვენ გამოხატავდით ყოველ საჭირო მომენტში.

არასოდეს პირადი ინტერესი საზოგადოებრივზე მაღლა არ დაგიყენებიათ და არასოდეს სხვათა მსგავსად დუმილი არ აგირჩევიათ მოსალოდნელი სიანის თავიდან ასაცილებლად.

ყოველთვის, არაოუ ერთ-ერთი, არამედ ერთადერთი თქვენ იყავით ქართველ-ებრაელთა წრიდან, როდესაც ებრაელი ერის ტრაგიკული და გმირული ისტორიის შემლახველთა წინააღმდეგ ხმას იმაღლებდით და ქვას ქვაზე არ ტოვებდით. უფრო მეტიც, ოპონენტებს უმალ შეახსენებდით, რომ ვისაც კი ოდესმე, სადმე ებრაელი მიმართ აუგი უთქვამს, ცილი დაუწამებია, იგი თვით აღგეილა პირისაგან მიწისა.

მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ თქვენი წიგნების, ბროშურების თუ სტატიების წამკითხველი ან პიესების მხილველნი უდაოდ ჩაუფიქრდებოდა და იტყოდა ამ კაცს საიდან ყოფნის ამდენი გამბედაობა, სულიერი სიძლიერე, რომ ყოველთვის მწარე სიმართლეს ასე აშკარად, დროულად და მოურიდებლად გამოხატავს.

თქვენ ჩვენი ერის დღევანდელი დროის ნამდვილი დათა თუთაშხია ხართ, რომ ასე თავგანწირეით იბრძვით ყველა ჯურის ექსტრემისტთა წინააღმდეგ, როგორც ებრაელი ერის, საქართველოს და ქართველი ერის ინტერესთა დასაცავად.

გისურვებთ შემდგომ დიდ წარმატებებს, სიხარულს და ბედნიერებას, ისრაელის და საქართველოს ქვეყნების საკეთილდღეოდ.

ღრმა პატივისცემით,
მიხეილ როკეტლიშვილი
იურისტი და ეკონომისტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი,საქართველოს ღირსების ორდენის კავალერი და თბილისის ერთგულების მედალოსანი

გამოხმაურება ბატონ გურამ ბათიაშვილის მორიგ ნაშრომზე: "სახეები და სიტუაციები"

ბატონი გურამის ყველა წიგნი ერთი ამოსუნთქვით იკითხება. აღნიშნული ნაშრომიც ასეთად წარმომიდგა. მისი 60 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით მე მას მთელი მისი შემოქმედების ამსახველი საერთო წერილი ეუძღვნი და ნიუ ორკში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა თემში ლექციაც კი ნაეატარე, მაგრამ მაინც რატომღაც დაუკმაყოფილებელი გრძნობა თან მსდევს, რომ თითოეულ მის წიგნზე რატომ გამოძახილებს არ ვაქვეყნებდი. ამჯერად გადავწყვიტე ეს „ცოდვა" თანდათან მოვინანიო და ხელმეორედ გადავიკითხო ყველა მისი წიგნი და თითოეულ მათგანს ვუძღვნა შესაბამისი წერილი. ბატონ გურამის ზემოთ დასახლებელი წიგნი იწყება („სიტყვის") დახასიათებით, რომელსაც მწერალი, დრამატურგი წერს მტანჯველი ფიქრით და ათასგზით განცდით და რომელი სიტყვაც მას ანიჭებს ძალას და წარმოაჩენს უძლიერესად ან ბეჩავად, ანუ არარაობად. იქვე სამართლიანად შენიშნავს გურამი, რომ თავის დროზე და თავის ადგილზე ნათქვამი სიტყვა კი მით უმეტეს, თუ იგი კარგად და ნიჭიერადაა თქმული, ენით აუწერელ სიხარულს განიჭებს, ამასთან დაკავშირებით აქვე მაგონდება ყოფილ საბჭოთა კავშირში საგარეო საქმეთა მინისტრის ვიაჩესლავ მოლოტოვის დაბადების დღის საიუბილეო სხდომაზე სტალინის მიერ წარმოთქმული ფრაზა, რომ „მოლოცვის მიერ საერთაშორისო არენაზე წარმოთქმული ნიჭიერად გააზრებული სიტყვა უდრის ბრძოლის ველზე რამდენიმე დივიზია ჯარის ერთად აღებულ ძალას".

რაც შეეხება რაოდენ დროულად და ადგილსაც არ უნდა იყოს ნათქვამი სიტყვა „უნიჭო მსახიობს ისიც ძალუძს, დასძენს გურამი, გული მოგიკლას".

მაგრამ მიხვალ სხვა თეატრში, ნახავ სხვა რეჟისორის მიერ იმავე პიესის მიხედვით დადგმულ სპექტაკლს ისმენ, სხვა ნამდვილი მსახიობის მიერ წარმოთქმულ იგივე სიტყვებს და როგორც გურამი დასძენს „სიტყვა ცოცხალია, სიტყვა სუნთქავს, ფერიც აქვს, წონაც, სიმსუბუქეც და სწორედ ის დინამიკა, ის განწყობა, რომელმაც შვა სიტყვა, ფრაზა და თავის ადგილს ესოდენ საჭიროდ წარმოაჩენს". წიგნში მოტანილია სარწმუნო ფაქტები სხვა ცნობილ რეჟისორების ცხოვრებიდან, თუ რაოდენ განცდებში აღმოჩენილან როდესაც მათი განოქმული პიესები მსახიობების მიერ არასწორი ინტონაციით წარმოთქმული მათ მსერაში შეძრწუნებად გაელვებულა.

როგორც გურამი აღნიშნავს, „მისი პიესის მიხედვით დადგმული სპექტაკლი მას ყველაზე დიდ მღელვარებას ჰგვრის. აქ ყოველი მსახიობი თავის როლს თამაშობს, ერთია ადამიანის როლს, "მე კი, დასძენს იგი, ყოველი პერსონაჟის რეპლიკას წარმოვთქვამ, ცხადია უხმოდ გულში. ამ წუთებში ერთი რამ მანიჭებს შვებას, ეიცი აქვე სადღაც კულისებში, ან განმანაოებელთან სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორი დგას, ჩემს დღეშია, იქნებ ჩემზე მეტადაც განიცდის და სპექტაკლის შემდეგ მართლა გულით გადავეხვეიით ერთმანეთს". იგი იქვე განმარტავს, რომ „დრამატურგის პროფესია იმითაც არის უმძიმესი, რომ მას აქვს შანსი თავად დაესწროს საკუთარ პანაშვიდს, დასაფლავებასაც კი"... არა მგონია რომელიმე მწერალს, დრამატურგს ასე ხატოვნად და ზუსტი შესაბამისობით აესახოს სპექტაკლის მიმდინარეობისას დრამატურგის განწყობა მდგომარეობა, როგორც ეს აგვიწერა ბატონმა გურამმა. (პირდაპირ საოცარია, ეს მხოლოდ გურამს შეეძლო). აქვე გურამს შედარება მოჰყავს დრამატურგის და პოეტის პროფესიებს შორის და აქაც ოითოეულ მათგანს სრულიად შესაბამისად ახასიათებს. „დარბაზში მყოფი შვიდასამდე კაცის გულციცი მწერა, ირონიული ღიმილი დრამატურგის განაწენია. პოეტს კი ტახტზე წამოწოლილი, ან საკარძელ'ში მოკალათებული ერთი კაცი კითხულობს, მხოლოდ ერთი კაცია უკმაყოფილო, ასეთი ერთი, შესაძლოა მრავალი იყოს, მაგრამ პოეტი მათ არ უყურებს, როგორც გურამი დასძენს, პოეტს საკუთარი თავის დასაფლავების შანსიც არ აქვს".

„ტახტზე წამოწოლილი კაცი, რომელიც პოეტის ლექსებით უკმაყოფილოა, მის წიგნს მოისერის, გადააგდებს, მაგრამ თუ ამ უხეშ კაცს სპექტაკლი არ მოსწონს, მოქმედების მიმდინარეობისას სახალხოდ წამოდგება და ბრახან ბრუხუნით დატოვებს დარბაზს". „ასეთი რამ მინახავს, აღნიშნავს გურამი, თუმცა იმის მოწმეც არა ერთხელ ყოფილა დარბაზიდან ქარიშხალივით მოვარდნილი სიცილი და ტაშიც – რომ განუცდია".

წიგნში მოტანილია მსოფლიოში ცნობილი მსახიობების სახელები და სპექტაკლები. „სერგო საქარიაძის ერთი ხელის ამაროვასე სპექტაკლში „როცა ასეთი სიყვარულია, რომ იყო დამოკიდებული, დასძენს გურამი, ჩვენი სუნთქვის სიხშირე? „ბებიაში", რომ სესილია გაიღიმებს, ჩვენს გულშიც ხომ გამოანათებდა მზე? ჩვენმა მსახიობებმა ჯეროვანი სიტყვა სთქვეს და სამართლიანად დაიმსახურეს სიყვარული და პატივისცემა მსოფლიოში ცნობილ რეჟისორებსა თუ თეატრთმცოდნეთაგან, განაცვიფრეს ფართო საზოგადოება ქვეყნის შიგნით თუ მის ფარგლებს გარეთ. მსახიობებიდან გარდა დასახელებულ სერგო საქარიაძის და სესილია თაყაიშვილისა ნახსენებია აეთო მახარაძე, ვასო გოძიაშვილი, რამაზ ჩხიკვაძე და სხვა, ხოლო რეჟისორებიდან გოგი ქაეთარაძე, რომლის მიმართ ასე აღნიშნავს: იგი რამდენადაც რბილი და

უშუალოა ყოველდღიურ ურთიერთობაში, იმდენად შეუვალი და კატეგორიულია რეპეტიციაზე.

„ეს იმიტომ, რომ მტკიცედ სწამს იმისა, რასაც აკეთებს. თუ ბოლომდე არ დაიჯერა, თუ ძალიან საჭიროდ არ მიიჩნია ამა თუ იმ პიესის დადგმა, ვერ დადგამს. ჩემი ორად ორი პიესა დადგა, მაგრამ ორივე ისე გახმაურდა, ზოგიერთს ჰგონია, ჩემი პიესების გარდა მეტი არა უკეთებია. (პიესა „ვალი“ სოხუმში გაიმეორა, „შეთქმულება“ რუსთაველის თეატრში). თუმცა სხვა პიესებიც წაუკითხავს ჩემი, მაგრამ სათავისოდ არ მიუჩნევია. იმ პიესებზე კი, რომლებსაც სათაყვისოდ ვერ დაინახავს, არ საუბრობს – ის პიესა მისთვის არ არსებობს“.

გურამის აზრით, ორი მომენტი განსაზღვრავს მის პიესასთან დამოკიდებულებას. პირველი, „პრობლემამ უნდა ააღელვოს, აღელვებს კი ის, რაც ძალიან თანამედროვეა, ის, რაც ადამიანებს დღეს ჭირდებათ, დღევანდელობაზე უამბობს“ და მეორე, პიესა სცენაზე უნდა დაინახოს.

როგორც ხსენებულ წიგნიდან ირკვევა, დღეისათვის საქეყნოდ აღიარებული პიესა „ვალი“ თურმე პირველად ცენზურამ უარყო და მისი დადგმა აუკრძალავს: „Нам не нужны еврейские пьесы пропагандирующие сионизм“. ასე მსჯელობდა საკავშირო ცენზურა. ბატონმა გოგი ქავთარაძემ კი რეპეტიციები უკვე დაიწყო, რასაც ცენზურის უნებართვოდ არ პატიობდნენ. ბოლოს როგორც იქნა ერთი მეტად ხვთისნიერი კაცის წყალობით, რომელიც დარბოდა ცენზურასა და სამინისტროს შორის და რომელმაც ყველა ღონე იხმარა და მიაღწია კიდეც ცენზურისაგან ხელმოწერილი და ბეჭედდარტყმული ნებართვა მიეღო – ეს გახლდა ბატონი ვაჟა ბრეგაძე. ერთ საღამოს მოეწყო სპექტაკლის ჩვენება. საზოგადოებასთან ერთად ანტისაბჭოთა პიესის საყურებლად მოვიდნენ ისინიც, ვინც საბოლოოდ გადაწყვიტა პიესის ყოფნა არ ყოფნის საკითხს.

საბედნიეროდ უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ამ პირველ სასინჯ დღეს, ასევე ყოველთვის და ყველგან ამ პიესის მსვლელობისას დარბაზში მაყურებელთა შორის არ ცხრება ტაში ცემა, ცრემლის ღვრა და სიცილ-ხარხარი. რაც შეეხება იმ პირველ საღამოს – როცა საბოლოოდ უნდა გადაწყვეტილიყო პიესის არსებობა, ბატონი გურამ ბათიაშვილი, როგორც თვითონ დასძენს „გულგალეული იჯდა და ფიქრობდა ნეტავი რას გადაწყვეტდნენ მისი ბედის გამგებლები“. მისივე განცხადებით „პიესის გამარჯვებაში ლომის წილი თავად გოგი ქავთარაძეს მიუძღვის“. ჯერ ერთი იმიტომ, რომ აღნიშნავს გურამი „მას აქვს საოცარი ნიჭი ადამიანები კეთილად განაწყოს მისადმი, – მეორეც მან შექმნა სპექტაკლი ადამიანების სიყვარულზე, გატანაზე, ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების სიხარულზე, საქართველოსადმი ებრაელთა ერთგულებაზე. მან ფაქტიურად, ადამიანურ ურთიერთობათა გაუხუნარობის დღესაწაული მოაწყო“.

გურამი სედმიწევნით შეყვარებულია და უსადოდ მაქებარი გოგი ქავთარაძის ნიჭიერებისა და მისი კეთილშობილების, მის დიდ დამსახურებად თელის რიგ ღირსეულ ჩინებულ მსახიობთა აღმოჩენას. გოგის, მისთვის თხემით ტერფამდე ქართველია – გულღია, ალალი და სამართლიანი, ამასთან, როცა საჭიროა შეუპოვარი და მოალერსეც. სპექტაკლების დასადგმელად ძირითადად ქართულ მწერლობას ირჩევს, თუმცა უცხოელების დადგმაც უყვარს, კლასიკა, მაგრამ მთავარი მაინც ქართული მწერლობაა – გოგისათვის.

ხსენებულ წიგნში გურამს არ გამორჩენია სასღვარგარეთ გასტროლებზე მყოფი მარჯანიშვილის თეატრის მსახიობთა მიერ ბრწყინვალედ შესრულებული როლების დახასიათება და მაყურებელთა დარბაზში გამეფებული სამარისებული სიჩუმის აღწერა, არც ის, რომ ეს სიჩუმე ფაქტიურად სპექტაკლის საფიქრალში ჩაძირულ ადამიანთა გარინდებისათვის შეედარებინა და მათ სახეებზე აღბეჭდილი ფიქრი კეთილშობილურ გამოხატულებად წარმოეჩინა. მანვე მისი წიგნის მკითხველებს ისიც გვამცნო, რომ მსახიობები და მაყურებლები ერთად, ერთ რიტმში სუნთქავდნენ და პარალელურად ტაშის გრიალში მთელი დარბაზი როგორც მსახიობების, ასევე რეჟისორის მიგნების მიმართ მადლიერების გრძნობას გამოხატავენ. აი ასე ახასიათებს გურამი ბატონ გოგის.

ყოველივე ეს მოვლენები ეხებოდა სპექტაკლს „ჯაყოს ხიზნები“. ბატონი გურამის გადმოცემით ამ სპექტაკლის გამარჯვება პირველი მოქმედების შემდეგ ანტრაქტშივე გახდა ცნობილი. კრიტიკოს ორლინ სტეფანოვს ატრაქტზე მასთან მიახლოებულს გაოცებულს უთქვამს: „Слушайте, это ведь до сумашедства интересно“.

„ძნელია დაიწყო ის აღტკინება, დასძენს გურამი (ამას თბილისის მაყურებლებიც იგივენაირად განიცდიდით), რომლითაც სპექტაკლის ბოლოს დარბაზი შეეგება მსახიობებს, ხოლო როცა სხვადასხვა კუთხიდან ტაშს „ბრავო“, „ბრავოც“ მოაყოლეს, გამარჯვებაში თურმე თავად თემურ ჩხეიძესაც აღარ ეპარებოდა ეჭვი (იგი ხომ მუდამ ასვიადებს საკუთარი სპექტაკლის ნაკლს და ამცირებს ღირსებას).“

წიგნში მოტანილია ხელოვნების მუშაკთა, სამხატვრო ხელმძღვანელთა და კომპოზიტორთა შეხედულებანი, მათი გამონათქვამები ურთიერთ შეხვედრისას ავტორთან. განსაკუთრებით შთამბეჭდავია უნიჭიერესი მომღერლის, კომპოზიტორის და რეჟისორის, ებრაული მუსიკალური კამერული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის იური შერლინგის ნათქვამი, რომ მათი თეატრი დიდად დაეალებულია თბილისით, ქართული კულტურის მოღვაწეებით. ცნობილი ამბავია, რომ „თეატრს ფული სჭირდება ამბობს გურამი, ფული კი გასტროლებს მოაქვს“.

ამიტომ იყო, რომ თბილისში გასტროლებზე ჩამოსულა აინტერესებდათ ლენინგრადს თუ მოსკოვის თეატრალურ დასებს. მათი ეს ინტერესი იმითაც იყო განპირობებული, რომ მათ სწამდათ და უყვარდათ თბილისელი მაყურებელი, რადგან სამართლიანად და ობიექტურ შემფასებლად თვლიდნენ მათ.

წიგნში აღწერილია ნიუ იორკის ებრაულ მუზეუმში გამოფენილი ექსპორტიორების შესახებ ამბავი, რომელიც მოგვითხრობს მეორე მსოფლიო ომში ებრაელთა მიმართ თავს დატეხილ ფაქტებს და ენით აუწერელ გენოციდს. რამდენიმე წლის წინ ნანახმა ამ მუზეუმმა ისეთი მძაფრი ემოციური შთაბეჭდილება მოახდინა ბატონ გურამზე, რომ იგი კარგა ხანს ჭმუნვამორეული დადიოდა ვაშინგტონის ქუჩებში და როგორც თეიმონ აღნიშნავს, ამით იოკებდა ადამიანის აუგად მოხსენიების დიდ სურვილს. იგი ერთი ფოტო – სურათის წინ გაჩერებულა და კარგა ხანს მდგარა, „გრძელი ორმოს თავზე გაძვალტყაეებული ბიჭუნები ჩაუმწკრიეებიათ. ათიოდე ნაბიჯზე გერმანელი ჯარისკაცები დგანან, ერთი მათგანი რომელიმე ბიჭუნას თოფს უმიზნებს, რამდენიმე მის მიერ დახვრეტილნი უკვე ორმოში ყრიან, ახლა იმასღა შეეყურებ, აღნიშნავს გურამი როგორ უმიზნებს თოფს ბიჭუნას. თუმცა... გვერდით მდგარი ჯარისკაცები ხარხარებენ, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ახალბედა ჯარისკაცი მიზანში ვერ ახვედრებს და პრაქტიკისათვის ახვრეტინებენ. იგი ხან მუცელში, ხან ყურებში ახვედრებს და მასზე მეტად გამოცდილები, ხალხის დახოცვაში დახელოვნებულები დასცინიან. აი ასეთია ეს ფოტო, რომელიც ფოტოგრაფირების მოყვარულმა გადაიღო და მომავალს ეს საშინელი მომენტი შემოუნახა.

აქვე მაგონდება, ჩვენი ქვეყნის საქართველოს ექს-პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის სიტყვები, რომელიც მან ისრაელში ყოფნისას წარმოთქვა, როდესაც მან მოინახულ მსოფლიო ებრაელობის კოშმარული კატასტროფის ამსახველი ექსპონატები და ისტორიული საბუთები და მასალები, რომლებიც ებრაელი ერის ჯვარცმას და აპოკალიფს ასახავდნენ, მას იმ დღიდან ჩაესახა ქართველთა და ებრაელთა 26 საუკუნოვანი დღესასწაულის ჩატარების იდეა. მე ვიყავი თვალთა მხილველი მოწმე ჩემს მეუღლესთან ერთად როდესაც მიგვიწვიეს თბილისში ამ ზეიმზე 1998 წელს, თუ როგორ საოცრად მაღალ დონეზე ჩატარდა ეს ზეიმი. აღნიშნულზე ჩემს მიერ ქ. ნიუ იორკში ჩატარებულ იქნა ლექცია, რომელიც ვიდეო ფირზეც აღიბეჭდა და უდიდესი კმაყოფილებით იქნა მოსმენილი. არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ ედუარდ შევარდნაძემ სპეციალური სტატიაც უძღვნა ებრაელ ერს და უაღრესად უდიდესი ქება-დიდების შარავანდედით შეამკო ეს ერი, როგორც საოცრად მსოფლიო პრობლემების გადაჭრაში მთავარი როლის შემსრულებელი და უდიდესი წვლილის შემტანი. ჩემს ერთ-ერთ ბოლო

წლებში გამოცემულ წიგნში ამ ფაქტის შესახებ აღნიშნავდი, რომ კაცობრიობის ისტორიაში არცერთი ქვეყნის პრეზიდენტს არ წარმოუთქვამს ებრაელი ერის მიმართ ესოდენ ქებადიდების სიტყვა, როგორიც წარმოსთქვა პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ.

ბატონ გურამ ბათიაშვილს თავის წიგნში მოჰყავს აგრეთვე მეტად საინტერესო ეპიზოდები სხვადასხვა ქვეყნის სახელმწიფო ხელმძღვანელებთან შეხვედრების. სახელდობრ: საქართველოს ექს-პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ თავისთან იხმო და გაბრაზებულმა ჰკითხა: გურამ „რა ხდება რატომ ამბობენ, რომ მე ებრაელობა მძულს". ამ ჯიქურ შეკითხვაზე ვერაფერი ეუთხარი, დასძენს გურამი, გარდა იმისა, რომ სწორი ხართ, ამბობენ–მეთქი. წამოდგა, ჩემსკენ გამოემართა და მეკითხება: „მერე შენ რას ეუბნები" იმ ხალხს ვინც ამას ამბობს? გურამს უპასუხია: „მიტინგებზე ხშირად არ დავდიოდი. ერთ ორ მიტინგზე ვყოფილვარ მხოლოდ, პირადი საუბარიც მქონია მასთან, მაგრამ არასოდეს მისგან ებრაელებზე რაიმე აუგი არ გამიგია. ზვიადმა შემდეგ, ტახტზე მიუთითა გურამს, "აქ ჩამოვჯდეთო". „გახსოვს გურამ, მიმართა ზვიადმა: „ქარელში ქართველებს" და ებრაელებს შორის უსიამოვნება ჩამოვარდა, მე ჩავედი და ქართველებს შავი დღე დავაყენე". „რას ჩადიხართ, ეს ამბავი ჩვენს მტრებს გაახარებს, არავითარ შემთხვევაში უფლებას არ მოგცემთ ებრაელებთან, რომ ოდნავ უსიამოვნო ატმოსფერო შექმნათო".

ამის შემდეგ გურამმა განუმარტა, რომ „მიტინგზე რუსების, ასერბაიჯანელების და სომხებისათვის მიგიმართავთ, რომ დროა სტუმრებმა დატოვონ საქართველოო, ალბათ ებრაელობამაც იგულისხმა, ვაითუ ეს ჩვენც გვეხებაო და ამიტომ თუ წარმოიდგინეს, რომ არც ისინი გეყვარებოდათ". შემდეგ გურამს კვლავ მიმართა ზვიადმა. „შენ ქართველებიც პატივს გცემენ და ებრაელებიც". შენ კი „მრგვალ მაგიდასთან" გვერდზე არ გაგვეკარეო, ახლოს არ მოხვედიო". „ცხადია გამსახურდიას საყვედურმა ხასიათი გამიფუჭა და უხერხულადაც ვიგრძენი თავი" დასძენს გურამი „ჩანთიდან მაინც ამოვიღე ჩემი ახლახან გამოსული წიგნი: „მზე ღრუბლებში", რომელიც ისრაელზე დაწერე და მივართვი, გადაფურცლა, რამდენიმე აბზაცი ჩაიკითხა, ვიგრძენი, რომ წიგნმა დააინტერესა. ამან მხნეობა შემმატა და ვუთხარი: „ბატონო ზვიად! როცა ეროვნული ძალები ისე უპირისპირდებიან ერთმანეთს, ანუ როცა ძმათა შორის სისხლი იღვრება ჩემთვის ორივე მხარე ქართულია და ამდენად ებრაელმა კაცმა ამ დროს შორს უნდა დაიჭიროს თავი". გურამმა იგრძნო, რომ ასეთმა მსჯელობამ კარგ ხასიათზე დააყენა პრეზიდენტი და თვითონ გურამსაც განუმტკიცდა რწმენა იმისა, რომ ზვიადს მართლაცდა არ სძულებია ებრაელობა. ალბათ ისიც გაიფიქრა გურამმა, ისეთი მამის (კონსტანტინეს) შვილს, რომელსაც ახლო მეგობრობა გააჩნდა ევროპის

ქვეყნების ცნობილ ებრაელ მეცნიერებთან (სიძულვილის არაეითარი საფუძველი არ უნდა ჰქონოდა და მით უმეტეს ქართველ ებრაელთა მიმართ).

ბატონ ზვიადთან გურამის ამ შეხვედრაზე ასეთმა გულთბილმა, შინაურ ატმოსფეროში ჩატარებულმა საუბარმა სრული საბაბი მომცა ვიფიქრო, რომ გურამს ღმერთიდან აქვს მომადლებული საერთოდ ქვეყნის მეთაურებთან მრჩევლის უზადო როლი, ნდობა და ტალანტი, რაც მხოლოდ ერთეულთა ხვედრია ცხოვრებაში.

ამჯერად მკითხველის ყურადღება მსურს შევაჩერო გურამის წიგნიდან კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე. სახელდობრ, თუ, როგორია მისი შეხედულება ბატონ აკაკი ბაქრაძის მიმართ.

„აკაკი ბაქრაძემ დახუჭა სამშობლოს მოდარაჯე თვალი. ქართველი კაცი კიდევ ერთხელ გადააელებს თვალს იმას, რაც კაკოს გაუკეთებია ქართული საზოგადოებრივი აზრისათვის, იმისათვის, რომ ქართველ ხალხში არ ჩამკვდარიყო ეროვნული სულისკვეთება“.

შემდეგ ასკვნის: „იგი აზრის გამღვიძებელი იყო, და არა ბარიკადებისათვის გაჩენილი კაცი, აგრეთვე ერთი იმ ქართველ მოაზროვნეთაგანი, რომლის სახელი თავად მონახავს ადგილს ერის ხსოვნასა და ისტორიაში, მას ბარიკადებზე დროშის ფრიალსაც სთხოვდნენ, იმას კი არ უწყოდნენ რომ რევოლუციონერთა და ჭეშმარიტ მოაზროვნეთა შორის დიდი სღვარია“. „ეს ერთი მომცრო ტანის კაცი ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ერთ-ერთი დედაბოძი გახლდათ“. ცხოვრება პარადოქსალური ჰქონდა – იმ ხელისუფლებასთანაც კი ვერ თავსდებოდა, რომლის დამკვიდრებასაც ელტვოდა“. დასასრულს გურამი ასე ამთავრებს: „მჯერა, როცა ღრუბლები გადაიყრება ქვეყანა დაინახავს, რამდენი რამ გააკეთა თავისი ქვეყნისათვის ადამიანმა, რომელსაც აკაკი ბაქრაძე ერქვა“.

გურამი ამ თავის წიგნში დიდების შარავანდედით მოსავს ხელოვნებას, დასძენს, რომ „უაღრესად დიდ ზეგავლენა აქვს მაყურებელზე ჭეშმარიტ ხელოვნებას. ამისათვის ორი ეპიზოდი მოჰყავს, რითაც ადასტურებს ამ სინამდვილეს. ერთი ნოდარ დუმბაძისა და გიგა ლორთქიფანიძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ წარმოდგენიდან და მეორე კინოფილმიდან „დათა თუთაშხია“. პირველ მათგანზე სესილიამ მაყურებლისაგან ბარათი მიიღო: იმის გამო, რომ ჩემი ცოლი და დედა ერთმანეთს ხასიათით ვერ ურიგდებიან, დედაჩემი რაიონში ცხოვრობს. თქვენი ბებიას წარმოდგენის ნახვის შემდეგ გამახსენდა, რა ხანია დედა არ მინახავს. სპექტაკლიდან პირდაპირ რაიონში მივდივარ, დედას ჩამოვიყვან და თუ ჩემი ცოლი ამას ვერ შეეგუება, სადაც უნდა იქ წავიდესო“.

მეორე ეპიზოდი: მეოცე საუკუნის საუკეთესო ქართულ ფილმად გამოცხადებული „დათა თუთაშხი" საბჭოეთის ეკრანებზე რომ გავიდა, ფილმის შემაგენელი კოლექტივი ტომრებით ღებულობდა წერილებს, მადლობას უხდიდნენ ცნობილ მსახიობებს, ო. მელვინეთუხუცესს და ასევე ცნობილ რეჟისორს გიგა ლორთქიფანიძეს. 10-11 წლის გოგონა წერდა, რუსეთის ქალაქ კემერეეოდან, რომ ჩვენმა მამამ ადრე დატოვა დედა, დედამაც ჩვენ მიგვატოვა და სხვასთან წავიდა. ამჯერად ბაღშეთა სახლში ვისრდებით, ძია დათა, იქნებ ჩამოხვიდე, მოძებნო დედაჩვენი და უთხრა, რომ შვილებს ასე არ ექცეიანო, აი ამაზედ როგორ შეფასებას აძლევს ბატონი გურამი: „როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში, ხელოვანთა ოსტატობა იმდენად მაღალი იყო, რომ მაყურებელმა თავისი ცხოერების შეცვლა მოიწადინა. სცენაზე შეთხზული სახე რეალურად მიიჩნიეს და მხსნელად იგულვეს". ამ ეპიზოდით ბატონი გურამი ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს ქართული ხელოვნების მსოფლიოში აღიარებას. ჩვენს მსახიობთა დიდ ტალანტს, რომლებიც საოცარად მაღალ დონეზე ახორციელებენ დაკისრებულ როლებს, მით უმეტეს თუ ეს როლები დადებითია და ანსახიერებენ ქვეყნის და ერის პატრიოტულ გრძნობას, მოყვასის მეგობრის და ოჯახისადმი სიყვარულს, ერებს შორის ურთიერთობის, ძმობის და ერთობის მოწოდებას.

განსაკუთრებით მოწონებას იმსახურებს გურამის წიგნის 34 და 35 გვერდებზე მოთხრობილი ამბავი, რომელიც იწყება 33 გვერდიდან და ეხება „მცირერიცხოვანი ერის წარმომადგენელს, რომელიც ამღერებულ დროში საბჭოში მიდიოდა: ამ ხალხის შვილი ვარ და მათ წარმომადგენლად რატომ არ უნდა ვიყო მაგ საბჭოშიო. მობრძანდი ბატონო უთხრეს. რამდენიმე დღეში თანამოძმეებთან მოვიდა და მშრალი, ბრძანებაშერეული ტონით განაცხადა: „თქვენ უნდა იცოდეთ მე ვისი სახელით ველაპარაკობ. გაითვალისწინეთ, როცა ისრაელის რომელიმე დელეგაცია თბილისს ჩამობრძანდება, ჯერ საქართველოს ჰიმნი დაუკარით, მერე ისრაელისაო". იქვე სამართლიან განმარტებას და შენიშვნას იძლევა გურამი, როდის იყო ქართველ ებრაელს საქართველოს პატივისცემის ჩაგონება სჭირდება. ისინი ხომ მეტისმეტი ქართველებიც არიან არადა იქ იმ საბჭოში ებრაელთა გასაჭირზე რომ ლაპარაკობდნენ, ებრაელთა ძარცვის, დაყაჩაღების გამო გულისწუხილს რომ ქართველნი გამოთქვამდნენ, ის, კი ვინც ებრაელთა სახელით შევიდა საბჭოში, უხმოდ იჯდა, კრინტიც არ დაუძრავს, რატომ? იმიტომ, რომ იმათ მეთაურებს უთხრა: ხომ ხედავთ, მე ერთი უპრეტენზიო, უთქმელი კაცი ვარ, მე სულ ჩუმად ვიქნები, თქვენ არავითარ საზრუნავს არ გაგიჩენთო.

იქ ჩვენი სახელით მჯდომარე კაცმა ჩვენს გასაჭირზე კრინტი არ დასძრა, და ორიოდ კვირის შემდეგ ჩვენთან კელავ მოვიდა და გამოგვიცხადა. „ხომ ხედავთ როგორი არეული დროა, ამიტომ კეთილი

ინებეთ და როცა ეს ებრაული ორგანიზაციები რაიმეს მოიფიქრებთ, ვიდრე გადაწყვეტდეთ, ჯერ ჩემთან მოდით, გამაცანით, თუ მე მოვიწონებ, მერე იმოქმედეთო. კი მაგრამ „ადრე ასე ცეკა და სუკი არ ითხოვდა და ახლა შენ იმათზე უარესი გინდა დაიწყო?“ ასეთი საყვედურით მიმართეს. მან კიდევ ყვირილით უპასუხა: „ასეა საჭირო“.

ბატონმა გურამმა ყოველივე ამის შემდეგ ასეთი რამ მოსაზრება წამოაყენა: „როცა ადამიანს აქვს სურვილი თავი სხვებზე უფრო ძლიერად, მძლავრად წარმოგვიდგინოს, მე მინდა ამ კაცს ხელი ხელში გაეუყაროთ და სასაფლაოზე გასეირნება შევთავაზო. ნელნელა აუჩქარებლად ვათვალიეროთ სასაფლაო, ნაცნობ ადამიანთ საფლავებთან შევჩერდეთ და ვუამბო, თუ როგორი რა ღირსების, ქონების, თანამდებობის, საბჭოს წევრობის თუ სხვა რეგალიების მფლობელი იყო კაცი, რომელიც ასლა მიწაშია, ან იქნებ, აღარც არის, უკვე ჭიამატლებმა შესჭამეს, მაგრამ წამომყვება კი, დღეს მას საამისოდ არ სცალია“.

როგორც ჩანს, ბატონი გურამი ვერ იტანს მკვეხარა და გაუბედავ ადამიანებს, რომლებსაც მხოლოდ განდიდების მანია ჭირთ და იქ, სადაც ხმა უნდა აიმაღლოს და აქტიურად ჩაერიოს, პასიურობას ამჯობინებენ. ერთი სიტყვით, ცდილობენ ყოველ შემთხვევაში თავი დაისღვიონ მოსალოდნელ საფრთხისაგან.

მე მგონი მკითხველი დარწმუნდება რამდენად მებრძოლი სულის გახლავთ გურამი და არაა გასაკვირი, რომ იგი ვერ იტანდა საჭირო შემთხვევებში ჩვენი ერის სოგიერთ წარმომადგენლის პასიურობას და უმოქმედობას. გადავწყვიტე ამ მოკლე დახასიათებით შემოვიფარგლო და ამჯერად მკითხველს შევთავაზო გურამის წიგნიდან ისრაელის ყოფილ პრემიერ მინისტრის ბენგურიონის მოღვაწეობა. აი რას მოგვითხრობს მის შესახებ გურამი:

„სახელმწიფოს მეთაური ბევრია, ძალიან ბევრი. სახელმწიფო მოღვაწე კი ერთობ ცოტა. ამათ შორისაა დავით ბენგურიონი. სწორედ მან ჩამოაყალიბა ისრაელის სახელმწიფო და განასვლერა მისი მომავალი. მოცლილი არც ერთი სახემლწიფოს მეთაური არ არის, მით უმეტეს არ იქნებოდა ბენგურიონი. იგი სახელმწიფოს ისეთ გარემოში აყალიბებდა, ირგვლივ მგლების ხროვა შემოჯარვოდა. მაგრამ მის ბიოგრაფიაში ბევრი რამ არის საყურადღებო, გასაოცარი.“ იგი ქვეყანას აყალიბებდა, აგურ-აგურ აგებდა, ომს უცხადებდნენ, იგებდა (1948, 1956, 1967 წ.წ.), ისევ აყალიბებდა და იმათი შურდა, ვინც კიბუცში ღვრიდა ოფლს. სულ იქ, იმათ შორის ეწადა ყოფნა, უნდოდა მათთან ერთად ეშრომნა, უდაბნო წალკოტად ექცია. მოახერხა, სახელმწიფოს სადაეები სხვებს, რომ გადააბარა თაკარა სიცხეში გალურსულ ნეგევის უდაბნოში კიბუცს მიაშურა, სახელმწიფოს მეთაური მუშა-კაცადაც იქცა – ლუკმა ჩემი შრომით ეჭამთო“.

მეტად საოცარი ის არის, რომ, როგორც გურამი ამ თავის წიგნით მოგვაგონებს „1967 წელს, ექვსდღიანი ომის წინ იხმეს ბატონი დავითი, სახელმწიფო თავს გვემსხობა, მოდი გვიპატრონეო. მთავრობაში მობრუნდა, ომი მოიგეს. ცოტა ხანში ისევ კიბუცს დაუბრუნდა. სიცოცხლის დარჩენილი წლები იქ გაატარა. იქვე დალია სული და ეს კიბუცი საქვეყნო მემორიალად იქცა, რადგან აქ არის ბენკურიონის საფლავი“. სოფელს, მხარეს სამართლიანად დასძენს გურამი, არა მხოლოდ იქ დაბადებული დიდი მოღვაწე, არამედ მისი საფლავიც გაუთქვამს სახელს“. „მეც მოვედი, აღნიშნავს გურამი, საფლავზე იმ კაცისა, რომელმაც ქვეყნისათვის იცხოვრა და ყველაფერი, რაც გააჩნდა, მას მოახმარა“.

ბატონმა გურამმა კიდევ მრავალი გამოჩენილი საზოგადო თუ სახელმწიფო მოღვაწე წარმოაჩინა მკითხველის წინაშე, მაგრამ მე მაინც მხოლოდ რამდენიმეს მიმართ შევაჩერებ მკითხველის ყურადღებას და საერთოდ კი ჩემი უმორჩილესი თხოვნაა მოიძიონ გურამის ეს წიგნი „სახეები და სიტუაციები“ და მკითხველები მოლიანად გაეცნონ მის შინაარსს, რათა სრული კმაყოფილება იგრძნონ, რადგან ჩემი წერილის გაცნობა, არ იქნება მათთვის საკმარისი.

ვინ არ იცნობდა პოეტს და საზოგადო მოღვაწეს იოსებ ნონეშვილს, მის უსადო ლექსებს, რომლებსაც ყველგან კითხულობდნენ და მღეროდნენ. მასზე მთელი წიგნიც შეიძლება დაიწეროს. მკითხველს შევთავაზებდი ამ წიგნიდან ზოგიერთ ფრაზებს, რათა ოდნავ მაინც გაიხსენოს და წარმოიდგინოს ჩვენი დროის ეს უდიდესი პოეტი.

იოსებ ნონეშვილის პიროვნებას ისეთ დროში უხდებოდა ცხოვრება და მოღვაწეობა, რომ საზოგადოება მეტად ჭრელი და მრავალფეროვანი იყო. წინააღმდეგობებით აღსავსე. სუფევდა ღვარძლი, შური, რიგი მანკიერებანი.

ამ, დროში დასძენს გურამი „სასიკეთო ბევრი რამ ხდებოდა, მაგრამ ადამიანები მუჯლუგუნების ცემით, სხვათა, აბუჩად აგდებით და დაბეზღებით ცდილობდნენ ადგილის დამკვიდრებას“. ამ ფონზე სიკეთის ქმნის იოსებ ნონეშვილისეული მისწრაფება მრავალთათვის ანაქრონიზმად გამოიყურებოდა“.

ბატონ გურამს ერთი ასეთი მაგალითი მოჰყავს იოსებ ნონეშვილის ცხოვრებიდან: „თავად წარმოიდგინე, მკითხველო, როგორი უნდა იყოს კაცი, რომ ყური მოკრას დედაბრის მუდარას უცხოეთში მიმავალი ნათესავისადმი იქნებ ესა თუ ის წამალი ჩამომიტანოო, ნათესავი უარს ეუბნებოდეს და იმ კაცს ჩამოაქვს წამალი, რომელმაც ყური მოკრა დედაბრის მუდარას“.

არადა ეს კაცი სწორედ იოსებ ნონეშვილი გახლდა, რომელმაც ყური მოჰკრა დედაბრის მუდარას. გამოჰკითხა ამ ქალს ყოველივე და ორიოდ კვირაში წამალიც ჩამოუტანა.

ან კიდევ: „რაოდენი კეთილშობილი და საგნე უნდა იყოს ადამიანი, რომ ახალგაზრდა კაცს, დამწყებ მწერალს, დასძენს გურამი, თავის თავზე, რომელსაც არც გაელენიანი ბიძაშვილ-მამიდაშვილობა უმაგრებდა ზურგს, არც პარტიის ცეკა და არც ფინანსური ძალა, სამუშაოდ მიიყვანოს, ისეთ პრესტიჟულ გაზეთში, როგორიც მაშინდელი „ლიტერატურული საქართველო" იყო. ამით, აღნიშნავს გურამი, იოსებ ნონეშვილმა სუნთქვა გაუადვილა ჩემს ოჯახს". ეს ის დრო იყო, როცა გაზეთში ვერა და ვერ მოეწყობოდი, თუ რომელიმე დიდი კაცი არ გედგა გვერდით, მამაჩემი კი მუშა კაცი იყო".

მე კი, ჩემი მხრივ, დავამატებდი, რომ იოსებ ნონეშვილს ბევრჯერ გამოუჩენია თავი უკანონოდ დასჯილთა და დაჩაგრულთა განთავისუფლებისათვის, როდესაც მათი ოჯახები დაარწმუნებდნენ მას მათ უდანაშაულობაში. იგი ყოველად უანგაროდ ხმას აიმაღლებდა ხელისუფლების თუ მართლმსაჯულების ხელმძღვანელობის წინაშე და იღვწოდა სასურველი შედეგით დაეგვირგვინებინა საქმე. მიუხედავად მისი ასეთი პოპულარობისა და უაღრესად უამრავ თაყვანისმცემლებისა, აი როგორი გულისტკივილით გამოხატავს გურამი იოსების კოლეგებისადმი თავის შეხედულებას:

„მანამდე ამაზე არ მიფიქრია, ამ დიდებულ პიროვნებასთან და პოეტთან მუშაობის წლებში პირველად ვიგრძენი, ჩემთვის მაშინ დაუჯერებელი: ადამიანებს არა უცხონი, უმეტესწილად, თავისი კოლეგები – ვითომ მეგობრები, ვითომ ამხანაგები აქიაქებენ და ამით უმოკლებენ წუთისოფელს. რა ღონეს არ მიმართავდნენ, რას არ იგონებდნენ იმისათვის, რომ რამენაირად დაემცროთ ბატონი იოსების მსარდი პოპულარობა – საქართველოში, მისი ადგილი იმდროინდელ პოეტურ, საზოგადოებრივ ასპროვნებაში". ერთი სიტყვით, როგორც ჩანს, ყოველმხრივ ცდილობდნენ შეეთხზათ და მოეგონებინათ მისივე თაობის პოეტებს რაიმე ცილისმწამებლური და რამენაირად მიეჩქმალათ მისი ტალანტი და ჩაექროთ ხალხში მისადმი სიმპატია და სიყვარული.

ამასთან დაკავშირებით გურამი აღნიშნავს: „მას კი ბრძოლა არ შეეძლო, პოეტი იყო და მხოლოდ სიკეთის კეთება შეეძლო. წლების მერე აღმოხდა:"

"ეცადნენ და ვერ გამხადეს ბოროტი,
ეცადნენ და ვერ გამხადეს ფლიდი,
წუთისოფელს კაცად შერჩე ბოლომდე –
თურმე ესეც გმირობაა დიდი."

„იოსებმა ჩაიდინა ეს გმირობა. წუთისოფელს ბოლომდე კაცად შერჩა. ადამიანთა მზაკვრობას სიკეთის ქმნით პასუხობდა. სიკეთის ქმნის იმოდენა ნიჭი ჰქონდა, მის კართან მისაღებში, დასძენს გურამი, მუდამ

დიდი რიგი იდგა. ისეთი ხალხმრაელობა იყო, თანამშრომლებსაც კი გეიჭირდა მასთან შეხვედრა".

„ის კი ყველას ეხმარებოდა. ობლობაში გაზრდილს, შემდეგ ცხოვრების კიბის მაღალ საფეხურ'ზე ასულს, საქართველოს საყვარელ პოეტს ერთი ფიქრი ჰქონდა, ერთი განსრახვა – ეშველა გასაჭირში ჩავარდნილი კაცისათვის. იოსები ყველას სულში იხედებოდა, ყველას ფასი იცოდა, მაგრამ ისინი, მისივე კოლეგები, თანამეინახენი, ფერმკრთალ შეთქმულებებს უწყობდნენ ბატონ იოსებს".

მერე რა შეიცვალა, დასძენს გურამი, წამიერი იყო ყველაფერი. დრომ წაიღო, ისინიც, მოქილიკენი – დღეს აღარავის ახსოვს. მათი სქელტანიანი წიგნები ბიბლიოთეკების თაროებიდან კარგა ხანია არავის ჩამოუღია. ბატონი იოსების ლექსებს კი მღერიან, ლაპარაკობენ თუ სიკეთის ქმნის რა ნიჭი ჰქონდა მას.

ვაი, რომ გვავიწყდება ის, რაც გუშინ იყო – დღესაც იგივე გრძელდება. დღესაც არიან სხვათა ნიჭის გამქარწყლებლები და მოქილიკენი – და არიან ბატონ იოსებისთანებიც, მაგრამ სამწუხაროდ იოსებისთანები ცოტანი არიან, თითებზე ჩამოსათვლელნი. წიგნში გურამი მოგვითხრობს აგრეთვე საზღვარგარეთ ტურისტად, თუ სტუმრად ყოფნისას რამდენად გათვითცნობიერებული ჰქონდათ იმ ქვეყნის ხალხებს ცნობები ებრაელთა თემის შესახებ.

იგი შედარებას ახდენს საქართველოსა ამ ქვეყნების ხალხებს შორის. ვინ უკეთ იცოდა სად სახლობდა ებრაელობა და სად იმყოფებოდა მათი სინაგოგა. არცერთი უცხო ქვეყნების კაცმა თუ ქალმა გურამს ზუსტად ვერ მიასწავლეს სინაგოგის ადგილმდებარეობა. იგი ამას გაოცებული გვიამბობს და იქვე დასძენს, რომ ასეთი რამ ყოველად დაუშვებელია, რომ მომხდარიყო საქართველოში. საქართველო ეს ერთადერთი ქვეყანაა, რომლის ნებისმიერ კუთხეში მცხოვრებმა მოქალაქეებმა იციან სად სახლობს კომპაქტურად ებრაელობა და სად მდებარეობს მათი სინაგოგა.

არც ისაა ინტერესმოკლებული გურამის წიგნიდან თუ გავიხსენებთ მისი ბუდაპეშტში მეგობრის და ნათესავის სოსო მიხელაშვილის ოჯახში სტუმრად ყოფნისას სუფრასთან წარმოთქმულ სადღეგრძელოებს. მასპინძლის ვაჟიშვილს 10 დღის წინ შეურთავს ისრაელელი აბრამ (ალიოშა) იოსებაშვილის გოგონა, რატომღაც თითოეულმა ცალკე და ერთხმადაც ახალგაზრდა წყვილს უსურვეს ქართული ოჯახის შექმნა. ისიც ნიშანდობლივია, რომ სამადლობელო სიტყვაში სიძემ განაცხადა, რომ „შეეცდებით კარგი ქართული ოჯახი შექმნათო".

ამასთან დაკავშირებით, სამართლიანად მსჯელობს ბატონი გურამი. „რატომ, რისთვის უნდა შექმნას ქართული ოჯახი ახალგაზრდამ, რომლის მშობლები ოცდაათი წლის წინათ წაიდნენ საქართველოდან. თავად კი

ისრაელში დაიბადა და ახლა ბუდაპეშტში საქმიანობს. საქართველო არც უნახავს. აჰა ქორწინებიდან ერთ კეირაში ბუდაპეშტში ჩამობრუნდა ისრაელიდან, საქმე არ გააცდინა და ქართული ოჯახის შექმნას რატომ ლამობს?"

ბატონ გურამს არ უკვირს, როდესაც მამა უსურვებს შვილს ქართული ოჯახის შექმნას რადგან მას თავისი ცხოვრების უდიდესი ნაწილი საქართველოში აქვს გატარებული და უყვარს ეს ქვეყანა, მისი ტრადიციები. აი მისი ვაჟიშვილის კი უკვირს, რადგან მას საქართველო არც უნახავს". მე ჩემი მხრივ დავამატებდი, რომ ამ შემთხვევაში დიდი გაელენა აქვს გენებს და ასევე აღსრდას, რომლის პროცესში მშობლები გადასცემენ შვილებს, იმ ქვეყნის და ხალხისადმი სიყვარულს, სადაც დაიბადნენ, აღიზარდნენ და სადაც მათი წინაპრების და ახლობელთა საფლავებია.

მკითხველის ყურადღება მსურს კიდევ შევაჩერო ებრაელის ისტორიიდან ბატონ გურამის მიერ წიგნში მოყვანილ ფაქტებზე.

ასე მაგალითად, იგი დასძენს: „ერთხანს მეგონა, ებრაელობის დამარბეველთა, მტერთა სიაში ბევრი ერი, სახელმწიფო იყო, სულაც არ ყოფილა ასე, პირიქით გახლავთ თურმე! ყოველი ღირსეული ერი სახელმწიფო იცავდა და დაიცავს ებრაელობას". მოჰყავს რამდენიმე მაგალითი კაცობრიობის ყველაზე მძვინვარე წლებიდან:

„დანიის ოკუპაციის პირველსავე თვეებში დანიის მეფე ქრისტიან მეხუთე სასეირნოდ რომ გამოვიდა, ხელში მუყაოსაგან გამოჭრილი ებრაული „დავითის ვარსკვლავი" ეჭირა. ამით მან დანიელ ხალხს ებრაელებისადმი თანაგრძნობა მიანიშნა, მართლაც ეროი ღამის განმავლობაში დანიელებმა რეა ათასი ებრაელი გაარიდეს ფაშისტებს და შვეციის ნაპირებზე გადასხეს. ამ აქტისათვის ყოველ დანიელ მხსნელს სიკვდილი ემუქრებოდა. მაინც ჩაიდინეს ეს გმირობა.

გერმანელმა ფაშისტებმა ფინელებს მოსთხოვეს ებრაელების ფინეთიდან განდევნა. ფინელებმა კი ცივი უარი უთხრეს და თან დააყოლეს – ჩვენს ეროვნულ ღირსებას არ დავცემოთ. ასევე ბულგარეთსაც მოსთხოვოს თქვენს ტერიტორიაზე მცხოვრები ებრაელები საკონცენტრაციო ბანაკებში მოაქციეთო. ბულგარელებმაც დაიცვეს ებრაელები. მუსოლინის იტალიამაც კი უარი უთხრა გერმანელებს ებრალეთა იტალიიდან გაძევებასე.

აქვე მსურს ბატონ გურამის ამ ეპიზოდების მეტად დასადასტურებლად მოვიყვანო მაგალითები აბრეკ ბათოშვილის დიდებული ნაშრომიდან „ებრაელი ხალხის ისტორიიდან", რომლის მნიშვნელობის შესახებ დადებითი რეცენზია მიუძღვენი ამ ნაშრომს და ეს რეცენზია მოვათავსე ჩემს ერთ-ერთ წიგნში „სამი წელი ამერიკაში", რომელიც გამოქვეყნდა 1958 წელს.

ცნობილი ქართველი – ებრაელი მწერალი აბრეკ ბაოოშვილი ზემოხსენებულ ნაშრომში, რომელიც საქართველოში გამოქვეყნდა 1991 წელს სამართლიანად შენიშნავდა, რომ შეუძლებელია ადამიანმა წარმოიდგინოს ის ბარბაროსობა, რომელსაც სჩადიოდნენ ებრაელების წინააღმდეგ შუა საუკუნეებიდან მოყოლებული XX საუკუნის ჩათვლით. მწერალს არც ის გამორჩენია ყურადღებიდან, რომ სხვადასხვა დროს ყოველთვის გამოჩნდებოდნენ ხოლმე სახელმწიფოები და ხალხებიც, რომლებიც მხარში ამოუდგებოდნენ ებრაელ ერს და ხმას იმაღლებდნენ მის დასაცავად. ასე მაგალითად, ზოგიერთმა სახელმწიფომ, კერძოდ ჰოლანდიამ, ბელგიამ საფრანგეთმა და იტალიამაც კი მტკიცე უარი განუცხადეს გერმანელებს მათტან თანამშრომლობაზე ებრაელთა დეპორტაციის საკითხში. ნორვეგიელმა პატრიოტებმა წინასწარ გადაიყვანეს ებრაელები შვეციაში.

ფინეთის ფელდმარშალმა ბანერჰეიმმა, გერმანიასთან კავშირის მიუხედავად, გააფრთხილა მესამე რაიხი, რომ ფინეთში მცხოვრები ათასშვიდასი ებრაელიდან თუნდაც ერთის დაპატიმრების უფლებას არ მისცემდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ფინეთი დაარღვევდა გერმანიასთან დადებულ ხელშეკრულებას და ომს გამოუცხადებდა.

როდესაც გერმანელთა საოკუპაციო შტაბიდან დანიაში ბრძანება გაიცა, ყოველი ებრაელი ვალდებულია ატაროს ყვითელი სამკლაური ექვსქიმიანი ვარსკვლავით, იმავე ღამეს იატაკქვეშა რადიომ ხალხს აუწყა მეფე ქრისტიანის საპასუხო ბრძანება: დანიის თითოეული მოქალაქე თანასწორუფლებიანია და ამის გამო, თავად პირველი გავიკეთებ სამკლაურს და იმედი მაქვს ყოველი დანიელი მოქალაქე მიბაძავს ჩემს მაგალითსო. მეორე დღიდან მეფე ქრისტიანმა და კოპენჰაგენის მოსახლეობამ დაიწყეს სამკლაურების ტარება, რომლებზედაც გამოსახული იყო ექვსქიმიანი ვარსკვლავი. ერთი დღის შემდეგ გერმანელებმა გააუქმეს ბრძანება. ცხადია ასეთ პატრიოტ ხალხთან გერმანელებს გაუჭირდებოდათ ებრაელის გამორჩევა და ამიტომ უკან დაიხიეს.

დანიელმა პატრიოტებმა დამატებით კიდევ რამდენიმე გმირული საქმე გვიჩვენეს: 1943 წლის აგვისტოს ერთ-ერთ დილას ძლიერი აფეთქების ხმამ გააყრუა მთელი ზელანდია. მათ წინასწარ განსრახვით ჩაძირეს საკუთარი საზღვაო ფლოტი, რათა ამით ხელი შეეშალათ გერმანელი ხომალდების თავისუფლად მიმოსვლისათვის დანიის საზღვაო არხებში. მათვე შეაგროვეს ნავები და შვიდი ათას ორასი ებრაელი გადაიყვანეს შვეციაში. რაზეც ადრევე შეთანხმებული იყვნენ შვეციის მთავრობასთან.

ხსენებული ამ მეტად სასიხარულო და კეთილშობილური მაგალითების პარალელურად წიგნში მოთხრობილია საწინააღმდეგო

ფაქტის შესახებაც. ასე მაგალითად, ესპანეთის დედოფალმა დაიტრაბახა, რომ მან „ესპანეთის მიწაწყალი გაანთავისუფლა უგუნური და უწმინდური მაწანწალა ებრაელებისაგანო". დედოფლის ასეთ მსაკერულ და უგუნურ ტრაბახს მწერალმა წიგნში მოიყვანა და დაუკავშირა ებრაელი ერისათვის დამახასიათებელი ჭეშმარიტი მაგალითი: „ამ უგუნურმა და მაწანწალა ერმა" იმ დროისათვის მსოფლიოს 114 ნობელის პრემიის ლაურეატი მისცა და თვით ესპანეთმა, რომლის ხალხი სამჯერ აღემატება ებრაელობას ორად ორი ნობელის პრემიის ლაურეატი.

გურამის წიგნის კითხვისას ისეთ დასკვნამდე მივედი, რომ არ ქმარა ამ წიგნზე მხოლოდ სარეცენზიო წერილი დაწერო და აქო და ადიდო იგი. წერილი ძალზე ერცელი და მოზრდილი გამოგივა, რადგან თითქმის მთელი წიგნის გადაწერა მოგიხდება. ყოველი ფრაზა და სიტყვა იმდენად მნიშვნელოვანია და საჭირო, რომ ვერაფრით ვერ წარმოგიდგენია, რომელიმე გამოსტოვო და არ შეიტანო სარეცენზიო წერილში. მაშინ რა გამოდის? ესე იგი, მოგვიხდება მთელი წიგნის გადაწერა. ამ სარეცენზიო წერილს კი ასევე ერცლად ჩაეამთაერებ, ხოლო მორიგ მის წიგნებზე ჩემს წერილებს კი შედარებით მოკლედ დაეწერ – და თითოეულ მათგანში ყველა მკითხველს მოუწოდებს შეიძინონ ბატონ გურამის აეტორობით გამოქვეყნებული წიგნები და გულდასმით გადაიკითხონ, რომ სრულყოფილი წარმოდგენა იქონიონ სამშობლოსა და ერებს შორის სიყვარულზე, მოყვასის ერთგულებაზე, ურთიერთ გატანასა და ძმობაზე, განსაკუთრებით ისრაელსა და საქაროველოს და ქაროველ ებრაელთა ურთიერთობაზე, რომელთა გმირული და ტრაგიკული ისტორია ტყუპის ცალიეით ჰგავს ერთმანეთს. ვინც გურამის ბიოგრაფიას გაეცნობა და მის თავგადასავალს მოისმენს მას ვერცერთი მოგზაური და გეოგრაფი ტოლს ვერ დაუდებს. მსოფლიოში თითქმის არ დარჩა არცერთი კუთხე და ადგილი, დიდი თუ პატარა ქვეყანა, რომ მას არ ემოგზაურა მიელინებით, მოწვეეით თუ ტურისტად და არ შეხვედროდეს იმ ქვეყნის მეთაურებს, გამოჩენილ მწერლებს თუ ხელოვნების ცნობილ მუშაკებს. ამ საქმეში მე მგონი ვერცერთი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრიც ვერ შეეჯიბრება.

ბატონ გურამს არც კოტე მახარაძის მიერ ბრწყინვალედ შესრულებული ჯემალ აჯიაშვილის დაწერილი კომპოზიცია „ამღერდი ქნარო" არ გამორჩენია, რომელშიც კოტე მართლაც რომ მისთვის ჩვეული გზნებით გვიამბობს საქართველოში ებრაელთა ცხოვრების 26 საუკუნოვან ისტორიას. „გზნებით და სიყვარულით იგი ჭეშმარიტად განიცდის ებრაელთა ბედს. ჩვენს მაყურებელთა დარბაზში მსხდომთ გემსჭვალავს ამ ბედისადმი პატივისცემის გრძნობით. ხოლო ჯემალ აჯიაშვილს დიდი საკმაოდ მომქანცველი შრომა გაუწევია მასალების მოძიებისა და თავმოყრისათვის".

„ჯემალ აჯიაშვილის სინათლით, ამაღლებულად დაწერილი ტექსტი კოტე მახარაძის აქტიორული გამომსახველობისათვის გახლავთ მისადაგებული. ამ ჩინებული დამთხვევის გამო ეს გრძელზე გრძელი მონოლოგი მსახიობისა, ემოციურიც გახლავთ“.

ამ ფრაზების შემდეგ ბატონი გურამი ასე დასძენს: „ეროი გარემოების გამო კი გულს დამაკლდა“. „ამღერდი ქნაროს მიხედვით გამოდის, რომ ებრაელებს მთელი დედამიწის სურგზე, ურტყამდნენ, სცემდნენ გასაქანს არ აძლევდნენ, მათ ნიჭს და ენერგიას თრგუნავდნენ, და მხოლოდ საქართველო გახლდათ ის კუნძული, რომელზეც ებრაელები სულ ითქვამდნენ“.

თუ ასე იყო, კითხვას სვამს გურამი, რაღა იქ, იმ ქვეყნებში იშენენ ალბერტ აინშტეინები და ჩარლი ჩაპლინები, ლიონ ფოიხტვანგერები და ფრანც კაფკები, ზიგმუნდ ფროიდები – და ჰანრიხ ჰაინები.

და თუ ასე იყო, თუ მხოლოდ საქართველოში ექცეოდნენ ებრაელებს ესოდენ კარგად და სხვაგან არა, რატომ? რატომ იყო იქ ისე და ჩვენთან ასე? ამას ხომ უნდა ახსნა?

ბატონ გურამს ამ კითხვაზე მე პირადად ასე ვუპასუხებდი და მე მგონი დამეთანხმება კიდეც, საშუალო სკოლის მერხიდან გვახსოვს ფიზიკის კანონი, როდესაც დაწოლა მეტია, იქ წინააღმდეგობაც მეტია, აქედან გამომდინარე, სადაც მეტი დევნა და დარბევები იყო, როგორც ჩანს, იმ ქვეყნებში უფრო გამოდიოდნენ ცნობილნი და რჩეულნი.

დიდი რუსეთიც გამოიყოფოდა ებრაელთა დარბევებით და არც რუსეთი იყო გამონაკლისი ჰყოლოდა ნობელს პრემიის ლაურიატები.

მეტად საგულისხმოა გურამის საუბარი იციკ მოშესთან. იგი ეკითხება: რამ შეჰქმნა ასეთი დიდებული სახელმწიფო როგორიც ისრაელია. იდეამ, ამერიკის ეკონომიკურმა დახმარებამ, თუ ებრაულმა მუყაითობამ? იდეაში რას გულისხმობ? კითხვაზე კითხვით მიმართა იციკ მოშემ – სიონიზმს – ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და დამკვიდრების იდეას.

– სამივემ ერთად. სიონიზმმა ებრაელთა სახელმწიფომ დეფაქტო გახადა. ამერიკელთა ეკონომიურმა დახმარებამ ცხადია ძალიან შეუწყო ხელი სახელმწიფოს, ამასთან დიდი როლი ითამაშა ებრაულმა მუყაითობამ, შრომისმოყვარეობამ, მაგრამ არის კიდევ ერთი ისეთი რამ, რაც ყოველდღე, ყოველ წუთს მუდამ თან სდევს ისრაელის მოქალაქეს და ეფიქრობ ეს არის მთავარი, გადამწყვეტი, ეს აკეთებინებს ყველაფერს, ამან გახადა ქვეყანა ასეთი. გურამმა მოუთმენლად შესძახა, მაინც რა არის ასეთი? შიში – უპასუხა იციკმა.

შიში?! გაოცებულმა გაიმეორა გურამმა და დააყოლა: „ებრაელობას როგორც იქნა ელირსა თავისი სახელმწიფოებრიობა და დღეს მას აქვს უსარმაზარი შიში იმის გამო, რომ შესაძლოა ერთ უბედურ დღეს

არაბულმა სამყარომ ყველაფერი ეს არარაობად აქციოს, წალეკოს, ამიტომ ისრაელელი კაცი ყოველდღე, ყოველ წუთს იმაზე ფიქრობს, უფრო ძლიერი იყოს ქვეყანა, რომ მისი დაჯაბნა ვერავინ ვერ შესძლოს. თვითონაც მუდამ მზად არის იარაღს წააელოს ხელი და იბრძოლოს. სოხუმთან სამოქალაქო ომის დროს როდესაც ძმათა შორის სისხლი იღვრებოდა, და ხალხი ქუჩაში ვერ გამოდიოდა ჩვენი მსახიობები დასძენს გურამი მაინც გატაცებით თამაშობენ. მამაცურად ეწევიან ჭაპანს, გმირობის ზღვარზე დგანან. ისინი ამით ემსახურებიან მამულს, ამით ებრძვიან წუვდიადს და ადამიანის სულში ველური ინსტიქტების აღსვეებას. იქვე გურამმა ასწაულებრივად გაიხსენა სოლომონ ბრძენის იგავი, რომლის მიხედვით დედამ შვილი გასახლებად ვერ გაიმეტა: „ოღონდ ცოცხალი იყოს დაე, სხვას ეკუთვნოდესო.“ აფხაზთა მიხედვით: თუ სოხუმი ჩვენი არ იქნება, სულაც აღარ უნდა იყოსო და ყოველ დღე, ყოველ საათს ბომბავდნენ ქალაქს, მიწასთან ასწორებდნენ, ამით ისინი ყოველ დღე, ყოველ საათს ადასტურებდნენ, რომ სოხუმი მათთვის მშობლიური ქალაქი კი არა, ტერიტორიაა. ბატონი გურამი ამ წიგნში ერთ საბრალო დედაკაცსაც წერს, რომელმაც მის შესახებ ცილისმწამებლური წერილი რედაქციაში გააგზავნა. ამით აღშფოთებულმა რამდენიმე ებრაელმა ამავე რედაქციას წერილი მისწერა: ის დედაკაცი ცილისმწამებელია, ჩვენ თავად მონაწილე ვართ მაგ ამბებისა და კარგად ვიცით ყველაფერიო.

დაუყოვნებლივ შეიკრიბა ღვარძლიანთა და ინსპირატორთა დასტა, რომლებმაც ყვირილით აიკლეს რედაქცია, რათა მას არ მიეღო კოლექტიური განცხადების ჯგუფი, რომლებიც დაბეჯითებით იცავდნენ გურამ ბათიაშვილის ინტერესებს. (უბრალო საქმე ხომ არ იყო დიდხანს ნაფიქრ-ნალოლიავები საქმე ეშლებოდათ). მათ გადაწყვიტეს რედაქტორს დაურეკონ, რათა არ მიიღოს წერილი რომლითაც სრულიად ამართლებდნენ გურამის, რამდენადაც კოლექტიური წერილების წერა ხომ საბჭოური წესიაო. როგორც გურამი აღნიშნავს შეთქმულება მის სურგს უკან მზადდებოდა. შემდგომ დღეებში რათქმა უნდა თვით რედაქტორი ურეკავს გურამს და დიდი სინანულით ეუბნება: „რახან ებრალები ასე აღარ ინდობენ ერთმანეთს, ქვეყანა მართლა არეულა.“ ბატონი გურამის პიესა „ეალმა“ ჩვენი თემის სოგი წარმომადგენელიც გაანაწყენა და აძახებინა, ქართველ-ებრალელებს არავის ვალი არ აქვთ და თითქოს გურამმა მათ არასწორად დააკისრა. ამის თაობაზე ბევრთან კამათი მქონდა და ზოგიც შემომელანძღა.

მათ კითხვას ეუსვავდი: განა ბევრი სპექტაკლი გახსოვს რომ დიდი და პატარა ესოდენ მაღალ დონეზე აფასებდეს? ან მაყურებელი აღფრთოვანებული და თვალცრემლიანი ტოვებდეს დარბაზს და უდიდესი სიყვარულით და ამავე დროს მადლიერების გრძნობით იგონებდნენ

ქართველ ებრალეობას, რომლებმაც ერთი სამშობლოდან წასულებმა ისტორიულ სამშობლოში დაიდეს ბინა. სწორედ გურამის ამ სპექტაკლმა და ცხოვრების სინამდვილემ დაანახვა და აძახებინა მკვიდრ ქართველობას, რომ მათ არაფერი განსაკუთრებული არ გაუკეთებიათ მათთვის, რაც უფრო მეტიც სხვათა ერებისათვის, რომ არ გაეკეთებინოთ, მაგრამ ერთადერთმა მხოლოდ ქართველმა ებრალეობამ დაუფასა ქართველ ერს და მათდამი გამოხატეს მადლიერების გრძნობა იმისათვის, რომ 26 საუკუნის მანძილზე ერთად იზიარებდნენ ჭირსა და ლხინს და შეუნარჩუნეს რწმენა და ადათ-წესები. საქართველოსადმი, როგორც იგიეე სამშობლოსადმი გრძნობა ერთი წუთითაც არ განელებულა და მათი ყოველდღიური ცხოვრებით ისევე დაინტერესებულნი არიან, როგორც თვით მკვიდრი ქართველნი.

საერთოდ ბერჯერ მითქვამს და ეხლაც მსურს გავიმეორო, რომ ყველა ქვეყნიდან თუ საბჭოთა კაეშირის ყველა რესპუბლიკებიდან ისრაელში მიმავალ ებრაელებს ლანძღვა-გინებით და წყევლა-კრულვით აცილებდნენ და ერთადერთი ქვეყანა საქართველო და ქართველი ერი გახლდა საიდანაც მიმავალ ქართველ ებრაელობას სუფრა გაშლილი, თვალცრემლიანი და ლოცვა-კურთხევით აცილებდნენ.

აქედან გამომდინარე, ბატონ გურამ ბათიაშვილის ყველა ნაწარმოები, წიგნი თუ პიესა ვისაც და რასაც არ უნდა ეხებოდეს უაღრესად მაღალ შეფასებას იმსახურებს და შედევრია. რაც შეეხება მილიონებში თუ თითო ოროლა ეაიკრიტიკოსები გამოგვერევა, ღმერთმა არ გამოგვილიოს, ისინი საჭირონი არიან რადგანაც გვაფხიზლებენ. მათ ჩვენი საყვარელი მწერლის სიტყვებს მოვაგონებდი „ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანი".

კიდევ ერთ კარგ ფურცელს გავიხსენებ გურამის წიგნიდან, რადგან არ შემეძლო იგი მკითხველისათვის არ გამეცნო „დღეს საქართველოში ბევრი რამ ხდება ისეთი, რის გამოც საქართველო არ ჰგავს საქართველოს. ორიოდე წლის წინათ ამიტომ ვწერდი, აღნიშნავს გურამი: საქართველოში საქართველოს დავეძებ-მეთქი". მე დღესაც დავეძებ, მაგრამ იგი უფრო მშორდება, თითქოს ბურუსში ინთქმება, მაგრამ მე მაინც მჯერა, რომ ის სული არ გამქრალა საქართველოში. მაგრამ... ავანსცენაზე სხვანი არიან, ყველაზე მეტად ისინი ხმაურობენ, ვინც უხმოდ უნდა მიმოდიოდეს. ამ შემთხვევაში იკარგება იმათი ხმა, ვინც საქართველოს თავის სახეს აძლევდა. საქართველოს გამორჩეული ფერის ქვეყნად აქცევდა. და აჰა, კიდევ ერთი ნიშანი ჩვენი დაბინდული აზროვნებისა პოლიტიკური უმწიფრობისა, ზნეობრივი დაღმასვლისა – შოთას, ილიას, აკაკის, გალაკტიონის – ადამიანის სიყვარულით ნასაზრდოები ქართველ მწერალთა წიგნების გვერდით დევს და იყიდება წიგნი ადოლფ ჰიტლერისა – ამ წიგნის ბეჭდვა-გამოცემას ეროვნულად ულირს საქმედ

მიიჩნევს ცივილიზაციის გ'სას შემდგარი ყოველი ქვეყანა. ჩვენში კი შესაძლებელი გახდა! ცალკე მსჯელობის საგანია ბატონ გურამ ბათიაშვილისა და ე. გამგებელს შორის პოლემიკა, რაშიც გურამი მთლიანად აქარწყლებს მის მცდარ შეხედულებებს ისრაელსა და საქართველოს ურთიერთობაზე, ისრაელის პრემიერ მინისტრ ნეთანია-ჰუს თბილისში ჩატარებულ სეიმ'ზე ჩამოუსელელობა, რომ ნამდვილად საპატიო მიზეზებით აიხსნებოდა და არა რუსეთსა და ისრაელს შორის თითქოს ურთიერთობის გაუარესების თაეიდან აცილების გამო. აგრეთვე ის, რომ გურამს არასდროს არ ეშლება არც ტაქტი და არც დისტანციის დაცვა რა'ზე და როგორ ელაპარაკოს პრეზიდენტებს თუ სხვა ნებისმიერ პირს. მე ბევრჯერ მითქვამს და ახლაც მსურს წერილის დასასრულს კიდევ ერთხელ გავიმეორო, რომ ბატონ გურამის ყოველი ნაშრომი, წიგნი, პიესა თუ პუბლიცისტური წერილი გამსჭვალულია ერებს შორის ურთიერთ გატანის, ძმობის და ერთობის სულისკვეთებით, განსაკუთრებით კი საქართველოს და ისრაელის ქვეყნებსა და მკვიდრ ქართველ და ქართველ ებრაელ ერთა სიყვარულით, რომელთა გმირული და ტრაგიკული ისტორია ტყუპის ცალივით ჰგავს ერთმანეთს.

მიხეილ როკეტლიშვილი
იურისტი და ეკონომისტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი,საქართველოს ღირსების ორდენის კავალერი და თბილისის ერთგულების მედალოსანი

რეცენზია
ცნობილი მეცნიერის, პროფესორის, გერა დავარაშვილის ნაშრომზე: „საბაზრო ეკონომიკის ლექსიკონი“

ნაშრომის რედაქტორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი რ. ძაძამია და რეცენზენტები: ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გ. პაპავა და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი შ. შუბითიძე წიგნის დასაწყისშივე მკითხველს აცნობენ, რომ ეს ლექსიკონი მოიცავს საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი და საქმიან წრეებში მიღებული ტერმინების, ცნებების და კატეგორიების ექვსასამდე განმარტებას. ტერმინთა უმრავლესობა მათიეე შეხედულებით ასახავს დასავლეთ ევროპის, აშშ-სა და მსოფლიო ბაზარზე წლობით ჩამოყალიბებულ წარმოდგენას ეკონომიკაზე. იქვე დასძენენ, რომ ლექსიკონი ხელს შეუწყობს ბიზნესისა და მენეჯერთა უმაღლესი სკოლების მსმენელებს, სამეურნეო დარგის მუშაკებსა და მკითხველთა ფართო წრეებს საბაზრო ეკონომიკის კანონზომიერებათა პრონციპებისა და მეთოდების ათვისებაში.

განსაკუთრებით მეტად საინტერესოა ამავე ნაშრომის ერთ-ერთი რეცენზენტის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, ბატონ გიორგი პაპავას მიერ წამძღვარებული წინასიტყვაობა.

აი რას წერს იგი: საქართველოს რესპუბლიკა, როგორც სუვერენული სახელმწიფო აყალიბებს ახალ ეკონომიკურ სისტემას საბაზრო-ეკონომიკური ურთიერთობის საფუძველზე, რომლის განმსაზღვრელი პრინციპებია: სამეწარმეო საქმიანობის თავისუფლება და კონკურენცია, საკუთრების ფორმების მრავალსახეობა და თანასწორუფლებიანობა, შრომისა და სოციალური უფლებების გარანტია, სამეურნეო კომპლექსის მთლიანობა. იქვე იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თანამედროვე ცივილიზებული ქვეყნების ეკონომიკური განვითარების პრაქტიკას, რომელიც ნათლად გვიჩვენებს საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების ფართო შესაძლებლობებს და ეკონომიკური აღმავლობის პერსპექტივებს. ყოველივე ამის გამო, მისი შეხედულებით, საჭიროა ხელისუფლებამ გაატაროს რადიკალური სოციალურ-ეკონომიკური რეფორმები. სახელდობრ, მოახდინოს არსებული ეკონომიკური სისტემის ძირეული გარდაქმნა და სამეურნეო მართვის სრული განახლება. ამასთან, საჭიროა სრულყოს მოსახლეობის სოციალური გარანტიების დაცვა, საგადასახადო სისტემა და საბაჟო სამსახური და პარალელურად, დროულად მოაგვაროს ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის გადაუდებელი საკითხები.

აი, ყოველივე ზემოჩამოთვლილ პრობლემური საკითხების მოგვარებისათვის სამართლიანად დასძენს პროფესორი, ბატონი გიორგი პაპავა თავის წინასიტყვაობაში, უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკისათვის აუცილებელი ლიტერატურა, საბაზრო ეკონომიკის ტერმინების, ცნებებისა და კატეგორიების განმარტებითი ლექსიკონი, რომელიც ასახავდა მოწინავე ქვეყნების წლობით დაკვიდრებულ გამოცდილებას.

ასეთი ლიტერატურის დეფიციტს, დასძენს ბატონი გიორგი პაპავა, ნაწილობრივ ავსებს ავტორის, ბატონ გერა დავარაშვილის წინამდებარე საბაზრო ეკონომიკის ტერმინების მოკლე განმარტებითი ლექსიკონი, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ პირველ ნაბიჯს ამ მიმართულებით და მოიცავს საბაზრო ეკონომიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სოციალურ ეკონომიკურ მოვლენათა ამსახველი ტერმინების, ცნებებისა და კატეგორიების (როგორც ზემოთ იყო აღნიშნული) ექვსასამდე მოკლე განმარტებას.

ასეთი შეფასების შემდეგ, რომელსაც ესოდენ ცნობილი მეცნიერი იძლევა, რომელმაც ქვეყანას და ერს აღუსარდა ცნობილი მეცნიერი შვილი, რომელიც ერთდროულად იყო სახელმწიფო მოღვაწე (ეკონომიკის მინისტრი) და პრესტიჟული ინსტიტუტის, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის და სამართლის ინსტიტუტის დირექტორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ბატონი ელადიმერ პაპავა, ცხადია მეც დიდი ინტერესი გამიჩნდა ღრმად ჩავწდომოდი და გავცნობოდი ნაშრომის მნიშვნელობას. ბატონი გიორგი პაპავა დასასრულს დასძენს, რომ ლექსიკონი ხელს შეუწყობს საბაზრო ეკონომიკის ტერმინების პრაქტიკაში დანერგვის პროცესს და მათ დახვეწას და გაფართოებას. ავტორი და რედაქცია მიმართავენ მკითხველთა ფართო საზოგადოებას, რომ მათ სამართლიან შენიშვნებს უთუოდ გაითვალისწინებენ, რისთვისაც წინასწარ მადლობას იხდიან.

პირდაპირ გასაოცარია რარიგ დიდი მოცულობის ქართველი, რუსი და უცხოელი ავტორების ლიტერატურა აქვთ ავტორს გამოყენებული როგორც ლექსიკონების, ასევე იურიდიული ტერმინოლოგიის წიგნების და სხვადასხვა ცნობარების განმარტებების სახით. აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის კანონების სახით.

როგორც ავტორი დასაწყისშივე დასძენს, ტერმინები განლაგებულია ქართული ანბანის თანმიმდევრობით. ასე მაგალითად, იწყება ასო „ა“ ალფავიტის მიხედვით და მთავრდება ბოლო ჰ ასოთი.

აგენტი – ნიშნავს სავაჭრო გარიგების შუამავალი;

აგრეგირება (ლათინურად – აგრეგატუს – შეერთება) – მახასიათებლების გამსხვილება გარკვეული ნიშნის მიხედვით, საბაზრო ეკონომიკის პირობებში;

ავალი – (ფრანგ.) ნიშნავს გარანტიას;

ავიზო – (იტალ.) ნიშნავს შეტყობინებას და ასე შემდეგ.

აქ მე შემოკლებით მოვიყვანე რამდენიმე ტერმინის განმარტება, წიგნში კი უფრო ფართოდაა მოცემული.

პირდაპირ გასაოცარია ის, რომ ჯერ „ა“ ალფავიტის მიხედვით მოყვანილია თითქმის ორმოცზე მეტი ტერმინი, რომლებსაც განმარტებანათ უკავიათ წიგნის 10 გვერდი, მე-11 გვერდიდან დაწყებული მე-20 გვერდის ჩათვლით.

„ბ“ ალფავიტით იწყება ბაზრის განმარტება და აღნიშნული ასოთი დაწყებულ ტერმინების განმარტებასაც უკავია წიგნში თითქმის იგივე მოცულობის გვერდები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მარკეტინგული მართვის კონცეფციის ავტორისეული განსაზღვრა როგორც სპეციალური პროცესისა, რომელიც მომხმარებელთა მოთხოვნილებების საფუძველზე მიმართულია მათი მაქსიმალურად დაკმაყოფილებისაკენ და ორიენტირებულია წარმოება-გასაღების სფეროს სტრატეგიულ მართვაზე – საბაზრო პირობებზე აქტიური ზემოქმედებით.

ლექსიკონში ფართოდ არის გახსნილი მოცემულ ბაზარზე საქონლის განვითარების ეტაპების ერთობლიობა – საქონლის სასიცოცხლო ციკლი ბაზარზე შეტანის მომენტიდან გაყიდვების მოცულობის შემცირებამდე, ან სრულ შეწყვეტამდე. ყოველი ეტაპისათვის მოყვანილია შესაბამისი მარკეტინგული სტრატეგია.

მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი საერთაშორისო ვაჭრობაში დამკვიდრებული და ექსპორტიორ-იმპორტიორ მხარეებს შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, რომლებიც ასახულია კომოსამენტში (ანუ ხელშეკრულებაში), დაზღვევის პოლისში ან სადაზღვევო სერტიფიკატში.

ასახულია მეწარმეობრივი საქმიანობის ხელშემწყობი პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ შეღავათიან გარემოს საბაჟო, საგალუტო, საკრედიტო და სამართლებრივი უფლებების დაწესებით.

ლექსიკონში მოცემულია ბაზრის პრობლემასთან დაკავშირებით უამრავი ტერმინები. მათ შორის არის ასეთებიც: ბაზრის კონიუნქტურა, ბაზრის პოტენციალი, ბაზრის სეგმენტაცია, ბაზრის ტევადობა, ბაზრის ფაქტორები, ბანკი, ბალანსი, ბანკირი, ბანკის აქცეპტი, ბანკის კაპიტალი, ბანკნოტები, ბეგარა, ბიზნესი, ბირჟა, ბიუჯეტი, ბანკის თამასუქი, ბანკის კრედიტი, ბოიკოტი, ბონები, და სხვა.

ალფავიტის მიხედვით მომდევნო ბგერა არის „გ“. მას უკავია 4 გვერდი. ტერმინებს შორის არის ასეთები: გარანტია, გარიგება, გასაღების პროგნოზირება და სხვა.

ასე გრძელდება ყველა ბგერების ტერმინების განმარტება და ბოლო ბგერებია „ჯ“ და „ჰ“, რომლებითაც მთავრდება საეროოდ ლექსიკონი.

მოცემულ ლექსიკონში განმარტებული ტერმინების შესწავლა და ცოდნა დიდად დაეხმარება, უპირველეს ყოვლისა, საქმიან წრეებს თანამედროვე მენეჯმენტისა და მარკეტინგის ძირითადი ელემენტების გარკვევაში და მართვის ფუნქციების გაგებაში, აგრეთვე სტრატეგიისა და დაგეგმვის პრინციპების შესწავლაში.

ნებისმიერი მკითხველი უთუოდ დარწმუნდება, რომ ავტორს გაწეული აქვს ტიტანური შრომა და დაედაუზოგავად დახარჯული ენერგია, რომ ესოდენ მაღალ დონეზე წარმოადგინა „საბაზრო ეკონომიკის ლექსიკონი“.

მიხეილ როკეტლიშვილი
იურისტი და ეკონომისტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი,საქართველოს ღირსების ორდენის კავალერი და თბილისის ერთგულების მედალოსანი

რეცენზია
სოციალურ-ეკონომიკური მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის ბატონ ალფრედ კურატაშვილის მონოგრაფიაზე: „ადამიანის უფლებები და ხალხის ეკონომიკური გადარჩენის თეორიები“. თბილისი, საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2003.

ბევრ ცნობილ მეცნიერთა პირად დახასიათებას და მათი ნაშრომების დადებით რეცენზიებს გავცნობილვარ, მაგრამ ბატონ ალფრედ კურატაშვილის ნაშრომებმა, განსაკუთრებით კი ზემოხსენებულმა მონოგრაფიამ, რომელიც ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზეა გამოქვეყნებული, უაღრესად დადებით შთაბეჭდილებას ტოვებს, ვინაიდან იგი ზედმიწევნით მაღალ დონეზეა შესრულებული.

მეტად საგულისხმო და ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული წიგნისადმი და აგრეთვე პროფეორ ალფრედ კურატაშვილის სხვა სამეცნიერო ნაშრომებისადმი მიძღვნილ უამრავ რეცენზიებში, რომელთა ავტორები არიან როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკათა ცნობილი მეცნიერები, ასევე მსოფლიოს ზოგიერთი სხვა ქვეყნის მეცნიერებიც, შეფასებულია ძალზე მაღალ დონეზე მეცნიერებაში სიახლეების შემოტანისა და არსებული სასოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემების დასაბუთებული კრიტიკის გამო. მარტო ყოფილი საბჭოთა ქვეყნის გენერალური პროკურორის, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ალექსანდრე სუხარევის რეცენზიაც იკმარებდა, რათა ქებადიდების შარავანდედით შეგეემკო ავტორი და ქვეყნის მაღალ ჯილდოზე წარგეედგინა.

რეცენზირებულ ნაშრომში ჩამოთვლილია მონოგრაფიაში მოცემული რიგი ახალი თეორიები, მაგრამ მე მათ შორის მხოლოდ რამდენიმეს დავასახელებდი, რაც სრულიად საკმარისი იქნებოდა მის უდიდეს მნიშვნელობაზე ხაზგასმისათვის. ასე მაგ., 1) მატერიალური სტიმულირების და ეკონომიკური სამართლებრივი პასუხისმგებლობის შეხამების თეორია; 2) ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოების თეორია; 3) პრინციპულად ახალი პოლიტიკური ეკონომიკა; 4) მატერიალური წარმოებისა და მთლიანად საზოგადოების ეკონომიკური ბაზისის მიმართ სულიერი წარმოების (მეცნიერების, იდეოლოგიის, პოლიტიკისა და სამართლის, ანუ ე.წ. ზედნაშენის) უპირატესი განვითარების, როგორც ეკონომიკური ბაზისის ფუნქციონირების განმსაზღვრელი ინტელექტუალური, ორგანიზაციული და მმართველობითი საფუძვლის თეორია; 5) ადამიანის

ინტერესების უსენაესობის თეორია – ხალხის ინტერესების უსენაესობის თეორია; 6) ხალხის ეკონომიკური გენოციდის თეორია; 7) ხალხის ეკონომიკური გაუპატიურების თეორია.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ როგორ ებრძოდნენ ათნიშნული წიგნის ავტორს ბატონ ალფრედ კურატაშვილს ჯერ კიდევ 1974 წლიდან და განსაკუთრებით (1982-1989 წლებში) მარქსიზმ-ლენინიზმის ტყვეობაში მყოფი დოკმატიკოსი ფილოსოფოსები, ეკონომისტები, პოლიტიკური მოღვაწენი და ა.შ., რომლებიც დაუშვებელი მეთოდებით იყენებდნენ თავიანთ თანამდებობებს ახალი მეცნიერული იდეების აღსაკვეთად, და მაინც დამარცხდნენ ავტორთან ბრძოლაში ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში.

მონოგრაფიაში მოტანილია სხვა მთელი რიგი მეცნიერების, აკადემიკოსების დადებითი შეფასებები პროფესორ ალფრედ კურატაშვილის მეცნიერულ შემოქმედებაზე და დასახელებულია ავტორის მიღწეული უდიდესი სიახლენი მეცნიერებაში.

ეს რეცენზენტები არიან: ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ბ.მ. კედროვი და აღნიშნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ა.გ. სპირკინი, ორივე მოსკოვიდან. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ი.დ. ბრინი ომსკიდან, ბ.მ. ლევინი მოსკოვიდან და ფ.გ. სარიჩევი ლენინგრადიდან. რაც შეეხება ქართველ ცნობილ მეცნიერებს, მათი უმეტესობა გაბედულად მხარში ამოუდგა ავტორს, როცა მის მეცნიერულ შეხედულებას ებრძოდნენ და ყველა მის მიერ წარმოდგენილი დებულებები ერთხმად მოიწონა და სწორად მიიჩნია. ესენი არიან ცნობილი პროფესორები: ს.ა. ბოკუჩავა. ნ.ს. გეიშიანი, ე.ი. კანდელაკი, თ.გ. კუკავა, ა.გ. მახარაძე. ა.ი. თეთრაული, ე.გ. ჩადუნელი და სხვ., რომლებიც მარქსიზმისაგან სრულიად განსხვავებულად და ახლებურად ჩათვალეს ავტორის მიერ ჯერ კიდევ 1982 წელს გამოქვეყნებული მონოგრაფია და მაღალი შეფასება მისცეს მას. ერთ-ერთმა ასევე ცნობილმა მეცნიერმა ო.კ. შამათავამ ჯერ კიდევ გამოქვეყნებამდე მაღალი შეფასება მისცა აღნიშნულ მონოგრაფიას და ამით როდი დაკმაყოფილდა. მან როგორც ცენზურის სახელმწიფო კომიტეტის წარმომადგენელმა ნება დართო გამოქვეყნებულიყო ეს მონოგრაფია ფართო მკითხველისათვის გასაცნობად.

ისიც მეტად მნიშვნელოვანია, რომ რეცენზირებად მონოგრაფიაში დასახელებულია უდიდესი მოაზროვნე, ნობელის პრემიის ლაურეატი, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის და მსოფლიოს სხვა მრავალი სახელმწიფოს მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსი პეტრე ლეონიდეს ძე კაპიცა, რომელმაც მოიწონა და მხარი დაუჭირა ნაშრომში მოცემულ დებულებებს.

ისიც საგულისხმოა, რომ ავტორის მიერ 1982 წელს გამოცემულ მონოგრაფიას დადებითი გამოძახილი მიუძღვნა თბილისის სახელმწიფო

კონსერვატორიის რექტორმა, აწ განსვენებულმა პროფესორმა სულხან ცინცაძემ, რომელმაც პარალელურად იმისა, რომ უაღრესად დადებითი შეფასება მისცა მთლიანად ნაშრომს, მანვე დიდი ორგანიზაცია გაუკეთა ნაშრომის საერთაშორისო საჯარო განხილვას და მისი საერთო ხარჯები გააღებინა კულტურის სამინისტროს.

„განსაკუთრებით მნიშვნელოვანია – აღნიშნავს ბატონი ალექსანდრე სუხარევი, - 2001 წლის 27 აგვისტოს მინსკში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მე-10 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე ალფრედ კურატაშვილის სამეცნიერო მოხსენება „საზოგადოებისა და სახელმწიფოს პრობლემებზე“.

მოხსენებამ რომელიც აგებული იყო მის მიერ შექმნილ ახალ მეცნიერულ მიმართულებებზე და თეორიებზე, ამასთან არსებულ საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემების დასაბუთებულ კრიტიკაზე, უდიდესი ინტერესი გამოიწვია. მე ვიყავი უშუალო მოწმე და მონაწილე დისკუსიისა, დასძენს ა. სუხარევი, კონფერენციაზე დამსწრე საზოგადოებაზე როგორი ძლიერი და განუმეორებელი ზეგავლენა მოახდინა ორატორის ბრწყინვალედ და ნიჭიერად წარმოთქმულმა სიტყვამ.

ვიხსიარებთ რა ზემოდასახელებულ ცნობილ მეცნიერ-რეცენზენტთა დადებით გამოძახილებს ბატონ ალფრედ კურატაშვილის მეცნიერულ შემოქმედებაზე, უდავოდ სამართლიანად მივიჩნევთ ავტორის მონოგრაფიის შესავალში მთავარ დებულებათა წარმოჩენას. ეს სიახლენი მდგომარეობს შემდეგში:

„საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში ფაქტობრივად კი ფსევდოსოციალიზმის ნიადაგზე ველური, მძარცველური კაპიტალიზმის წარმოშობის დროს, როდესაც ხალხი (მოსახლეობის უმრავლესობა) მოკლებულია საარსებო მინიმუმსაც კი, აშკარად ადგილი აქვს ხალხის ეკონომიკურ და მორალურ-ფსიქოლოგიურ გენოციდს და, აგრეთვე ხალხის ეკონომიკურ გაუპატიურებას, რომელიც სახელმწიფო ხელისუფლების მოქმედების, უმოქმედობის ან უუნარობის შედეგს წარმოადგენს“ (ალფრედ კურატაშვილი. „ადამიანის უფლებები და ხალხის ეკონომიკური გადარჩენის თვისებები“. გვ. 107).

სწორად შენიშნავს ავტორი, რომ მონოგრაფია ეძღვნება, უპირველეს ყოვლისა, ყოველი ადამიანის უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური უფლების – სიცოცხლის უფლების დაცვის პრობლემას. ამასთანავე, ის ეძღვნება ადამიანებისათვის – მთელი ხალხისათვის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ჭეშმარიტად ადამიანური პირობების შექმნის გზების ძიებას.

ამასთან, ავტორი სამართლიანად გულისხმობს, ყოველი ადამიანის არსებო მინიმუმით უზრუნველყოფის აუცილებლობაში არა მხოლოდ ადამიანის არსებობის მატერიალური, ეკონომიკური უზრუნველყოფის

პრობლემას, არამედ საზოგადოების ყოველი წევრის ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკურ-სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური მექანიზმების შექმნის პრობლემასაც.

საზოგადოებისა და სახელმწიფოს პოლიტიკური ორიენტაციის პრობლემასთან დაკავშირებით მონოგრაფიის ავტორი, ჩემი ღრმა რწმენით გვთავაზობს ისეთ სელას, რომელიც ემყარება მის მიერ შექმნილ პრინციპულად ახალ მეცნიერულ და პოლიტიკურ მიმართულებებს, ანუ გვთავაზობს სელას არა კაპიტალიზმის ან ტრადიციულად გაგებული სოციალიზმის გზით და ა.შ., არამედ ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს მშენებლობის გზით, ყველა გზების, ფორმებისა და მეთოდების გამოყენებით, თუ ისინი გამორიცხავენ ანტისოციოლოგიურ მოვლენებს (რეცენზირებული მონოგრაფია, გვ. 114).

მონოგრაფიაში ავტორი სწორად სვამს საკითხს, რომ როდესაც სახელმწიფო, მისი ხელისუფლების წარმომადგენლები, ვერ უზრუნველყოფენ საზოგადოების ყოველი წევრისათვის საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფის პირობებს მაინც, მათ არ უნდა გააჩნდეთ არავითარი იურიდიული და მორალური უფლებები იყვნენ ხელისუფლების შემადგენლობაში.

ხალხის სამსახურში მყოფმა კომპეტენტურმა, უნარიანმა და ზნეობრივმა სახელმწიფო ხელისუფლებამ, დასძენს ყოველად სამართლიანად ავტორი, თუ მთელი რიგი წლების განმავლობაში ვერ მოაგვარა ადამიანის საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფის პრობლემა, მაშინ **თვითონვე უნდა თქვას უარი ამ ხელისუფლებაში ყოფნაზე.**

ყოველივე მე ამას, როგორც ერთ-ერთი რეცენზენტი და 60 წელზე მეტი კომუნისტური წყობასა და რეჟიმში გამოვლილი პიროვნება, ჩემს მოსაზრებას დავამატებდი და კიდევ უფრო განვამტკიცებდი ავტორის მიერ წარმოდგენილ რეკომენდაციებს.

მართლაც ხომ ყოველთვის ცხადია, რომ, თუ ვინმეს არ უჭირდა და სხვებთან შედარებით უკეთ ცხოვრობდა, ეს როდი ხდებოდა უმტკივნეულოდ და გარკვეული რისკების გარეშე. ვაჭრობის, წარმოების, ან საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში მოქმედ წესებს თუ არ დაარღვევდნენ, ანუ დანაშაულის ჩადენის გარეშე, ნორმალურად ვერავინ ვერ იცხოვრებდა.

და თუ ვინმე პატიოსნად მუშაობდა, არავითარ კანონებს არ არღვევდა, ასე თუ ისე მშიერი არ იყო, ესეც იმის წყალობით, რომ მისი დედმამისშვილი, ნათესავი ან მეგობარი ეხმარებოდა დანაშაულებრივი გზით მოპვებული სახსრებით.

ვერც თანამდებობის პირი ქრთამის გარეშე ვერ იბოგინებდა. ეს აქსიომა იყო. არც ის გახლდათ საიდუმლოება, რომ თანამდებობასაც ვერავინ ეღირსებოდა თუ ზედა ეშელონებში, ანუ უმაღლეს ხელისუფლებაში მოღვაწეთა შორის ნათესავი არ ჰყავდა. ისიც ცხადია, რომ

თანამდებობის პირი უმალვე თვითონ იწყებდა ქრთამის აღებას, რათა თავი და ოჯახი ერჩინა და იმათი გულიც მოეგო ვინც იგი თანამდებობას ასიარა. ამიტომ იყო, რომ ყოველი მესამე ოჯახის მარჩენალი ციხეს ვერ გადაურჩებოდა, ან ინფრაქტებით თუ ინსულიტებით იღუპებოდა.

ზემოხსენებული კომუნისტური რეჟიმი კიდევ იმით იყო მძიმე და აუტანელი, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირის მასშტაბით ნ. ხრუშჩოვის ხელმძღვანელობის პერიოდში მოქმედებდა უმაღლესი პრეზიდიუმის ბრძანებულება, რომელიც თანამდებობის პირს ქრთამის აღებისათვის სჯიდა 7-დან 15 წლამდე პატიმრობით, ან სასჯელის უმაღლესი ზომით, ანუ სიკვდილით.

როდესაც ოჯახს საარსებო მინიმუმი არ ყოფნის, ოჯახის მამა იძულებული იყო ჩრდილოვანი ეკონომიკის გზა აერჩია, სახელდობრ, თუ წარმოებაში მუშაობდა, ან რომელიმე მსუბუქი მრეწველობის საამქროს ხელმძღვანელობდა, მარცხენა შემოსავალი უნდა გამოენახა, ნედლეულით ნამეტი საქონელი გამოეშვა და მაღაზიების ქსელით გაესაღებინა, რომელსაც ანგარიშში არ უჩვენებდა. ეს კი ნიშნავდა სოციალისტური ქონების გაფლანგვა-განიავებას დიდი ოდენობით, რაც ისჯებოდა ზემოთ დასახელებული კვალიფიკაციით.

ვაჭრობის სისტემაშიც იგივე სასჯელით სამართლდებოდნენ, თუ ეს უკანასკნელნი დაკავშირებული იყვნენ წარმოების ან ფაბრიკა-ქარხნების მესვეურებთან, რომელთაგანაც მიღებული საქონლის მხოლოდ მცირე ნაწილი ჰქონდათ შემოსავალში გატარებული, ხოლო მეტი ნაწილის რეალიზაციით მიღებულ თანხას ინაწილებდნენ და იოვიისებდნენ. რაც შეეხება ვაჭრობის დარგის ის მუშაკები, რომლებიც წარმოების მესვეურებთან არ იყვნენ დაკავშირებული, სხვა სახის დანაშაულებრივი ქმედობით ირჩენდნენ თავს. ეს გახლდათ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზომა-წონაში მოტყუება, რაც ხშირად ასევე სავალალო შედეგებით მთავრდებოდა. მართალია ეს ქმედობა ზემოთ ნახსენებ მძიმე სასჯელებს არ ითვალისწინებდა, მაგრამ გარკვეული წლებით პატიმრობა, ასეთი სახის დანაშაულსაც მოჰყვებოდა.

ისმის კითხვა: ჯამაგირზე მაცხოვრებელი ოჯახის წევრები და მათი უფროსები უფრო ჯანმრთელი იყვნენ, თუ იმათი, რომელთა მეთაურები დიდი რისკის ფასად, ფუფუნებით და განცხრომით ცხოვრობდნენ? ჩემი მოსაზრებით, მე მგონი ჯამაგირზე მაცხოვრებლები, თუმცა ნახევრად მშიერნი, მაგრამ გაცილებით ჯანმრთელნი და სპორტული აღნაგობის იყვნენ.

ამდენად, იმ დროს წარმოდგენილი დებულებებით, რომ ესარგებლათ მაშინდელ საკავშირო ხელისუფლებას და ყველა ოჯახი უსრულველეყოთ საარსებო მინიმუმით, მაშინ უდიდესი უმრავლესობა დაკმაყოფილებული იქნებოდა და ქვეყნის ბიუჯეტიც გაცილებით მუდამ მსარდი და

მეტი რაოდენობის გვექნებოდა. მაშინ აღარც ნახევრად მშიერი ოჯახები გვეყოლებოდა, და არც განცხრომაში მყოფნი, რომლებიც სიმსუქნით კისერს ვერ იბრუნებდნენ და უდროოდ ხელიდან უმალ გვეცლებოდნენ.

მონოგრაფიაში ავტორს დროულად მოჰყავს „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ 1948 წლის 10 დეკემბრის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის შინაარსი, რომელშიც ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ: „ყოველ მუშაკს აქვს უფლება იღებდეს სამართლიანსა და დამაკმაყოფილებელ გასამრჯელოს, რომელიც უზრუნველყოფს ღირსეულ ადამიანურ არსებობას თვითონ მისთვის და მისი ოჯახისათვის და რომელსაც, როცა აუცილებელია, ემატება სოციალური უზრუნველყოფის სხვა სახსრები“.

უამრავი განმარტების პარალელურად, მი'სანშეწონილად ჩაეთვალე მონოგრაფიიდან მომეტანა მკითხველის ყურადღების გასამახვილებლად ავტორის შემდეგი სიტყვები. სახელდობრ, აი რას დასძენს ავტორი თავისი ნაშრომის 134 გვერდ'ზე: სახელმწიფო ხელისუფლების მიერ მინიმალური ხელფასის ოდენობის დადგენა საარსებო მინიმუმზე დაბალ დონე'ზე აშკარად ეწინააღმდეგება ადამიანი უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას, რომლის თანახმად „ყოველ ადამიანს აქვს სიცოცხლის უფლება, და როგორც უკვე აღინიშნა, დასძენს ავტორი, ანტიკონსტიტუციურ ქმედებას წარმოადგენს, რამეთუ, მაგალითად საქართველოს კონსტიტუციის თანახმად (მუხლი 15, პუნქტი 1), სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი. ხოლო საარსებო მინიმუმ'ზე დაბალ დონეზე მინიმალური ხელფასის ოდენობის დადგენით სახელმწიფო ხელისუფლება ფაქტობრივად ანტიკონსტიტუციურად „აკანონებს“ ადამიანის ფიზიკურ მოსპობას. აღნიშნული ფაქტი, ავტორის ღრმა რწმენით, რაც უდავოდ ათასჯერ მართალია, „სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან ხალხის ეკონომიკური გენოციდის უკანონოდ „დაკანონების“ ფაქტს წარმოადგენს და ამ ფაქტს, შესაბამისად, სწორედ ეკონომიკური გენოციდი უნდა ეწოდოს.

ავტორის მიერ პოლიტიკურ და მეცნიერულ ბრუნვაში შემოტანილი ტერმინი, როგორც იგი განმარტავს, ნიშნავს „სახელმწიფო ხელისუფლების მიერ პოლიტიკური და სამართლებრივი საშუალებების გამოყენებით ხალხისათვის – მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობისათვის ისეთი პირობების შექმნას, რომლებიც იწვევს ამ ხალხის ეკონომიკურ განადგურებას, რომლის შედეგად ხალხის ერთი ნაწილი უბრალოდ ფი'ზიკურად ისპობა (თვითმკვლელობები, იძულებითი შიმშილით სიკვდილი და ა.შ.); ხალხის მეორე ნაწილი მათხოვრობს ქუჩაში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში და ა.შ.; მესამე ნაწილი ფაქტობრივად ქუჩაში უპატრონოდ დარჩენილი მაწანწალა ძაღლების მდგომარეობაშია და სანაგვე ყუთებში ეძებს საჭმელს, ხალხის მეოთხე ნაწილი (ვინც ამას მოახერხებს, მათ შორის, უმაღლესი განათლებისა და

სამეცნიერო ხარისხების მქონე პირები) უცხოეთში გარბის, რათა დამამცირებელი, მძიმე, ხშირად არალეგარული მონური შრომით მოიპოვოს სარსებო საშუალებები თავისთვის და თავისი ოჯახისათვის, რათა ამით გადაარჩინოს თავისი თავი და ახლობლები ფიზიკური განადგურებისაგან; ხალხის გარკვეული ნაწილი იძულებულია ფიზიკური გადარჩენის მიზნით თავისი საკუთარი სხეულით ივაჭროს თავის სამშობლოში ან თუ მოახერხებს უცხოეთში და ა.შ., ხოლო ხალხის მცირე ნაწილი გამდიდრებულია, უმეტეს შემთხვევაში სახელმწიფოსა და, შესაბამისად, ხალხის ძარცვის ხარჯზე".

ყოველივე აღნიშნულზე სრულიად ვეთანხმები ავტორს. განსაკუთრებით მრავალი მაგალითი არსებობს ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც თითქმის 12 წელი სრულდება რაც ოჯახით მუდმივად ცხოვრება მიხდება, თბილისიდან გამგზავრების შემდეგ. მხოლოდ მე იმას დავამატებდი, რომ ამერიკაში სამუშაოდ საქართველოდან ჩამოსული ჩვენი თანამემამულენი, განსაკუთრებით ქართველი ქალები უაღრესად თავგამოდებით და საოცრად დიდი ეროგულებით მსახურობენ ამერიკელთა ოჯახებსა თუ მათ ოფისებში. მდიდარი ქართული ტრადიციით წინაპართაგან მემკვიდრეობით გადმოცემულმა ოჯახის ქალობამ, კდემამოსილებამ, უფროსებისა და მოხუცებისადმი დედაშვილურმა მოპყრობამ, სითბომ და სიყვარულის უსაზღვროდ გაღებამ იმდენად განაცვიფრა ამერიკელი, რომ საკუთარ შვილებზე მეტად შეიყვარეს და პატივისცემა დაიმსახურეს. იყო არაერთი შემთხვევა, რომ ზოგმა ამერიკელმა ოჯახის დიასახლისმა მასთან მომსახურე ქართველ ქალს სიცოცხლესიყვე სანოტარო წესით გაუფორმა და დაუმკიცა თავისი მთელი უძრავ-მოძრავი ქონება, მიუხედავად იმისა, რომ მათ თავიანთი საკუთარი შვილებიც ჰყავდათ ცალკე გასულები.

ეს არც არის გასაკვირი, რადგან მთელ რიგ ამერიკელ ოჯახებს თუ კი შვილების ნაცვლად ძაღლები და კატები ჰყავთ ოჯახებში და ისინი გაცილებით უფრო უყვართ, ვიდრე საკუთარი შვილები, რომლებიც (თითქმის მეტი ნაწილი) იმავე ქალაქებსა და რაიონებში ცხოვრობენ და ორ წელიწადში ერთხელაც ძლივს ნახულობენ მათ. შესაძლებელია ყოველივე ეს ასე რომ ხდება იმითაა გამოწვეული, რომ შინაური ცხოველები მეტად დამჯერენი არიან, ვიდრე მათი შვილები, რომლებიც ქვეყანაში არსებულ აღვირახსნილი დემოკრატიით გათამამებულები გარკვეულ სითბოს არ იჩენენ მშობლების მიმართ. ამით აიხსნება ისიც, რომ ქართველი ქალები გაცილებით მეტად უყვართ ამერიკელთა ოჯახებს და უდიდეს პატივს სცემენ მათ, ვიდრე თავიანთ შვილებს.

მრავალ სიძნელეთა შორის მნიშვნელოვანია ავტორის – ალფრედ კურატაშვილის ასეთი წინადადებაც: თუ პიროვნების ხელფასი აღემატება საარსებო მინიმუმის დონის გადასახადის დონეს, მხოლოდ ამ შემთხ-

ვეცაში შეიძლება იგი იხდიდეს გარკვეული დონის გადასახადს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი არ უნდა იხდიდეს მას.

რაც შეეხება ამჟამად მინიმალური ხელფასის გაზრდის პრობლემის გადაჭრის გზებს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე, ავტორის აზრით, შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფო (საბიუჯეტო) სექტორში, ისიც იმ შემთხვევაში, თუ ამის შესაძლებლობას იძლევა არსებული სახელმწიფო ბიუჯეტი, ან მასში რეალურად მოსალოდნელი დამატებითი შემოსავლები.

ამრიგად, მინიმალური ხელფასები სახელმწიფო სექტორში შეიძლება გაიზარდოს მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე, ფულის ემისიისა და უმუშევრობის ზრდის გარეშე, მხოლოდ იმ ოდენობით, რის შესაძლებლობას იძლევა არსებული სახელმწიფო ბიუჯეტი, ან მასში რეალურად მოსალოდნელი დამატებითი შემოსავლები.

ამრიგად, მინიმალური ხელფასები სახელმწიფო სექტორში შეიძლება გაიზარდოს მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული ხარჯებისან დასაბუთებულად მოსალოდნელი დამატებითი შემოსავლების გადანაწილება, მინიმალური ხელფასების მოსამატებლად იმის გათვალისწინებით, რომ ეს საბოლოო ჯამში კიდევ უფრო საზიანო არ აღმოჩნდეს ხალხისათვის, სახელმწიფოსათვის.

იმაშიც სწორია ავტორი, რომ გვთავაზობს საგადასახადო კანონმდებლობის იმ სახით შეცვლას, რომ ფიზიკური და იურიდიული პირები ყველა გადასახადს იხდიდნენ მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტში, შესაბამისად სახელმწიფო ფონდების შეკვეთების აუცილებლობის გათვალისწინებითაც, ხოლო სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი და ა.შ. უნდა ფინანსდებოდეს უშუალოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ერთ საინტერესო საკითხშიც მეტად საგულისხმო აზრს გამოთქვამს ავტორი. სახელდობრ, მისი შეხედულებით ხალხის მიერ დანაშაულებრივი სახელმწიფო ხელისუფლების შეცვლა შესაძლოა ანტიკონსტიტუციურ ქმედებად ჩაითვალოს, მაგრამ ეს ფაქტობრივად იძულებითი რევოლუციური და ამავე დროს, კონსტიტუციური ქმედება იქნება, რამეთუ ამ გზით ადამიანები, ხალხი სრულიად სამართლიანად და კანონზომიერად დაიცავს თავის კონსტიტუციურ უფლებებს და თავისუფლებას და, უპირველეს ყოვლისა, თავისი სიცოცხლისა და ადამიანური არსებობის კონსტიტუციურ უფლებას. ამ თავის აზრს ავტორი შესაბამისი მაგალითის მოტანით შემდეგნაირად განმარტავს: „თუ ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავი დაიცვას ნებისმიერი ყაჩაღისა და კაცის მკვლელისაგან, რატომ არ უნდა ჰქონდეს მას უფლება თავი დაიცვას იმ სახელმწიფო ხელისუფლებისაგან, რომელიც ეკონომიკურ და მორალურ-ფსიქოლოგიურ გენოციდს უწყობს ხალხს“. აქაც შეიძლება ავტორს – ალფრედ კურატაშვილს დაეეთანხმოთ იმ შემთხვევაშიც, თუ სახელმწიფო ხელისუფლება პასიურობს და არაეიოარ ზომებს არ ღებულობს

კრომინალურ ელმენტთა წინააღმდეგ საბრძოლველად, ან თუ ხელს უწყობს საქმოსნებს სახელმწიფოს ხა'სინის ძარცვაში. დანარჩენ შემთხვევაში კი ცხადია ერთიანი ძალით თვით ხალხის მასამ, მისმა უმრაელესობამ საერთო ბრძოლა უნდა გამოუცხადოს ყოველგვარ დანაშაულებრივ ქმედობებს და მხარში უნდა ამოუდგეს ხელისუფლებას, სამართალდამცავ ორგანოებს, რათა ჩანასახშივე ამხილონ ბოროტმოქმედნი, ვიდრე გამოუსწორებელი შედეგი დადგებოდეს. ბრძოლის ასეთი მეთოდი ორმხრივ სასარგებლო იქნება, რამდენადაც, ჯერ ერთი, თავიდან იქნება აცილებული მოსალოდნელი ტრაგიკული შედეგი, და მეორე, დამნაშაეენი ასეთ შემთხვევაში ნაკლებ სასჯელს დაიმსახურებენ, ნაცვლად მაქსიმუმისა. ავტორს ნაშრომში გამოყენებული აქვს მეტად მნიშვნელოვანი საჭირო ლიტერატურის წყაროები, და ყოველი მისი რეკომენდაცია განმტკიცებულია სათანადო სარწმუნო დოკუმენტებით, კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ ავტორის ნაშრომის მთავარი მნიშვნელობა ის არის, რომ იგი (მისი ძირითადი იდეები) დაიწერა და საჯარო განხილვის საგანი გახდა იმ პერიოდში, როდესაც ყოველი სიახლე, რა რიგ მნიშვნელოვანი და ჰაერივით საჭირო არ უნდა ყოფილიყო, მით უმეტეს, თუ იგი მარქსიზმის მოძღვრების საწინააღმდეგო გახლდათ, ცხადია არ მიიღებოდა. ამდენად, დიდი მადლობა გვეთქმის როგორც ავტორის, ისე იმ მეცნიერთა მიმართ (თუმცა მცირედი ნაწილის), რომლებმაც გაიზიარეს და გვერდში დაუდგნენ ავტორს, ასევე იმ ცნობილ მეცნიერთა მიმართაც, რომლებიც იმ საბედისწერო ჟამს გვერდში არ დაუდგნენ და არ გაიზიარეს ავტორს წინადადებები. ისიც ხომ შესაძლებელია, ეს უკანასკნელნი მართალია ავტორს წინ აღუდგნენ, მაგრამ იქნებ იმასაც შეეცადენ ავტორისათვის აცილებინათ მოსალოდნელი სასჯელი ესოდენ გაბედული ნაბიჯისათვის, რაც გამოიხატა მის მიერ მეცნიერებაში პრინციპული მნიშვნელობის სიახლის შეტანაში.

დასასრულს ისღა დაგვრჩენია, რომ მოვუწოდოთ მსოფლიოს რიგი ქვეყნების უმაღლეს ხელისუფალთ გაიზიარონ პროფესორ ალფრედ კურატაშვილის ნაშრომში მოცემული რეკომენდაციები.

მიხეილ როკეტლიშვილი
იურისტი და ეკონომისტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი,საქართველოს ღირსების ორდენის კავალერი და თბილისის ერთგულების მედალოსანი

რეცენზია
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ, ბატონ დავით კურტანიძის ნაშრომზე: „ეკონომიკური ლექსიკონი“

საერთოდ ცნობილია, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ლექსიკონებს ნებისმიერი ერისათვის. საკუთარი ენის გარეშე ხომ არ არსებობს ერი. „რა ენა გაქრეს ერიცა წახდეს“ არსებობს საყოველთაოდ აღიარებული თქმულება. არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე დარგობრივ ლექსიკონებს, ისეთებს, როგორიცაა: ფილოსოფიური, ეკონომიკური, იურიდიული, გეოლოგიური, სამედიცინო და სხვა.

ამჯერად მკითხველის ყურადღება მსურს გავამახვილო და ჩემი მოსაზრება გამოვთქვა ახალგაზრდა, მაგრამ ცნობილი მეცნიერის და საზოგადო მოღვაწის ბატონ დავით კურტანიძის ნაშრომზე:„ეკონომიკური ლექსიკონი” (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გამომცემლობა, 1991წ.).

წიგნი გამოიცა იმ პერიოდში, როცა ყიფილ საბჭოთა კავშირში, და განსაკუთრებით, საქართველოში უკიდურესად გამწვავდა პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური სიტუაციები. სახელდობრ, მიმდინარეობდა სოციალისტური წარმოების წესის ძირეული შეცვლა.

1995 წლიდან მომიხდა ოჯახით მუდმივ საცხოვრებლად აშშ-ში ქ. ნიუ იორკში შვილებთან ერთად გამგზავრება. ამდენად, მხოლოდ ახლა, მიმდინარე 2006 წელს მომეცა შესაძლებლობა გავეცნობოდი აღნიშნულ ნაშრომს, რომელიც ავტორმა, დავით კურტანიძემ ქ. ნიუ იორკში მისი სტუმრად ყოფნისას მისახსოვრა.

ზემოაღნიშნულ წიგნს საფუძვლიანად გავეცანი და გადავწყვიტე გამომეთქვა ჩემი ზოგიერთი მოსაზრება. როგორც ცნობილია, საზოგადოების წინსვლის კვალდაკვალ ხორციელდება ეკონომიკურ მეცნიერებათა განვითარება, მკვიდრდება ახალი ტერმინები, ცნებები, კატეგორიები, რომელთა განმარტება ეხმარება დაინტერესებულ მკითხველს ეკონომიკური ლიტერატურის გაგებაში.

ნაშრომში ავტორმა ეკონომიკურ ტერმინებთან ერთად შეიტანა საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის ტერმინები, ცნებები, და საერთოდ ისეთი სიტყვები, რომლებიც ხშირად იხმარება რადიოსა და ტელეგადაცემებში, მასმედიაში. ნიშანდობლივია ისიც, რომ, როგორც თვით ავტორიც სამართლიანად აღნიშნავს, ქართულ ენაზე ამ სახით შედგენილ ნაშრომს წინამორბედი არ გააჩნია. აქედან გამომდინარე, ცხადი ხდება, თუ რაოდენ დიდი შრომაა გაწეული ავტორის

მიერ ყოველი ტერმინის განმარტებისათვის, რათა გასაგები და გამოსაყენებელი გაეხადა იგი მკითხველისათვის.

მართალია საკმარისი დრო გაეიდა აღნიშნული ლექსიკონის გამოქვეყნებიდან და ბუნებრივია, მსოფლიოს ქვეყნების ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა ცვლილებებმა დღის წესრიგში დააყენა სოგიერთი ტერმინის ახლებურად განმარტება, სოგიერთის კი საერთოდ უარყოფა, მაგრამ აეტორის სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ წიგნში განმარტებული ტერმინების დაახლოებით ¾ დღესაც ძალაშია და ამდენად, მისი ცოდნა და გამოყენება აუცილებელ საჭიროებად მიმაჩნია.

მე მაგონდება გასული საუკუნის მეორე ნახევრის პერიოდი, როდესაც უმაღლესი სასწაელებლების, განსაკუთრებით პოლიტექნიკური, სამედიცინო, სასოფლო-სამეურნეო, სოოეეტერინარული ინსტიტუტების სტუდენტებს რაოდენ უჭირდათ ეკონომიკური თეორიის შესწაელა ლექსიკონებისა და საცნობარო ხასიათის ლიტერატურის არ არსებობის გამო.

ეკონომიკურ ლექსიკონში განმარტებულია ისეთი ტერმინებიც, რომლებიც იმ პერიოდში იხმარებოდა, მაგრამ მისი განმარტება არ იყო, ან სხვაგეარად იყო გაგებული. არა და იგი ჰაერიეით საჭირო იყო, რათა ახალგაზრდობას სტუდენტობის წლებშიეე მეტად გასაგები ენით დაწერილი ეკონომიკური ლექსიკონიდან შეესწავლათ, თუ რაც ნიშნავდა „აბსოლუტური ვედმეტი ღირებულება“, „აბსოლუტური რენტა“, „აბსტრაქტული შრომა“, „აგრარული კრიზისები“, „აგრარული სამრეწველო კომპლექსი“ და სხვ. აგრეთვე დიდ საწარმოებსა და დაწესებულებებს, ფაბრიკა-ქარხნების ხელმძღვანელობას, სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების ეკონომისტებს და საფინანსო დარგის მუშაკებსაც როდი აწყენდათ მათი სფეროს შესაბამისი ტერმინების სირღმისეული ცოდნა, რასაც პრაქტიკაში გამოიყენებდნენ და ამით უფრო მეტად გაზრდიდნენ შრომის ნაყოფიერებას და რენტაბელურს გახდიდნენ წარმოებას. მაგ., ლექსიკონში მოცემულია “ადამიანის ფაქტორის” განმარტება, რომ იგი საზოგადოების განვითარების ისტორიული პროცესის განხორციელების აუცილებელი პირობაა და მისი როლის გაძლიერება საზოგადოებრიეი პროგრესის მიღწევის საშუალებაა. მან უნდა შექმნას პიროვნების როლის პასუხისმგებლობის გაზრდის ატმოსფერო. ამიტომ იყო, რომ ჩვენი ცხოვრების განვითარების ყველა ეტაპზე კადრების სწორად შერჩეეას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა.

ეკონომიკურ ლექსიკონში, თითოეულ ტერმინს მითითებული აქვს მისი წარმოშობის წყარო და, ამასთან, მეტად გასაგებად არის განმარტებული ყოველი მათგანი. ეს ტერმინებია: „აუცილებელი პროდუქტი“, „აუცილებელი სამუშაო დრო“, „აქცეპტი“, „აღმაელობა“,

„აღწარმოება“, „ბეგარა“, „ბირჟა“, „ბიუჯეტი“, „ბრუნვის გადასახადი“ და სხვა.

ჩემი შესედულებით, დაინტერესებული მკითხველი დიდად მადლიერი იქნება, როცა გაეცნობა ისეთი ეკონომიკური კატეგორიების ტერმინების განმარტებას, როგორიცაა: „კაბალა“, „კალკულაცია“, „კაპიტალიზმი“, „კაპიტალის წრებრუნვა“, „ფულადი კაპიტალი“, „ფული“, „ფულის ემისია“, „ფულის რეფორმა“, „ფულის ფეტიშიზმი“ და სხვ. ერთი შეხედვით ეს კატეგორიები, ტერმინები თითქოს ძალზე ცნობილია, მაგრამ მისი ახსნა-განმარტებისას დაერწმუნდებით, რომ ბევრი რამ ჩვენთვის გაურკვეველი და დავიწყებულია. წაკითხვის შემდეგ კი, როდესაც გავითვითცნობიერებთ, უმალ მადლიერების გრძნობა დაგეუფლება ავტორის მიმართ.

ეკონომიკურ ლექსიკონში შეხედებით აგრეთვე უამრავ ტერმინებს, რომელთა განმარტების გარეშე შინაარსის გაგება ბევრ მკითხველს და დაინტერესებულ პირს გაუჭირდება. ასე მაგ., „კლირინგი“, „კოლონატი“, „კონიუნქტურა“, „კონკურენტუნარიანი პროდუქცია“, „კონსოლიდაცია“, „კონტრაქცია“, „კონცერნი“, „კორპორაცია“, „ლატიფუნდიები“, „ლიცენზია“, „მიკრო-“ და „მაკრო-“ ეკონომიკა, „მიმოქცევის ფონდები“, „მიმოქცევის ხარჯები“, „მონოპოლიური რენტა“, „მოროტორიუმი“, „მუნიციპალიზაცია“, „ნულიფიკაცია“, „პლებიცისტი“, „პატრონატი“, „პაუპერიზმი“ და სხვ. მაროლაც, რომ გულს მოგეშვება, როდესაც ყველა ამ ტერმინთა შინაარსს გაეცნობი, ამასთან, უდიდესი კმაყოფილების გრძნობა დაგეუფლება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ლექსიკონში ავტორს მოცემული აქვს ეკონომიკურ-მათემატიკური, ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის ზოგიერთ ტერმინთა განმარტება, რომლებიც დღეისათვის ფართოდ გამოიყენება ეკონომიკურ ლიტერატურაში.

ავტორი უდავოდ დიდ მადლობას იმსახურებს აღნიშნული ლექსიკონის გამოქვეყნების გამო. მან პირადი საუბრისას გამიმჟღავნა, რომ ინტენსიურად მუშაობს ეკონომიკური ლექსიკონის ახალ გამოცემაზე, სადაც აისახება ის ცვლილებები და სიახლენი, რაც დაგროვდა განულილი პერიოდის განმავლობაში. ხელშემშლელ ფაქტორად მხოლოდ წიგნის გამოცემის მატერიალური პრობლემები დაასახელა.

სრული ჭეშმარიტებაა, რომ დღეს საქართველოში არ არის ადვილი და იოლი საქმე საკუთარი წიგნის გამოცემა. მე კი მიმაჩნია, რომ მეცნიერების დარგში გაწეული შრომა სათანადოდ უნდა იყოს დაფასებული და, ამდენად, მსოფლიოს ყველა ქვეყნის ხელისუფალნი ვალდებულნი არიან ამას ჯეროვან ყურადღებას აქცევდნენ. მეცნიერს უსათუოდ უნდა გააჩნდეს შრომის ელემენტარული პირობები. საერთოდ, რაც შეეხება ეკონომიკის დარგს, სახელმწიფოს პარალელურად დაინტერე-

სებული უნდა იყვნენ თვით მსხვილი მეწარმეები, ბიზნესმენები, სამეურნეო დარგის მუშაკები.

დასასრულს, ისღა დაგვრჩენია, ხსენებული ეკონომიკური ლექსიკონის ავტორს, ბატონ დავით კურტანიძეს ვუსურვოთ შემდგომი წარმატებები თავის სამეცნიერო-შემოქმედებით მუშაობაში და ახლო მომავალში საზოგადოების წინაშე წარდგენილიყოს უფრო სრულყოფილი და განახლებული ეკონომიკური ლექსიკონით.

მიხეილ როკეტლიშვილი
იურისტი და ეკონომისტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი,საქართველოს ღირსების ორდენის კავალერი და თბილისის ერთგულების მედალოსანი
ქ. ნიუ იორკი, აპრილი, 2006 წელი

გამოძახილი
საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, ნიუ იორკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, ბატონ ალექსანდრე კუჭუხიძისადმი მიძღვნილ წიგნზე: „დრო გადის“

ბატონ ალექსანდრე კუჭუხიძეს ბიბლიის 10 მცნება და მსოფლიოს მეცნიერების მიერ გადაწყვეტილი რიგი საკაცობრიო პრობლემები იმდენად მაღალ დონეზე აქვს აღწერილი და მისი მნიშვნელობაც განმარტებული, რომ ყოველი მკითხველი შეეცდება განეყოს სიკეთის თესვის და ყოველგვარი ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ამასთან, მოელი შეგნებული ცხოვრება, მოქმედება შინ თუ გარეთ, შრომით კოლექტივებში, მეცნიერ-კოლეგებთან, ოჯახის წევრებთან და ახლობლებთან, მეგობრებთან, თუ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებთან იყო და არის სამაგალითო და მისაბაძი.

ვინც ბატონი ალექსანდრეს მეუღლისადმი მიძღვნილ საკუთარ ლექსებს, ამ ლექსთა წყობას, შინაარსს და წერილებს გაეცნობა, უთუოდ მისადმი უდიდესი სიყვარულით განიმსჭვალება და მას, ამ ეკონომისტ მეცნიერს გაუტოლებს თანამედროვე ცნობილ ლიტერატორებს და მწერლებს. მის პოეზიასა და პროზაში ასახულია კეთილშობილური რჩევა-დარიგებანი და უფაქიზესი გრძნობები, რომლებიც არ ჩამოუვარდება მსოფლიოს მოწინავე ქვეყნის სულიერი მამების რჩევა-დარიგებებსაც. სახელდობრ, თუ როგორი უნდა იყოს ოჯახში მამა მეუღლისადმი, შვილებისა და შვილიშვილებისადმი, ნათესავებისა და მეგობრობისადმი.

ბატონი ალექსანდრე კუჭუხიძის ცხოვრება კი პირდაპირ ცოცხალი მაგალითია ყველა ღირსეულ და საღად მოაზროვნე მამაკაცთათვის, მეტადრე, თუ იგი მეცნიერი, მწერალი, ლიტერატორია.

ჩემს ადრინდელ სამძიმრის წერილში ბატონ ალექსანდრეს მთელი რიგ ესოდენ მძიმე ხვედრის შემამსუბუქებელ ფრაზებს შორის ერთ ასეთ შეგონებას შეეახსენებდი: „სულიერ მამებს ხშირად უთქვამთ, რომ მომხდარი ტრაგიკული მოელენა რარიგ სასწაულებრივ უცნაურად გვეწვენებოდეს, ღმერთის კრიტიკაში არ უნდა შეეჯრათ და მას არ უნდა ვედავოთ სიტყვებით: რატომ? რისთვის? რა საშღაურად? და სხვა. ბოლოს იგივე სულიერი მამები იძლევიან განმარტებას: ხომ შეიძლებოდა უარესი მომხდარიყო, მაგრამ ეს იკმარა ღმერთმა. ამდენად, ვირწმუნოთ აქ, თუ იმ ქვეყნად ყველაფერი დალაგდება, ყველა თავისას იმკის და შესაფერის

ადგილს იკავებს. ადრე თუ რელიგია დეენიდა მეცნიერებას, მერე შეიცვალა პოზიციები და მეცნიერება ილაშქრებდა რელიგიის წინააღმდეგ. ამჟამად კი, თითქმის ორივე ერთმანეთს უწყობს ხელს და ერთიანი ძალით სურთ გადაწყვიტონ მსოფლიო მნიშვნელობის პრობლემები. ბატონ ალექსანდრეს იმასაც ვწერდი, რომ ყოველივე, რაზეც ეესაუბრებოდი მას ჩემზე უკეთ მოეხსენებოდა, მაგრამ რუსთაველის თქმისა არ იყოს: „რა ექიმი დასნეულდეს რაზომ გინდა საქებარი, მან სხვა იხმოს მკურნალი და მაჯისაცა შემტყობარი“.

ბატონი ალექსანდრეს ტიტულებს შევახსენებთ მკითხველებს. იგიგახლავს გაზეთ „განათლება, მეცნიერება, ბიზნესის“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი, 2008 წლის აპრილიდან კი გაზეთ „საქართველოს დედაქალაქის“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ნიუ იორკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა რამდენიმე საზოგადოებრივი აკადემიების ნამდვილი წევრი, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წევრი, მწერალი, პუბლიცისტი, საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტის დამფუძნებელი და რექტორი, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიისა და სრულიად საქართველოს საზოგადოება „კოლხეთი“-ს დამფუძნებელი და პრეზიდენტი, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის წელიწდეულის „მოამბის“ მთავარი რედაქტორი. ასობით სამეცნიერო შრომისა და სტატიის, მხატვრული ნაწარმოებების ავტორი, 60-ზე მეტი მეცნიერების კანდიდატისა და დოქტორის ალმზრდელი, მუდმივმოქმედი საერთაშორისო სადისკუსიო კლუბისა და ფორუმის ხელმძღვანელი, სენაკისა და აბაშის რაიონების საპატიო მოქალაქე, საქართველოს ღირსების ორდენის კავალერი.

ბატონი ალექსანდრე ყველაფერთან ერთად დიდებული მეოჯახე, სახელოვანი შვილი, მამა და ბაბუაა. ამასთან უაღრესად მოყვასი, ერთგული, ყველგან სიკეთის მთესველი და უდიდესი ქველმოქმედიცაა.

როგორც ჩანს, ღმერთმა მას დააკურთხა ყოფილიყო არა მარტო ცნობილი ეკონომისტ-მეცნიერი, არამედ მწერალი და პუბლიცისტიც. ყოველი მისი ნაშრომი პოლიტიკური, ტექნიკური თუ ეკონომიკური, აგრეთვე ლიტერატურული ან პუბლიცისტური, გამსჭვალულია მშობლიური ქვეყნისა და ერისადმი პატრიოტული გრძნობით, საქმის ღრმა ცოდნით, ერუდიციით და სხვადასხვა ქვეყნის გამოჩენილ მწერალთა აფორიზმების წარმოჩინებით.

თითოეული მისი წიგნი, ბროშურა, ლექსთა კრებული თუ აფორიზმები მეტად დამრიგებლური, ცხოვრებისეული და გამათვითცნობიერებელია. პირდაპირ გასაოცარი და წარმოუდგენელია ამ ცნობილ

მეცნიერ-ეკონომისტს საიდან გააჩნია ესოდენ სიღრმისეული შინაარსის და გარითმული ლექსების წერის ნიჭი და უნარი.

ბატონ ალექსანდრეს ნაშრომთა შორის მნიშვნელოვან ადგილს იჭერს სტატია სტალინის პიროვნების შესახებ.

არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ სტალინის გარდაცვალებიდან დღემდე 50 წელზე მეტმა დრომ განელო და მოელი ამ ხნის განმავლობაში ყველა ქვეყანაში და თვით საქართველოშიც არ შეწყვეტილა მის მიმართ არც ლანძღვა და არც ქება. მაგრამ, ვინც ბატონი ალექსანდრეს მიერ დაწერილ და გამოქვეყნებულ სტატიებს და ნაშრომებს გაეცნობა, უდავოდ სრულად გაიზიარებს მის შეხედულებას და გაიმსჭვალება სტალინისადმი სიმპატიით და სიყვარულით. ისმის კითხვა: რატომ, მაინც და მაინც ბატონ ალექსანდრეს სტატიების საფუძველზე? პასუხი ასეთია: ასე მოხდება იმიტომ, რომ ბატონი ალექსანდრე სარწმუნო და უტყუარი მასალების და იურიდიულად დასაბუთებული წყაროებით ამტკიცებს სტალინის პიროვნების ქმედებებს სრულიად ობიექტურად ჩადენილს გარკვეული პერიოდების შესაბამისად და გარე სამყაროს ზრახვათა გათვალისწინებით. სწორედ იმ ხანაში, როდესაც დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე იყო დამყარებული სოციალისტური წყობა, სხვაგვარად მისი შენარჩუნება შეუძლებელი იყო. ამ გარემოებას კიდევ შეიძლება დავუკავშიროთ 1941-1945 წლებში ფაშისტური გერმანიის მიერ თავს მოხვეული დიდი სამამულო ომი, რომელიც არავითარ შემთხვევაში ჩვენი გამარჯვებით არ დამთავრდებოდა, რომ არა სტალინის პიროვნების განდიდება.

სწორედ ამ განდიდებამ და სტალინისადმი სიყვარულმა შეაკავშირა, ერთ მუშტად შეკრა საბჭოთა ქვეყნის 100-ზე მეტი ეროვნება და სხვადასხვა ფრონტებზე მათი შვილები ლოზუნგებით, შეძახილებით –" სამშობლოსათვის," "სტალინისათვის," გმირულად ათავისუფლებდნენ და იცავდნენ საბჭოთა ქვეყნის თითო მტკაველ მიწას.

რომ არა ასეთი თავგანწირული ბრძოლა პირსისხლიან, კბილებამდე შეიარაღებულ მტერთან, მოსკოვს ვერ დაიცავდნენ.

სწორედ 1941 წლის 7 ნოემბრის საზეიმო დღეს, როდესაც მტერი მოსკოვს კარს მომდგარი იყო, იმ დროს სტალინი ტრიბუნაზე იდგა და მარშალ ბუდიონისაგან პარადს ღებულობდა.

ამ ეპიზოდმაც განაპირობა მოსკოვის დაცვა და მის მისადგომებთან მტრის დამარცხება. ფაშისტების ტანკები, რომლებიც მოსკოვის ასაღებად მოემართებოდნენ, საბჭოთა ჯარისკაცებმა წელზე ყუმბარშემორტყმულებმა ააფეთქეს და საკუთარი სიცოცხლის ფასად მტერი გაანადგურეს. ამით, საერთოდ გადაწყვიტეს ქვეყნის ბედი. თითოეულ ჩვენს მეომარს შეგნებული ჰქონდა, რომ არც ერთი ნაბიჯი უკან არ დაეხიათ. ასეთი გმირული ეპიზოდები მეორდებოდა სტალინგრადის და ბრესტის

ფრონტებთან და ბერლინის აღებისას. ცხადია, ამ გზით ჩვენი ქვეყანა გაიმარჯვებდა, რადგან მეომრები სასწაულებრივ გმირობას ახდენდნენ, რაც განუმეორებელი იყო მსოფლიოს ისტორიაში.

მტრის „პულიმიოტის“ ამბრაზურის გულმკერდით დაფარვა, რათა თავისი ნაწილებისათვის გზა გაეკაფა, მატროსოვის მიერ პირველად ჩადენილი მეორდებოდა მთელი რიგი მეომრების მიერ სხვადასხვა ფრონტებზე. ანალოგიური გმირული ეპიზოდი უფრო მწვავედ პირველად ჩადენილი გასტელოს მიერ ალმოდებული თვითმფრინავი, რომ წარმართა ფაშისტებისაკენ და თავი აიფეთქა, ნაცვლად იმისა, რომ პარაშუტით ესარგებლა და სიცოცხლე შეენარჩუნებინა, ეს ეპიზოდიც გაიმეორა არა ერთმა ჩვენმა პილოტმა. ყოველივე ამან განაპირობა მტერზე გამარჯვება, ეს კი შესაძლებელი გახდა სწორედ სამშობლოსა და სტალინის სიყვარულით.

აქედან გამომდინარე, ჩვენს წერილებში ვამტკიცებდით და ბოლოს მიხეილ როკეტლიშვილის სქელტანიან წიგნშიც შეტანილია, რომ არა სამშობლოს სიყვარული და სტალინის პიროვნების კულტი, რომელმაც კელავ ვიმეორებთ, ერთ მუშტად შეკრა მრავალეროვანი საბჭოთა ხალხი და მტერზე გაამარჯვებინა. ეს რომ არა, მაშინ უთუოდ განწირული იქნებოდა ჩვენი ქვეყანა, გაიმარჯვებდა ფაშიზმი და ეს გამოიწვევდა გაცილებით მეტ ტრაგიკულ შედეგს, მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლის სახით. ფაშიზმის გამარჯვების შემთხვევაში მოისპობოდა მსოფლიო მასშტაბით როგორც ებრაელობა, ასევე მთელი რუსობა და კომუნისტები. რაც შეეხება სტალინის ხელმძღვანელობის პერიოდში ყველა გადასახლებული და დაპატიმრებული, ან დახვრეტილი, როგორც ნათქვამი იყო, დაეუშვათ შეადგენდა 50 მილიონამდე ადამიანს, და ყოველივე ტრაგედია, რომ დაეუშვათ მთლიანად სტალინს გადაებრალოთ (თითქოს თითოეული მან თავის ხელით დახვრიტა) და რესპუბლიკების არც ერთ უშიშროების სამინისტროს ცოდვა არ მიუძღვით. არადა ყველა მათგანი თავიანთ რესპუბლიკებში ისე თარეშობდნენ, რომ შეიძლება მოსკოვსა და სტალინამდე არც კი მიდიოდა ცნობები. მიუხედავად ამისა, მხოლოდ სტალინი დაეადანაშაულეთ და აღნიშნული 50 მილიონამდე დაღუპული სტალინს მიეწერეთ. საბოლოოდ ხომ დავრწმუნდით, რომ ეს 50 მილიონი ზღვაში წვეთია შედარებით იმ მსხვერპლთან რაც შეიძლება მოჰყოლოდა ფაშიზმის გამარჯვებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სწორედ სტალინის პიროვნების განდიდებამ, ფაშიზმის დამარცხებამ დაღუპვისაგან იხსნა მსოფლიო ცივილიზაცია და პლანეტის მოსახლეობის თითქმის ნახევარი. ახლა ვიანგარიშოთ პიროვნების კულტით გამოწვეული მსხვერპლი უფრო დიდია, თუ თავიდან აცილებული მძიმე ტრაგიკული შედეგი. ცხადია ეს უკანასკნელი, ანუ მოსალოდნელი უდიდესი მსხვერპლი, რაც მოჰყებოდა უთუოდ ფაშიზმის გამარჯვებას. მსოფლიო ქვეყნების სამართლის საერთო პრინციპი კი არის სამართლებრივი

ნორმების საფუძველზე თუ „დანაშაულებრივი ქმედობით გამოწვეული ზარალი ნაკლებმნიშვნელოვანია, ვიდრე თავიდან აცილებული, მაშინ დამნაშავე არ ისჯება“. ჩვენ დავამატებდით, რომ პირიქით, უნდა ჯილდოვდებოდეს კიდეც.

ამრიგად, საესებით სწორია ბატონი ალექსანდრე კუჭუხიძის მსჯელობა და მისი შეხედულება სტალინის პიროვნების შესახებ. ის პერიოდი, როცა სტალინს უხდებოდა ხელმძღვანელობა, სწორედ რკინისებური დისციპლინა იყო საჭირო, წინააღმდეგ შემთხვევაში, კომუნისტური წყობა გაცილებით ადრე დაემხობოდა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ბატონი ალექსანდრე სხვა წყაროებითაც ადასტურებს რუსეთის ისტორიაში (და არა მხოლოდ რუსეთის ისტორიაში), არაერთ შემთხვევას, როდესაც მრავალი მეფე, იმპერატორი ან ქვეყნის მეთაური, მსხვერპლი ყოფილა შეთქმულთა, თუ ბოროტმოქმედთა მიერ მოწამვლის, მზაკვრული მკვლელობის, რომელსაც ვერც სტალინი გადაურჩა.

მეტად საგულისხმო და ნიშანდობლივია კიდევ ის გარემოება, რომ როგორც კი შეიტყვეს ბატონი ალექსანდრე კუჭუხიძის შესახებ წიგნი უნდა დაიბეჭდოს და მას მიეძღვნას, თითქმის არ დარჩა საქართველოში მისი კოლეგა, საზოგადო მოღვაწე თუ მეცნიერი, ვისაც კი მისადმი სიყვარულის და პატივისცემის გრძნობა გააჩნდა, რომ მასზე სტატია არ დაეწერა და თავისი შეხედულება არ გამოეთქვა. ყველამ ერთხმად სიხარულით, დიდი სურვილი გამოთქვა და სარედაქციო საბჭოს დროულად მიაწოდა წერილი თუ სტატია. მეც, მიხეილ როკეტლიშვილმა ამერიკიდან, ერთ-ერთი პროფესორს, ბატონ დავით კურტანიძეს, რომელსაც ორი დიდებული ვაჟიშვილი ჰყავს ამერიკაში და ორივენი ბეჯითად სწავლობენ და, ამასთანავე, პარალელურად მოღვაწეობენ პრესტიჟულ კომპანიებში, გამოვატანე თბილისში სტატია და სხვებთან ერთად ჩემიც გამოქვეყნდა. თითოეული მეცნიერის შეხედულებაც როგორი შემოკლებული ფორმითაც არ უნდა მივაწოდოთ მკითხველს, რეცენზიაში მაინც დიდ ადგილს დაიკავებს, ამდენად შევეცადეთ შერჩევით მხოლოდ რამდენიმე ავტორის სტატიებიდან მოვიტანოთ მნიშვნელოვანი ფრაზები და თითოეულ მათგანზე ჩვენი შეხედულება გამოვთქვათ. ჯერ ბატონ ალექსანდრე კუჭუხიძის მიმართ უნდა აღინიშნოს, რომ იგი აღნიშნული წიგნის (რომელიც მისადმია მიძღვნილი) ერთ-ერთი ავტორი თვითონაც არის. იშვიათობაა ვისადმიც წიგნია მიძღვნილი, რომ იგი ერთ-ერთი ავტორიც იყოს, მაგრამ ამ შემთხვევაში უდავოდ მეტად დადებითი როლი შეასრულა მისმა ავტორობამ, დაამშვენა და უსაზღვროდ საინტერესო გახადა წიგნი. სარედაქციო საბჭოს შემადგენლობა ხომ უაღრესად ცნობილი მეცნიერებისა და სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებისგანაა დაკომპლექტებული. კერძოდ, მისი თაემჯდომარე, აკადემიკოსი, ბატონი

ნოდარ ჭითანავა გახლავს. თავის წინათქმაში ბატონი ალექსანდრე კუჭუხიძე სამართლიანად ახასიათებს და მეტად მაღალ შეფასებას აძლევს სარედაქციო საბჭოს ხელმძღვანელის ბატონ ნოდარ ჭითანავას პიროვნებას. მე არ მიკვირს, დასძენს იგი, სხვებსაც ვინც „ოდაბადეს“ და დღევანდელი ჭითანავებისა და მათი წინაპრების ისტორიას იცნობს არ უკვირთ სამეგრელოს დედარაიონში – სუგდიდში სღვის დონიდან 280-320 მეტრის სიმაღლეზე მდებარე სოფელ ჭკადუაში ბავშვობისა და ყმაწვილკაცობის წლებგამოვლილი, ძვალგამაგრებული და შრომას შეყვარებული ქრისტესეული სნე-ჩვეულებებით ნაკურთხი და ნაწრთობი, მისი მცნებების გიორგი ჭყონდიდელიეით მცოდნე და პატივმიმგები, ფრანგული კულტურის გავლენით ჩამოყალიბებული, მიურატების, დადიანების და ჭაჭავაძეების კოლხურ სნე-ჩვეულებებთან შეზავებულ ტრადიციებზე აღსრდილი ნოდარ ჭითანავას მიერ გავლილი გზა.

ბატონი ნოდარი იყო საქართველოს კომპარტიის ცხაკაიას რაიონის პირველი მდივანი. პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი, საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და რეგიონალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი; არჩეული იყო სახალხო დეპუტატების სასოფლო, საქალაქო, რაიონული საბჭოს, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად; არის ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი, 100-მდე სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 7 მონოგრაფიის ავტორი.

ბატონი ალექსანდრე კუჭუხიძე კვლავ აგრძელებს თხრობას ბატონი ნოდარ ჭითანავას შესახებ და დასძენს, რომ მის ლექსიკონში სიტყვა „ვაშინერს“, რომელიც არის ადამიანთა მოქმედების მიზანშეუწონლობის გამომხატველი პროტესტის ფორმა, საპატიო ადგილი უჭირავს, და არა მარტო ლექსიკონში, არამედ ყოველთვის და ყველგან. იგი განსახიერებაა ღმერთის უსენაესად მიჩნევის, სულიწმინდის აღიარების, ღვთაებრივი ცნებების და დარიგებების. იგი დაიბადა 1935 წლის 10 მარტს. თავისი შეგნებული ცხოვრების უმეტესი ნაწილი მან კომუნისტური წყობის სამსახურში განვლო, უფრო ნაკლები კომუნისტურიდან კაპიტალისტურში გარდამავალ პერიოდში, ან პირდაპირ რომ ვთქვათ, კაპიტალისტურში. მის ცხოვრებაში, დასძენს ბატონი ალექსანდრე, პოლიტიკური წყობა კი შეიცვალა, მაგრამ მისი რწმენა არ შეცვლილა. ერთიანი საქართველოსთვის, მისი დამოუკიდებლობისათვის, საქართველოს ცის ქვეშ მცხოვრებ ხალხთა მეგობრობისათვის იყო და არის დღესაც.

ბატონი ნოდარი გარშემო მყოფთა საქციელს საფუძვლიანად აკვირდებოდა, საფუძვლიანად აფასებდა, იცოდა მან ვინ იყო მოკეთე, ვინ

შურიანი და ვინ ავის მქნელი. იგი მაინც ყველას მიმართ ერთნაირ დამოკიდებულებას იჩენდა, თავის სითბოს, თავის სრულიას თითოეულს არ აკლებდა. ასეთ გზას ადგა იგი ყოველთვის და ახლაც ადგას. მას სწამდა და სწამს, რომ თუ ბოროტებას სიკეთით ვუპასუხებთ იგი ნაკრება. ოროტში სიკეთის ნაპერწკალი გაღვივდება და ბოროტი ადამიანი ბოლოს და ბოლოს გაკეთილშობილდება. ასეთი შეხედულების დამადასტურებელ არგუმენტად ავტორს მოჰყავს მრავალი ქვეყნის ცნობილ მწერალთა გამონათქვამები და, მათ შორის, ლეო ტოლსტოის და ქართველი მწერლების: ვაჟა ფშაველას, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის გამონათქვამები.

ბატონი ნოდარ ჭითანავა დიდ პოსტებზე ყოფნის დროსაც დიდ მეცნიერულ მუშაობას ეწეოდა. მრავალი ნაშრომი დაწერა, გამოაქვეყნა, პარალელურად დაიცვა როგორც საკანდიდატო, ასევე მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. მეტად საგულისხმოა, რომ სწორედ იმ დიდ სამუშაო კაბინეტიდან არაერთხელ წერილობით უთხოვია მას ქვეყნის პირველი თავკაცებისათვის გადაეყვანათ სამუშაოდ მეცნიერების დარგში. ეს წადილიც როგორც იქნა აღისრულა. იგი 1993 წლის 3 მაისს დაინიშნა სოციალ-ეკონომიკური და რეგიონალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტის დირექტორად, სადაც მოკლე დროში დაიმკვიდრა დიდი მეცნიერის სახელი. მისი ნაშრომები ასახავს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და დემოგრაფიული კრიზისიდან ქვეყნის გამოყვანას.

წინამდებარე წიგნის სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარის, პროფესორ ნოდარ ჭითანავას და სწავლული მდივნის, პროფესორ თამაზ დანელიას ხელმოწერით დაგზავნილ განცხადებებს ორმოცზე მეტი მეცნიერი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე გამოეხმაურა გულთბილი და სიყვარულით სავსე სტატიებით.

ბატონ ალექსანდრე კუჭუხიძის ფენომენის შესახებ წიგნი იწყება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პოლიტოლოგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კათედრის გამგის, პროფესორის, პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს იგორ კვესელავას წერილით. იგი დასძენს, რომ ბატონ ალექსანდრესთან ნაცნობობა თუ ამხანაგობა დიდი ხანია აკავშირებს, რაც შემდეგ მეგობრობაში გადაიზარდა.

ალექსანდრე კუჭუხიძის ფენომენი ბატონ იგორ კვესელავას შეხედულებით აბაშის რაიონის სოფელ ნავსაკოეოში იღებს სათავეს. მისი მოღვაწეობის მუდმივი თანამგზავრი იყო მსოფლიოს ყველაზე უმცირესი მდინარის პირას დაბადებული დიდი მწერლის და პატრიოტის კონსტანტინე გამსახურდიას შეგონება: „არ უნდა დაგჯაბნონ დიდი მდინარის პირას დაბადებულებმა“. აი სწორედ ამ დევიზით თუ რწმენით იარა ბატონმა ალექსანდრე კუჭუხიძემ, ბავშვობიდან დღემდე, იშრომა, იღვაწა, იბრძოლა და დგას ახლაც ჩვენს გვერდით კაცი და პიროვნება,

მეცნიერი და პედაგოგი, უბადლო ორგანიზატორი, მუდამ სიახლის მაძიებელი, ქვეყნის ბედ'ზე მაფიქრალი მოღვაწე.

კოლხი კაცისათვის უცხო არ არის სიცოცხლის და სიკვდილის ფილოსოფია. სიცოცხლე მზადაა მარადიულობაში გადასასვლელად, მაგრამ ბატონ იგორ კვესელავას სურვილია, ალექსანდრე კუჭუხიძის ზეცამ ჯერ კიდევ კარგა ხანს უნდა მიოცადოს მის სულთან გასასაუბრებლად...

კოლხები, ოჯახიდან სასწაელებლად, საომრად, თუ სამოგზაუროდ გაცილების ჟამს ასე მიმართავდნენ შვილებს: „სირცხვილი არ უნდა აკადრო ქვეყანასა და ოჯახს", და აბაშიდან წამოსულმა ყმაწვილმა კაცმა, დასძენს ბატონი იგორი, უსირცხვილოდ დაიწყო საკუთარი ფენომენის ძიება, შექმნა და დამკვიდრება... ამის შემდეგ, ბატონი იგორი იმდენად ზედმიწევნით მაღალ შეფასებას იძლევა ბატონ ალექსანდრეს პიროვნების წარმოსაჩენად, რომ მარტო იმის შეფასებაც იკმარებდა სხვათა უამრავ ავტორთა გარეშეც, რომ ეს დიდებული ადამიანი ქვეყნის მაღალ ჯილდოზე წარგვედგინა. ასე მაგალითად, აი რა გააჩნია მას: ხალასი ნიჭი, ურყევი და გამოკვეთილი მიზანი, ღრმა ცოდნა, ადამიანებთან ურთიერთობა, სამართლიანობა, მოსმენის და მოთმინების დიდი კულტურა, შეკითხვაზე პასუხის და რჩევის სიღრმე.ეს არის რწმენისა და პრინციპების ერთგულება, ეს არის ათასობით გზად დაკვალიანებული სტუდენტი და ასპარეზმიცემული ასპირანტი, მაგისტრი თუ დოქტორი. ეს არის ურიცხვი საქმო-სამეგობრო და საამხანაგო წრე, ეს არის საქვეყნო საქმის კეთება, ვალის მოხდა ქვეყნის წინაშე; ეს არის თანამოაზრეთა გუნდის ლიდერობა, სასწაელო თუ სამეცნიერო კერის მრავალათწლიანი მეთაურობა, ჭირისა და ლხინის გაზიარება; ეს არის ქართული ცნობიერებისა და ტრადიციების დაცვა, ეროვნული სახელმწიფოებრიეი აზროვნება;მის გონებას და მეხსიერებას გააჩნია უნარი დაიეიწყოს ცუდი წყენა, იმავდროულად მისი გულის მეხსიერება კოდირებული სახით ინახავს მთელ ცხოერებას – გარეგანსაც და შინაგანსაც. ალექსანდრე კუჭუხიძე მიმტევებელი და მაპატიებელია. მან იცის შენდობა, იგი სინდისს უღვიძებს ადამიანს, თუმცა შესანიშნავად იცის, რომ ოპონენტს მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლია ზოგჯერ, რადგან ის გაიძულებს ფრთხილად იყო, ყურადღებით დაუკვირდე ცხოერებას და მხოლოდ ტკბობამ და ნებიერობამ არ უნდა გაგიტაცოს.

ბატონმა ალექსანდრემ, დასძენს იგორ კვესელავა, კიდევ ერთი გამორჩეული თვისებით მოხიბლა ქართული საზოგადოება. ეს არის ტრადიციული, გარდაცვლილის გასახსენებელი ცერემონიალებით ღირსეული პატივი მიაგო ოჯახის გვირგვინის უსათნოესი და უმშვენიერესი ქალბატონ ვენერა ესაკია-კუჭუხიძის ნათელ ხსოვნას.

დასასრულს, ასე დასძენს ბატონი იგორი: ბატონ ალექსანდრე კუჭუხიძეს საქართველოში გამორჩეულ კაცს, პიროვნებას და მოღვაწეს

სრული უფლება აქვს გაიმეოროს ლათინური სენტენცია: „მე გავაკეთე რაც შემეძლო, ვისაც შეუძლია, უკეთესი გააკეთოს“.

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, ბატონმა თამაზ დანელიამ თავისი წერილით ასე მიმართა ბატონ ალექსანდრე კუჭუხიძეს: „ერის სიამაყე და მომავალი თაობის იმედო“. წინა საუკუნის 60-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაიწყო მათი საქმიანობა და ამხანაგური ურთიერთობა. დასაწყისში იგი მუშაობდა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, რომლის ხელმძღვანელი იყო ბატონი ალექსანდრე კუჭუხიძე. მისი რჩევა-დარიგებებით მას გაუადვილდა დისერტაციის რუსულ ენაზე დაწერა და მოსკოვის საატესტაციო კომისიაში პრობლემებს გადაურჩა.

თამაზ დანელიას შეხედულებით, ბატონი ალექსანდრე მასშტაბურად მოაზროვნე მრავალმხრივი მეცნიერია. ასე მაგ., მისი მეცნიერული კვლევის სფეროს წარმოადგენს ეკონომიკა, პოლიტიკა და პოლიტოლოგია, იურისპრუდენცია, სახელმწიფოებრივი მშენებლობა, ფილოსოფია, დემოკრატიის პრობლემა, დიალექტიკის სფერო და სხვა. ამასთან, არის უაღრესად თვალსაჩინო პუბლიცისტი, ჟურნალისტი, მწერალი და პოეტი.

კიდევ უამრავი საქები სიტყვებით ამკობს ბატონი თამაზ დანელია ბატონ ალექსანდრეს, მაგრამ ჩვენ მხოლოდ სემოაღნიშნულით შემოვიფარგლებით და მკითხველს მოკლედ გავაცნობთ სხვა დანარჩენ ავტორთა შეხედულებებს, რომლებიც გამოქვეყნებულია წინამდებარე წიგნში.

აღნიშნული წიგნი კიდევ იმით გამოირჩევა, რომ ყოველი სტატიის დასაწყისში მოთავსებულია თითოეული ავტორის სურათი და მასთან გამართულია პატარა ინტერვიუ თვით ბატონ ალექსანდრეს მიერ. ინტერვიუში გაცემული პასუხები უაღრესად ღრმა შინაარსისაა და მეტად მნიშვნელოვანია, რაც იმით აიხსნება, რომ თვით დასმული კითხვებია ასევე შინაარსიანი და მეტად პრობლემური, და რა თქმა უნდა, პასუხის შესაბამისი უნდა ყოფილიყო. ამჯერად, გვსურს შევეხოთ ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, ბატონ ლეო ჩიქავას სტატიას და მკითხველს მოკლედ გავაცნოთ მისი შეხედულება ბატონ ალექსანდრე კუჭუხიძის მიმართ. როგორც იგი დასძენს, ბატონ ალექსანდრესთან დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებს. მან 40 წლის წინათ გაიცნო (გასული საუკუნის 60-იანი წლების მეორე ნახევარში) ბატონი ალექსანდრე. დასაწყისშივე კითხვაზე: თუ ვის დაასახელებდა სამეოდან წასულთა შორის ბატონმა ლეომ ყოველგვარი ყოყმანის და დაფიქრების გარეშე დაასახელა ორი ბუმბერაზი აკადემიკოსი, ბატონები ფილიპე გოგიჩაიშვილი და პაატა გუგუშვილი. ჩვენ, დავამატებდით ბატონ ვასო ჩანტლაძეს არა მარტო

იმისათვის, რომ იგი მიხეილ როკეტლიშვილის ორივე დისერტაციის ხელმძღვანელი იყო, არამედ კიდევ იმისათვის, რომ ათეული წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფინანსების და კრედიტის კათედრას და იყო მთელი სიცოცხლის მანძილზე ამავე უნივერსიტეტის ეკონომიკური საბჭოს უცვლელი ხელმძღვანელი.

ბატონმა ლეომ თავის წერილს წინამდებარე წიგნში ასეთი სათაური წარუმძღვარა: „ამოუწურავი ინტელექტუალური პოტენციალის მქონე პიროვნება“.

ბატონ ლეოს წილად ხვდა ბედნიერება ყოფილიყო მისი დიდებული სადოქტორო დისერტაციის ოფიციალური ოპონენტი. ნაშრომი იყო 548 გვერდიანი მონოგრაფია, რომელიც ეხებოდა საქართველოს საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის ეკონომიკისა და დაგეგმვის პრობლემებს. როგორც ბატონი ლეო დასძენს, იმ დროისათვის ხსენებულებულ ნაშრომში წარმოდგენილ რეკომენდაციებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა დაგეგმვის პრობლემების კომპლექსურად შესწავლის საქმეში, რადგან იგი პირველ და ფრიად წარმატებულ ცდას წარმოადგენდა. მასში ნათლად ჩანდა ავტორის ფართო ერუდიცია, განსწავლულობა, მაღალი ინტელექტი და რთული ეკონომიკური მოვლენების ურთიერთკავშირის ღრმად გაანალიზება-განზოგადების შესანიშნავი უნარი. ისიც საგულისხმოა, რომ ბატონ ალექსანდრე კუჭუხიძეს ფრიად ავტორიტეტულმა და თავისი სიმკაცრით სახელგანთქმულმა სამეცნიერო საბჭომ, დასძენს ბატონი ლეო ჩიქავა, ერთხმად და ერთსულოვნად მიანიჭა ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

მეტად სამახსოვროდ შემორჩა ბატონ ლეოს საეროდ მეცნიერული დისპუტების დროს და ქართულ სუფრასთან ბატონ ალექსანდრესთან ტკბილად გატარებული დღეები. ისიც ნიშანდობლივია, რომ ბატონი ლეო ჩიქავას ინიციატივით და აკადემიკოს ირ. მიქელაძის მხარდაჭერით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ალექსანდრე კუჭუხიძე დააწინაურა საინჟინრო ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე, სადაც სახელოვნად იმუშავა რამდენიმე ათეული წელი. აქ მან გამოავლინა გამორჩეული ორგანიზატორული ნიჭი, ამასთან ერთად, შესანიშნავი პედაგოგისა და ახალგაზრდობის აღზრდის დიდოსტატის მდიდარი შესაძლებლობანი. მისი მეცნიერული ხელმძღვანელობით ათეულობით ახალგაზრდამ წარმატებით დაიცვა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

ბატონი ლეო ჩიქავა, კვლავ დასძენს, რომ ბატონი ალექსანდრე არა მარტო ღრმად მოაზროვნე და შესანიშნავი მჭერმეტყველია, არამედ გამორჩეული კალმოსანიცაა. ვინც ნაწილობრივ მაინც იცნობს მის შემოქმედებას, ამგვარ დასკვნაში ოდნავადაც ვერ შეიტანს ეჭვს.

საკმარისია დავასახელოთ მისი თუნდაც ერთი განსაკუთრებული სიფაქიზითა და საოცარი მშობლიური სიყვარულით დაწერილი ნაწარმოები „მეგონა მარად მეყოლებოდა დედა“. არაფერს ვამბობ მისი ჯანსაღი იუმორით დატვირთულ ნაწარმოებზე, რომელთა წაკითხვა უსაზღვრო სიამოვნებას ჰგვრის მკითხველს.

პატივცემულო მკითხველო! აქ ვაპირებდით ბატონ ლეო ჩიქავას წერილზე რეცენზიის დამთავებას, მაგრამ მის წერილში შემდგომი იუმორნარევი ეპიზოდები, რომ ამოვიკითხეთ, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ ცოტაც გაგვეგრძელებია. ბატონ ალექსანდრეს მონაყოლიდან ბატონ ლეოს გაახსენდა თუ როგორ დაქორწინდა თავის უერთგულეს და სათნო მეუღლეზე – ქალბატონ ვენერაზე.

ალექსანდრეს უმცროს ძმას უცელქია სკოლაში, რისთვისაც მშობელი დაუბარებიათ და, რადგანაც მშობლები დაკავებული ყოფილან, ამ მისიის შესრულება ალექსანდრესათვის დაუვალებიათ. მას სკოლაში დახვედრია ფარშავანგივით ლამაზი და მომხიბლავი კლასის დამრიგებელი – ქალბატონი ვენერა, რომელიც იმთავითვე ჩავარდნია გულში. შემდეგ, თურმე ალექსანდრე სკოლის ხშირი სტუმარი ყოფილა და კითხულობდა: „ახლა როგორ იქცევა ჩემი ძმა, კიდევ ხომ არ დაურღვევია წესრიგი“-ო. სინამდვილეში თავის საქმეს აგვარებდა, და ბოლოს საწადელს მიაღწია კიდეც. ცოლად შეირთო მშვენიერი არსება, რომელმაც მთელი სიცოცხლის მანძილზე ღირსეული თანადგომა და მეგობრობა გაუწია მას.

ბატონი ალექსანდრე ამოუწურავი ინტელექტუალური პოტენციალის მქონე პიროვნებაა. იგი სრულიად ჯერ კიდევ არაა გახსნილი და ვერც მომავალში შეიძლება გაიხსნას, იმდენად მდიდარია მისი სულიერი სამყარო. ამაში ღრმად დაარწმუნა ბატონი ლეო უდროოდ და მოულოდნელად გარდაცვლილ მეუღლისადმი მისმა არაორდინარულმა პატივისცემამ. როგორც იტყვიან ხოლმე, ვერ გააცოცხლა, მაგრამ სხვა რისი გაკეთებაც კი შეიძლებოდა, არაფერი დაუკლია, და იქვე დასძენს, რომ მხედველობაში აქვს არა სუპერ საფლავი და სამგლოვიარო, სრულიად უნაკლო სუფრა, რაც თავისთავად უმნიშვნელო როდია, არამედ და განსაკუთრებით, თავისი მეუღლესადმი სპეციალურად მიძღვნილი მონოგრაფიისა და ლექსების ოპერატიული გამოცემა, თვით ქალბატონი ვენერას მიერ საოცარი წინათგრძნობით დაწერილი, ასევე მის სახელზე ალექსანდრესა და სხვა უახლოესი ადამიანების მიერ შეთხზული მეტად მგრძნობიარე ლექსების ფართოდ დემონსტრირებით დაბადების დღის აღნიშვნა და მართლაც დიდებული ქალბატონის სახელის უკვდაესაყოფი სხვა მრავალი მნიშვნელოვანი ღონისძიებების ჩატარება.

დასასრულს, ბატონი ლეო ჩიქავა კარგ შეგონებას იძლევა. მწუხარებას გლოვა უხდება. ეს დაუწერელი, მაგრამ ტრადიციული კანონი

ალექსანდრესთანაც ძალაშია, მაგრამ არც გაუთავებელ ვაი-ვიშს აქვს გამართლება. ამასთან დაკავშირებით იგი დასძენს: მომეწონა ბატონ ალექსანდრეს ოპტიმიზმი. თავისი მეგობრების და კოლეგების წინაშე მან საჯაროდ განაცხადა: „ბევრი ვიფიქრე და გადავწყვიტე ვიცოცხლო არანაკლებ 100 წლისა, რათა კვლავაც ღირსეული პატივი მივაგო ჩემს მეუღლეს და მისანსწრაფულად წარემართო ჩემი და ეენერას მიერ შექმნილი ოჯახის შემდგომი განვითარება“.

მივესალმები ამ ჯანსაღ, გონივრულ აზრს და ჩვენს მეგობარს ბატონ ალექსანდრეს, „დიდ წარმატებას ვუსურვებ თავის ამ ბრწყინვალე ჩანაფიქრის რეალიზაციაში“. ასე ამთავრებს თავის საბოლოო სიტყვას ბატონი ლეო.

ამის შემდეგ, პატივცემულო მკითხველო, შეეცდებით შერჩევით რამდენიმე მეცნიერის წერილები განვიხილოთ მოკლედ და ისინი შეეაფასოთ. დანარჩენების კი მხოლოდ გვარი და სახელები გაგაცნოთ და თითოეული წერილის მხოლოდ სათაურებს ჩამოვთვლით. ეფიქრობთ, სრულიად საკმარისი იქნება ბატონ ალექსანდრე კუჭუხიძის საქებად და სადიდებლად, რაც ითქვა და დაიწერა.

ნოდარ ჭითანავა, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სრულიად საქართველოს საზოგადობა „კოლხეთის“ კოორდინატორი , ასეთ სათაურს არქმევს ბატონი ალექსანდრე კუჭუხიძისადმი მიძღვნილ წერილს: „ალექსანდრე კუჭუხიძის ფენომენის თავისებურება“. მისი წერილი იწყება შემდეგნაირად: „საზოგადოება კარგად იცნობს ალექსანდრე კუჭუხიძეს. მან ცხოვრების და მოღვაწეობის რთული და წინააღმდეგობრივი გზა სახელოვნად განვლო და ღირსეული მამულიშვილის საყოველთაო აღიარება დაიმსახურა. ეს კი ყველა დროის საზომით მოქალაქეობრივი გმირობაა“.

ჩემთვისაც ერთობ ძნელი აღმოჩნდა, დასძენს ბატონი ნოდარ ჭითანავა, მისი პიროვნების მრავალმხრივი თვისება-ღირსების შეფასება. ამ ამოცანის გადაწყვეტას მიადვილებს ის, რომ მასთან ჩემი საქმიანი ურთიერთობები დაიწყო 15 წლის წინათ და ბუნებრივია, მქონდა საშუალება ახლოს გავცნობოდი მას. ადამიანის შეცნობაში გამოცდილ კაცს არ გამჭირვებია მისი პიროვნული ღირსებების აღქმა. ყოველთვის იმ პრინციპის ერთგული ვიყავი, რომ ადამიანს, მით უმეტეს გამორჩეულის, შეფასება უნდა მოხდეს დროსა და სივრცეში. პასუხი უნდა გაეცეს კითხვებს: როგორი იყო მის ფორმირებაზე მოქმედი ფაქტორები, როგორ უპასუხა მან დროის მოთხოვნებს, გაუძლო, დანებდა თუ პიროვნული ღირსებებით განამტკიცა და ამით კარგი მაგალითი მისცა მოცემულ სივრცეში საზოგადოებას. ბატონი ნოდარის შეხედულებით ალექსანდრე კუჭუხიძე მკაცრი სოციალურ-პოლიტიკური სინამდვილის პირმშოა. მას

ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულ პირობებში მოუხდა ცხოვრება. ალექსანდრე კუჭუხიძემ, ჩვენი დაკვირვებით, აღნიშნავს ბატონი ნოდარი, მრისხანე დროის (ეპოქის) გამოწვევას ადეკვატურად უპასუხა. უფრო მეტიც, შეეცადა დროის გაკეთილშობილებას და ბევრჯერ მიაღწია კიდეც. ამას ადასტურებს წინამდებარე წიგნში შეტანილი მოგონებების პათოსი, უსაზღვრო მადლიერების სიტყვები, მისი ტოლარენტობის, სიკეთის, ადამიანებისათვის მხარდაჭერის, მათი ტკივილისა და სიხარულის გაზიარების მაგალითები, წარსულისადმი მოწიწების, აწყმოს ობიექტურად შეფასების და მომავლის ოპტიმისტურად განჭვრეტის ალექსანდრესეული ხელწერა.

გვაქვს საფუძველი ვთქვათ, ბატონმა ალექსანდრემ დროსთან ბრძოლაში პიროვნული ღირსება-თვისებები შექმნა, ბევრ განსაცდელში გამოატარა და კონკრეტულ სივრცეში სამშობლოში სანიმუშო მაგალითად შეთავაზა საზოგადოებას.

ბატონ ნოდარ ჭითანავას ამ სიტყვების შემდეგ, პატივცემულო მკითხველო, ნუთუ კიდევ საჭიროა სხვა ავტორების მიერ მოტანილი ღია წერილების თუნდაც მოკლე გაცნობა? წარმოვიდგინოთ, რომ ყველა მათგანს ჭეშმარიტად ქება-დიდების შარავანდედით ჰყავს შემკული ბატონი ალექსანდრე და დავკმაყოფილდეთ, როგორც სემოთ მოგახსენეთ, მათი წერილების მხოლოდ სათაურების გაცნობით, რომლებიც მათ წარუმძღვარეს:

პაელე გარუჩავამ, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, სრულიად საქართველოს საზოგადოება „კოლხეთის" პრეზიდიუმის წევრმა, მიუძღვნა წერილი ალექსანდრე კუჭუხიძეს შემდეგი სათაურით: „წარმატებული ორგანიზატორი, მეცნიერი, მოქალაქე და ერის კაცი".

ნუგზარ პაიჭაძემ, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, ალექსანდრე კუჭუხიძისადმი მიძღვნილ წერილს გაუკეთა შემდეგი სათაური: „შესაშური მეცნიერ-ორგანიზატორი".

პარმენ ლემონჯავამ, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, ალექსანდრე კუჭუხიძისადმი მიძღვნილ წერილს ასეთი სათაური წარუმძღვარა: „უშრეტი ენერგიით მოვლენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე".

თამაზ იმედაძემ, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრმა, საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსმა, პროფესორმა, ბატონ ალექსანდრე-

სადმი მიძღვნილ წერილს ასეთი სათაური გაუკეთა: „აღმამსჭელელი ინტელიგენტი“.

ლევან ბაღდავაძემ, საქართველოს მომხმარებელთა და ადგილობრივ მეწარმეთა უფლებების დაცვის ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტმა, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წევრმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა ეკონომისტმა, ბატონ ალექსანდრესადმი მიძღვნილ წერილს უწოდა „ლიდერთა ლიდერი“.

მურმან ტურავამ, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა თავისი წერილი ბატონ ალექსანდრესადმი ასე დაასათაურა: „შესაშური ადამიანი, მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე“.

ომარ შამათავამ, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორმა, საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტის პროფესორმა, პუბლიცისტმა, ჟურნალისტმა, პოეტმა, სრულიად საქართველოს საზოგადოება „კოლხეთის“ პრეზიდიუმის წევრმა თავის წერილს შემდეგი სათაური გაუკეთა: „ადამიანის აღმოჩენაც, დაფასებაც“.

ბატონი ომარ შამათავას სტატიიდან სხვადასვა გვერდებზე მოტანილია ლექსი, რომელიც სევდიანია, რამოდენიმე კუპლეტს შეიცავს და მიძღვნილია ბატონ ალექსანდრესადმი, როდესაც იგი სასწავლებლად ქალაქად მიმავალი ემშვიდობება სოფელს:

„მიედიეარ, მაგრამ გული აქ მრჩება,
ვიცი ათასჯერ კვლავ მომინდები,
ნაესაკავო – ჩემო სოფელო,
შენი ლამაზი ცით და მინდერებით“.

მეორე კუპლეტში ნაჩვენებია, თუ როგორ მოძღვრავს ავტორი იმ უგულო ადამიანებს, რომლებისთვისაც სხვისი ჭირი ღობეს ჩხირია:

„ნუ დუმხარ, თავს ნუ იკავებ,
როცა შენ გთხოვენ შველას,
როცა კაცს უჭირს, იქ ყოფნა,
მოეთხოვება ყველას“.

მესამე კუპლეტით ავტორი გმობს შურიანებს:

„მიუჩინე გულში ბინა,
თორემ შური სულს შეგიჭამს,
ისე, როგორც ჟანგი რკინას„.

ჭეშმარიტების უძლეველობასა და მის უპირატესობაზე ასე ქადაგებს პოეტი:

„ჭეშმარიტების მიმყოლი, სულგრძელია და მდიდარი;
მას ვერ წააქცევს გრიგალი და ძალა ვერავითარი“.

დასასრულს, ომარ შამათავა ასე მოუწოდებს ახალგაზრდობას: მოსწაელებო, თქვენ გიყვართ მწერთნელი ალექსანდრე კუჭუხიძე. ერთად ეუსურეოთ ცნობისმოყვარეების კითხვაზე „რამდენი წლის ბრძანდებით?“ ასე ეპასუხოს „120 წელს გადაცილებული ვარ, 140 ჯერ არ შემსრულებია“.

ანზორ აბრალავას, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, საქაროველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის წერილს მიძღნილს ალექსანდრე კუჭუხიძისადმი ასეთი სათაური აქვს: „ამ ცისქვეშეთში მოკრძალებულად დამკვიდრებული“.

გივი კილასონიას, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის წერილს ასეთი სათაური აქვს: „სიცოცხლის სახელით“. ბატონ გივის ერთი-მეორეზე უკეთესი გამონათქვამები აქვს ბატონ ალექსანდრეს მიმართ, მაგრამ ჩვენმხოლოდ მცირედზე შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას.

აი, რას დასძენს ბატონი გივი: ბატონ ალექსანდრეს არაოფიციალური შეხვედრების დროს ხშირად უთქვაეს: მქონია წინააღმდეგობანიც ჩემს გეერდით მყოფ ადამიანებთან, მაგრამ არასოდეს მიცდია მათი გაზვიადება. პირიქით, მიტევების გზით უფრო დაეახლოვებულვართ ერთმანეთს და ახლა მეგობრობა გვაკავშირებსო. დიდებულია! მიტევება ადამიანის სიჯანსაღის მაჩვენებელია, თუმცა ეს ყოველთვის როდია შესაძლებელი.

ბატონმა ალექსანდრემ დაკარგა უახლესი მეგობარი და საყვარელი ადამიანი, დასძენს გივი კილასონია. ყოველგვარი წუწუნის, ყოველგვარი უცხო ემოციების გარეშე აღიქვა ბატონმა ალექსანდრემ მეუღლის დაკარგეა. ქრისტიანულად დაასაფლავა და ყოველგვარი რიტუალი უზადოდ შეუსრულა გარდაცვლილს. განსაკუთრებული იყო მეორმოცე დღის აღნიშვნა. ნაოესავებთან ერთად შეიკრიბნენ ოჯახის უახლოესი ადამიანები. სულ 150-მდე კაცი. სუფრას მწუხარებასთან ერთად თან ახლდა მიცვალებულისადმი ღრმა პატივისცემა. სუფრას ეროი თამადა არ ჰყავდა. სადღეგრძელოებს მორიგებით ამბობდნენ სუფრის წევრები, მხოლოდ წინასწარ გააზრებული თანმიმდევრობით. პროცესს თვით ბატონი ალექსანდრე მართავდა. ეს საუკეთესო ჩანაფიქრი იყო, რომლის მსგავსი მე არ მინახავს ჩემი სიცოცხლის მანძილზე. ამით გამოირიცხა სედმეტი სიტყვების ორომტრიალი, დავიდა თხრობა გულწრფელობამდე. ყველა აღტაცებული იყო ჩანაფიქრით და მისი განხორციელებით. მე ჩემოვის ეფიქრობდი, აღნიშნავს ბატონი გივი: აი თურმე როგორ შეიძლება ადამიანმა საკუთარი მწუხარება საზოგადოების საპატივცემულოდ გამოიყენოს და ასეთი შემაკავშირებელი ძალით იმოქმედოს.

დემურ ღაღანიძემ, სრულიად საქართველოს „კოლხეთი“-ს ვიცე-პრეზიდენტმა, საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტის

პროფესორმა, ალექსანდრე კუჭუხიძისადმი წერილს ასეთი სათაური წარუმძღვარა: „სიკეთისა და სიცოცხლის ტრფიალი“ და დაიწყო სიტყვა შემდეგნაირად: „ჩემი უფროსი მეგობარი, ალექსანდრე კუჭუხიძე გამორჩეული, განსაკუთრებული ნიჭისა და უნარის მქონე ადამიანებს განეკუთვნება“.აღტაცებას და ამავდროულად ერთგვარ გაკვირვებას იწვევს ბატონი ალექსანდრეს მრავალმხრივი ნიჭი და უნარი. ალექსანდრე მწერალი, ალექსანდრე – ჟურნალისტი, ალექსანდრე – გამორჩეული ხელმძღვანელი, ალექსანდრე – საზოგადო მოღვაწე.

შემდეგ თავის შეხედულებას კიდევ ამგვარი სიტყვებით გამოხატავს: „ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე სტალინს უბრძანებია: „ილია მსოფლიოს პრეზიდენტად გამოდგებოდაო“. ამ სიტყვების პერეფრაზირებას თუ მოვახდენთ შეიძლება ითქვას, რომ ალექსანდრე კუჭუხიძე ქართულ სინამდვილეში ნებისმიერი დონის პრეზიდენტობას შეძლებდა.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ფრაზებით ამკობს იგი ბატონ ალექსანდრეს, მაგრამ ჩვენ მხოლოდ მკითხველს მის ბოლო ფრაზას შევთავაზებდით. სახელდობრ, რომელიც მან შეარჩია იმის პასუხად, როდესაც ბატონ ალექსანდრეს ასაკს ეკითხებიან.

„ასეთი კაცის ასაკის განსაზღვრაზე ფიქრი მართლაც უადგილოა, ხოლო კითხვა უხერხული, რამეთუ მას იმდენად დიდი მასშტაბური და ზოგადქართული მიზნები აქვს დასახული, რომ ერთი სიცოცხლისათვის ნამდვილად ცოტაა. როდესაც ადამიანი ასეთი პოტენციალისაა, როდესაც ესოდენ მაღალი ავტორიტეტითა და იმიჯითაა მოსილი, მას თავად უფლისაგან აქვს ნაბოძები უკვდავება.

გიორგი მალაშხიამ, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, სრულიად საქართველოს საზოგადოება „კოლხეთი“-ს პრეზიდიუმის წევრმა ასეთი სათაური წარუმძღვარა ბატონ ალექსანდრესადმი მიძღვნილ წერილს: „კაცთმოყვარეობის მადლი“. წერილში ავტორის საწყისი აზრი ასეთია: დადებითი თვისებების მქონე, ღირსეული ადამიანები, როგორც მწვერვალები მთაზე გამოყოფილნი და ადვილად შესამჩნევი არიან, საზოგადოების ნამდვილი (და არა მოჩვენებითი) ელიტის წარმომადგენლები უთუოდ არიან ცხოვრების კულტურის, აზროვნების შუქურები, ლოკომოტივები და მშვენებანი. ბატონმა ალექსანდრემ, დასძენს იგი, მთელი თავისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით დაადასტურა, რომ ის თავისის ხალხის გამორჩეული შვილია, საზოგადოების ღირსეული, სანიმუშო წევრია. ძნელია გამოჰყო ადამიანის საუკეთესო თვისებები, როცა მას მრავალი ღირსება ახასიათებს. მგონია არ შევცდები, დასძენს ბატონი გიორგი, თუ ვიტყვი, რომ ბატონი ალექსანდრეს გამოკვეთილი თვისებაა ადამიანთა მოდგმი-

სადმი კუთვნილების მაღალი შეგნება, მასთან დაკავშირებული სიამაყე და პასუხისმგებლობა დიადი წოდებისათვის - „რომ შენ ხარ ადამიანი“.

ბატონი ალექსანდრე უანგაროდ და ზღვარდაუდებელ მხარდაჭერას, თანადგომას იჩენს მეგობრების, ნებისმიერი ადამიანის მიმართ, ვისაც მისგან სჭირდება გვერდში ყოფნა. ამაზე სათქმელს ბევრი იტყვის.

მე ყოველთვის გავურბივარ პირადი მომენტების წამოწევას ვინმეს შესახებ მსჯელობისას, მაგრამ არ შემიძლია ამ შემთხვევაში თავი შევიკავო და არ აღვნიშნო ბატონ ალექსანდრეს მხრიდან ჩემს მიმართ გამოჩენილი მხარდაჭერა, ყურადღება, რის გამო უდიდეს მადლიერების გრძნობას ვატარებ მისადმი, დასძენს ბატონი გიორგი მალაშხია. შემდეგ აღნიშნავს, რომ ბატონი ალექსანდრე თანმიმდევრულად აელენს ამაღლებული ადამიანის თვისებას. ის ი'ხიარებს ქრისტიანულ მოძღვრებას „გიყვარდეს მტერი შენი“, არასდროს არ იდებს ბოღმას გულში და არ ინახავს წყენას სხვის მიმართ მისი არასწორი მოქმედების დროს. ახერხებს ისეთი მიდგომა მოუნახოს არაკეთილგანწყობილებას, რომ სითბო და სიკეთე დაიმოყვაროს, დაიმეგობროს კიდეც ზოგიერთი მათგანი. ის ეძებს ადამიანში კეთილ თვისებებს, ეყრდნობა უროიერთობაში ამ თვისებებს და ეს ამართლებს მი'ხანს...

უბედურება ისაა, როცა როცა ბევრ ადამიანში არის ბოღმა, სიხარბე, ბოროტი 'სრახვები, შური სხვისი სიკეთის, წარმატების, შემოსავლის გამო ტანჯვა, სიძუნწე, სიყვარულის უუნარობა. ზოგს მაშინაც არ შეუძლია გაუწოდოს სხვას დახმარების ხელი, როცა არაფერი არ ეხარჯება. სხვისი სამსახური წამგებიანი მოქმედება, დანაკარგები ჰგონია. ბატონი ალექსანდრესათვის კი, შენიშნავს ბატონი გიორგი, ეს შენაძენია, სიამოვნებაა. ამიტომაცაა ასე მხნედ და ჯანსაღად, ფიზიკურად ძლიერი ბატონი ალექსანდრე, რადგან ადამიანს მიანიჭა ბატონმა ალექსანდრემ დიდი კმაყოფილება, სტიმული, კაცთმოყვარეობის რწმენა, რომელმაც უნდა გადაარჩინოს არა მარტო ერთეულები, არამედ გულგრილობით შეპყრობილი და ამის გამო დაღუპვის საფრთხეში ჩავარდნილი კაცობრიობაც.

მრავალ საზოგადო მოღვაწეს, მეცნიერს, მოუწყო მან დიდი ენერგიის და სახსრების ფასად (შესაძლებლობის ფარგლებში) საიუბილეო შეხვედრები, ღონისძიებები, მიანიჭა მათ საკუთარი ძალების რწმენა და დაუბრუნა საკუთარი ღირსების გრძნობა, საზოგადოებას შეახსენა დამსახურებული ადამიანებისადმი პატივისცემის, მათი ღვაწლის დაფასების აუცილებლობა. გასაოცარი შრომის უნარი და სიყვარული ახასიათებს ბატონ ალექსანდრეს და უყვარს შრომისმოყვარე ადამიანები, არ მოსწონს ვინც სახლი აშენებული ნახა და ბოძები თავისით ამოსული ეგონა“. მას ღრმად აქვს გათვითცნობიერებული, რომ ქვეყანა ტაძარი კი არ არის, სადაც კაცი შევა და ილოცებს, არამედ სახელოსნოა, სადაც

უნდა ირჯებოდეს და მუშაობდეს /ილია ჭავჭავაძე/. სალოცავი თავის ადგილ'სე და ცხოვრება, კეთილდღეობა, ქვეყნის სიძლიერე შრომისმოყვარეობა'სეა დამოკიდებული. ბატონი ალექსანდრე ბევრს ეხმარება ამის გაგებაში, ვისაც ეს სჭირდება.

ბატონი ალექსანდრე კეკლაეინდებურად საესეა შემოქმედებითი უნარითა და გეგმებით, რომლითაც ის ადამიანებს უძღვნის სიყვარულს, რაც კიდევ ძალას მატებს მას. იგიც იმკის სამაგიერო პატივისცემას, სიყვარულს და კეთილ სურვილებს. ასეთია ცხოვრების ლოგიკა, ასე დასძინა დასასრულს ბატონმა გიორგი მალაშხიამ.

გურამ ყუფუნიას, საქართველოს ბი'სნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის,სრულიად საქართველოს საზოგადოება "კოლხეთის" პრეზიდიუმის წევრის წერილი ალექსანდრე კუჭუხიძისადმი მიძღვნილი ასეთი სახელწოდებითაა: „უნიკალური პიროვნება".

ბატონ ალექსანდრე კუჭუხიძის უნიკალურობა, დასძენს გურამ ყუფუნია, მისი შემოქმედების მრავალფეროვნებაშია.ის არის გამორჩეული მეცნიერ-ეკონომისტი, პრაქტიკოს-ეკონომისტი, მრავალმხრივი მოღვაწე, მეცნიერებისა და პრაქტიკის მასინთეზირებელი პიროვნება. ბატონი ალექსანდრე არა მარტო მართალი სიტყვით, ნაწერებით, არამედ, და რაც მთავარია საქმით, ყოველდღიური საქმიანობით ამტკიცებს, ცხადყოფს თეორიისა და პრაქტიკის, თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული საქმიანობის ოპტიმალური შეხამების აუცილებლობასა და მნიშვნელობას. ის არის ორიგინალური, საინტერესო ჟურნალისტი, პროზაული და პოეტური ნაწარმოებების ავტორი. მე მაგალითად, არ ვიცი რამდენჯერ მაქეს წაკითხული მისი მხატვრული ნაწარმოებები: „დედა-შვილობა", „სიკვდილის პირისპირ", „მეგონა მარად მეყოლებოდა დედა", „ამაღლებული მამაშვილობის ცრემლიანი დასასრული" და სხვა. ამ ნაწარმოებებში იმდენი სითბო, სიყვარული, გულწრფელობა, კეთილშობილება და ცხოვრებისეულობაა, სინამდვილის ამაღელვებელი გრძნობებია, რომ არ შეიძლება ისინი არ დაგამახსოვრდეს. უდიდესი პატივისცემითა და სიყვარულით არ განეწყო ბატონი ალექსანდრესადმი.

ბატონ ალექსანდრეს მხატვრულ ნაწარმოებებში ყურადღებას იქცევს და შეიძლება ითქვას უნიკალურადაც კი წარმოგვიდგება მშობლების სიყვარული შვილის მხრიდან, გამორჩეით დედის სიყვარული. მე არსად, დასძენს ბატონი გურამი, არცერთ ნაწარმოებში არ შეხვედრივარ შვილის მხრიდან მშობლების ასეთ სიყვარულს. არათუ ცხოვრებაში, არამედ იდეაშიც, ნაწარმოებებში. ბატონ გურამს შვილების მშობლებისადმი დამოკიდებულება ბატონ ალექსანდრეს მაგალითზე იმდენად სედმიწევნით კარგად აქვს გაშუქებული, რომ ვერ შეეძელით მისთვის გვერდის ავლა და

მიეაწოდეთ იგი მკითხველს.

„ყველას ჰგონია, რომ სწორედ მას უყვარს ყველაზე მეტად თავისი მშობელი. მაგალითად, პირადად მეც, აღნიშნავს ბატონი გურამი, ასე მეგონა. ყოველ შემთხვევაში დარწმუნებული ვიყავი, რომ არავისზე ნაკლებად არ მიყვარდა. ასე ვფიქრობდი მანამდე, სანამ წავიკითხავდი ბატონ ალექსანდრეს სემოთ ხსენებულ ნაწარმოებებს. წაკითხვის შემდეგ და მრავალჯერ გადაკითხვის შემდეგ დავრწმუნდი, რომ ბატონ ალექსანდრეს ჩემზედ, და ალბათ ყველაზე უფრო მეტად ჰყვარებია თავისი მშობლები. ამის აღიარება ძალიან ძნელია, თუ შეუძლებელი არა. დარწმუნებული ვარ, აღნიშნავს კვლავ ბატონი გურამი, ყველა ობიექტური მკითხველი და შემფასებელი ამას აღიარებს, თუ ის გულწრფელი იქნება. ამაშია ამ ნაწარმოებების ძალა, ღირსება და მნიშვნელობა, მათი ავტორის უნიკალურობა. შემდეგ გურამ ყუფუნია დასძენს: არ შემიძლია ხაზი არ გავუსვა მის კიდევ ერთ უნიკალურ თვისებას. ბატონი ალექსანდრე მაქსიმალურად ცდილობს და ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ყველას თავის გარშემო, მას შემდეგ, რაც ფეხი აიდგა და ლაპარაკი ისწავლა, იქიდან დაწყებული დღემდე, ვისთანაც რაიმე ურთიერთობა ჰქონია, ესენი იქნებოდნენ: თანასოფლელები, თანაკლასელები, თანაკურსელები, თანამშრომლები სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, უმაღლეს სასწავლებლებში, თავისი მოწაფეები თუ მასწავლებლები სხვა სამსახურში, გარდაცვლილები თუ ცოცხალები, ყველას, ყველას მიმართ გამოხატოს პატივისცემა და სიყვარული, ერთგულება და თავდადება. იგი ყველაფერს აკეთებდა და აკეთებს, იმისათვის, რომ ყველა ისინი ღირსებისამებრ და უფრო მეტადაც დიდხანს შემორჩენ მეგობრების, ახლობლების, თანამშრომლების, მოწაფეების, საერთოდ საზოგადოების მეხსიერებას.

ბატონი ალექსანდრე თვლის, რომ ნებისმიერი წესიერი ადამიანი ღირსია სიცოცხლეში პატივისცემის, დახმარების, გვერდში ამოდგომის, ყოველმხრივ ხელშეწყობის, ხოლო გარდაცვალების შემდეგ – ხსოვნისა და არ დავიწყების.

ბატონმა ალექსანდრემ მის მიერ დაფუძნებული ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის შენობის ფოიეში ცალ-ცალკე გააკეთა ყველა გარდაცვლილი და ამჟამად მოღვაწე მეცნიერ ეკონომისტის ფოტო-სურათების გამოფენა. მანვე 10-12 წლის წინ მის მიერვე რედაქტირებულ გაზეთის „განათლება, მეცნიერება, ბიზნესის“ გვერდებზე გამოაქვეყნა ყველა თავისი თანაკლასელის თუ თანაკურსელის მოკლე ბიოგრაფიები ფოტოებით. მოკლედ რომ ვთქვათ, დასძენს ბოლოს ბატონი გურამი, ადამიანის ფასის ცოდნაში იგი არის დიდი სიყვარულის შეგონების მიმდევარი, შეგონებისა: „ადამიანი მზეა, ოღონდ ანათებინეთ“. ბატონი ალექსანდრე ცდილობს ყველა ადამიანი ანათებდეს საკუთარი სინათლის ენერგიის ძალით, რომელიც ცხადია, პიროვნული ღირსებების მიხედვით

არსებითად განსხვავებული შეიძლება იყოს, მაგრამ ამა თუ იმ ძალით ინტენსიობით ყველას ანათებდეს. დასასრულს კი ასე შეამკო ბატონმა გურამმა: ბატონი ალექსანდრეს შემოქმედება ისევე მრავალფეროვანია, როგორც საქართველოს ბუნებრივ-კლიმატური პირობები, ფლორა და ფაუნა, ნიადაგები და მიწის წიაღი, ქართული ეთნოსი. ის ნამდვილად საქართველოს შვილია.

როგორც წყლის წვეთში არის ოკეანის წყლის თვისებები, ისე ალექსანდრეში არის ქართველი კაცის, მთელი საქართველოს, მისი ბუნების არსისეული თვისებები. ამ მხრივ, ის საქართველოს ნამდვილი შვილი, ნამდვილი ქართველია. მაღალი შეფასება მისცა ა. კუჭუხიძის შემოქმედებას აგრეთვე:

ბიძინა ლუტიძემ, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორმა, მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ, აკადემიკოსმა;

ილია ტაბაღუამ, ევროპისა და ამერიკის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა, მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ, აკადემიკოსმა. მათმა ასეთი სათაურით უძღვნეს წერილი ბატონ ალექსანდრე კუჭუხიძეს: „ქართველი მეცნიერის აღიარება ნიუ იორკის მეცნიერებათა აკადემიის მიერ“.

მიხეილ როკეტლიშვილის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული და ეკონომიკური ფაკულტეტის კურსდამთავრებულის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, საქართველოს რამდენიმე დარგობრივი მეცნიერებათა აკადემიის წევრის, ნიუ იორკის მეცნიერებათა აკადემიის წევრის, აკადემიკოსის და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრის, აკადემიკოსის, საქართველოს დამსახურებული ეკონომისტის, საქართველოს ღირსების ორდენის კავალერის, და თბილისის ერთგულების მედალოსანის წერილის სათაურია: „ქართველი ერის სასიქადულო შვილი“.

სარეცენზიო ნაშრომში გულთბილი სიტყვები სხვა გამოჩენილ პიროვნებებთან ერთად არ უშურველად მიუძღვენი ბატონ ალექსანდრეს მეც, **დავით კურტანიძემ,** ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა, ამ გამოძახილის თანაავტორმა.

რევაზ გოგოხიას, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, თბილისის სახელმწიფო უნიეერსიტეტის პროფესორის, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის წერილი მიძღვნილი ბატონ ალექსანდრესადმი ასეთი სათაურისაა: „კაცი რომელიც დროს უსწრებს“.

გიგი კვიჭიძის, საქართველოს დამსახურებული ინჟინრის, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა კადემიის აკადემიკოსის, სრულიად საქართველოს სა'სოგადოება „კოლხეთის“ პრეზიდიუმის წევრის წერილის სათაურია „გაიცანით, ჩვენი გორისაა“!

რეზო ფაჩულიას, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა კადემიის აკადემიკოსის, საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის წევრის, ბიზნესის და ადმინისტრაციის ლიდერთა საერთაშორისო აკადემიის ფორუმის (აშშ), „დასლევეის პროფესიონალი“-ს ოქროს მფლობელის წერილი ბატონ ალექსანდრესადმი მიძღვნილი ასეთი სახელწოდებისაა „ადამიანი ჭეშმარიტების სამსახურში“.

თუ კარგად ჩავუფიქრდებით, დასძენს ბატონი რეზო, წესრიგისა და უწესრიგობის მოძრაობით მიმდინარეობდა მარადჟამს კაცობრიობის ისტორია. თითოეული პიროვნება კაცობრიობის ისტორიას ჰგავს წარსულში, აწყმოსა და მომავალში. ცნობილი ჩეხი პედაგოგის იან ამოს კომენსკის თქმით, ადამიანი არის მიკროსამყარო. მართლაც ადამიანი კაცობრიობის ისტორიის მიკროსამყაროს, მიკროისტორიის ნაწილია.

ვინც სამყარო არ იცის, აღნიშნავს ბატონი რეზო, მან არც თავისი ადგილსამყოფელი იცის, მკაფიოდ, შენიშნავდა მარკუს ავრელიუსი. შემდეგ ახასიათებს ბატონ ალექსანდრეს, რომლის შესახებაც ამბობს, რომ მან იცის თავისი სამყარო ადამიანთა სამყაროში, ამიტომ იგი კაცთა იმედად ყოველთვის მტკიცედ იდგა, და დგას, როგორც ადამიანი და მოღვაწე, განგებამ მუდმივად დააკისრა კაცთა სამსახური სოგჯერ უმადურთათვისაც კი.

პროფესორ ალექსანდრე კუჭუხიძეს მძიმე ტვირთი არგუნა ღმერთმა, მარადის მცველად ედგას სიკეთესა და სიყვარულს, შეუჩერებლივ იმოძრაოს, რათა უშურველად ემსახუროს ადამიანის გაკეთილშობილების ღვთიურ ამოცანას. ალექსანდრე კუჭუხიძე სიბრძნისა და სინდისის, თავდადების და გულწრფელობის ნაკრძალია.

აკადემიკოს ალექსანდრეს ფენომენი, გარკვეული აზრით, თავად არის მეცნიერება.

ობლობა ბავშვისათვის ყოველთვის უმძიმესია, მაგრამ ვინც ოცდაჩვიდმეტში ობლად დავრჩით, დასძენს ბატონი რეზო, შიშის გამო სხვათა მოფერების დეფიციტს განვიცდიდით, დედებიც მალულად გვეფერებოდნენ. ამ დეფიციტს, ვინც კიდევ ცოცხლად დავრჩით, უწინდებურად მძიმედ განვიცდით...

ბატონი ალექსანდრე, რომელსაც ეს შიში და ნაკლებობა არ განუცდია, ბევრჯერ საჯაროდ ისე მომეფერა, ასე მგონია ჩემი ბავშვობის დარდებთან და შიშთან ერთად ეძინა და ქვეცნობიერად თვითონაც განიცდიდა ყოველივეს... როგორც პედაგოგი – პროფესორი ალექსანდრე კუჭუხიძე მკაცრი და სამართლიანი წესრიგით აღმსრდელია.

მრავალი თაობა მეცნიერულად და ხნეობრივად გახედნილა და გაწვრთნილა მის მიერ...

ნოდარ ჯითანავამ, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი,

სრულიად საქართველოს სასოგადოება „კოლხეთის“ კოორდინატორმა, ბატონ ალექსანდრე კუჭუხიძიასადმი მიძღვნილ წერილს ასეთი სათაური წარუმძღვარა: „ალექსანდრე კუჭუხიძისადმი ფენომენის ეროვნული თავისებურება“. ბატონი ნოდარის წერილი იმდენად მაღალ დონეზეა შედგენილი, რომ გადაეწყვიტეთ მკითხველმა თვითონ გაიცნოს დედანში და აღარ გაეკადნიერდებით, რომ იგი შემოკლებით მიეწოდო მკითხველს.

ერთხელ კიდევ გესურს მკითხველის საყურადღებოდ გავიმეოროთ, რომ წიგნში მოყვანილი ყველა ავტორის წერილი მიძღვნილი ბატონ ალექსანდრესადმი ღრმა შინაარსიანია და ერთი მეორეზე უკეთესი და მნიშვნელოვანი.

დაბოლოს, ისღა დაგვრჩენია, ვიშუამდგომლოთ ბატონ ალექსანდრესთან, რათა შეძლებისდაგვარად დააკმაყოფილოს ყოველი მისი ახლობელი, ძალზედ დაინტერესებული მკითხველი ხსენებული წიგნით, რათა ყველა მათგანს ჰქონდეს შესაძლებლობა თვით დედანში გაეცნონ ამ უნიკალური წიგნის შინაარსს და მის მნიშვნელობას, გამოიყენონ იგი პირად ცხოვრებაში.

მოვალეობად ჩაეთვალეთ უდიდესი მადლობა გადაეუხადოთ წიგნში მონაწილე ყველა ავტორს, რომლებმაც დრო გამონახეს და თავისი გული და სული ჩააქსოვეს ბატონ ალექსანდრე კუჭუხიძისადმი მიძღვნილ წიგნში, რათა თაყვანთი წერილებით ქება-დიდების შარავანდედით შეემკოთ საქართველოს და ქართველი ერის ეს საამაყო და სასიქადულო მამულიშვილი, რომლის შემოქმედებითი ცხოვრების თითოეული წუთი მიმართულია მხოლოდ და მხოლოდ ყველგან სიკეთის თესვის და ყოველგვარი ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ.

მიხეილ როკეტლიშვილი
იურისტი და ეკონომისტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი,საქართველოს ღირსების ორდენის კავალერი და თბილისის ერთგულების მედალოსანი

დავით კურტანიძე
თბილისის საფინანასო-იურიდიული აკადემიის რექტორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სრულიად საქართველოს საზოგადოება “კოლხეთის” პრეზიდიუმის წევრი

აკადემიკოს, ბატონ ალექსანდრე კუჭუხიძის შემოქმედებითი ცხოვრების შესახებ

საზოგადოება გამოჩენილ პიროვნებათა მიმართ მოწყობილ საიუბილეო შეკრებებზე ორატორთა მიერ გამოთქმული აქები სიტყვების, ასევე იუბილართათვის გამართულ საღამოებზე მათ მიერაც მოთხრობილ თავს გადახდენილ საინტერსო ცხოვრებისეულ ეპიზოდების მოწმეა მრავალი წლის განმავლობაში.

არც ისაა გამორიცხული, რომ ასეთ გამოჩენილ პიროვნებათა მიმართ, მათი შემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ მიძღვნილი წიგნების კითხვაც უწევთ ხალხს და ყოველივე ეს სურვილს აღუძრავთ, რომ თვითონაც მიბაძონ, ან მათი მსგავსი შვილები მაინც აღუსარდონ ქვეყანას და ერს. მეცნიერების თუ მეურნეობის რომელ სფეროს და დარგს არ უნდა გავეცნოთ, მათი შრომითი კოლექტივები თავისი მოღვაწეობით ხარობენ და კმაყოფილნი არიან. ყველა მათ ხელმძღვანელებს თავისი შემფასებლები და თაყვანისმცემლები ჰყავდათ და ჰყავთ.

ასე მაგალითად, ეკონომისტ-მეცნიერთა სფეროშიც გაგვაჩნდა კორიფეები, ბერმუხად წოდებული ბუმბერაზი მეცნიერები, რომლებიც გამოირჩეოდნენ როგორც უდიდესი მეცნიერული შემოქმედებით, ასევე ხელმძღანელობის დიდი ორგანიზატორული ნიჭით. ისინი პირად მაგალითს იძლეოდნენ კოლექტივების ერთ შეკვრის და თანამშრომელთა ურთიერთგატანის, ძმობის და სიყვარულის (ბუნებრივია მოქმედი შიდა წესდების და ობიექტურობის ზუსტად დაცვის პირობებში). ჩვენს მეხსიერებას შემორჩა და თვალწინ გვიდგას აწ გარდაცვლილნი აკადემიკოსები, ბატონები: პაატა გუგუშვილი და ვასილ ჩანტლაძე, პროფესორები: ნიკოლოზ ქოიავა და გიორგი ადეიშვილი. ეს ის პიროვნებებია, ვისთანაც მიხდებოდა მოღვაწეობა, დღეს ჩვენთან აღარ არიან და გამოაკლდნენ ჩვენს რიგებს, რითაც გაუნელებელი სევდა დატოვეს. ამჟამად მოღვაწეთა შორის დავასახელებდი მრავალ ცნობილ მეცნიერ-ეკონომისტს, მაგრამ ამჯერად მსურს მკითხველის ყურადღება გავამახვილო აკადემიკოს ბატონ ალექსანდრე კუჭუხიძის მიმართ, რომელიც ნამდვილად იმსახურებს მთელი წიგნი, რომ მიეძღვნას მას ავტორთა კოლექტივის მიერ, და არა მარტო ჩემი სტატია.

მსურს წინასწარ უღრმესი მადლობა გამოვხატო ამ ავტორთა კოლექტივის და მთავარი რედაქტორის მიმართ, ვინც ასეთი გადაწყვეტილება მიიღო, დრო და ენერგია არ დაიშურა და ბატონ ალექსანდრე კუჭუხიძის სამეცნიერო-შემოქმედებითი მუშაობისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის მთელი წიგნი მიუძღვნა.

დღეს მე წილად მხვდა ბედნიერება, რათა ჩემი შთაბეჭდილება და შეხედულება გამეზიარებინა მკითხველისათვის აკადემიკოს ალექსანდრე

კუჭუხიძის მიმართ. ბევრ ცნობილ მეცნიერთა ბიოგრაფიებს და ნაწარმოებს გავეცნობილეარ, მაგრამ ის შთაბეჭდილება, რაც ბატონ ალექსანდრე კუჭუხიძის ბიოგრაფიიდან და ნაშრომებიდან მიმიღია იშვიათობას წარმოადგენს.

უდავოდ თითებზე ჩამოსათვლელია მეცნიერთა გვარები, რომლებსაც სუსტად მისებრ მსგავსი ოდენობის ტიტულები, წოდებები და სამეცნიერო ხარისხები, მთავრობის ჯილდოსთან ერთად გააჩნდეს, რაც ბატონ ალექსანდრეს გააჩნია.

მე მაგონდება, რამდენიმე წლის წინ, როდესაც ნიუ იორკის მეცნიერებათა აკადემიაში მისი საბუთები წარვადგინე, აკადემიის თანამშრომელმა გადაამოწმა რა, ყოველივე ჩვენს მიერ მიცემულ რეკომენდაციებთან ერთად, (წესის მიხედვით მისაღებ კანდიდატურის საბუთებს თან უნდა დართოდა ნიუ იორკში მცხოვრები ორი აკადემიკოსის რეკომენდაცია, რომლებიც ამავე დროს უნდა ყოფილიყო მათიეე აკადემიის წევრებიც) იქვე გაგვაფრთხილა ცოტა ხანს დაგვეცადა და ნიუ იორკის მეცნიერებათა აკადემიის დიპლომს ჩამოგვიტანდა მისთვის გასაგზავნად. (ხოლო საბუთებს მორიგ სხდომაზე იმ დღევანდელი თარიღით გაატარებდნენ).

ბატონ ალექსანდრეს ტიტულების ერცელი ჩამონათვალი აქვს. მისი ცხოვრების კრედო ყოველთვის იყო და არის, ვის როგორ დაეხმაროს, ან მისგან ვინ რით ისარგებლოს. იგი გახლავს გაზეთ „განათლება, მეცნიერება, ბიზნესისა“ და მისი დამატების – ჟურნალ „რომ იცოდეთ“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი, გაზეთ “საქართველოს დედაქალაქის” დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ნიუ იორკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს რამდენიმე მეცნიერებათა საზოგადოებრივი აკადემიების ნამდვილი წევრი, საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტის დამფუძნებელი და რექტორი, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი, მწერალ-პუბლიცისტი, საქართველო ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიისა და სრულიად საქართველოს საზოგადოება „კოლხეთის“ დამფუძნებელი და პრეზიდენტი, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის წელიწდეულის „მოამბის“ მთავარი რედაქტორი. ასობით სამეცნიერო შრომისა და სტატიის, მხატერული ნაწარმოებების ავტორი, 60-ზე მეტი მეცნიერების კანდიდატისა და დოქტორის აღმსრდელი, მუდმივმოქმედი საერთაშორისო სადისკუსიო კლუბისა და ფორუმის ხელმძღვანელი, სენაკისა და აბაშის რაიონების საპატიო მოქალაქე, ღირსების ორდენის კავალერი.

ბატონ ალექსანდრე ამასთან ერთად დიდებული მეოჯახე, სახელოვანი შვილების მამა და ბაბუაა. იგი მოყვასის ერთგული და ყველგან სიკეთის მთესველი და უდიდესი ქველმოქმედია. ისიც იშვიათო-

ბაა, რომ ღმერთმა მას დააკურთხა ყოფილიყო არა მარტო ცნობილი ეკონომისტი, მეცნიერი, არამედ მხატვრულ ნაწარმოებათა მწერალი და პუბლიცისტიც. პირდაპირ დიდად საოცარია სად ასწრებდა ამდენს სხვადასხვა სფეროს და ჟანრის წიგნების კითხვას, ან დრო როგორ ყოფნიდა იმის პარალელურად, რომ ჩამოყალიბებულიყო მაღალი კლასის ბრწყინვალე ეკონომისტ-მეცნიერადაც. ყოველი მისი ნაშრომი პოლიტიკური ეკონომიკური, ლიტერატურული თუ პუბლიცისტური გამოირჩევა სიღრმისეული შინაარსით, ორიგინალობით, მისი თითოეული ლექსი, მოთხრობა, თუ აფორიზმები იმდენად დამრიგებლური, ცხოვრებისეული და ჭკუის სასწავლებელია, რომ მკითხველში უდავოდ დიდ ინტერესს იწვევს. ისიც პირდაპირ საოცრება და ამასთან ძნელი წარმოსადგენია ამ ეკონომისტ-მეცნიერს საიდან გააჩნდა ესოდენ გარითმული ლექსების წერის უსადო ნიჭი.

გეგონება როდესაც იგი თბილისის ეკონომიკური ფაკულტეტის სტუდენტი იყო, თითქოს ეკონომისტი პროფესორ-მასწავლებლების პარალელურად ჩვენი სახელოვანი მსოფლიოს ცნობილი მწერლები: შოთა რუსთაველი, ვაჟა ფშაველა და აკაკი წერეთელი უტარებდა ლექციებს. ისიც საფიქრებელია მისი ორივე დისერტაციის ხელმძღვანელები ხომ არ იყვნენ ზემოხსენებულ მეცნიერ-ეკონომისტებთან ერთად, რომ მისი სასარგებლო შეგონებების, ლექსების და პუბლიცისტური წერილების ღრმა ცოდნასთან ერთად მან დისერტაციების დაცვაც მეტად მაღალ დონეზე ჩაატარა. ბატონი ალექსანდრე თაყაისი სოფლის, მშობლების, თანამემამულეთა და კოლეგების უსადო სიყვარულის და თაყვანისცემის სანიმუშო მაგალითია. კიდევ ბევრი რამის თქმა შეიძლება მისი კაცურ-კაცობის, ქველმოქმედების, თუ ახალგაზრდა კადრების აღზრდის საქმეში, მაგრამ იმის გამო, რომ ბევრ ჩემს კოლეგას, ბევრად საქები სიტყვები აქვთ მომზადებული მისადმი მისაძღვნელად, მსურს მათ მივცე ამის შესაძლებლობა. ამდენად მე შევეცდები კიდევ მხოლოდ ერთ საკითხს შევეხო და ამით დავამთავრო ჩემს მიერ მისი დახასიათება.

მაპატიოს ბატონმა ალექსანდრემ თუ რამე დაეკარგე, რადგან მის პიროვნებაზე წიგნის დაწერა გაცილებით ადვილია, ვიდრე რამდენიმე გვერდიანი სტატია მიუძღვნა.

არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ სტალინის გარდაცვალებიდან დღემდე 50 წელზე მეტმა დრომ განვლო და მთელი ამ ხნის განმავლობაში ყველა ქვეყანაში და თვით საქართველოშიც არ შეწყვეტილა მის მიმართ არც ლანძღვა და არც ქება, მაგრამ ვინც ბატონ ალექსანდრე კუჭუხიძის მიერ სტატიებს, ნაშრომებს თუ მოხსენებებს გაეცნობა სტალინის შესახებ, უდავოდ გაიზიარებს მის შეხედულებას და გაიმსჭვალება სტალინისადმი სიყვარულით. ბატონი ალექსანდრე უდიდესი დამაჯერებლობით და სარწმუნო წყაროებით წარმოუდგენს მკითხველს

სტალინის, როგორც გენიალური პიროვნების პორტრეტს და მის ნამოღვაწარს ჩათელის˙ სამართლიანად და იმ დროისათვის საჭალდებულოდ.

იმ ხანასა და იმ პერიოდში ზუსტად სტალინის მსგავსი რკინისებური პიროვნება სჭირდებოდა ქვეყანას. დღესაც რუსეთში საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვით როგორც ახალგაზრდობის, ასევე მოზრდილთა უმეტესობა სტალინის პიროვნებას დადებითად ახასიათებს, და ამრიგად, ისღა დაგვრჩენია, ბატონ ალექსანდრეს ეუსურეოთ მრავალი წლები ჯანმრთელი სიცოცხლე და უდიდესი წარმატებები მის სამეცნიერო შემოქმედებით მუშაობასა და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში.

ასევე მისი ოჯახის სახელოვან და ღირსეულ შვილებს, შვილიშვილებსა და შვილთა შვილებს, ახლო ნათესავებსა და კოლეგებს შრომითი კოლექტივების თითოეულ წევრს, რომლებიც ბატონ ალექსანდრეს უზომოდ უყვარს, თუმცა არც ეს უკანასკნელნი არიან მის წინაშე ვალში, რადგან მისადმი სიყვარული მათაც გაათკეცებული გააჩნიათ.

მიხეილ როკეტლიშვილი
იურისტი და ეკონომისტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი,საქართველოს ღირსების ორდენის კავალერი და თბილისის ერთგულების მედალოსანი

გამოძახილი
ცნობილი მწერლის ელდარ მამისთვალაშვილის წიგნზე: „ქართველ ებრაელთა ისტორია“

ავტორი, ბატონი ელდარ მამისთავალაშვილი წინასიტყვაობაში გულახდილად აღნიშნავს, რომ წინამდებარე წიგნზე მუშაობისას ჰქონდა ერთადერთი მიზანი, მოკრძალებული წვლილი შეეტანა ქართველთა და ებრაელთა ძმობისა და მეგობრობის განმტკიცების საქმეში.

ამასთან ფიქრობდა, რომ წიგნი გარკვეულ წარმოდგენას მაინც შეუქმნის ებრაელთა და ქართველთა თანაცხოვრებით ქართულ ებრაული ურთიერთობის ფენომენით და საერთოდ საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ მკვლევარებსა და ფართო მკითხველებს. წინასიტყვაობის დასასრულს კი ავტორი, ბატონი ელდარი, უდიდესი მოკრძალებით მიმართავს მკითხველს, რომ ყველა მათ სურვილს და კრიტიკულ შენიშვნას, რომელიც კი მის მიერ დასახული მიზნის განხორციელებას წაადგება, სიამოვნებით გაიზიარებს და გაითვალისწინებს შემდგომ მუშაობაში.

რაც შეეხება წიგნის შესავალს, ავტორი ასე იწყებს: „მას შემდეგ, რაც ებრაელს ფეხი დაუდგამს საქართველოს მიწაზე (ეს კი ხანგრძლივი პერიოდია 26 თუ 28 საუკუნე), იგი მის ნამდვილ სამშობლოდ ქცეულა. ვერ დავასახელებ, კვლავ შენიშნავს ავტორი, თუნდაც ერთ საბუთს, შექმნილს საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე (1801 წ.), რომელიც ებრაელთა შევიწროების რაიმე ცნობას შეიცავდეს. ქართველი ებრაელი ქართველი ქრისტიანის ბედს იზიარებდა. უფრო მეტიც: ზოგჯერ ყმა ებრაელს უფრო მსუბუქი ყმობა ჰქონდა, ვაჭარი ებრაელი ზოგჯერ ნაკლებ გადასახადს იხდიდა.

ერთი სიტყვით, სხვა რელიგიის მიმდევარ სოციალურ თანაძმებთან, თვით ქრისტიან ქართველებთანაც შედარებით, ებრაელები ზოგჯერ გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობდნენ.

საქართველოს ებრაელთა ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი მდგომარეობა სრულიად განსხვავებული იყო დანარჩენი სამყაროს ებრაელთა მდგომარეობისაგან. კანონმდებლობა არ ანსხვავებდა ყმა ან ბატონ ებრაელს, ყმა ან ბატონი ქართველისაგან, კვლავ დასძენს ავტორი. ქართველი გლეხისათვის არ არსებობდა რაიმე ისეთი პრივილეგია მეფის, ეკლესიის ან ბატონის მხრივ, რომელიც არ ვრცელდებოდა ებრაელ ყმაზე. ის კი კარგადაა ცნობილი, იქვე შენიშნავს ავტორი, რომ სხვა ქვეყნებში ებრაელს, როგორც უცხო ელემენტს, თავისი სოციალური მოძმეებისაგან ყოფდნენ და იგი იზოლირებული იყო საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროდან.

უფრო გასაგები, რომ გახადოს ავტორმა მკითხველისათვის სხვა მთელ რიგ ქვეყნებში ებრაელთა საშინელი მდგომარეობა და მათი უუფლებობა, სარწმუნო წყაროებზე დაყრდნობით გვისახელებს იმ ქვეყნებს, რომლებმაც განსაკუთრებით „გამოიჩინეს“ თავი. სახელდობრ, ესპანეთს, სადაც ჯერ კიდევ 589 წელს ძალაში შევიდა კანონი, რომლითაც ებრაელებს დაევალათ დაეცვათ კვირა დღე, როგორც უქმე. აეკრძალათ არაებრაელი ყმის ყოლა, აგრეთვე სამსახური სახელმწიფო დაწესებულებაში. VII საუკუნეში მათი მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა, რადგან ტოლედოს საეკლესიო კრებამ, ესპანეთში ცხოვრება აუკრძალა ყველა არა კათოლიკეს. ებრაელების შესახებ კი ნათქვამი იყო, რომ ვინც ერთი წლის განმავლობაში თავის ოჯახთან ერთად არ გაქრისტიანდებოდა, ჩამოერთმეოდა ქონება, დაერტყმეოდა ასი რჩხატი და სამუდამოდ შერცხვენის ნიშნად თავიდან და შუბლიდან ტყავს აახრობდნენ და სამშობლოდან გააძევებდნენ. მოგვიანებით, 693 წელს ებრაელებს აეკრძალათ კერძო საკუთრება მიწაზე და სახლებზე, ნაოსნობა აფრიკასთან, ვაჭრობა და აღებმიცემობა ქრისტიანებთან.

საფრანგეთში ებრაელები IV-V საუკუნეებში დასახლდნენ. ისინი ეწოდნენ ვაჭრობას, ხელოსნობას, სოფლის მეურნეობას. იშვიათი არ იყო ებრაელის მიერ სახელმწიფო თანამდებობების დაკავება, მაგრამ ფეოდალიზმის დამკვიდრების და კათოლიკური ეკლესიის გაძლიერების კვალობაზე უარესდებოდა მათი მდგომარეობა. საგადასახადო და იურიდიული სახის რეპრესიები აღატაკებდა ებრაულ მოსახლეობას. საფრანგეთის მეფეების ხაზინის ერთადერთ მნიშვნელოვან პირობად გადაიქცა ქვეყნიდან ებრაელების განდევნა და მათი კლავე დაბრუნება მეფის მძარცველურ სურვილს დაექვემდებარა. ეკლესიამ ებრაელთა უძრავ-მოძრავი ქონება თავის იურისდიქციას დაუმორჩილა.

მეფე ფილიპე-ავგუსტემ 1182 წელს ებრაელები განდევნა საფრანგეთიდან. ამან ისეთი დარტყმა მიაყენა ქვეყნის ეკონომიკას, რომ იგიეე მეფე იძულებული გახდა 1198 წელს გამოეცა ბრძანებულება ებრაელთა პარიზში დაბრუნების შესახებ.

ავტორი ებრაელთა საკითხს მეზობელ ქვეყნებსაც უკავშირებს, კერძოდ სომხეთში ებრაელები უკვე ცხოვრობდნენ სომხური სახელმწიფოს ჩამოყალიბებამდე. ფაუსტ ბიზანტიელის ცნობების საფუძველზე, ძვ. წ. ა. IV ს. სომხეთის მოსახლეობა შედგებოდა სომხებისა და ებრაელებისაგან. როცა სპარსეთის მეფე შაჰუჰ II-მ აიღო და გაანადგურა ქ. არტაშატაიქიდან წაიყვანა ცხრა ათასი კომლი ებრაელი, „რომლებიც დატყვევებულნი და პალესტინიდან მოყვანილნი იყვნენ ტიგრან არშაკიდეს მიერ და ყველანი დაასახლეს სპარსეთში“. სპარსელებმა ქ. ერვანდაშატიდან წაიყვანეს 30 ათასი კომლი ებრაელებისა, ქ. ზარეჰავანიდან – 8 ათასი, ქ. ზარიშატიდან და ასევე სხვადასხვა ქალაქებიდანაც.

შაჰუჰის ბრძანებით, ისინი ისპაჰანში გადაასახლეს. ასეთი ხელდრი გაიზიარეს გაქრისტიანებულმა ებრაელებმაც. ლ.გ.სელიქსეთ-ბეგის გამოანგარიშებით, IV საუკუნეში სომხეთის ქალაქებში ცხოვრობდა დაახლოებით 100000 (ასი ათასი) ებრაელი. ისინი საკმაოდ მდიდრები იყვნენ, მისდევდნენ ვაჭრობას და ხელოსნობას. მათ მოიტანეს სომხეთში ახალი კულტურა, ამიტომ სპარსელი დამპყრობლები დაინტერესებულნი იყვნენ მათი აყრით და სპარსეთში გადასახლებით.

ავტორს ამჯერად მოჰყავს სომხთის კათალიკოსის აბრამის სიტყვები, რომელიც დაიწერა (607-609 წ.წ.) ქართული ეკლესიისაგან სომხების განდგომის გამო. კათალიკოსი თავის მრევლს აფრთხილებს, რომ ამიერიდან სომხებს ქართველებთან არ უნდა ჰქონდეს ურთიერთობა ღვთისმომსახურებაში, არც სუფრასთან, არც ნათესაობა, არც ბავშვების აღზრდისას არ უნდა იარონ მცხეთისა და მანგლისის ჯვრის ეკლესიებში. არ ჰქონდეთ მათთან ცოლ-ქმრული ურთიერთობა. კათალიკოსი თავის სოხურ მრევლს გამონაკლისის სახით, ნებას რთავს ქართველებთან ივაჭრონ, ისევე როგორც ებრაელებთან. ამასთან დაკავშირებით ავტორი, ბატონი ელდარ მამისთვალაშვილი ასეთ, მეტად სწორ დასკვნას აკეთებს: „თუკი საქართველოში მცხოვრებ სომხებს კათალიკოსი ასეთი მკაცრი შეუწყნარებლობისაკენ მოუწოდებს ქართველების მიმართ, ხომ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ებრაელების მიმართ უფრო უარესისკენ მოუწოდებს საკუთრივ სომხეთში.” შემდეგ კვლავ უკეთესი აზრი ვითარდება წიგნში: ქართველი ებრაელების ისტორიისადმი ინტერესი მას შემდეგ გაჩნდა, რაც დაიწყო ქართველი ხალხის ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. ქართველი ებრაელის ფენომენის შესწავლა ფრიად აქტუალურია ქართველი ხალხის ფენომენის სრულად გასაგებად.

ქართველი ებრაელი იმდენად ორგანულად შეეწყმა ქართულ სინამდვილეს, ქართველ ხალხთან გაიზიარა ქვეყნის ჭირ-ვარამი, წინსვლა თუ დაცემა, რომ ძნელია მისი ცალკე გამოყოფა, ქართველი და ებრაელი ერთად იდგნენ ყოველთვის. რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, ფაქტია: ყველა ქვეყანაში, სადაც ებრაელი იზოლირებილი იყო დანარჩენი საზოგადოებისაგან, იდევნებოდა გაბატონებული კლასის, სამოხელეო აპარატის და კანონმდებლობის მიერაც კი. მათი ისტორიის დაწერა შეძარებით იოლია და დაიწერა კიდეც. ხოლო ქართველი ებრაელის ისტორიის მკვლევარი კი აღმოჩნდებოდა რთული ამოცანის წინაშე, აღნიშნავს ავტორი, ელდარ მამისთვალაშვილი და ათასჯერ სწორიცაა, რადგან მართლა რომ ძნელია გაარკვიო სად იწყება და სად მთავრდება ქართული და სად ებრაული.

ქართველი ებრაელების ისტორიის შეუსწავლებლობა აწუხებდა მრავალ ქართველ და ებრაელ პროგრესულ მოღვაწეს. მათ კარგად ესმოდათ, რომ ქართველი ებრაელების წარსულის შესწავლის გარეშე

შეუძლებელი იყო და არის თანამედროვეობის მთელი რიგი პრობლემების გაგება.

ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის პირველი ნახევარის მიწურულში აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი წერდა: „საქართველოს ებრაელთა ცხოვრების შესწავლა საქართველოს ისტორიის ფრიად მნიშვნელოვანი საკითხია“. ბეერის მიერ ითქვა და ბატონი ელდარ მამისთვალაშვილი აღნიშნავს, რომ „პირველი სერიოზული ცდა ქართველი ებრაელების წარსული ქართულ სინამდვილესთან კავშირში ეწვენებინა, ჰქონდა ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, ლიტერატურისა და ისტორიის მკვლევარს საქარია ჭიჭინაძეს. ებრაელებისადმი სიყვარულითა და პატივისცემითაა დაწერილი მისი მცირე ფორმატის წიგნი „ქართველი ისრაელნი საქართველოში“ (1904 წ.).

ამასთან დაკავშირებით ავტორს, ბატონ ელდარს მოჰყავს გალაკტიონ ტაბიძის სიტყვები: ქართველ ისრაელთა სიტყვები ცხოვრებამაც და მათმა ქართული ენის ხმარებამაც გაიტაცა საქარია, მან საქართველოს ისტორიაში მოძებნა ისრაელის შესახებ მასალები და დაბეჭდა „ისტორია ქართველ ისრაელთა საქართველოში“. მან დაასაბუთა, რომ საშუალო საუკუნეებში, როდესაც ევროპასა და რუსეთში ასე სასტიკად იდევნებოდნენ ებრაელები, საქართველოში ისინი ცხოვრობდნენ სრულიად უვნებლად და სარგებლობდნენ საქართველოს მეფეთა დიდი მფარველობით. ამ წიგნის დაბეჭდვის გამო დიდი მადლობის წერილები მოსდიოდა საქარიას ისრაელთა რაბინებიდან. დღეს ეს წიგნი, დასძენს ბატონი ელდარი, ერთობ იშვიათი საშოვნელია. აქვე იმასაც აღნიშნავს, რომ განსაკუთრებით უნდა გავიხსენოთ ის დიდი მეცნიერული საქმიანობა, რაც თავისი არსებობის მოკლე დროის განმავლობაში გასწია 1933 წელს დაარსებულმა საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულმა მუზეუმმა. იგი გადაიქცა მნიშვნელოვან სამეცნიერო-კვლევით ცენტრად, სადაც თავი მოიყარეს ცნობილმა მეცნიერებმა: ნ. ბერძენიშვილმა, შ. ჩხეტიამ, ლ. მელიქსეთ-ბეგმა, გ. ბაზოემა, ა. კრიხელმა, ი. ჯაპისმედოვმა, ი. ქურჩიშვილმა, რ. თავდიდიშვილმა და სხვ. 1934-1936 წლებში მუზეუმმა მოაწყო სამეცნიერო ექსპედიციები საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში, სადაც კომპაქტურად ცხოვრობდნენ ებრაელები. ექსპედიციის შედეგად მოპოვებულ იქნა მდიდარი ეთნოგრაფიული მასალა. მუზეუმი იმდენად მოღონიერდა მეცნიერული თვალსაზრისით, რომ დაიწყო თავისი შრომების კრებულის გამოცემა. გამოვიდა სულ სამი ტომი: 1940, 1941 და 1945 წლებში,

გასული საუკუნის 40-50 – იან წლებში ყოფილ საბჭოთა კავშირში შექმნილმა პოლიტიკურმა ვითარებამ რომელსაც ანტიებრაული მიმართულებაც ჰქონდა ხელი შეუშალა აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილს მყარ საფუძველზე დაეყენებინა ქართველ ებრაელებთა ისტორიის კვლევა. ამის

შედეგი იყო ჯერ მუზეუმის შრომების გამოცემების შეწყვეტა, შემდეგ თვით მუზეუმის გაუქმება, რომლის ხელმძღვანელის, აწ განსვენებულის არონ კრიხელის მიერ შედგენილ საკვლევ გეგმიდან ჩანს, რომ სურდათ კომპლექსური კვლევა და მუზეუმი გადაქცეულიყო კავკასიის ებრაელთა ისტორიის კვლევის ცენტრად. მუზეუმის გაუქმების შემდეგ მისი უნიკალური ბიბლიოთეკა, ხელნაწერები და სხვა მასალა გაიფანტა სხვადასხვა მუზეუმებსა და არქივების ფონდებში. დღეისათვის მართალია მუზეუმი აღდგენილია, მაგრამ მაინც მისი ფონდების თავმოყრა გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული და ვერ ხერხდება მთლიანად აღდგეს იგი.

ამდენად, მკითხველის საყურადღებოდ მსურს განვაცხადო, რაოდენ მისასალმებელია, რომ წინამდებარე წიგნის ავტორმა, ბატონმა ელდარ მამისთვალაშვილმა შეძლო თავი მოეყარა ზღვა მასალისათვის, რათა სათანადო სინათლე მოეფინა მანამე მიჩქმალული მრავალი ეპიზოდებისათვის, რომელიც ადასტურებს მკვიდრ ქართველთა და ქართველ ებრაელთა უნიკალურ ძმურ ურთიერთობას. ყოველივე ამაში მას დაეხმარა აგრეთვე ის, რომ იგი არის დიდი ინტერნაციონალისტი, პიროვნება, რომელსაც სხვისი სიხარული და წარმატებები ისევე უხარია, როგორც საკუთარი. იგი მოწოდებულია ძირითადად კარგსა და დადებითზე გაამახვილოს ყურადღება და ეს კარგი წამოსწიოს წინა პლანზე. მას კარგად ესმის, რომ უნაკლო და ხარვეზების გარეშე არ არსებობს არაფერი ქვეყანაზე, მაგრამ როდესაც ადამიანში, მით უმეტს ერში თუ კი ძალზე ჭარბობს დადებითი, თუკი ღმერთმა საქართველოს დააკურთხა, თვითონ და მისი ერი ყოფილიყო მსოფლიოში ყველაზე ინტერნაციონალური, ურთიერთ გამტანი და სტუმართმოყვარე, რატომ უნდა დანანებოდა მას სიტყვები და ქება-დიდებით არ შეემკო ქართველი ერი და მისი ქვეყანა, მან შეძლო თავისებურად მოეთხრო ფართო საზოგადოებისათვის ის ქართველ ებრაელთა ისტორია, რომელსაც საქართველოში არავითარი რბევა და გენოციდი, ან ჩაგვრა არ განუცდია სხვათა ქვეყანაში მცხოვრებ ებრაელთა მსგავსად.

ნებისმიერმა მწერალმა, ისტორიკოსმა თუ მეცნიერმა, ვინც კი კალამი აიღო ხელში და აღწერა საქართველოს და ქართველ ებრაელთა ისტორია, უდავოდ დიდი საქმე გააკეთა. მსოფლიოს ხალხებს უჩვენა საქართველოს მაგალითზე, თუ როგორი შემწყნარებელი უნდა იყოს მასპინძელი ერი სხვათა ერებისადმი და განსაკუთრებით ქართველი ებრაელის მიმართ. წინამდებარე წიგნში ავტორს განხილული აქვს აგრეთვე იმ მწერალთა ნაწარმოების მოკლე შინაარსი, რომლებმაც გააშუქეს საქართველოს და ქართველ ებრაელა ტრაგიკული თუ გმირული ისტორია.

ავტორის გადმოცემით ლეონტი მროველი ქართლში ებრაელების მოსელას უკავშირებს ქართული ენის კანონიერ უფლებებში აღდგენას, მის გამოცხადებას, როგორც დღეს ვიტყვით, სახელმწიფო ენად. მეტად ნიშანდობლივია მროველის ნათქვამი, რომ „ამაო ყოველთა ნათესაეთაგან შეიქმნა ენა ქართული“. ყოველ ნათესაეთაში იგი გულისხმობდა მხოლოდ ქართველებს და ებრაელებს და არა სემოსამოთელილი სხვადასხვა ხალხის წარმომადგენლებს. მროველის თხზულებაში მკვეთრადაა აქცენტირებული ებრაელების მოსელა. იგი მათ შემოსვლას ქართლში უკავშირებს ქართული ენის აღორძინებას. შემდეგში კვლავ შესუსტებულა სალიტერატურო ქართული. სნეობა მოიშალა. აქვე ნათქვამია, რომ ქვეყანა გადაარჩინა ალექსანდრე მაკედონელმა, რომელმაც განდევნა ქართლში მყოფი ყველა უცხონი და დატოვა მხოლოდ ნათესავნი ქართლოსიანნი. ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემით, დაუტოვებია მხოლოდ ქართლოსიანები და ებრაელები. მეტად საგულისხმოა პარაგრაფი სათაურით: „ებრაელები და ქართლის გაქრისტიანება“. ბატონი ელდარ მამისთვალაშვილი უამრავ მასალაზე დაყრდნობით, ცნობილ ისტორიკოს მეცნიერთა ცნობათა მოშველიებით (რომელთა ნაშრომები მითითებული აქვს სქოლიოში), ადასტურებს, რომ მემატიანენი ებრაელებს მიაწერენ ქრისტიანებისათვის ისეთი მნიშვნელოვანი რელიქვიის მოტანას, როგორც ქრისტეს კვართია.

ქართული ეკლესიის სიახლოვე იერუსალიმის ეკლესიასთან, მისი იერუსლამური წარმოშობა ქაროველთა ინტენსიურ ლტოლვას იწვევდა წმინდა ქალაქისაკენ წიგნის 149-ე გვერდზე სწერია, რომ პირველი პროზელიტები სწორედ ებრაელები იყვნენ, რომლებმაც ნიადაგი მოუმზადეს და ხელი შეუწყვეს ახალი რელიგიის გავრცელებას ქართლში.

საინტერესოა, რომ წმინდა ნინოს ცხოვრების ავტორი ქართლში ქრისტიანობის გავრცელების აღწერისას განსაკურებით ამახვილებს ყურადღებას ებრაელთა მოქცევაზე, რაც მიგვითითებს საკითხის იმ მნიშვნელობაზე, რასაც ქართლის ფეოდალური საზოგადოება და მისი ხელისუფალნი ანიჭებდნენ ებრაელთა გაქრისტიანების საქმეს[1].

ლ. ზურაბიშვილის აზრით, დასძენს ავტორი, ქაროველი ებრაელბი უძველესი დროიდანვე მოწყდნენ საკუთარ სახელმწიფოებრივ ცენტრებს (მისგან დიდი მანძილით იყვნენ დაშორებულნი) და თავიანთი შემდგომი სოციალური და კულტურული განვითარება იმთავითვე მთლიანად საქართველოს მომავალს დაუკავშირეს. ამან კი გამოიწვია მათ ქართულ სამყაროსთან შეზრდა-შეთვისება. ასეთ პირობებში, როგორც მკვლევარი განაგრძობს, ებრაელებსა და ქართველებს არც რელიგიური და არც

[1] ლ. ზურაბიშვილი. ეროვნებათაშორისი ურთიერთობის ტრადიციები საქართველოში. თბ., 1989 წ. გვ. 48.

ეთნიკური შუღლი არ ჰქონიათ. ქართველი ებრაელობა, ქართული ფეოდალურო საზოგადოების ნაწილად იქცა და მისი ისტორის მშენებელთა რიგებში კანონიერად ჩადგა. ბატონ ელდარ მამისთვალაშვილის აზრით 1) ებრაელები საქართველოში იმ პერიოდში მოვიდნენ, როდესაც ქართული სახელმწიფოების ჩამოყალიბების პროცესი მიმდინარეობდა. მათ თან მოიტანეს ვაჭრობისა და ხელოსნობის წარმოების მოწინავე ფორმები, რითაც მაშინდელი ქართული საზოგადოების პატივისცემას მოიპოვებდნენ; 2) ებრაელები ყურადღებას მიიპყრობდნენ თავიანთი მონოთეისტური რელიგიით, რომელიც თავის მრევლს კონსოლიდაციის, კაცთმოყვარეობისა და პატიოსნებისაკენ მოუწოდებდა (ძველი აღთქმის ცნებებს ქართული საზოგადოება მსოფლიოს ხალხთან შედარებით კარგა ხნით ადრე გაეცნო; 3) ებრაელების მიმართ მტრული დამოკიდებულების არარსებობას ხელს უწყობდა ისიც, რომ ისინი ქრისტიანობის დამკვიდრების შემდეგ კი არ მოვიდნენ საქართველოში, არამედ თეთონ მიიიღეს უშუალო მონაწილეობა ამ რელიგიის დანერგვაში. ქართველი ებრაელები მიჩნეული იყვნენ ებრაელების იმ ნაწილად, რომლებსაც ბრალად არ ედებოდათ მაცხოვრის ჯვარცმა. ამ ეპიზოდზე მსურს ბატონ ელდარს შევახსენო ჩემი შეხედულებაც, რომ სხვა წყაროებზე დაყრდნობით, არა მარტო ქართველ ებრაელობას არ ედება ბრალი, არამედ არც სხვათა ქვეყნის ებრაელებს, რადგან ჯვარცმის ბრალდება მხოლოდ რომაელების წილად მოდის და არა ებრაელების; 4) მართალია, ქართველი ებრაელები შორს იყვნენ თავიანთი ისტორიული სამშობლოდან, მაგრამ არ წყვეტდნენ მასთან კავშირს. ეს კავშირი საქართველოსთვის არ იყო საშიანო, პირიქით; 5) წინააღმდეგობა ვერ იქნებოდა იმიტომაც, რომ უკვე მომხდარი იყო ქართველებისა და ებრაელების ნაწილობრიბრივი ურთიერთშერევა; 6) ადრე ქრისტიანული ქართული ლიტერატურა ებრაელების მინაწილეობით იქმნებოდა და, ამდენად, მასში ვერ აისახებოდა წინააღმდეგობა.

ბატონ ელდარ მამისთვალაშვილს წიგნში მოჰყავს აგრეთვე კ. კეკელიძის მიერ გამოთქმული მოსაზრება ებრაელთა როლზე საქართველოს გაქრისტიანების საქმეში. იგი წერდა: ებრაელების შესახებ უნდა შევნიშნოთ, რომ თუმცა საქართველოში, კერძოდ მცხეთაში, ბევრი ებრაელი იყო, მაგრამ ისინი არამც თუ წინააღმდეგობას არ უწევდნენ ქრისტიანობას, პირიქით, ნიადაგიც კი მოუმზადეს მას. პირველი პროზელიტები ქრისტიანობამ მათ წრეში ჰპოვა და ისინი ხელს უწყობდნენ მის გავრცელებას, როგორც, მაგალითად აბიათარი, სიდონია და სხვები.

იმ დროს იუდეველთა სინაგოგა ქრისტიანი ებრაელების ეკლესიის ფუნქციას ასრულებდა და იქ მღვდელებად იყვნენ ელიოზის შთამომავალნი.

„როდესაც ქრისტეს მოძღვრება რელიგიად გადაიქცა და მისი გამსიარებლები (ებრაელებს გულისხმობს ავტორი) ქრისტიანები გახდნენ, მათ დაკარგეს ადრინდელი ეთნიკური შეგნება, ე.ი. საქართველოს პირობებში გაქართველდნენ, მაგრამ თანამედროვეებმა, თუ შემდეგმა თაობებმა არ დაივიწყეს მათი წარმოშობა და ამის გამო უძველესი დროიდან გაჩნდა ტერმინი ურია-ყოფილი, ის ვინც ოდესღაც ებრაელი იყო“. ანალოგიურად უნდა ყოფილიყო, დასძენს ავტორი, იმ უძველეს ხანაში ყოფილი ქართველები, მიუხედავად მათი იუდაიზმზე გადასვლისა, ე.ი. გაებრაელებისა, იხსენიებდნენ როგორც ჰურიათა „ქართველთა“, ანუ გაებრაელებულ ქართველებად – ქართველ ებრაელებად. მოგვიანებით კი ეს ტერმინი საქართველოს მკვიდრი ებრაელების აღმნიშვნელი გახდა.

ყოველივე ამის შემდეგ მივმართავ მკითხველს, ნუთუ კიდევ შეიძლება ვინმეს უკვირდეს, თუ რატომ ჰქვია საქართველოდან გამოსულ ებრაელებს ქართველი ებრაელობა, და რატომ განიცდიან სხვადასხვა ქვეყნების დიასპორაში მყოფი ებრაელობა ნოსტალგიას საქართველოზე. ავიღოთ თუნდაც მათი სამშობლო ისრაელი. არ არის გამორიცხული, რომ იქ მყოფ ბევრ ქართველ ებრაელ ემიგრანტს ენატრება საქართველო, სადაც დაიბადა და გაიზარდა, სადაც მათი წინაპრების და ახლობლების საფლავებია და სადაც 26 საუკუნეზე მეტს მკვიდრ ქართველებთან ერთად იზიარებდნენ ჭირსა და ლხინს. არც ის არის ტყუილად ნათქვამი, რომ ქართველთა და ებრაელთა ბედი, მათი გმირული და ტრაგიკული ისტორია ტყუპის ცალივით ჰგავს ერთმანეთს და ღმერთა ორივე ამ ერს წილად არგუნა ხმალდაუშეები ყოფა-ცხოვრება, ურთიერთგატანა, სიყვარული.

წიგნის ერთ-ერთ პარაგრაფში, რომლის სათაურია „ქართველი იუდეველნი და ქრისტიანობა“ მოცემულია სათანადო წყაროებზე დაყრდნობით მთელი რიგი ებრაელთა ოჯახები როგორ ქრისტიანდებოდნენ. ნაჩვენებია მათი ებრაული სახელები: დანიელი, ისხაკი, მოშია, შალომი, დავითი, მიხეილი და სხვები. ამასთან დაკავშირებით ნაჩვენებია მეფე ბაგრატის მიერ გაცემული სიგელები და სიგელების გაცემის თარიღები.

რაც შეხება წიგნის შემდეგ პარაგრაფს, ქრისტიანის გაიუდეველებას, აღნიშნულია, რომ ძალზე მცირეა ასეთი შემთხვევები, ხოლო გორში სომხების სარწმუნოებაზე გადასვლის გაცილებით მეტი შემთხვევებია დაფიქსირებული. განსაკუთრებით, როდესაც სომეხი ბატონები ცდილობდნენ ქართველი ყმები თავიანთ რწმენაზე გადაეყვანათ. ჩემი აზრით, ავტორი სწორია ამ შემთხვევაში, რადგან აშკარად დასძენს, რომ ოითქმის არ არსებობდა ებრაელის მიერ ქრისტიანი ყმის შესვიდვა და მისი გაებრაელება. აქ მე მთლიანად ვეთანხმები ბატონ ელდარ მამისთვალაშვილს, რადგან ზოგჯერ მეც ბევრჯერ მსმენია რაბინებიდან და სულიერი მოძღვართაგან, რომ თუ სხვა ერის წარმომადგენლებს მათ შორის, მით უმეტეს ქართველებს თუ ებრაელთა სარწმუნოებაზე

გადასვლა სურთ მას უნდა განემარტოს, რომ არ არის საჭირო და არც მისანშეწონილი, სარწმინოების შეცვლა. ღმერთი თუ სწამს, სასუფეველს თავისი სარწმუნოებიდანაც თავისუფლად მოიპოვებს. ალბათ სწორედ ამით აიხსნება, რომ ძალზედ იშვიათობა იყო, მით უფრო ქართველის მიერ ებრაელთა სარწმუნოების მიღება არც სჭირდებოდათ, რადგან აშკარად ხედავდნენ და დარწმუნებულიც იყვნენ, რომ ქართველი ებრაელი, როგორც მათ, ასევე მათ სარწმუნოებას (ქრისტიანობას) ისედაც დიდ პატივს სცემდა.

წიგნში არანაკლებ ყურადღებას იპყრობს პარაგრაფი, რომლის სათაურია „ბაგრატიონთა გვარის წარმოშობის საკითხისათვის“. მასში აღნიშნულია, „რომ ჩვენამდე მოღწეული ლეგენდების მიხედვით, ბაგრატიონები ებრაული წარმოშობისანი არიან, მაგრამ მკვლევართა უმრავლესობა სხვა აზრისაა“. ამ საკითხის დაყენება ავტორმა აუცილებლად მიიჩნია, რადგან ბაგრატიონთა შესახებ არსებულმა ლეგენდებმა გარკვეული გაელენა მოახდინა შუა საუკუნეების ქართული საზოგადოების, განსაკუთრებით კი სამეფო კარის და გაბატონებული კლასის დამოკიდებულებაზე ებრაელების მიმართ.

მართალია ლეგენდების ცნობების დამამტკიცებელი საბუთები მეც არ გამაჩნია, დასძენს ბატონი ელდარ მამისთავალაშვილი, მაგრამ ვინც საწინააღმდეგოს ამტკიცებს, არც ისინი მეჩვენება მთლად წელში გამართულადო. დასასრულს, თუმცა არასწორად მიაჩნია მკვლევართა დიდი უმრავლესობის მიერ ლეგენდებში და საისტორიო ლიტერატურაში დაცული ცნობების იგნორირება, მაგრამ ჩემი აზრით და შეხედულებით ვურჩევდი ბატონ ელდარს უფრო თამამად ემტკიცებინა ბაგრატიონების ებრაელობიდან წარმოშობა და მოეშველებინა სარწმუნო წყაროები. ასე მაგ., თავის ისტორიულ სიტყვაში საქართველოს ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტი, ედუარდ შევარდაძე საერთაშორისო სამეცნიერო კინფერენციაზე „თბილისი – იერუსალიმი 2“ 1998 წლის 8 სექტემბერს აღნიშნავდა, რომ „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, თბილისის დამაარსებელი მეფე ვახტანგ გორგასალი იმყოფებოდა ისრაელში V საუკუნეში. სიმბოლურია, რომ ქართველი ბაგრატიონები თავის თავს თელიდნენ დავით მეფისა და ქრისტეს ნათესავებად. ამასთან მეფე ლაშა გიორგის სურდა დედამისი, თამარ მეფე დაეკრძალათ იერუსალიმში. წინა აზიის ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფოს ფუძემდებელი დავით აღმაშენებელი კი ჯვაროსნული ომების დროს მიისწრაფოდა დაეცვა ქრისტეს საფლავი იერუსალიმში. მაპატიოს მკითხველმა ეს მცირე გადახვევა ჩემს რეცენზიაში. თუმცა ერთსაც აღვნიშნავ და ამით დავამთავრებ: „ისიც სიმბოლურია, რომ იერუსალიმში, ჯვრის მონასტერში ასვენია გენიალური შოთა რუსთაველის ცხედარი, რომლის დიდებულ პოემას გაპონოეის მიერ იერუთულად ნათარგმნს ეცნობა ისრაელის ფართო საზოგადოება.

ბაგრატიონთა გვარის წარმოშობის ისტორია დიდი ხანია მკვლევართა ყურადღებას იპყრობს, რადგან იგი მრავალი საუკუნის მანძილზე მნიშვნელოვან როლს თამაშობდა მთელი კავკასიის მასშტაბით.

წიგნის წინა პარაგრაფში განხილულია აგრეთვე ქართველ ებრაელთა გვარსახელების ამბავი. მკითხველი თუ გადახედავს ამ პარაგრაფს დარწმუნდება, რომ სუსტად იგივე გვარები და სახელები გვხვდება, როგორც მკვიდრ ქართველებში, ასევე ქართველ ებრაელებში ძველი ბიბლიური სახელების და გვარების მოტანით. ასე მაგ., აბრამიშვილი, ამშიკაშვილი, არონაშვილი, წამალაშვილი, წვენიაშვილი, ფიჩხაძე, ბერიძე, იაკობაშვილი, ქურჩიკაშვილი, ყეზერაშვილი, კობიაშვილი, ჭილაშვილი. მეგრელიშვილის გვარზე მსურს მკითხველის ყურადღება შევაჩერო: 1945 წელს, დიდი სამამულო ომის დამთავრების დროს ჩვენ საშუალო სკოლა ახალი დამთავრებული გვქონდა და 17 წლისანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე მოვეწყვეთ, რომელიც დავამთავრეთ 1950 წელს. ვალიკო ჭილაშვილი ჯერ უშიშროების კომიტეტში მუშაობდა წლების მანძილზე. იგი იქ საგამოძიებო განყოფილების უფროსი იყო – წოდებით პოლკოვნიკი, შემდეგ კი რესპუბლიკის პროკურორის პირველ მოადგილედ მოღვაწეობდა. გივი მეგრელიშვილი კი რესპუბლიკის პროკურატურაში გახლდათ საგამოძიებო განყოფილების უფროსის თანამდებობაზე, ბოლო წლებში მოღვაწეობდა საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში ერთ-ერთი განყოფილების უფროსად, ხოლო მისი ძმა, მამია მეგრელიშვილი ერთ-ერთი პრესტიჟული სამინისტროს ხელმძღვანელად. ამ ეპიზოდებით იმის თქმა მსურს, რომ ამავე გვარების ქართველი ებრაელებიც მყვედა მეგობრები, რომლებიც ექიმებად და იურისტებად მუშაობდნენ. იყვნენ და არიან კიდევ ისეთი გვარის მატარებლები, ხსენებული ორივე ერის წარმომადგენლბი, როგორებიცაა: ხანაშვილი, ხანუკაშვილი, ხასანაშვილი, ხახეჭამიაშვილი, ხახიაშვილი, ხახმიშვილი, ხახმიგერი, ხიპაშვილი, ხიხინაშვილი, ხოხოველი, ხუნდიაშვილი, ხუხაშვილი, ჯანიაშვილი, ჯანაშვილი, ჯიჯანაშვილი, ჯინჯიხაშვილი და სხვ. ქართველ ებრაელთა გვარების მცირე ნაწილი ბოლოედება „ელ“-ზე და აღნიშნავს წარმომავლობას, ან ამა თუ იმ ადგილისადმი მიკუთვნებას. ასეთი გვარები გვხვდება XVIII საუკუნიდან სულ რამდენიმე. ასე მაგ., ასე მაგალითად, ხოტოველი, კრიხელი და სხვა. არსებობდა სოფლები ხოტევი, კრიხი. ასეთი გვარებიც გვხვდება: კაკიაშვილი, კაკიტელაშვილი, კატაპარიაშვილი, კეზერაშვილი, კიკოსაშვილი, მამისთვალაშვილი, მარდახიაშვილი, მაღალაშვილი, მაწონაშვილი, მორდეხაშვილი, მოსაშვილი, მოძღერიშვილი. არის ასეთი გვარებიც: კეტიაშვილი, რიჟინაშვილი, როკეტლიშვილი, სეფიაშვილი და სხვა.

მეტად ნიშანდობლიცია ისიც, რომ, ერთ-ერთი პარაგრაფის სათაურია ასეთი: "მამაკაცის სახელები" რომელთა დიდი უმრაველესობა გვარის საფუძველი გახდა.

აბიათარი, აბრამი (აბრამა), ადელო, არინა, არონა (არონი), ბათო, (ბათუა) ბალუა, ბერი, ბესიკა, ბინია, ბინო, გაბრიელი, გლახუა, გლახუნა. შემდეგ კიდევ ასეთი სახელებიც: დავით, დავითი, დათია, დათუა, დათუნა, დანიელა (დანიელი), დემეტრე, ებალა, ელი, ელიზბარი, ელიშაყა, ელო, ელუა, იაკობი, იაყობი, იოსები (იოსება), ისაკი, ისრაელა, კაკა, კაკია, კაკო, კიკო, კოფა, ლევი, ლევია. ასე, ამრიგად მრავალი მსგავსი.

წიგნში მოცემულია ქალების სახელებიც. ავტორის თქმით გაგვაჩნია ერთადერთი ჩანაწერი 1850 წ. ქუთაისში საეკლესიო მიწაზე მცხოვრებ ებრაელთა სია, სადაც დასახელებულია ორიევე სქესის წევრები მათივე ასაკის მითითებით. თვით ავტორის ვარაუდით ქვემოთ ჩამოთვლილი სახელები გავრცელებული იყო მთელ საქართველოს ებრაელებში: ადესი, ანნა, დებორა, დებრო, დოდო, ესთერი (ესთერა), ზაბედა, თამარი, თეთა, თეთრა, თეთარი, თეთარისა, კონე, მაზა, მირო, ნინო, რახელი (რახილ, რახილა), რიბკა, რუთი, სარა, სემპირა, სიმხა, სიფორა, ტასო, ხავა, ხანა.

ჩემი შეხედულებით თითქმის აქ ჩამოთვლილი სახელების ნახევარზე მეტს დღეს მკვიდრი ქართველი ქალები ატარებენ,

არანაკლებ საინტერესოა მოცემულ წიგნში პარაგრაფი, რომლის სათაურია „ებრაელთა სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოში". მასში აღნიშნულია, რომ XI-XII საუკუნეებში ქართველი ებრაელები ისეთივე უფლებებით სარგებლობდნენ, როგორც მართლმადიდებელი ქართველები. ერთი რამ ცხადია: რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობამდე ქართველი ებრაელები და ქართველი ქრისტიანები უფლებრივი მდგომარეობით თანასწორნი იყვნენ. ეს გარემოება ყოველთვის აღინიშნებოდა, როგორც ქართველი, ისე ებრაელი ინტელიგენტების მიერ. ავტორს მოჰყავს ცნობილი ებრაელი მოღვაწის იოსებ ხახანაშვილის გამოსვლა 1918 წლის 6 სექტემბერს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის სხდომაზე: „წინად, როდესაც საქართველოს სათაეებში ერთი პიროვნება – მეფე ედგა, ქართველ ებრაელთა ბედ-იღბალის გაგე იგივე მეფე იყო. მათდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მეფე ფარნავაზისიდან მოყოლებული ერეკლე მეორემდე ქართველ ისრაელთა შუბლი არ მოღუშულა და გული არ გატეხილა. ცხოვრობდნენ ისე, როგორც ქრისტიანი ქართველები. ქრისტიანი გასაჭირი ისრაელის კარსაც დააკაკუნებდა, ხოლო ლხინი და ბედნიერებაც თანაბრად იყოფოდა ამ ერთი ერის შვილთა შორის". ასე იყო, დასძენს ავტორი 1783 წლამდე, სანამ რუსეთი დამკვიდრდებოდა ჩვენში. აქედან მოყოლებული, იწყება ქართველ ებრაელა შავი დღე. შემოვიდა რუსული სახელმწიფობრიობა, რუსული სული და თან მოიტანა ჩაგვრა, რბევა, უკულტურობა და მათრახი. ქართველი ისრაელი

იტანჯებოდა ორნაირად: ეროვნულადაც, როგორც ქართველი და სარწმუნეობრივადაც, როგორც „ისრაელი“. ცხადზე უცხადესია, დასძენს რომ საქართველოში არასოდეს არ ყოფილა დევნა და რბევა, არასოდეს არ ყოფილა, სხვა ქვეყნებისათვის ასე დამახასიათებელი ებრაელთა ცხოვრების სონები და ე.წ. გეტოები.

ასევე არანაკლებ საინტერესოა ავტორის მიერ წიგნში მოცემული შემდეგი პარაგრაფები: „ებრაელთა სამართლებრივი მდგომარეობა 1801-1860 – იან წლებში“ და “ებრაელთა როლი საქართველოს ეკონომიკაში.”

ცხადია წიგნის მთლიანობაში წაკითხვისას ათასჯერ უკეთესი შთაბეჭდილება შეექმნება მკითხველს, ვიდრე ჩემი რეცენზიის გაცნობისას და იმედი მაქვს შეეცდებიან წიგნი მოიძიონ ბიბლიოთეკებში უკეთუ იგი აღარ არის გაყიდვაში. საბოლოოდ ისღა დამრჩენია უღრმესი მადლობა გადაეუხადო ავტორს, ბატონ ელდარ მამისთვალაშვილს ესოდენ თავდაუზოგავი შრომისა და ენერგიისათვის, რომ მან მეტად ღრმა და უამრავი ფაქტობრივი მასალების მოპოვების საფუძველზე, მეტად საინტერესო წიგნი „ქართველ ებრაელთა ისტორია“ მოგვაწოდა.

მიხეილ როკეტლიშვილი
იურისტი და ეკონომისტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი,საქართველოს ღირსების ორდენის კავალერი და თბილისის ერთგულების მედალოსანი

გამოძახილი
ექიმ-ფსიქიატრის და ნერვოპათოლოგის, პროფესორ ისაკ მეგრელიშვილის ნაშრომზე: „ლტოლვილთა ქარავანი“

აღნიშნულ ნაშრომში ავტორის მიერ შესანიშნავადაა აღწერილი ებრაელთა ტრაგიკული და გმირული ისტორია და მათი თორის ღირსება. აგრეთვე მამა აბრამის ცხოვრების ეპიზოდები.მკითხველს,უფრო ნათელი წარმოდგენა რომ შეექმნას ხსენებული ნაშრომის შინაარსსე, შეეცდები რეცენზიაში ხშირად მოვიტანო ავტორისეული ციტატები. ასე მაგ.,

ეს მოგონება დარჩება მიცვად
მამაო აბრამ უკედავი რჩები,
შენ შემაყვარე ხრიოკი მიწა
შენი მოდგმა ვარ მამა ხარ ჩემი.
მოგონებები ცის გუმბათს სცქივა,
გზად საუბრობენ ანგელოზები...
მათბობს მე ყარიბს და აღარ მციეა
არ დამელევა სავალი გზები.
ვერ ეაპატიებ მას ბიგემიას,
მეუღლეს სარა ხასად აგარა...
ორთავე ალერსი მას უგემია
დრომ მტრად აქცია აბრამის გვარი!
დღეს როგორც მაშინ სემიტთა მოდგმა
ისმაილის და მორჩილ ისაკის...
ბობოქრობს ისევე ძმებს შორის ბოღმა,
საუკუნეთა შუღლს აქვს ასაკი.
ბედმა მარგუნა ვიყო ნომადი
მეც აქ მოვედი ლტოლვილი მწირი.
მწამს აქ აშენდა ნოეს ხომალდი
აქ არის ჩემი ფესვი და ძირი.
ვიწვი მე ფიქრით
უდაბნოს ცხელ მზით...
ვშიშობ, ვაი, ხომ გზა არ მეშვლება?!
იქნებ წინაპართ უვლიათ სხვა გზით
არ ვიცი, ღმერთო, რა მეშველება[1].

ასევე ლექსად აქვს აღწერილი სამშობლოს მიტოვების გრძნობა, ფიქრი და სევდა. ის რომ ბედის უკუღმართობამ მიმოფანტა ებრაელობა პლანეტის ყველა კუთხეში.

[1] ი. მეგრელიშვილი. ლტოლვილთა ქარავანი. გვ. 8-9

იქვე მიმართავს გამწენ ღმერთს, რათა ებრაელობას აკმაროს ცრემლი და მოუშუშოს ჭრილობები, როგორმე გაუნელოს მათ ფიქრი იმისა, რომ მიატოვა წინაპართა და ახლობელთა საფლაეები და ამიტომ არ ასვენებთ ამაზედ ფიქრი.

აი როგორ გამოხატავს იგი ამას თავის ნაშრომში:

„ბევრმა დასტოვა მიწა... სახლკარი...
გზად ნოსტალგიის ჭრილობა გულს ღრღნის,
„აღთქმული მიწა“, მაინც სად არი?!
ლტოლვილთ სიცოცხლე ჩვარად არა ღირს!
ბევრმა ვერ სძლია მწუხარე ფიქრებს...
მტირალ თვალებში ცრემლი ციმციმებს...
უიმედოდ და ჩუმად ქვითინებს,
ვერ აიტანეს ბედის სიმძიმეს!“.

პირდაპირ საოცრებაა, რომ სულ სხვა სპეციალობის პროფესორს, ცნობილ ექიმს, ფსიქიატრს და ნერვოპათოლოგს, როგორ დააკურთხა ღმერთმა მწერლობის და პოეტობის ესოდენ დიდი ნიჭი, რომ ებრაელთა ისტორიის ღრმა შინაარსის ფრაზებს ესოდენ ზუსტად, შესანიშნავად და გარითმულად გადმოგვცემს ლექსის სახით.

იმედის მომცემი ფრაზებიც საოცრად კარგადაა გადმოცემული აღთქმული ქვეყნის მიწაზე ფეხის დადგმისას:

„კვლავ სიხარული გულში ლამპარი,
ღვივდება, როგორც ალი ბუხარში;
ქარავანს მოდის ახალი ცნობა
ქვეყნის საზღვარი მალე იქნება!...
წყურვილის გრძნობა,
შიმშილი გრძნობა...
ჯადოსნურ ძალით ცაში ორთქლდება,
ვიხაროთ ღმერთის საქმის სიმრავლით
შევფიცოთ, მის გზით ჩვენ მუდამ ვიაროთ,
დე გავიხაროთ კეთილ მომავლით,
მიწას ვემთხვიოთ კვლავ ღმერთს მადლობა
ჩვენი ხსნისათვის და აქ მოსვლისთვის,
მარად ჩვენს შორის ძმური დანდობა!
არ გავახაროთ მტერი ძმურ შუღლით,
ციხე შიგნიდან არ ავაფეთქოთ,
ჭაპანი ვწიოთ ყველამ ერთ უღლით“[1].

ავტორმა, ბატონმა ისააკ მეგრელიშვილმა აღნიშნული ბოლო ფრაზებით მოუწოდა თავის თემს, რომ ვიაროთ ღმერთის მიერ არჩეული

[1] ი. მეგრელიშვილი. ლტოლვილთა ქარავანი. გვ. 18.

გზით. მიწას ვემთხვიოთ და გავიმსჭვალოთ მადლერების გრძნობით ღმერთის წინაშე, ვაქოთ და ვადიდოთ მისი სახელი. ამასთან, მოვსპოთ ურთიერთ შორის შური, მტრობა და დავასადგუროთ ჩვენში ურთიერთ გატანა, ძმობა და ერთობა.

ბროშურის 23-ე გვერდზე ავტორი იხსენებს ფაშისმის პერიოდს, რამაც დიდი ზიანი მიაყენა მსოფლიო ცივილიზაციას, და მათ შორის, განსაკუთრებით ებრაელ ერს. აი როგორ აღწერს ავტორი თავისებური გარითმული ლექსით ამ ტრაგედიას:

„მემატიანე მწამს, რომ არ სტყუის
ვარ მე ფოთოლი გზებზე მცოცავი
ერთი ნორჩი ხე დიდი ტყის,
ერთი ცოდვილი, ღმერთზე მლოცავი?!
ან ერთი ნერგი, ან შტო ერის ტყის
ჯვაროსნებისგან გადარჩენილი...
ან ოსვენციმში მოკლული ტყვეით,
მკვდრეთით აღმდგარი კვლავ ღმერთის ხელით!
იქნებ ვარ ცოცხლად მე დამარხული,
ბაბა-იარში მიწა მიყრილი...
დანაშაული ჯერ არ ნახული
ძილს უფრთხობს ხალხებს ჩვენი ყვირილი
იქნებ ვარ ერთი ციცქნა ნატეხი,
ბეთამიკდაშის გრანიტ კედლების,
გადაკარგული ფიცის გამტეხი
დაბრუნებული ღმერთზე ვედრებით?!“.

როგორც ცნობილია, მსოფლიოს ყველა ქვეყნის სამართლის საერთო პრინციპია, როდესაც ბრალდებული სცნობს და აღიარებს გულახდილად თავის ნამოქმედარს, გამოძიება და მართლმსაჯულებაც მის მიმართ ლოიალურია და უფლებამოსილნი არიან გაავრცელონ მასზე შეღავათიანი სასჯელი, ან საერთოდ გაანთავისუფლონ სასჯელისაგან.

ავტორი, ასევე ეტყობა ხელმძღვანელობდა რა აღნიშნული დევიზით, მიმართავს გამჩენ ღმერთს ებრაელი ღმერთის სახელით, რომ შეუნდოს მათ თუ რაიმე ცოდვები გაჩნიათ. აი, როგორი სიტყვებით გამოხატა ავტორმა გამჩენი ღმერთისადმი თავისი თხოვნა:

„ო. ადონაი! გთხოვ შებრალებას,
გთხოვ მაპატიო ყველა ცოდვები,
ვერვინ წამართმევს ებრაელობას,
მაშინაც როცა, წაგალთ... მოკვდებით...
თვალთ უხილავი ნერვულ ძაფებით
ჩემს ერს ვეკუთვნი... არა ვარ გერი...
აღმოცენდება კვლავ გამძაფრებით

ისრაელური უკვდავი გენი!“

ავტორი იქვე ზედმიწევნით სითავდაბლეს ინერს და ცოდვილის როლში თავის თავს გულიხმობს, ნაცვლად მთელი თემისა და ასე დასძენს:

„მსურს არ დავმარცხდე სელაში და დროში
გ'სა მარად მგ'საერის არ შემეკვეცა...
ახალ წელს ვხვდები მე უდაბნოში,
არფა კვლავ ჟღერს და იღვიძებს ზეცა!
ღვთაების არსი მინდა ვიცოდე,
მეც თეთრ სისიტში რაბინი მმოსავს,
ვიცი უფალო ბევრჯერ შეგცოდე,
მე ვერ ვისწაულე ვერცერთი ლოცვა!“.

ავტორი შემდეგ აგვიწერს გარშემო მტრები რომ არ გვასვენებენ და ცდილობენ კვლავ აგვყარონ აღთქმული მიწიდან და ისევ მძევლებად გვაქციონ. ეს ეპი'სოდი ასე აქვს გალექსილი:

„გრგვინავს მლოცველთა მოღაღადე ხმა,
კვლავ სურთ აგვყარიონ... გვაქციონ მძევლად,
და გვიმ'სადებენ ახალ თავდასხმას,
გვწამს, არ იქნება, რაც იყო ძველად“.

შემდეგ, კარგადაა აღწერილი პლანეტის ყოველი მხრიდან თვითმფრინავებით რეპატრიანტთა ისტორიულ სამშობლოში შეკრება. აი ეს ეპი'სოდიც ასე აქვს აღწერილი:

„ელ-ალის თეთრ ფრთებს მოჰყავთ შვილები,
მშიერ-ტიტველნი ეთიოპიდან...
მშრალ უდაბნოში ნაშიმშილები,
მადლობა ისმის მათი პირიდან“.

ავტორის ერთ-ერთი ფრა'სის ამოკითხვისას გამახსენდა ქართული ლექსი:

„სამშობლოს არვის წავართმევთ,
ჩვენს ნურვინ ჩეგეეცილება,
თორემ ისეთ დღეს დავაყრით,
მკვდარსაც კი გაეცინება“.

ავტორი, ბატონი ისაკ მეგრელიშვილი არალოგიურ ა'სრებს ასეთნაირად გამოხატავს:

„გვწამს ვაჟკაცურად მოვიხდით ჩვენს ვალს,
მარჯვენის გვჯერა... არვის ვაშინებთ!
ხშირად ჩვენც გვიჭირს ამას არ ვმალავთ,
მოულოდნელი წესი გვაოცებს...
ვუძლებთ ამდენ მტერს, სიცხეს და გვალვას...
ამ საუკუნეს ტანჯულს მეოცეს!“.

იქვე ავტორი უმღერის ისრაელის ბუნებას და ეტრფის მის მიწას:

„ო, ისრაელის მთებო! ბორცვებო!
მოვედ გიმღერო გულის კარნახით...
რძისა და თაფლის მიწა სად ვძებნოთ,
ჩვენთვის აქ ყვავის ბაღი, ვენახი!
არ ესთქვათ ეს მიწა არის პატარა,
ოღონდ კი ასცდეს მას ავი თვალი...
ბედმა მსოფლიო შემომატარა,
ვერსად ვერ ვნახე სხვა თელ-ავივი!
მთებო მობრონის!...
მთებო ქარმელის!...
ძველო იაფო – და ძველო აკო...
მწამს, მელოდებით, მწამს რომ მომელით,
როგორ დავმუნჯდე და არ შეგაქოთ?!“[1]

არსებითად მე ჩამოვაყალიბე ჩემი შეხედულება ბატონ ისაკ მეგრელიშვილის ბროშურასე „ლტოლვილთა ქარავანი“. თამამად შემიძლია დიდი უმეტესობა მკითხველის სახელით მადლობა გამოვუცხადო ავტორის მისამართით, რომ ეს პატარა პოემა, მან წამოადგინა შესანიშნავი ღრმა შინაარსით და უაღრესად მაღალ დონეზე, რითაც გალექსილი და კარგად გარითმული სახით შეგვახსენა ებრაელი ერის ტრაგიკული და გმირული ისტორია.

მართლაც მისასალმებელია, რომ ესოდენ კარგი ქართული ლიტერატურული ენით დაწერილ პოემას გავეცანით არა მკვიდრი ქართველი ავტორის, არამედ ქართველი ებრაელი ავტორის მიერ და ისიც არა ფილოსოფოსის და არა ლიტერატორის, არამედ, როგორც ზემოთაც მოგახსენეთ, ექიმი ნერვოპათოლოგის და ფსიქიატრი პროფესორის მიერ. თვითონ ქართული ენაც მსოფლიო ენებს შორის გამორჩეული და ყველაზე საუკეთესო ენაა, რომელ ენებზეც ითარგმნება მსოფლიოს ნებისმიერი ენები, და ამასთან, ქართულ ენაზე და ქართული ასოებით გამოითქმება ყოველი ერის ენაზე არსებული სიტყვები.

ამასთნ დაკავშირებით, მსურს კიდევ დასასრულს ჩემი ნიუ იორკში ცხოვრებიდან ერთი ეპიზოდი გაგიხსენო მომხდარი ერთ-ერთ სუფრასე, სადაც სტალინის პიროვნების კულტზე იყო სჯა-ბაასი და მისი კრიტიკა. იქ მყოფ საზოგადოებას მოვახსენე: მართალია სტალინმა, მიუხედავად დაშვებული შეცდომებისა, ხისკავიანი, ჩამორჩენილი რუსეთი ჩაიბარა და იგი აქცია ატომური იარაღით აღჭურვილ უძლიერეს ქვეყნად, მაგრამ მე მას ყველაზე დიდ შეცდომად ვუთვლი იმას, რომ მან რატომღაც ვერაფრით ვერ შეძლო ქართული ენა გაეხადა მსოფლიოს ყველა

[1] იქვე. გვ. 36-37.

ქვეყნისათვის მთავარ სახელმწიფო ენად, რუსული ენა მეორე ენად, ხოლო დანარჩენი ენები, თვით ინგლისური ენის ჩათვლით, უბრალო სასაუბრო ენად.

ჩემმა გამოსვლამ დამსწრეთა შორის საერთო სიმხიარულე გამოიწვია, მაგრამ მხარი უფრო მეტად დამიჭირეს, ვინც დღემდე ვერ დაეუფლა ინგლისურ ენას და კვლავ ქართულად საუბრობს, თუმცა ინგლისურად მოლაპარაკენიც დიდი მოწონებით შეხვდნენ ჩემს წინადადებას, სტალინს განსაკუთრებით ქართული ენა, რომ გაეხადა მსოფლიოს ყველა ქვეყნისათვის საერთაშორისო ენად.

მიხეილ როკეტლიშვილი
იურისტი და ეკონომისტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი,საქართველოს ღირსების ორდენის კავალერი და თბილისის ერთგულების მედალოსანი

გამოხმაურება პროფესორ იაშა (იაკობ) მესხიას წიგნზე „სახელმწიფო ფინანსური კონტროლი: განვითარების კონცეფცია“, რომელიც გამოცემულია ქ. თბილისში გაეროს განვითარების პროგრამის შესაბამისად

პროფ. ი. მესხიას ნაშრომი შეეხება თანამედროვე ეკონომიკური თეორიისა და პრაქტიკის უაღრესად აქტუალურ და პოსტსაბჭოურ ქვეყნებში ნაკლებად შესწავლილ პრობლემას. მასში სიღრმისეულადაა გამოკვლეული სახელმწიფო ფინანსური კონტროლის ტექნოლოგიური საფუძვლების სრულყოფის ძირითადი კონცეპტუალური მიმართულებები. კვლევას საფუძვლად უდევს პოსტსაბჭოურ ქვეყნებში გამოყენებული საელმწიფო ფინანსური რევიზიის მეთოდოლოგიისა და მეთოდიკის კრიტიკული ანალიზისა და განზოგადების შედეგები, აგრეთვე, მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში თანამედროვე ეტაპზე ფართოდ აპრობირებული ფინანსური აუდიტის უახლესი ფორმები და მეთოდები. ნაშრომის მნიშვნელოვან ღირსებად შეიძლება ჩაითვალის ის, რომ მას თეორიულთან ერთად დიდი გამოყენებითი მნიშვნელობა გააჩნია და წიგნის ავტორმა, რომელიც წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს უმაღლეს მაკონტროლებელ ორგანოს (კონტროლის პალატას) უზრუნველყო კვლევის შედეგების პრაქტიკული რეალიზაცია და საკონტროლო–სარევიზიო საქმიანობის რადიკალური რეფორმირება.

წიგნში, გარდამავალ ეტაპზე საბაზრო ეკონომიკის თავისებურებებიდან გამომდინარე, ახლებურადაა წამოდგენილი სახელმწიფო ფინანსური კონტროლის არსი, პრინციპები და ამოცანები. ავტორის მტკიცებით ფინანსური კონტროლი არ უნდა შემოისაზღვროს მხოლოდ მატერიალური და ფინანსური საშუალებების ხარჯვის შემოწმებით, არამედ მისი ერთ-ერთი მთავარი ამოცანა უნდა იყოს აგრთვე ფინანსური კანონდარღვევების პრევენცია და რეკომენდაციების და წინადადებების შემუშავება გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიმართულებით. ავტორის აზრით, გარდამავალი ეკონომიკის პირობებში ფინანსური კონტროლის განხორციელებისას განსაკუთრებით წინა პლანზე უნდა იქნას წამოწეული ისეთი ფუნდამენტური პრინციპები როგორიცაა: კანონიერება, პასუხისმგებლობა, ობიექტურობა და სისტემურობა. ამასთან, ამ პრინციპების გამოყენება მაშინ იძლევა სასურველ შედეგს, როდესაც

ხდება მათი არა ერთმანეთისაგან იზოლირებულად, არამედ ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში კომპლექსურად გამოყენება.

ნაშრომში ფართოდაა წარმოდგენილი სახელმწიფო ფინანსური კონტროლის ორგანოების ფუნქციები როგორც საბიუჯეტო სახსრების კანონიერად და მიზნობრივად ხარჯვის, ასევე სახელმწიფო ქონების ეფექტიანად გამოყენების სფეროებში. დეტალურადაა გაანალიზებული ის საკონტროლო უფლებამოსილებები, რომელიც კანონით მინიჭებული აქვთ ისეთ მაკონტროლებელ ორგანოებს, როგორებიცაა: საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კონტროლის პალატა, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (საგადასახადო დეპარტამენტი, საბაჟო დეპარტამენტი, ფინანსური პოლიცია), საქართველოს ეროვნული ბანკი (საბანკო ზედამხედველობის დეპარტამენტი), ფინანსური მონიტორინგის სამსახური, სასამართლო საფინანსო–ეკონომიკური ექსპერტიზის ბიურო, დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური და ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია. ავტორის მიერ გაკეთებულია დასკვნა, რომ ჯერ-ჯერობოთ სუსტადაა ორგანიზებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფინანსური საქმიანობის კონტროლი, რის გამოც რეგიონულ ჭრილში მაღალია ფინანსური სამართალდარღვევებისა და კორუფციის დონე.

ავტორის აზრით, გარდამავალი ეკონომიკის პირობებში ფინანსური კონტროლის სახელმწიფო ფორმებთან ერთად მიზანშეწონილია კონტროლის არასახელმწიფო ფორმების გამოყენება, მათ შორის, ისეთების, როგორიცაა აუდიტორული კონტროლი და საზოგადოებრივი კონტროლი. ნაშრომში დასაბუთებულია, რომ საკანონმდებლო ბაზა, რომელიც საფუძვლად უდევს საკონტროლო საქმიანობას, საკმაოდ მოძველებული და არასრულყოფილია, რის გამოც საჭიროა როგორც მათი გადამუშავება, ასევე ახალი კანონების შემუშავება. ნაშრომში წამოყენებულია საინტერესო წინადადებები და რეკომენდაციები საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ სახელმწიფო კანონის ტრანსფორმაციის თაობაზე.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში დიდი ხანია მიმდინარეობს დისკუსია ფინანსური შემოწმების ფორმების – რევიზიის და აუდიტის – თანაფარდობის შესახებ. წიგნში დეტალურადაა შესწავლილი განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში აუდიტორული საქმიანობის გამოცდილება და მკაფიოდაა ჩამოყალიბებული აუდიტის და რევიზიის საერთო და განმასხვავებელი ნიშნები. განსაკუთრებული ყურადღებაა მიქცეული აუდიტის იმ ფორმების (ფინანსური აუდიტი, შესაბამისობის

აუდიტი, ოპერაციული აუდიტი) ანალიზზე, რომელთა კომპლექსური გამოყენება იძლევა ხარისხიანი შემოწმების ჩატარების საშუალებას. ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში ავტორის მიერ პირველად არის შემოღებული „ეფექტიანობის აუდიტის" კატეგორია, რომელიც ასახავს ინგლისურ „პერფომანცე აუდიტ"-ის შინაარსს და მას არ გააჩნია პირდაპირი ქართული თარგმანი. ამასთანავე, დასაბუთებულია, რომ საქართველოს დღევანდელ პირობებში ეფექტიანობის აუდიტის დანერგვა, ვიდრე არ მოხდება შესაბამისი წინაპირობების მომზადება, არაა მიზანშეწონილი.

ნაშრომში დიდი ადგილი აქვს დათმობილი საქართველოს კონტროლის პალატის რეფორმირების საკითხებს.

დასასრულს, ავტორი ობიექტურად აფასებს რა ქვეყნის ფინანსური კონტროლის სფეროში არსებულ დადებით და უარყოფით მხარეებს, აყალიბებს სახელმწიფო სახსრების ხარჯების სისწორესა და ქონების გამოყენების ეფექტიანობაზე კონტროლის სრულყოფის კონკრეტულ წინადადებებს და რეკომენდაციებს, რომელთა პრაქტიკული დანერგვა ხელს შეუწყობს ქვეყანაში დემოკრატიის განვითარებას და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობას.

აქვე მსურს მკითხველს მივაწოდო ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის და ვიცე-პრეზიდენტის, ნიუ იორკის მეცნიერებათა აკადემიის წევრის, ეგრისის აკადემიის, საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის და სხვა სამეცნიერო აკადემიების წევრის, საკავშირო კომკავშირის პრემიის ლაურეატის, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, საქართველოს ღირსების ორდენის კავალერის იაშა (იაკობ) მესხიას ბიოგრაფიული ცნობები.

დაიბადა 1946 წლის 29 დეკემბერს საქართველოში, წალენჯიხის რაიონის სოფელ ობუჯში. საშუალო სკოლა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი დაამთავრა წარჩინებით. სწავლობდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ ეკონომიკურ-მათემატიკური ინსტიტუტის ასპირანტურაში და მ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურაში. საკანდიდატო (1972წ.) და სადოქტორო (1983წ.) დისერტაცია დაიცვა ქ. მოსკოვში. მისი მეცნიერ-ხელმძღვანელები და კონსულტანტები იყვნენ მსოფლიოში ცნობილი მეცნიერები ნობელის პრემიის ლაურეატი, აკადემიკოსი ლ. კანტაროვიჩი, აკადემიკოსები ს. შატალინი, ა.აგანბეგიანი, ნ. ფედორენკო, ვ. დადაიანი და სხვ., საქართველოში კი აკადემიკოსები პ.

გუგუშვილი, ი. მიქელაძე, ვ. ჩანტლაძე ვ. მელქაძე და სხვ. 1986 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება.

1972 წლიდან მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მეცნიერ მუშაკად, სექტორის გამგედ, განყოფილების გამგედ, ხოლო 1991-1992 წლებში-დირექტორად.

1986-2004 წლებში იყო სსრკ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის აღრიცხვისა და სტატისტიკის დარგთაშორისი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორი, კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ეკონომიკური ინსტიტუტის რექტორი, ეკონომიკისა და ფინანსების ინსტიტუტის დირექტორი, ფინანსების და სტატისტიკის ინსტიტუტის დირექტორი, ფინანსების სამეცნიერი-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი. შეთავსებით მუშაობდა ა.წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღრიცხვის, აუდიტისა და კონტროლის კათედრის გამგედ, თბილისის საფინანსო-ეკონომიკური აკადემიის რექტორად. 2004-2007 წლებში იყო საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, თავმჯდომარე.

ქართულ და უცხოურ ენებზე გამოქვეყნებული აქვს 300-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის, 25 მონოგრაფია და სახელმძღვანელო მაკროეკომომიკის, ფინანსების, საბანკო საქმის, ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური კონტროლის, აუდიტის, პროგნოზირების, მენეჯმენტის და ეკონომიკის სხვა აქტუალურ საკითხებზე. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 30-ზე მეტი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია.

არის ჟურნალების "აღრიცხვა და ანგარიშგება", "ბანკი", "ეკონომიკა", "საქართველოს ეკონომიკა", "სოციალური ეკონომიკა", "ბი'სნესი და კანონმდებლობა", "ახალი ეკონომიკა", "მაცნე" (ეკონომიკის სერია) სარედაქციო კოლეგიების წევრი. წლების განმავლობაში იყო ჟურნალების "გადასახადებისა" და "ფინანსური კონტროლის" მთავარი რედაქტორი.

სხვადასხვა დროს იყო საქართველოს პრეზიდენტთან არსებული საკონსულტაციო ეკონომიკური საბჭოს წევრი, საქართველოს სახელმწიფო მინისტრთან არსებული სექსპერტო საბჭოს წევრი, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიის წევრი, საქართველოს პარლამენტის ეკონომიკური რეფორმების კომიტეტის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს სსრ საზოგადოება "ცოდნის" სარეზიდიო კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კოლეგიის წევრი, საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს წევრი, სადისერტაციო საბჭოს

თაემჯდომარე, საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს კოლეგიის წევრი, სახელმწიფო პრემიების მიმნიჭებელი სახელმწიფო კომისიის წევრ და ა.შ.

პროფ. ი. მესხიას სამეცნიერო შრომებში გამოკვლეულია კომპლექსური მაკროეკონომიკური პროგნოზირების თეორიული და გამოყენებითი საფუძვლები, შემუშავებულია პროგრამულ–მიზნობრივი მაკროეკონომიკური დაგეგმვის მიზანთა სისტემა და კრიტერიუმები, პრაქტიკაში აპრობირებულია მის მიერ შემუშავებული მაკროეკონომიკური პროგნოზირების ინერციულ-გენეტიკური და მიზნობრივ-ნორმატიული ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელების სისტემა, რომელთა ვერიფიკაციამ აჩვენა პროგნოზული გაანგარიშებების სიზუსტის მაღალი ხარისხი. მის ნაშრომებში სიღრმისეულადაა შესწავლილი გარდამავალ ეტაპზე საქართველოში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების პოზიტიური და ნეგატიური შედეგები, შემუშავებული მთელი რიგი მეთოდოლოგიური და მეთოდური ხასიათის კონკრეტული წინადადებები და რეკონემდაციები რეფორმების სრულყოფის საკითხებზე.

პროფ. ი. მესხიას მიერ ჩატარებულ მაკროეკონომიკურ გამოკვლევებში განსაკუთრებული ადგილი უკავია ეკონომიკური ზრდის სინთეზურ მაჩვენებელთა პერსპერტიული ტრაექტორიების განსაზღვრას, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სრულყოფისა და ინფლაციური პროცესების დარეგულირების მეთოდური პრობლემების შესწავლას, საგადასახადო სისტემისა და დაბეგვრის თეორიულ-მეთოდოლოგიური და გამოყენებითა საკითხების ანალიზსა და განზოგადებას, საბიუჯეტო სისტემისა და ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების ოპტიმიზაციის ორგანიზაციული და სამართლებრივი საკითხების გამოკვლევას. მისი კვლევის შედეგებმა ფართო ასახვა ჰპოვეს საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების გრძელვადიანი პროგნოზებისა და პროგრამების ფორმირებაში, ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკების შემუშავებაში.

პროფ. ი. მესხია აქტიური მეცნიერ-მკვლევარი და სასოგადო მოღვაწეა. მის მეცნიერულ შემოქმედებას კარგად იცნობენ საქართველოში და საზღვარგარეთ. იგი სისტემატურად მონაწილეობს საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული სიმპოზიუმების, კონფერენციების და სემინარების მუშაობაში.

პროფ. ი. მესხიას ხშირად იწვევენ უცხოეთის ქვეყნებში ოპონენტად და ლექციების წასაკითხად. მისი ინიციატივით და ხელმძღვანელობით საქართველოში დაარსდა არაერთი სამეცნიერო-კვლევითი და უმაღლესი სასწავლო დაწესებულება.

პროფ.ი.მესხია ეწევა აქტიურ პედაგოგიურ საქმიანობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში. მისი

აკადემიური და ანალიზური პუბლიკაციები, აგრეთვე, მწვავე საჯარო გამოსვლები ხელს უწყობენ საქართველოში ეკონომიკური რეფორმების გაღრმავებას და განვითარებას.

მიხეილ როკეტლიშვილი
იურისტი და ეკონომისტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი,საქართველოს ღირსების ორდენის კავალერი და თბილისის ერთგულების მედალოსანი

რეცენზია
საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების პრეზიდენტის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსის ბატონ როინ მეტრეველის ნაშრომზე: „ებრაელები საქართველოში“

მკითხველს, რომ უფრო ნათელი წარმოდგენა ჰქონდეს ხსენებულ წიგნზე, მისანშეწონილად მივიჩნიე ჩემი რეცენზიაზე წამემძღვარებინა საქართველოს ცნობილი მწერლის და საზოგადო მოღვაწის, ქართულენოვანი გაზეთ „მენორას“ დამაარსებლის და რედაქტორის, საქაროველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, ბატონ გურამ ბათიაშვილის წინათქმა

მსურს ორიოდე სიტყვა ვუთხრა ადამიანს, რომელიც ამ წიგნს აიღებს ხელში: როინ მეტრეველმა – აკადემიკოსმა, საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების პრეზიდენტმა – შენთვის, ჩემო ძვირფასო მკითხველო, ყოველი ჩვენგანისთვის, ის წიგნი შექმნა, რომლის არსებობის აუცილებლობაზე არაერთხელ მიფიქრია. როინ მეტრეველის – თავისი ერის მეისტორიეს – კალამს ბევრი მონოგრაფია, თუ ნარკვევი დაუწერია. მე ამ წიგნებს, საჭიროების შემთხვევაში, კვლავ და კვლავ ვიღებ ხელში. დღეიდან ამათ შორის იქნება „ებრაელები საქართველოში“.

წლების განმავლობაში თან მდევდა სურვილი არაქართველი მკითხველისათვის შეექმნილიყო ამგვარი წიგნი, მას ნება-ნება გადაეცლო თვალი იმ ქვეყნისა და ხალხისათვის, რომლის მზე ჩვენ, ებრაელებს 26 საუკუნე გვათბობდა. სამშობლოდან დევნილმა ებრაელებმა აი, ამ მიწაზე, აი, ამ მზის ქვეშ, აი, ამ ხალხში მოვიტანეთ მტრობით, სისხლისღვრით, სიცოცხლის წართმევის მუქარით აფორიაქებული სული. მტერი მოგვდევდა და თავშესაფარს ეძებდით. სამშობლოწართმეულთ თვალთაგან ცრემლი გვდიოდა და ფეხთაგან – სისხლი. აქამდე მოვაღწიეთ და ქართველებმა მოგვცეს ის, რაც მთავარია ადამის ძისათვის – არსებობისა და შრომის უფლება.

ებრაელთა არარსებობის საკითხს ხშირად დაუფიქრებია ამა ქვეყნის ძლიერნი – ნაბუქოდონოსორიდან სადამ ჰუსეინამდე. ჩემს სამშობლოში – საქართველოში – ებრაელობა ისევე არსებობდა და არსებობს, როგორც ქართველი. ისევე ულხინდა და უჭირდა, ისევე სციოდა და შიოდა, ისევე ხარობდა და ლაღობდა, როგორც ქართველი. 26 საუკუნის შემდეგ კი კვლავ ებრაელებად ვუბრუნდებით ისტორიულ სამშობლოს. ვუბრუნდებით აღთქმულ მიწას და საქართველო თან გვდევს: ისტორიული მეხსიერების ერს ამ მიწაზე ცხოერების ყოველი დღე, ყოველი საათი გულის ფიცარზე დაგვიწერია.

ებრაელთა შრომა, მუყაოთობა საყოველთაოდაა ცნობილი. ებრაელობას საქართვე-ლოში ისევე შრომობდა, ისევე აქცევდა ოფლს და სისხლს ამ მიწას, როგორც ქართველი (თუმცა ერთი დღითაც არ დავიწყნია ღმერთთან თავისი კავშირი. ღმერთთან კავშირი – ებრაელობა – კი მძიმე მოვალეობაა), მაგრამ ვაი, რომ თავად საქართველო იყო მტერთაგან მოუსვენარიო, ხოგჯერ დარბეულიც კი. თავად ქართველს არ აძლევდა მტერი შვებას. ეს საქართველოს ებრაელობის ისტორიასაც დაეტყო. მაგრამ ჩვენ მაინც გამარჯვებულნი ვართ – 2600 წლის შემდეგ ებრაელებად ვუბრუნდებით ღვთის მიერ ჩვენთვის ბოძებულ მიწას.

ერთი სიტყვით, მე ის მინდა გითხრათ, რომ წიგნი, რომელიც ხელში აიღეთ, გიამბობთ ქვეყანაზე, რომელშიც ებრაელს ჰქონდა თავისუფალი არსებობისა და შრომის უფლება, ქვეყანაზე, რომელშიც ებრაელის სისხლი არ დაღვრილა იმის გამო, რომ იგი ებრაელია. პირიქით კი ყოფილა: ქართველს უმეცადინია ებრაელის სიცოცხლის გადასარჩენად.

თქვენ, ალბათ, მიმიხვდით: მე ძალიან მიყვარს ეს ქვეყანა და მწადია თქვენც შეიყვაროთ იგი. ეს წიგნი კი საამისო სურვილს უთუოდ გაგიჩენთ.

გურამ ბათიაშვილი
მწერალი,საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

რაც მთავარია წიგნი იმითაც არის მეტად მნიშვნელოვანი, რომ იგი სამ დიდებულ ენაზეა დაწერილი: მშობლიური ქართულ, ებრაულ (ანუ ივრითულ) და ინგლისურ ენებზე. ამასთან, იგი პოპულარულად მოგვითხრობს ქართველი ებრაელების, მათი ისტორიისა და ყოფა-ცხოვრების შესახებ.

წიგნის დასაწყისშივე ავტორი სამართლიანად იხსენებს ყველა იმ ისტორიკოსს, მეცნიერს თუ მწერალს, რომლებსაც გარკვეული წვლილი მიუძღვით ხსენებული ერის მიერ განვლილი ცხოვრების გაშუქებაში. იგი ასახელებს 1904 წელს გამოცემულ ისტორიკოსისა და საზოგადო მოღვაწის – საქარია ჭიჭინაძის წიგნს „ქართველნი ებრაელნი საქართვე-ლოში“, 1940-1945 წწ. გამოცემულ საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომების რამდენიმე ტომს, სადაც აღნიშნული პრობლემის სხვადასხვა საკითხი იყო მიმოხილული. ამასთან, 1940 წელას აკადემიკოს გიორგი წერეთლის მიერ „ენიმკის მოამბეში“ გამოქვეყნებულ სტატიას მცხეთაში ახლად აღმოჩენილი წარწერის შესახებ. შემდეგ დასძენს თუ რაოდენ საჭირო მასალები მოიკვლიეს და დიდი ამაგი დასდეს ცნობილმა მწერლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა: ნისან ბაბალიკაშვილმა, კონსტანტინე ლერნერმა, ელდარ მამისთვალაშვილმა, ჯემალ აჯიაშვილმა, გურამ ბათიაშვილმა, ნათან ბაასოემა და სხვ.

ავტორმა განსაკუთრებით აღნიშნა ამ ბოლო დროს გამოცემული იცხაკ დავიდის ფუნდამენტური გამოკვლევის „История евреев на Кавказе“ (ორტომეული), და აგრეთვე საქართველოში ებრაელთა დამკვიდრების 2600 წლოვანი იუბილეს დღეებში სხვადასხვა ავტორის მიერ გამოქვეყნებული არა ერთი სტატია და ნარკვევი, რომლებშიც არანაკლებ იქნა გაშუქებული და მოთხრობილი ქართველ ებრაელთა ყოფითი ცხოვრების შესახებ.

სრულიად უნდა დავეთანხმოთ ავტორს იმაშიც, რომ ებრაელებისადმი დიდი ინტერესი მართლაც რომ გამოწვეულია იმ როული ისტორიული ბედით, რაც ამ ერს ხვდა წილად. „ებრაელი“, როგორც აკადემიკოსი, ბატონი როინ მეტრეველი დასძენს, ისტორიულად ძველი ებრაელებიდან მომდინარე, ხალხის საერთო ეთნიკური სახელია, ისინი სახლობდნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და პრაქტიკულად არიან ჩაბმულნი ამ ქვეყნების მოსახლეობის საერთო ეკონომიკურ, სა'სოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. მე კი ჩემს აზრსაც დავამატებდი, რომ ებრაელობა ბედის უკუღმართობამ მიმოფანტა პლანეტის ყველა კუთხეში და ცხადია – ვალდებულიც იყო ზიარებოდა ამ ქვეყნების ხალხთა ეკონომიკას და კულტურას – მათ სა'სოგადოებრივ თუ პოლიტიკურ ცხოვრებას, წინააღმდეგ შემთხვევაში თავს სხვა-ნაირად ვერ გაიტანდა.

ძველი წელთააღრიცხვის პირველ ათასწლეულში, აღნიშნულია წიგნში, ებრაელთა საცხოვრისს წარმოადგენდა ისრაელისა და იუდეველთა სამეფოები. ორივე ეს სამეფო იმ დროს მნიშვნელოვანი სახელმწიფოები იყო.

ისრაელი სამეფო ძველი წელთააღიცხვის 722 წელს ასურეთმა დაიპყრო, იუდე-ველთა სახელმწიფო კი ძველი წელთააღრიცხვით 586 წელს ბაბილონმა გაანადგურა. სწორედ ამ პერიოდებთან და მოვლენებთან არის დაკავშირებული ებრაელების განსახლება (გაფანტვა) მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და მათი იმავე ქვეყნებში დამკვიდრება. ებრაელობამ აითვისა ადგილობრივი ქვეყნების ენა და კულტურა, თუმცა საკუთარი ჩვეულებები და რწმენა არ დაუკარგავს. აქაც ჩემს აზრს დავამატებდი, რომ განსაკუთრებით კი ყოველივე ეს ებრაელობამ შეინარჩუნა საქართველოში გაცილებით მეტად, ვიდრე მსოფლიოს ნებისმიერ სხვა ქვეყანაში მცხოვრებმა. ცხადია ბატონი როინიც ამ აზრისაა. მისი ეს შეხედულება გამოთქმულია ამ წიგნის სხვა პარაგრაფებშიც. ევროპის ქალაქებში ჩასახლებული ებრაელები კარჩაკეტილ თემებად ცხოვრობდნენ. მათი საქმიანობა ძირითადად ვაჭრობა და ხელოსნობა იყო. შეძლებული ებრაელები კი მეანახშეობდნენ. სწორად შენიშნავს ავტორი იმასაც, რომ ებრაელები მოხერხებულნი იყვნენ თავიანთ საქმიანობაში და გარკვეულ წარმატებებსაც აღწევდნენ, რაც ადგილობრივი ვაჭრებისა და ხელოსნების კონკურენციას იწვევდა და თავისთავად აღეიებდა წინააღმდეგობას

დამხდურთა და ჩამოსახლებულთა შორის. იზრდებოდა ანტისემიტური მიდრეკილებები. სხვადასხვა დროს ადგილი ჰქონდა ებრაელ და ადგილობრივ მოსახლეობას შორის ურთიერთობის გამწვავებას, XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში რუსეთში ებრაელთა მასობრივი დარბევა მოეწყო, რის შედეგად ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპიდან ებრაელთა დიდი რაოდენობას აიყარა და ამერიკასა და სხვა ქვეყნებში გადასახლდა. ანტისემიტურმა მოძრაობამ მძაფრად რეაქციული ხასიათი მიიღო ფაშისტურ გერმანიაში და მეორე მსოფლიო ომის (1939-1945 წწ) დროს ჩაიდინეს მსოფლიო მასშტაბის არნახული და ენით უთქმელი უდიდესი დანაშაული, რასაც 6 მილიონი ებრაელი ადამიანის მსხვერპლი მოჰყვა. იქვე ავტორი დროულად მოგვაგონებს, რომ 1948 წელს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო გადაწყვეტილება ისრაელის სახელმწიფოს შექმნის შესახებ და სწორედ იმავე წელს შეიქმნა კიდეც ისრაელის სახელმწიფო.

რამდენიმე ფრაზით სემოთ გადმოცემული ებრაელთა ტრაგიკული ისტორიის ფონზე უაღრესად საინტერესო ჩანს ებრაელთა და ქართველთა ურთიერთობა, მათი ჩამოსახლება საქართველოში და მათ საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები.

ძველი ქართული საისტორიო მწერლობა ებრაელთა პირველი ტალღის გამოჩენასა და დამკვიდრებას საქართველოში ბაბილონის მეფის ნაბუქოდონოსერის მიერ იერუსალიმის აღებასა და განადგურებას უკავშირებს. ქართლის ცხოვრების მიხედვითაც იერუსალიმის დაცემა ჩვენს ერამდე 586 წელს მოხდა. სწორედ ამ დროს ჩავიდა ებრაელობა საქართველოში (ქართლში), რომლებმაც მცხეთის მამასახლისს მი-მართეს თხოვნით, რათა ნება დაერთო მას აქ დასახლებისა. მამასახლისმა მეგობრობის ხელი გაუწოდა გაჭირვებაში ჩავარდნილ ლტოლვილებს. ეს ეპიზოდი სათანადო ისტორიულ წყაროზე დაყრდნობით ასე წერია: „მისცა და დასხა არაგუსა ზედა წყაროსა, რომელსაც ჰქვიან ზანავი და რომელი ქვეყანა აქუნდათ მათ ხარკითა. აქედან ებრაელები სხვა დაბებსა და ქალაქებში ხელოსნობისა და სააღმებმიმცემო ცენტრებში გადადიან“. როგორც ჩანს, ებრაელობამ საქართველოში ადრევე შეითვისა ქართული ენა და იმთავითვე ეზიარა ქართულ ადათ-წესებსა და ზნე-ჩვეულებებს. ამასთან, ისინი ბოლომდე დარჩნენ იუდაიზმის ერთგულნი. ებრაელი შრომობდა და იბრძოდა ქართველის გვერდით. ებრაელთათვის საქართველო მეორე სამშობლოდ იქცა და ამიტომ ისინი ისევე ზრუნავდნენ ქვეყნის წინსვლა-განვითარებისათვის, როგორც ქართველები.

მეტად ნიშანდობლივია ისიც რომ ავტორი, ცნობილი მეცნიერი, აკადემიკოსი ბატონი როინ მეტრეველი, სრული პასუხისმგებლობით დასძენს, „ქართველ ებრაელთა უფლებრივი მდგომარეობა ქართველი მოსახლეობის ანალოგიური იყო და მისგან არაფრით არ განსხვავ-

დებოდა". ამასთან, იქვე სწორად შენიშნავს, რომ „ბევრ გამორჩენილ თვით ებრაელ მოღვაწეს აღუნიშნავს, რომ საქართველოში ებრაელებს არასოდეს განუცდიათ ეროვნული და სარწმუნოებრივი შევიწროება და დევნა. საქართველოსთვის, ქართველი ხალხისათვის უცხო იყო ანტისემიტიზმის რაიმე გა-მოვლინება".

იქვე ისტორიული საბუთების მოშველიებით ავტორი გადმოგვცემს, რომ შუა საუკუნეებში ებრაელი ისეთივე ქმა იყო, როგორც ქართველი. დაბალი ფენების გარდა ებრაელები ხელოსნობასა და მიწათმოქმედებასაც მისდევდნენ, და მაინც ქართველი ებრაელების ძირითადი საქმიანობა აღებ-მიცემობა იყო.

ქართველი ებრაელობა საუკუნეთა განმავლობაში ქართველებთან და საქართველოს სხვა მოსახლეობასთან ერთად ქმნიდა ქართულ კულტურას. ქართველმა ებრაელებმა, დასძენს ავტორი, ბევრი უნიკალური ძეგლი შემოინახეს. უპირველესად იგი ასახელებს ლაილაშურ ბიბლიას. „პერგამენტზე დაწერილი ეს უმნიშვნელოვანესი ძეგლი გამოირჩევა ლამაზი ორნამენტით, მაღალმხატვრულად შესრულებული თავსაოებით და იგი საუკუნეთა მანძილზე ინახებოდა ებრაელთა შორის, შემდეგ კი ლაილაშის სინაგოგაში". მას სვანურ ბიბლიასაც უწოდებენ და არა ერთი ლეგენდით ამკობენ ქრისტიანები თუ იუდაისტები. დასასრულს კიდევ საინტერესო ეპიზოდს და მეტად ნიშანდობლივს ასახელებს. ოურმე ლაილაშის ბიბლია რაჭა-ლეჩხუმის მოსახ-ლეთათვის, განურჩევლად იმისა, ქართველები იყვნენ თუ ებრაელები თაყვანისცემიის საგანი იყო და ხანგრძლივი გვალვების დროს წვიმას შესთხოვდნენ, ავადმყოფობის დროს განკურნებას, ომის დროს მტერზე გამარჯვებას და სხვა.

წიგნიდან ვეცნობით აგრეთვე, რომ ებრაელობა ძველთაგანვე საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში სახლობდნენ: თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, ახალციხეში, გორში, ცხინვალში, თელავში, სიღნაღში, ბირჯომში, ქარელში, სურამში, ბრეთში, თამარაშენში, ონში, ჩხარში, ზუგდიდში, სენაკში, საჩხერეში, კულაშში, ლა-ლაშში... და ბევრ სხვა ქალაქსა თუ დაბა-სოფელში ძველთაგანვე ნახავდით ებრაელთა უბნებს.

აღნიშნული შინაარსიდან გამომდინარე, მე როგორც ამ შემთხვევაში რეცენზენტმა და მკითხველმა ასეთი დასკვნა შემიძლია გავაკეთო. როგორც ჩანს, ქართველ ებრაელთათვის საქართველოს ყოველი კუთხე კუნჭული თავისუფალ არედ და კარმიდამოდ იყო მიჩნეული. თვით საქართველო ხომ მსოფლიო ხალხთა ცნობიერებაში მიჩნეულია ედემის ბაღად და მზიურ ქვეყნად. ზემოჩამოთვლილი ქალაქები თუ რაიონები კი თითქმის კურორტებად იყო და არის წოდებული. გამოდის რომ ფაქტობრივად ქართველი ებრაელობა კომპაქტურად სახლობდნენ საკურორტო ადგილებში, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ არც ერთ ქვეყანაში

ებრაელობას არ ჰქონია წინათ ასე თავისუფლად თავისი ადგილ-სამყოფელის არჩევის და იქ ცხოვრების უფლება, როგორც გააჩნდა საქართველოში.

ხსენებულ წიგნში მოცემულია აგრეთვე ცნობები იმის შესახებ, რომ XIX საუკუნეში საქართველოში სახლდებიან მეფის რუსეთიდან გადმოსახლებული ევროპელ ებრაელთა ჯგუფები. ამასთან ერთად, ნაჩვენებია ისიც, რომ რუსეთის მთავრობა მთელ იმპერიაში აღვივებდა ანტისემიტიზმს და საქართველოშიც ახერხებდა სხვადასხვაგვარი პროვოკაციის მოწყობას. ცნობილი ფაქტია, დასძენს ავტორი, რომ 1853 წელს ამიერ-კავკასიის მაშინდელი ადმინისტრაცის ხელმძღვანელობამ და პირადად მიხეილ ეორონცოვმა სურამელი ებრაელების მიმართ შეთხზეს ბრალდება და პასუხისგებაში მისცეს ისინი. მათ ბრალი დასდეს ქრისტიანი ბავშვის მკვლელობაში, რაც თითქოსდა, რიტუალური მიზნით შეასრულეს. სრულიად უდანაშაულო ღარიბი ებრაელები რუსეთის შორეულ ადგილებში გადაასახლეს, საიდანაც ისინი ვეღარ დაბრუნდნენ. მეორე შემთხვევაა კიდევ აღწერილი წიგნში, რომ 1879 წელს მთავრობამ პასუხისგებაში მისცა საჩხერელი ებრაელები, როლებთაც წაყენებული ჰქონდათ იგივე ბრალდება – ქრისტიანი ბავშვის მკვლელობა. გასამართლების პროცესი ქუთაისში გაიმართა. ამ ამბავს დიდი გამოხმაურება მოჰყვა საზღვარგარეთ. საბოლოოდ მართლმსაჯულება იძულებული შეიქმნა ბრალდებულები გაემართლებინა და გაეთავისუფლებინათ, უთუოდ ბრალდების დაუდასტურებლობის გამო.

ავტორის შეხედულებით, ყოველივე ეს პროვოცირებული იყო და მხოლოდ იმისათვის კეთდებოდა, რომ ქართველები და ებრაელები დაეპირისპირებინათ და მათ შორის შუღლი გაეღვივებიათ, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა, რადგან საღად მოაზროვნე ქართველები ქართველ ებრაელებში თანამოძმეს, ჭირისა და ლხინის გამზიარებელს ხედავდნენ და მათთან მხოლოდ ძმური ცხოვრების გაგრძელების მოსურნენი იყვნენ – და არა მტრობის.

რუსეთის მეფის მთავრობა საქართველოს ანექსიის შემდეგ 1801 წლიდან ახალისებდა საშინაო და საგარეო ვაჭრობას. XIX საუკუნის 20-იანი წლებიდან თავისუფალი იყო სატრანზიტო ვაჭრობა. გადასახადის ტარიფები შეღავათიანი იყო. ამ დროს საქართველოს სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა რუსეთთან, ევროპის ზოგიერთ ქვეყანასთან, ხოლო თურქეთთან განსაკუთრებით ინტენსიური უროიერთ სავაჭრო კავშირი გააჩნდა. ქართველ ებრაელთა მნიშვნელოვანი მასა სახლობდა და მოსაქმეობდა ქ. გორში. გორში ვაჭრობა-ხელოსნობას სომხებიც ეწეოდნენ და გარკვეულ კონკურენციას უწევდნენ ქართველ ებრაელობას. ებრაელთა ტრადიციული დასახლება გამოირჩეოდა ონში, საჩხერეში, კულაშსა და სურამში. ისინი ცხოვრობდნენ და გამოირჩეოდნენ თავიანთი ადათ-

წესებით. მათ შორის გამოირჩეოდნენ მდიდარი ვაჭრების, საშუალო და მეწვრილმანე ვაჭრების ჯგუფები. იყენენ სოფლებში მოსიარულე ვაჭრებიც. მათ საქონელი მიჰქონდათ ნისიად ორი, სამი დღით მდიდარი ვაჭრებიდან და გაჰქონდათ სოფელში გასაყიდად. ქართველი ებრაელები ვაჭრობის პარალელურად ხელოსნობასაც მისდევდნენ, განსაკუთრებით შინამრეწველობას.

წიგნში მოთხრობილია აგრეთვე აკვანშიევე ქალ-ვაჟის დანიშვნის ცერემონიალის შესახებ. ვაჟის მშობლები მომავალი ქალის მშობლებს დასაბეგებლად ფულს ან რაიმე ნივთს აძლევდა, რომ ქალი სხვაზე არ დაენიშნათ. ქალ-ვაჟის ნიშნობამდე სოგჯერ ოჯახებს შორის ადგილი ჰქონდა სიტყვის მიცემისა ან შაქარ-პურის მირთმევის ფაქტს.

ოფიციალური ქორწინების აუცილებელ ელემენტს შეადგენდა „ქეთუბა“ წერილობითი საქორწინო ხელშეკრულება. საჯარო იყო მისი წაკითხვა და საცოლისადმი გადაცემა; „ხუფა“, ნეფე-დედოფლის გვირგვინის კურთხევა ციციტის ქვეშ. ქართველ ებრაელებში გავრცელებული იყო ქორწინების ერთი საინტერესო ადათი - „ენის მოჭრა“ ქორწინების მეშვიდე დღეს, როცა საქორწინო ლხინი პრაქტიკულად დამთავრებული იყო. მამამთილი (შეიძლებოდა ოჯახის მამაკაცი წევრიც) ხმლით და დანით შეიარაღებული, ხელში თუნგით რძალს მიმართავდა: „ხმა მოვიდა, შენ გრძელი ენა გქონია და უნდა მოგაჭრათო“. ქალი დაბოქილი იყო და უახლესი მეგობარი ქალის პირით პასუხობდა: „ოღონდ ენას ნუ მომჭრით და მთელი სიცოცხლის მანძილზე თქვენთან მუნჯი და თქვენი მონა-მორჩილი ვიქნებიო“. ამ პა-სუხის შემდეგ მამამთილი რძალს ენაზე ნაზუქს დაადებდა, ნაზუქს ყუას მოაჭრიდა (ენის ნაცვლად) და მიმართავდა: „ნიშნად შენი ფიცისა, ეს უნდა ატარო შენს წელსაკრავში“. ენამოჭრილი პატარძალი ხანგრძლივი დროის მანძილზე დედამთილ მამამთილთან და ზოგჯერ უფროს მძახლებთან არ ლაპარაკობდა.

ნიშანდობლივია ისიც, დასძენს ავტორი, რომ ებრაული ადათ-წესების მიხედვით ქალს არ ჰქონდა უფლება ქმარს გაჰყროდა. ამგვარი ინიციატივა ქმრის პრეროგატივა იყო. ამასთან, ქართველი ებრაელობა გამოირჩეოდა თავისი ჩაცმულობითაც. მათ შეინარჩუნეს იუდაისტური რელიგია. ებრაელებით დასახლებულ თითქმის ყველა ქალაქსა და დაბაში სინაგოგებია აგებული, სადაც მათ სათანადო რელიგიური რიტუალების შესრულების ყოველგვარი საშუალება ჰქონდათ. XX საუკუნე ახალი ძვრებით შემოვიდა და მრავალი სიახლე შემოიტანა საქართველოში, სამართლიანად დასძენს ავტორი.

ქართველი ებრაელობა საქართველოში ცხოვრობდა და აქტიურად მონაწილეობდა ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნებში. ცნობილი სახელოვანი ქართველი მწერლები: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ

გოგებაშვილი მეტად უდიდესი თანაგრძნობით ეკიდებოდნენ ქართველ ებრაელობას.

1912 წელს აკაკი წერეთელმა იმოგზაურა რაჭა-ლეჩხუმში. მან მგზნებარედ მიმართა ებრაელებს. ისინიც დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ დიდ პოეტს. ეს ნათლად გამოსჭვივის ონელი ებრაელობის მიმართვიდან აკაკი წერეთლისადმი (წერილი დაიბეჭდა სახალხო გაზეთში, 1912 წლის 8 სექტემბერს).

აი ამ წერილის შინაარსი: „დიდებულო მგოსანო, მე ვარ ქართველი ებრაელი, თქვენის ნაწარმოებით აღზრდილი და თქვენი ჩანგის ჟღერით დამტკბარი; ამასთანავე უნდა გაუწყოთ, რომ დღეს ჩვენ, ქართველი ებრაელები დიდის აღტაცებით და გამოუთქმელი სიხარულით მიეგებებით ჩვენს ქართველ ძმებთან ერთად თქვენს ჩვენთან მობრძანებას და ბედნიერ დღეობას. დიდებულო მგოსანო. ჩვენ, ებრაელებს ქართველების ცხოვრებაში ისეთი შეთვისება გვაქვს ერთმანეთის შორის და არ განვიყოფებით ერთმანეთისაგან, როგორც ერთი სისხლი და ხორცი. ამიტომ ჩვენ ყველა მოხარულები ვართ მონაწილეობა მიგვეღო თქვენთან შეხვედრის ამ ხვიმში. მოგახსენებთ, რომ ჩვენ ებრაელებსა და ქართველებს შორის არ ყოფილა განსხვავება და არც იქნება, გარდა სარწმუნოებისა“.

ხსენებულ ფრაზებთან ერთად ავტორს მოჰყავს ილია ჭავჭავაძის სიტყვებიც; „ძვირად სადმე შეეთვისებიან ურიები სხვა ხალხს ისე, როგორც ქართველებს შეეთვისენ... უკანასკნელ დროს და ახლაც არც ერთ უფლებას არ იყენენ მოკლებული, რომლებიც ქრისტიანებს ჰქონდათ მინიჭებული“.

XX საუკუნის დასაწყისშივე დაიწყო დაბალი ფენების მოძრაობა. 1905 წლის რევოლუცია საქართველოსაც მისწვდა. საქართველოს ებრაელთა მდიდარი ნაწილი ქართველ ბურჟუაზიულ ელემენტებთან ერთად წინ აღუდგა რევოლუციას და ფარულად თუ აშკარა ებრძოდა მას. ღარიბი ებრაელობა რევოლუციაში ხსნას ხედავდა და მის მხარდამჭერად გამოდიოდა. ამ მხრივ გამორჩეული იყო აბრამ (იცკა) რიჟინაშვილი, რომელიც რევოლუციურ საქმიანობას ჯერ კიდევ ქუთაისის რეალურ სასწავლებელში სწავლის წლებში ეწეოდა. აყალიბებდა სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფებს, გამოსცემდა არალეგარულ ლიტერატურას. 1904 წელს იცკა რიჟინაშვილის მეთაურობით მოეწყო რეალური სასწავლებლის მოსწავლეთა გამოსვლა, რის გამოც მას დევნა დაუწყეს. იცკა რიჟინაშვილი იძულებული გახდა ლაიფციგში გამგზავრებულიყო, საიდანაც საქართველოში აგზავნიდა არალეგალურ რევოლუციურ ლიტერატურას. 1905 წელს იგი ქუთაისში დაბრუნდა და უფრო აქტიურად ჩაება რევოლუციურ საქმიანობაში, უშუალო მონაწილეობა მიიღო შეიარაღებულ გამოსვლებში. მეფის ხელისუფლებამ შეძლო იცკა

რიუინაშვილის მკვლელობის მოწყობა. 1906 წლის 17 იელისს 20 წლის ჭაბუკი სიცოცხლეს გამოასალმეს. როგორც წიგნშია მოცემული, საბჭოთა ხელისუფლების წლებში ეროგვარი ყურადღება მიექცა ებრაელებს. საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ 1929 წლის 25 მარტს მიიღო დადგენილება „ებრაელთა უღარიბესი ნაწილის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ", რომლის ძალითაც ებრაელებს საშუალება მიეცათ მოეწყოთ სახარაზო, სამკერვალო, საფეიქრო, სადურგლო, საწარმოო-სამშენებლო და სხვა ტიპის არტელები; მრეწველობის სახალხო კომისარიატს დაევალა ახლად ამუშავებულ საწარმოებში ებრაელი მოსახლეობის ჩაბმა. ებრაელ ახალგაზრდებს დაწესდა ჯავშანი და დაიგეგმა ყოველწლიურად პროფსკოლებში არანაკლები 300 ახალგაზრდის მომზადება. დასასრულს ავტორი, ბატონი როინ მეტრეველი, სამართლიანად შენიშნავს, რომ XX საუკუნის მეორე ნახევარი ქართველ ებრაელთა საერთო საქვეყნო რიტმსა და ვითარებაში მათი ჩაბმით მიმდინარეობდა. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში ებრაელობას საშუალება მიეცა მრავალმხრივ გამოეჩინა თავი. დიდი ებრაელი განმანათლებლებისა და მოღვაწეების – გერცელ და დავით ბააზოვების მემკვიდრეები გამოირჩევიან მეცნიერებისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგებში: მათემატიკასა თუ ფიზიკაში, ფილოლოგიასა თუ სოგად არქიტექტურაში, ლიტერატურასა, თეატრსა თუ კინოში.

გასული საუკუნის 60-70 – იანი წლებიდან დაწყებული ბევრი ქართველი ებრაელი ემიგრირებულ იქნენ როგორც ისრაელში, ისე ევროპისა და აზიის ქვეყნებში, მაგრამ მათ საქართველო არ დავიწყებიათ და დღესაც მეორე სამშობლოდ თვლიან. ამ ბოლო ფრაზას სწორედ სამართლიანად დასძენს წიგნის ავტორი. ჩემი აზრით, დავამატებდი იმას, რომ არა თუ მეორე სამშობლოდ თვლიან, არამედ დიდ ნოსტალგიაში იმყოფებიან და დაინტერესებული არიან საქართველოს ამბებით და ისევე განიცდიან მათ წარუმატებლობას, როგორც საკუთარი ქვეყნისას. საქართველო ისევე ახლოს, რომ იყოს ამერიკასთან ტერიტორიულად, როგორც იგი ახლოსაა ისრაელთან, მაშინ ამერიკიდან ყოველ ორ თვეში ერთხელ მაინც იქნებოდნენ საქართველოში, რათა ხშირად მოენახულებინათ მოძმე ქართველები, მეგობრები თუ ახლობლები, თავიანთი წინაპრების თუ ახლობლების საფლავები.

როგორც სარწმუნო წყაროები მოწმობენ, ისრაელში მყოფი ქართველი ებრაელობა ხშირი სტუმრები არიან საქართველოში და მკვიდრი ქართველნიც ისრაელში და ეს მდგომარეობა მათ უადვილებს დაზღვეული იყვნენ ნოსტალგიისაგან და არც თავი იგრძნონ ობლად დარჩენილებად. ასეთი განცდა ბუნებრივია, რადგან საქართველოს და ისრაელის ქვეყნის ტრაგიკული და გმირული ისტორია ტყუპის ცალივით ჰგავს ერთმანეთს. წიგნის დასასრულს, ავტორი, აკადემიკოსი, ბატონი

როინ მეტრეველი ჭეშმარიტად შენიშნავს, რომ ქართველ ებრაელთა მეგობრული ურთიერთობის ჭეშმარიტი ზეიმი იყო ებრაელთა საქართველოში დამკვიდრების 2600 წლოვანი იუბილე, რომლის დროსაც კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ ქართველი და ქართველი ებრაელი ხალხის მეგობრობა მარადიულია და მას ვერაფერი დაარღვევს. წინ ახალი პერსპექტივებია – ახალი ცხოვრებისა, ახალი ურთიერთობებისა.

აქაც დავამატებდი, როგორც თვითმხილველი მოწმე, რომ მსგავსი ზეიმი, ჩემი შეხედულებით, არ ახსოვს მსოფლიოს არცეროი ქვეყნის ხალხებს. საქართველომ, მისმა ხალხმა, უმაღლესმა ხელისუფლებამ, აწ უკვე ყოფილი პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის ხელმძღვანელობით უაღრესად მაღალ დონეზე ჩაატარეს ეს ზეიმი. რაც შეეხება თვით პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის სიტყვას, რომელიც სამ ენაზე იყო წარმოდგენილი (ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე), ისეთი ქება-დიდების შარავანდედით იყო შემკული ებრაელი ერი, რომ ასეთი საქები და სადიდებელი სიტყვა ებრაელი ერის მიმართ კაცობრიობის ისტორიაში არ წარმოუთქვამს არცეროი ქვეყნის პრეზიდენტს.

საქართველომ ხსენებული ზეიმი ჩაატარა 1998 წელს, ხოლო მომდევნო 1999 წელს ისრაელის ქვეყანამ, მისმა ხალხმა, მათმა მთავრობამ ანალოგიურად თავის ქვეყანაში დიდი ზეიმით აღნიშნეს სწორედ იგივე თარიღი – 2600 წლის განმავლობაში ებრაელთა საქართველოში დაფუძნების და ქართველ ერთან ერთად ცხოვრებისა. ორმხრივი ძალე-ბით იმართებოდა დიდი კონცერტები და საბანკეტო სუფრები. ამ ორი ქვეყნის და ხალხის ურთიერთობა, მისაბაძი უნდა იყოს და სამაგალითო მსოფლიოს ყველა ქვეყნის ხალხებისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საბოლოოდ შემიძლია დავასკვნა, რომ ეს წიგნი უდაოდ დიდი შენაძენია ქართველი მკითხველისათვის, როგორც სიღრმისეული, მეტად საინტერესო შინა-არსით, ასევე თავისებური დიზაინით. განსაკუთრებით მასში მოთავსებული ულამაზესი ფოტო-სურათებით შესანიშნავ ფერებშია მოცემული განა-თლების ცენტრების შენობა-ნაგებობები. ნაჩვენებია ცნობი-ლი ქალაქების და რაიონების, ქართველ ებრაელთა სინაგოგები, მათი როგორც შიდა სათაესოების, ასევე გარე ხედების ჩვენებით. აშკარად იგრძნობა აეტორის მხრივ უდიდესი პატივისცემა და სიყვარული საერთოდ ებრაელი ერის მიმართ და განსაკუთრებით ქართველი ებრაელის, რადგან ისეთი რუდუნებით და სათნოებით აქვს წარმოდგენილი მათი სალოცავები, მათი ტრადიციები და სნე-ჩვეულებები, რომ არ შეიძლება უდიდესი მადლი-ერების გრძნობით არ გაიმსჭვალო აეტორის მიმართ ქართველი ებრაელი ხალხის ყოფა-ცხოვრების, მათი ხსენებული ტრადიციებისა თუ სნე-ჩვეულების ესოდენ სრულყოფილად წარმოჩენისათვის.

ნიშანდობლივი და მისასალმებელი კიდევ ის არის, რომ ამ წიგნის ავტორი, ბატონი როინ მეტრეველი საყოველთაოდ ცნობილი უდიდესი მეცნიერი, აკადემიკოსი, საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების პრეზიდენტია. ბუნებით და მოწოდებით უდიდესი ინტერნაციონალისტი, საზოგადო მოღვაწე და მრავალი ახალგაზრდა თაობის აღმზრდელიცაა, რაც მთავარია, ყველგან სიკეთის მთესველი და ყოველგვარი ბოროტების წინააღმდეგ დაუცხრომელი მებრძოლია. წიგნი იკითხება მეტად საინტერესოდ და უაღრესად გასაგებად, მასში იმდენად დეტალურად არის აღწერილი ქალაქად თუ სოფლად მცხოვრებ ქართველ ებრაელთა ყოფიითი საკითხები, მათი ოჯახების ავი თუ კარგი, მათი ბუნება თუ მისწრაფებანი, მდიდარი ქართული ტრადიციისადმი სიყვარული და ლტოლვა, და რაც მთავარია, ურთიერთ თანადგომა, თითქოს ავტორს, ბატონ როინ მეტრეველს აოეული წლების მანძილზე მათ ოჯახებში ეცხოვროს და მათი საპატიო წევრი ყოფილიყოს.

მიხეილ როკეტლიშვილი
იურისტი და ეკონომისტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი,საქართველოს ღირსების ორდენის კავალერი და თბილისის ეროგულების მედალოსანი

გამოძახილი
ნიუ იორკის მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრის ბატონ გურამ პაატაშვილი ბროშურაზე: „ისტორიის ფურცლები“

მსურს რამდენიმე სიტყვით მკითხველს ბატონ გურამ პაატაშვილის პიროვნება გავაცნო.

ბატონი გურამი დაიბადა ქ. თბილისში 1948 წლის 22 ნოემბერს. მან დაამთავრა თბილისის ა. ს. პუშკინის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მუსიკა-ფილოლოგიის ფაკულტეტი, საქართველოს ხმს და ცოდნის ხელოვნებათმცოდნეობის და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტები. ქ. მოსკოვში გაიარა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური აკადემიის სპეციალური პროგრამები.

გურამ პაატაშვილის მუსიკალური ნაწარმოებები შესრულებულია და მისი შექმედებითი მიღწევების და ფონდის უნიკალურობის შესახებ ცნობილია მსოფლიოს ხუთი კონტინენტის 90-ზე მეტ ქვეყანაში. იგი არჩეულია საქართველოს ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრად, აკადემიკოსად, საქართველოს კულტურის, მუსიკალური, საერთაშორისო ურთიერთობათა და ნიუ იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, აკადემი-კოსად. დაჯილდოებულია, როგორც საბჭოთა კავშირის, ასევე მსოფლიოს მრავალი ქვეყნის დიპლომებით, პრემიებითა და სიგელებით. მან მრავალი ცნობილი კომპოზიტორების, მეცნიერების, მსახიობების და მწერლების დიდი სიყვარული და მაღალი შეფასება დაიმსახურა.

მოცემულ ჩემს წიგნში სხვა ავტორების ნაშრომთა რეცენზიებს მათი პიროვნების ბიოგრაფიული მონაცემები შეგნებულად არ დავურთე იმ მოტივით, რომ ჩემს ახალგამოცემულ წიგნში მქონდა მოთხრობილი მათი უმრავლესობის შესახებ. ბატონი გურამ პაატაშვილის მიმართ არ მქონდა და ამიტომ მიზანშეწონილად ჩავთვალე ძალზე მოკლედ გადმომეცა მკითხველისათვის ბიოგრაფიული ცნობებიც ერთ-ერთი მისი ნაშრომის რეცენზიასთან ერთად.

ნაშრომის სათაურია „ისტორიის ფურცლები“, რომელშიც მოცემულია ქართველი და ებრაელი ხალხის თანაცხოვრება საქართველოში, ხოლო ქვესათაური - „მარადისობის განსახიერება“.

ავტორი დასაწყისშივე სწორად აღნიშნავს: „საყოველთაო ანტისემიტურმა მოძრაობამ გამოაღვიძა მთელ სამყაროში გაფანტული ებრაელობა „დედამიწის მარილი“, რომ უწოდა ილია ერენბურგმა. ულმობელმა დევნამ ებრაელებს განუმტკიცა მამა-პაპათა რჯული. მოსეს სმი

განაგრძობს ავტორი – მოუწოდებს, რომ ყოველი ებრაელი ვალდებულია ჰუმანურად მოეპყროს სხვა ერების თავისუფლებას, სინდისს, ადამიანურ ღირსებას, მათ სახლს, ნივთს, პირუტყვს. ებრაელი ერი, ეს არის ცოცხალი სოციალური ორგანიზმი, რომელიც ოთხი ათასი წელია იბრძვის სიცოცხლისა და განვითარებისათვის. იგი არც ერთ დროში არ გაყინულა, არ გაუწყვეტია კავშირი სხვა ერებთან, მათ კულტურასთან, მათ სოციალურ ცხოვრებასთან, არასოდეს ჩაურაზაეს ეროვნული სულის კარი, ისე, რომ კერაში არ შეეღწია სხვა ცივილიზაციათა გავლენას, არ გაეზიარებინა მისი ყოველი კუთხე-კუნჭული. ამასთანავე, იგი ებრძოდა მათ გავლენას, და ამავდროულად, საკუთარ კულტურას ასპარეზებდა სხვათა მნიშვნელოვანი ღირებულებებით. ამ მოსაზრებას ადასტურებს, დასძენს ავტორი, სამართლებრივი და სოციალური ფორმების ანალიზი, რომლების შექმნა ებრაელთა მრავალმა თაობამ.

შემდეგ ასეთი ფრაზებით წარსდგა ავტორი მკითხველის წინაშე: ებრაელი ხალხი არაჩვეულებრივ ისტორიულ მოვლენად იქცა, რომელიც ვერ მოთავსდება ფსევდონაციონალურ, დაშტამპულ კონსტრუქციებში. ამის დასტურად მას მოჰყავს ფ. დოსტოევსკის აზრი ებრაელ ხალხზე: „ებრაელობა სახელმწიფოა სახელმწიფოში“... ფ. დოსტოევსკი ცდილობდა გარკვეულიყო ებრაელი ერის არსებობის საიდუმლოებაში და ამოეცნო მისი მამოძრავებელი ძალა. იგი აღნიშნავდა, დასძენს ავტორი, „ებრაელთა არსებობის მამოძრავებელი ძალა მხოლოდ დევნას, ინსტიქტს, რომ მივაწეროთ – არ კმარა, რადგან ორმოც საუკუნოვან სწრაფვაში თავის გადარჩენისათვის არამც და არამც არ ეყოფოდათ შეუპოვრობა. ისიც უდავოა, რომ მოსწყინდებოდათ კიდევ ამ ხნის მანძილზე თავის შენახვაზე ფიქრი. აქვე მოგვაგონებს საყოველთაოდ ცნობილ ფაქტს, რომ „მსოფლიოს უძველესმა ცივილიზაციებმა ვერ მიაღწიეს ორმოცი საუკუნის ნახევარსაც კი, ისე კარგავდნენ პოლიტიკურ ძალას და ტომებრივ სახეს. ვერც დიდმა წარმართულმა ხალხებმა, რომლებიც ებრაელებთან ერთად, ან უფრო ადრე ცხოვრობდნენ, გაქრნენ ისტორიის სარბიელიდან. ესენი იყვნენ ბაბილონელები, ფინიკიელები, ხეთები, ფილისტიმელები, რომელთაც თავის დროზე მიაღწიეს ძლევამოსილებას და შიშს გვრიდნენ მსოფლიოს ხალხებს, აღიგავენ პირისაგან მიწისა[1]“.

როგორც ჩვენთვის საყოველთაოდ ცნობილია, დიდად ჩაგრულმა ებრაელმა ერმა გაუძლო ყოველგვარ განსაცდელს, მეშვიდე საუკუნიდან მოყოლებული დამპყრობელთა მონობაში იმყოფებოდა. ავტორს ციფრებიც კი დასახელებული აქვს რომელ წლებში და ვის მიერ იყვნენ დაპყრო-

[1] გ. პაატაშვილი. ისტორიის ფურცლები“ გვ. 4

ბილი. ასე მაგ., ქვემოთ მოტანილ ცხრილში ასახულია პერიოდები წლების მიხედვით და ამ პერიოდებში დამპყრობლები[2]:

წლები პერიოდებით	დამპყრობლები
639-1091	არაბები
1091-1099	სელჯუკები
1099-1291	ჯვაროსნები
1291-1517	მამლუქები
1517-1917	თურქები
1917-1948	ინგლისელები

პირდაპირ მადლობა გეეთქმის ავტორის მიმართ, რომ მან შეძლო მოეკვლია ეს შემსარაევი, მაგრამ ცნობისათვის მეტად საინტერესო ინფორმაცია.

დიდი რუსი მწერლის ლევ ტოლსტოის სიტყვებიც არაერთი ავტორის ნაშრომებშიც გვიხილავს, როდესაც ისინი აღწერდნენ ებრაელი ერის ისტორიას. არც ავტორმა, ბატონმა გურამმა აუარა გვერდი და მანაც მოიშველია ლევ ტოლსტოის სიტყვები:"ენახოთ რა განსაკუთრებული არსებაა ებრაელი, რომელსაც ყველა მბრძანებელი და ყველა ერი დევნიდა, ავიწროებდა, წვავდა და ახრჩობდა, მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავად, ჯერ კიდევ ცხოვრობს და ხარობს. რა არის ებრაელი, რომლის გადაბირება ვერაფინ ვერ შეძლო, რომ სთაყვანობდნენ, ოღონდ უარეყო თავისი რელიგია. ებრაელი წმინდა არსებაა, რომელმაც ციდან მუდმივი ცეცხლი მოიპოვა, გაანათა დედამიწა და მასზე მცხოვრებნი. იგი წყაროა, რომლიდანაც დანარჩენმა ხალხებმა რელიგია და რწმენა აიღო. იმ ბნელ ეპოქაში, როცა ადამიანის სიკვდილ-სიცოცხლეს არად აგდებდნენ, რაბინი აკიბა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგი იყო, ახლა კი ასეთი სასჯელი სრულიად შესაძლებელია ყველაზე კულტურულ ქვეყნებში".

ებრაელი მოქალაქეობრივი და რელიგიური შემწყნარებლობის სიმბოლოდ არის აღიარებული. „გიყვარდეს უცხოელი, გემოძღვრავს მოსე, ვინაიდან თავადაც უცხოელი იყავი ეგვიპტის ქვეყანაში". ეს სიტყვები ითქვა იმ შორეულ ბარბაროსულ ხანაში, როცა საყოველთაოდ მიღებული იყო სხვადასხვა ხალხების მიერ ერთმანეთის დაპყრობა.

არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ლევ ტოლსტოის შემდეგი სიტყვები: ებრაული რელიგია რჯულშემწყნარებლობის საკითხში შორს დგას იმ აზრისაგან, რომ მიიმხროს მიმდევრები, პირიქით, თალმუდში წერია, რომ თუ არაებრაელს უნდა ებრაული რჯულის მიღება, მას უნდა აუხსნა, თუ

[2] იქვე

რა ძნელია იყო ებრაელი და ისიც, რომ სასუფეველსა ცათა შინა სხვა რელიგიის ჭეშმარიტი მიმდევრებიც დაიმკვიდრებენ.

ბოლო ფრაზასაც შევთავაზებ მკითხველს ლევ ტოლსტოის სიტყვებიდან და ამით ვასიამოვნებთ ავტორს, ბატონ გურამს, რომ დავუფასეთ შრომა ტიტანი მწერლის გახსენებით, და ამასთან, სიამაყის გრძნობა დაეუფლება მკითხველთა შორის ყველა ებრაელს და სხვებსაც ფიქრი მაინც გაუელვებს და იტყვიან რა უნდოდათ და რას ერწოდნენ ამ კეთილ და ნიჭიერ ხალხს.

აი, ეს ფრაზაც ლევ ტოლსტოის სიტყვებიდან: „შეუძლებელია ისეთი ხალხის მოსპობა, ვინც ვერავითარმა ხოცვა-ულტამ, წამებამ ვერ გაანადგურა, ვერც ცეცხლმა და ინკვიზიციის მახვილმა შეძლო აღეგავა პირისაგან მიწისა, ვინც პირველმა აღიარა ღვთის სიტყვა, ვინც ასე დიდხანს ინახავდა წინასწარმეტყველებას და გადასცა იგი მთელ კაცობრიობას. ებრაელი უკვდავია, იგი მარადისობის განსახიერებაა!“.

ავტორს ბროშურაში უამრავი საინტერესო ისტორიული ფაქტები მოჰყავს, რომელთაგან ერთ-ერთი ასეთი გახლავს და გადავწყვიტე რეცენზით გამეცნო მკითხველისათვის. „ებრაელი ხალხისაგან გამოვიდა იესო ქრისტე, რომელიც ეწამა და ღვთის შვილად ცნო კაცობრიობის დიდმა ნაწილმა. ქრისტიანული რელიგია უდიდესი რელიგიაა მთელ მსოფლიოში. სახარება და მოციქულთა საქმე მოგვითხრობს, თუ როგორ უშიშრად დაიცვა რაბინმა გალილეელი ქრისტიანი რომაელთა დევნისაგან. იოსებ ფლავიუსი იხსენებს, თუ როგორ გამოუცხადეს ებრაელებმა პროტესტი იმის გამო, რომ მათ განიზრახეს იესო ქრისტეს ძმის, შემდეგში წმინდანად შერაცხული იაკობის სიკვდილით დასჯა.. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ ქრისტიანობა ერთ-ერთი სექტა იყო, რომელიც წარმოიშვა იუდეაში ორიოდე საუკუნით ადრე, ვიდრე იესო დაიბადებოდა. ეს იყო ესეელთა სექტა, რაც აღნიშნულია ბიბლიაში, და რაც დამტკიცდა ბედუინის მიერ გამოქვაბულში ნაპოვნი პერგამენტებით, დაქუმარანის გათხრებით. თუ ვინმე მოინდომებდა ქრისტიანად მონათლას, მაშინ მას ჯერ იუდაიზმი უნდა ეღიარებინა, ხოლო მერე, ჩაირიცხებოდა ქრისტიანთა სექტაში. ასეთი იყო კანონი პავლე-საულემდე, რომელმაც შექმნა ქრისტიანული ეკლესია[2].

ავტორს არ გამორჩა ამ ხსენებულ თავის ბროშურაში შეხებოდა ბიბლიურ მეფე დავითს, რომელიც ღვთაების თანაფარდად იყო წოდებული, და აქვე შეგვახსენა, რომ ბაგრატიონი ქართველი მეფეები თავს დავით წინასწარმეტყველის შთამომაელად თელიდნენ. დავითი ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი და ღვაწლმოსილი მეფე, პიროვნება იყო

[1] გ. პაატაშვილი. „ისტორიის ფურცლები“, გვ. 5.
[2] იქვე. გვ. 5.

ისრაელის ისტორიაში. იგი ჭეშმარიტი ებრაელი და იაჰვეს მიმდევარი, დიდი სარდალი, სახელმწიფოს ფუძემდებელი და განმამტკიცებელი, მისი სასღვრების განმრცობი, დიდი პოლიტიკოსი და უბადლო კაცი, თავის ერის საამაყო შვილი იყო.

დავით მეფის შესახებ ავტორი კიდევ მეტად საინტერესო ცნობებს გვაწვდის: მან გააერთიანა იუდეა და ისრაელი, დაიპყრო და დაიმორჩილა ფილისტიმელები, მოაბელები, ედომიელები, არამიელები. იერუსალიმი ქვეყნის დედაქალაქად გამოაცხადა და რელიგიურ ცენტრად აქცია. ააშენებინა სასახლე, ციხე-სიმაგრეები. შექმნა ქურუმთა ინსტიტუტი. აიძულა კერპთაყვანისმცემელთა ქვეყნები ეცნოთ ისრაელის სახელმწიფოს ჰეგემონია, დაადო მათ დიდძალი ხარკი, რომელსაც ისინი უდრტვინველად და სრულად იხდიდნენ. ორმოცწლიანი სისხლისმღვრელი ომების, შიმშილისა და შემმუსვრელი ჭირიანობის მიუხედავად მონარქიის მოქმედ რეგულარულ არმიაში მილიონ სამასი ათასი კაცი იყო. აქედან, ხუთასი ათასი იუდეველი, ხოლო ისრაელიანი – რვაასი ათასი. დიდი ტერიტორიების დაპყრობის წყალობით დავითმა დიდი სახელმწიფო შექმნა. როგორც ავტორი დასძენს, ებრაელთა რწმენით ეს იყო იმპერია, რომლის სასღვრები იწყებოდა ევფრატიდან და ერცელდებოდა აკაბის ყურემდე, ანუ დამასკოდან ეგვიპტემდე. ხმელთაშუა ზღვიდან იორდანიის აღმოსავლეთ მდებარე მიწებამდე. მისი ფართობი ხუთჯერ მეტი იყო ისრაელის (1967 წლამდე) სახელმწიფოსთან შედარებით.

ალბათ მკითხველი შეამჩნევს, რომ ფაქტობრივად ჩემს ამ გამოხმაურებაში გადმოწერილია საკმაოდ ერცელი მასალა ნაშრომიდან, რადგან ყოველი ფრაზა თუ აბზაცი იმდენად მნიშვნელოვანი და საინტერესოა, რომ გამიძნელდა გვერდის აელა და მომიხდა რეცენზიაში ზედმეტის შეტანა. ამან კი გამოიწვია ის, რომ შესაძლოა მთელ რიგ მკითხველს შეიძლება ათქმევინოს, რომ რეცენზია მოცულობით უფრო დიდია, ვიდრე რეცენზირებული ბროშურა.

ამ შემთხვევაში შეიძლება გამოვიყენოთ ქართული ანდაზა „ზოგი ჭირი მარგებელია“, რაც იმაში გამოიხატება, რომ თუ მკითხველმა ავტორის ბროშურა ვერ მოიძია, მაშინ დაკმაყოფილდება ჩემი ერცელი რეცენზიით, რომელიც თითქმის უტოლდება ბროშურას და მასაც ჩაეთვლება, რომ რეცენზიასთან ერთად თითქმის ბროშურასაც გაეცნო.

მეფე დავითის იდეოლოგიურ ნამოღვაწარსაც ასე გვამცნობს: „დავითის კალამს ეკუთვნის 150 ფსალმუნი, რომლებსაც მსოფლიოს ყველა სინაგოგაში დღესაც კითხულობენ. სიკვდილის ჟამს დავითმა ბრძანა: დამიძახეთ ცაკიდ მღვდელს, ნათან წინასწარმეტყველს და ბენია იეჰოი ადაყის ძეს. უთხრა მათ მეფემ რომ თავის სამეფო ტახტს გადასცემს შვილს სოლომონს“ (გადაცემის ცერემონია ძველი ქართულით იყო აღბეჭდილი და იგი მე შევცალე თანამედროვე ქართულით გ. პ.).

სოლომონმა მეფობის მეოთხე წელს გადაწყვიტა, აღესრულებინა მამის უკანასკნელი სურვილი და იერუსალიმში აღმართა დიდებული მონარქის საკადრისი სასახლე და ტაძარი.“

აეტორი ამის შემდეგ გვიხატავს სოლომონის მეფობის სურათს, რომ მისი მეფობის წლები ისრაელის უმაღლესი ეკონომიკური და პოლიტიკური აყვავების ხანა იყო, ერთადერთი პერიოდი ძლიერებისა და აყვავებისა ქვეყნის ისტორიაში, ხოლო მისი სიბრძნე ლეგენდად მოედო მსოფლიოს. სოლომონმა ორმოცი წელიწადი იმეფა. გარდაიცვალა 59 წლის ასაკში და დაკრძალულია „დავითის ქალაქში“, სამეფო აკლდამაში. მან შთამომავლობას დაუტოვა რამდენიმე წიგნი: „სიბრძნე სოლომონისა“, „ეკლესიასტე“, „იგავნი“ და პოეტური ქმნილება „ქებათა ქება“, რომლებიც კაცობრიობის კუთვნილებად იქცა[1].

აეტორის სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ მას არ გამორჩა ყველასათვის საყვარელი ქართველი მწერლის, ილია ჭავჭავაძის სიტყვებიც და მეტად გაგვიმტკიცა რწმენა ზემოთქმულისა ებრაელი ერის ტრაგიკული წარსულის შესახებ. „არც ერთ ერს არ გამოუვლია იმდენი ტანჯვა და წამება, რამდენიც ებრაელთა ერს გადახდენია. ამ ოდესმე დიდებულს და სახელგანთქმულს ერს ბედმა ხელიდან გამოსხლიტა სამშობლო და თვითმყოფელობა და განაბნია იგი მთელს დედამიწის ზურგზე, ჩაათესლა უცხო ქვეყნებში სადაც ებრაელებს მოელოდა ყოველგვარი ტანჯვა და წვალება“. აი რას წერდა ი. ჭავჭავაძე.

აეტორმა, ბატონმა გურამ პაატაშვილმა აქვე სხვათა გამონათქვამებიც მოიშველია. სახელდობრ ნიკალაი ბერდიევი წერდა: „ებრაელი ხალხი უპირატესად ისტორიული ერია, რომელმაც ადამიანის ცნობიერებაში ისტორიულის კატეგორია შემოიტანა, ხოლო თავად ისტორია უმოწყალო აღმოჩნდა ამ ხალხის მიმართ“.

ვიდრე შემდეგ აბზაცს გადავიკითხავდი ფიქრმა გამიელვა: ნეტავი აეტორი ნაპოლეონის სიტყვებსაც თუ გაიხსენებდა და წარმოიდგინე მკითხველო, როგორი სიხარულის გრძნობა დამეუფლა, როდესაც ამავე ბროშურაში ამოვიკითხე ნაპოლეონის გამონათქვამიც: „ყოველი ერის ღირსებას, მისი კულტურისა და ცივილიზაციის დონეს განსაზღვრავს ებრაელობასთან მისი დამოკიდებულება“, უთქვამს ნაპოლეონს. აქ მეც დავამატებდი ასეთ კითხვას. ნეტავი თუ იცოდა ნაპოლეონმა, რომ სწორედ საქართველო იყო ის ერთადერთი ქვეყანა, სადაც ებრაელობა 26 საუკუნეზე მეტს ცხოვრობდა და ქართველ ერთან ერთად იყოფდა ჭირსა და ლხინს. და რომ მას არასოდეს არ ახსოვს დარბევა და გენოციდი, რასაც ადგილი ჰქონდა მისი მიმართებით სხვა მთელ რიგ ქვეყნებში.

[1] იხ. დასახელებული ნაშრომი. გვ. 8.

ამასთან დაკავშირებით, ავტორი ასე აღნიშნავს: „ებრაელების მოსვლა საქართველოში ოცდაექვსი საუკუნის წინ, უპირველეს ყოვლისა, იმის დამამტკიცებელია, რომ საქართველო მაშინ ალბათ ძლიერი, ტოლერანტული სახელმწიფო იყო, ბარბაროსების სახელმწიფოს ანტიპოდი ქვეყანა. სხვანაირად ეს ხალხი აქეთ არ გამოეშურებოდა. მან შეგნებულად აირჩია ეს გზა იმისათვის, რომ მეორე აღთქმულ ქვეყანაში მოსულიყო, მოაღწია კიდეც აქამდე და მონობისაგან კიდევ ერთხელ გათავისუფლდა"[1].

ქართველ მემატიანეთა ცნობით ნაბუქოდონოსორის დროიდან, ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნიდან სახლობდნენ ებრაელები საქართველოში. ისიც ცნობილია, რომ უკვე პირველ საუკუნეებში მცხეთის მახლობლად მათი მთელი უბანი არსებობდა. მკვლევარნი ებრაელთა მოსვლას მცხეთაში ძველი წელთაღრიცხვის 169 წლით ათარიღებენ. მცხეთიდან ებრაელები დროთა განმავლობაში აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონებში დასახლდნენ. მეტად ნიშანდობლივია, რომ ებრაელები საქართველოში, კერძოდ მცხეთაში არა თუ წინააღმდეგობას უწევდნენ ქრისტიანობას, პირიქით, ნიადაგიც კი მოუმზადეს მას; უპირველესი პროზელიტები ქრისტიანობამ მათ წრეში ჰპოვა და ისინი ხელს უწყობდნენ მის გავრცელებას, როგორც მაგალითად, აბიათარი, სიდონია და სხვები.

იუდაიზმის წიაღიდან წარმოიშვა ახალი რელიგია – ქრისტიანობა. იგი ეთნიკურად საყოველთაო აღმოჩნდა. ჰურიები გვეელინებიან ქართლში, მონოთეიზმის იდეის პირველ შემომტანებად. იუდაიზმის იდეები იბერიის მკვიდრ მოსახლეობაშიც განიფინება; ღმერთშემეცნების პროგრესული ფორმა – მონოთეიზმი ქართველთა რელიგიურ ცნობიერებაშიც გარკვეულ ადგილს იჭერს.

ქართლში მეორდება ის ვითარება, რაც ქრისტიანობის გავრცელების გენეზისში არის დადასტურებული. პირველი ქრისტიანები ებრაელობიდან იყვნენ გამოსულნი და ბევრგან ქრისტიანთა პირველი საკრებულოები სინაგოგები იყო, რადგან სწორედ აქ იყო შესაძლებელი ქადაგება იმ რჯულისა, რომლის თესლი ძველი აღქმის რელიგიაში იყო დამარხული. როგორც ავგუსტინე ამბობს: „ახალი აღთქმა ძველშია დამარხული, ძველი კი ახალშია გაცხადებული".

ებრაელთა წიაღში შექმნილი ბიბლია ქართველებისათვისაც უწმინდესია. საქართველოში მას წმინდა წერილი უწოდეს. მასზე დაფუძნებით, ამ წიგნიდან ამოი'სარდა მრავალი ქვეყნის და ხალხის კულტურა.

ბიბლის მნიშვნელობის შესახებ ავტორმა უამრავ მასალას მოუყარა თავი ამ პატარა ბროშურაში, აი კიდევ როგორ ახასიათებს მას: „კაცობრიობის მთელი ისტორიის განმავლობაში ბიბლია იყო ის დიდი

[1] იხ. დასახელებული ნაშრომი. გვ. 8.

სამრეკლო, რომელიც ადამიანებს ამბოხებდა სულიერი და პოლიტიკური ტირანიის წინააღმდეგ." ავტორმა არც იერუსალიმს დააკლო ქება-დიდება და სარწმუნო მასალით დაგვიდასტურა თავისი პატარა ნაშრომის მე-12 გვერდზე, რომ „იერუსალიმისაკენ ილტვოდნენ საქართველოს მეფენი და დიდებულნი, ქართველნი, ცხენებზე ამხედრებულნი, ბაგრატიონთა გაშლილი დროშებით შედიოდნენ იერუსალიმში. აქ აშენებდნენ ეკლესია-მონასტრებს და თუ ლეგენდას ვერწმუნებით, იერუსალიმის ჯვრის მონასტერში სამუდამო სასუფეველი დაუდევს ქართული გენის მშვენებას – დიდ შოთა რუსთაველს. აქვე ჯვრის მონასტერში მაქსიმე და იოანე დამასკოელის ფრესკებთან ახლოს არის დიდი რუსთაველის პორტრეტი.

ავტორი იქვე იხსენებს ფრანგი რაინდის გ. დებუას ცნობას, რომლის მიხედვითაც ლაშა გიორგის გელათიდან იერუსალიმს გადაუსვენებია თამარ დედოფლის ძვლები[1].

წარმოვიდგინე, რომ ავტორს ალბათ შემოაკლდებოდა მასალა ებრაელი ერის ხოტბა-დიდებაზე და გადავიდოდა სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან საკითხებზე, მაგრამ, ნურას უკაცრავად, მან კვლავ გააგრძელა და შეიძლება სრული რწმენით ითქვას, რომ მართლაც მეტად საჭირო და სამაგალითო მასალა მოიყვანა. ასე, მაგალითად, მან აღნიშნა, რომ არც თქმულა და არც გაგონილა, რომ ოდესმე ქართველ ებრაელთ ან საქართველოსათვის ეღალატნათ ან ქართველი მეფეებისათვის, ან რამე ცნობები გადაეცათ სხვა სახელმწიფო მტერთათვის, თუმცა ამის შესაძლებლობა მათ ხშირად მიეცემოდათ რადგან ისინი სავაჭრო მიზნით ხშირად მოგზაურობდნენ უცხო სახელმწიფოებში.

არც ისაა უბრალო საქმე და ისიც აღსანიშნავია, რაზეც ავტორი შემდეგ დასძენს, რომ არც ერთ სხვა ერს ისეთი ძმობა არ გაუწევია საქართველოსათვის, როგორც ებრაელებს. საქართველო ებრაელთა მეორე სამშობლოდ იქცა, მაგრამ მათ არასოდეს არ გაჩენიათ სურვილი ეს მიწა მიეთვისებინათ ან წაერთმიათ.

1918 წლის 26 მაისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის ისტორიულ აქტზე სხვებთან ერთად ხელი აქვს მიწერილი სამ ქართველ ებრაელს: ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოადგილეს იოსებ ელიგულაშვილს, შრომის მინისტრის მოადგილეს ილია გოლდმანს და შემდგომში ცნობილ რაბინს მოშე დავარაშვილს. ებრაელობამ ერთგულებით გადაუხადა მადლობა ქართველ ხალხს. ქართველთა ჯაჭვით, ებრაელი ერი გაკვეთილიცაა და ჯვშმარიტებაც სიკეთის დაფასებისა, ერთგულებისა, ტანჯვაზე ამაღლებისა.

საქართველოსადმი მადლიერება და სიყვარული ქართველმა ებრაელებმა ისრაელის მიწაზეც თვალნათლივ გამოხატეს, დასძენს ავტორი. მე

[1] იხ. დასახელებული ნაშრომი. გვ. 12.

ჩემი მხრივ, დავამატებდი, როგორც რეცენზენტი და, ამასთან, თვალმხილველი მოწმე, რომ არა მარტო ისრაელში, არამედ პლანეტის ყველა კუთხეში, სადაც კი ისინი ბედუკუღმართობამ მიმოფანტა, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ მსოფლიოს დედაქალაქად წოდებულ ნიუ იორკში. ნაშრომში საგრძნობი გვერდები უკავია რომელ წელს და რომელ ქალაქებში დაურბეულათ და უწამებიათ ებრაელობა. უოუოდ დიდი ენერგიის დახარჯვა და დროის დაკარგვა მოუხდა ავტორს, რომ შეეკრიბა ყველა ეს ეპი'სოდები და მკითხველისათვის გასაცნობად მიეწოდებინა. დაახლოებით ეს მოთავსებულია ნაშრომის მე-13 დან მე-16 გვერდამდე.

ნაშრომის მორიგ პარაგრაფში, რომლის სათაურია „აღმაფრენის ახალი ძალა" ავტორი მოგვითხრობს ებრაელთა წვლილის შესახებ, რომელიც მას შეჰქონდა მსოფლიო ცივილიზაციაში და კაცობრიობის უდიდეს წარმატებებში. სახელდობრ, რელიგიის, მეცნიერების, ხელოვნების, კულტურის, ეკონომიკისა და ფილოსოფიის დარგებში, რაც განცვიფრებას იწვევეს თავისი მასშტაბებით.

ძველი და ახალი აღთქმის ავტორებს, მოციქულებს, ქრისტეს მოწაფეებს, ებრაული წარმომაელობა ჰქონდათ, როგორც იესო ქრისტეს, დასძენს სწორად ავტორი.

იქვე ავტორი ნაშრომში იწყებს ებრაელთა წრიდან გამოსულ მსოფლიოში ცნობილი დიდი ადამიანების ჩამოთვლას, რომლებმაც უნიკალური წვლილი შეიტანეს კაცობრიობის განვითარებაში. ესენი გახლავთ: **ბარუხ სპინოზა, იოსებ ფლავიუსი, მაიმონედი, ისააკ ნიუტონი, ემანუელ კანტი, ქრისტეფორე კოლუმბი, ზიგმუნდ ფროიდი, მიშელ-ნოსტრადამუსი, ალბერტ აინშტაინი, ჰაინრიხ ჰაინე, კარლ მარქსი, თოიმას მანი, ლიონ ფოიხტვანგერი, სტეფან ცვაიგი, მარსელ პრუსტი, ფრანც კაფკა, დიმიტრი მენდელეევი, აბრაამ ლინკოლნი, ლუი პასტერი, მაქს პლანკი, მენდელსონი, ბიზე, ჩარლი ჩაპლინი,** და მრავალი სხვა გამოჩენილი ადამიანები.

არც ამით კმაყოფილდება ავტორი და ნაშრომში აგრძელებს მეტად საინტერესო და უმრავლესობა ქართველი მკითხველისათვის სენსაციურ და ნაკლებად ცნობილ მასალას. ასე მაგ., ბევრმა არ იცის ცნობილი გენიალური რუსი პოეტის ალექსანდრე პუშკინის ძარღვებში, რომ ეთიოპიელი ებრაელების სისხლი ჩქეფდა, რომ ფიზიკოსმა აინშტაინმა თეორიულ ფიზიკაში გამოკვლევის შედეგად კაცობრიობას აუწყა ატომური ეპოქის დადგომის ხანა და გზა გაუხსნა კაცობრიობას მთვარისაკენ. ებრაელმა ფსიქიატრმა ზიგმუნდ ფროიდმა ფარდა ახადა ადამიანის გონების საიდუმლოებებს. ასევე დასახელებული აქვს რამდენიმეს გვარები სხვადასხვა დარგებში, როგორც პირველნი აღმოჩენების და გზის გამკვალავნი.

ავტორს ამ ნაშრომში არ გამორჩენია მსოფლიოს არცერთი ცნობილი სპორტსმენი, მოჭადრაკე თუ ხელოვანი პიროვნება, რომელთა გვარი არ ეხსენებინოს და მათი მიღწევების შეასახებ არ მოეთხროს. ყველაფერი ეს მოწმობს მის ტალანტსა და დიდ დიაპაზონზე, რომლის წყალობითაც მან შეძლო თავი მოეყარა ყოველივე ზემოხსენებულისათვის და ფართო საზოგადოებისათვის და განსაკუთრებით ებრაელი ერისათვის გაეცნო და შეეხსენებინა მათი შვილების ესოდენ დიდი წარმატებები პოლიტიკის, ეკონომიკის, კულტურის თუ სახალხო მეურნეობის რიგ დარგებში. ხაზგასასმელი და მეტად გასაოცარი კიდევ ის არის, რომ იგი ხომ სპეციალობით და მოწოდებით ისტორიკოსი არ არის, არამედ, როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ დაამთავრა ხელოვნებათმცოდნეობის საეროშორისო ურთიერთობების ფაკულტეტები.

რაც შეეხება მის სპეციალობის სფეროში მიღწევებზე, რომ ვისაუბროთ არ იკმარებს რეცენზიის დასაწერად გათვალისწინებული მოცულობა, მან იმდენ წარმატებებს მიაღწია, რომ უპრიანია შევეხებო ძალზე მოკლედ მთავართა შორის უმთავრესს და ამით დავამთავრებ რეცენზიას.

აი რას წერს ალექსი მაჭავარიანი: „მუსიკის მოყვარულნი ამ ბოლო დროს გაეცნენ გურამ პაატაშვილის ზოგიერთ ახალ ნაწარმოებებს, მათ შორის, მონო ოპერას „სიზმარი ტყეში“ და ერთმოქმედებიან ბალეტს „გულთა ტრაგედია“. ამ და სხვა ნაწარმოებების გაცნობა, აცხადებს სტატიის ავტორი, საშუალებას მაძლევს რამდენიმე სიტყვა ვთქვა ამ ნიჭიერ მუსიკოსზე. მან კომპოზიციაში მეცადინეობა დაიწყო ჩემთან და ხუთ წელიწადში დიდ წარმატებებს მიაღწია. მაოცებდა იგი თავისი შეუვალობით შემოქმედებითი მიზნის მიღწევაში და შრომისმოყვარეობით. შედარებით მოკლე პერიოდში დაწერა მრავალი საინტერესო თხზულება: ხუთი სიმფონია, შვიდი სიმებიანი კვარტეტი, ათი სონატა ფორტეპიანოსათვის, ორი ვოკალური და საგუნდო ციკლი, პიესები ვიოლინოსათვის, რამდენიმე რომანსი, აგრეთვე საოპერო და საბალეტო ნაწარმოებები.

გ. პაატაშვილის ნაწარმოებებმა, თავის დროზე, გამოჩენილი კომპოზიტორების: დიმიტრი შოსტაკოვიჩის, არამ ხაჩატურიანისა და დიმიტრი კაბალევსკის მაღალი შეფასება დაიმსახურა.

გ. პაატაშვილის თხზულებანი სრულდებოდა და სრულდება თბილისში, მოსკოვში, ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებში. გადაიცემა რადიოთი საზღვარგარეთის ქვეყნებისათვის.

დასასრულს, სტატიის ავტორი ასეთი სიტყვებით ამთავრებს სტატიას: მე როგორც მისი პედაგოგი და დამრიგებელი, სულითა და გულით ვუსურვებ გურამ პაატაშვილს ახალ შემოქმედებით წარმატებებს[1].

ბროშურაში კიდევ მრავალი საინტერესო ეპიზოდებია მოტანილი,მაგრამ გადავწყვიტე ზემოაღნიშნულით შემოვიფარგლო და ამით დავამთავრიო ჩემი რეცენზია. სამაგიეროდ მკითხველს ვუსურვებ მოიძიოს მისი ეს ბროშურა, რომლის სათაურია „ისტორიის ფურცლები“ და დედანში გაეცნოს მის მეტად საინტერესო და შესანიშნავ შინაარსს, რომელიც ეხება ძირითადად ებრაელი ერის და თვით ავტორის გურამ პაატაშვილის ისტორიას.

მიხეილ როკეტლიშვილი
იურისტი და ეკონომისტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი,საქართველოს ღირსების ორდენის კავალერი და თბილისის ერთგულების მედალოსანი

[1] ალექსი მაჭავარიანი. საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი. სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის და რუსთაველის პრემიის ლაურეატი, პროფესორი. გაზეთი კომუნისტი. № 209. 09.09. 1988 წ.

რეცენზია
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტ, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორ, პროფესორ ვლადიმერ პაპავას წიგნზე: „პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა“

მეტად იშვიათია, როცა საკმაოდ დიდი მოცულობის წიგნი, რომელიც მშობლიური ქვეყნის და ერის მრავალ პრობლემას, ამასთან ცხოვრებისეულ საჭირბორიტო საკითხებს შეიცავს, დიდი ინტერესით და ერთი ამოსუნთქვით იკითხებოდეს. ეს გახლავთ ბატონი ვლადიმერ პაპავას ზემოხსენებული მონოგრაფია.

მკითხველის ინტერესს წიგნისადმი კიდევ ის გარემოება იწვევს, რომ ავტორი არა მარტო ცნობილი მეცნიერია, არამედ სახელმწიფო მოღვაწეცაა. ავტორი ერთ პერიოდში იყო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი და საქართველოს ეკონომიკის მინისტრი. რამდენიმე წლის შემდეგ მხოლოდ სამინისტროს ხელმძღვანელობდა და პარალელურად სამეცნიერო საქმიანობას ეწეოდა.

იგი დაიბადა და აღიზარდა ცნობილი მეცნიერის ოჯახში. მამამისი გახლავს ეკონომიკურ მეცნიერების დოქტორი, პროფესორი გიორგი პაპავა, რომელიც ამავე დროს არის რამდენიმე დარგობრივი მეცნიერებათა აკადემიების წევრი, მრავალი სამეცნიერო წიგნების ავტორი და საზოგადო მოღვაწე.

სამართლიანად შენიშნავს მისი წიგნის სამეცნიერო რედაქტორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი, რომ პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია ავტორის მიერ განხილულია: ეკონომიკური, პოლიტიკური, იდეოლოგიური, ზნეობრივი, ფსიქოლოგიური, ეთნიკური და რელიგიური ასპექტების ორგანული ერთიანობის სახით და დახასიათებულია მათი წინააღმდეგობრივი ურთიერთ ზემოქმედება. პროფესორ ვლადიმერ პაპავას მიერ წარმოდგენილი წიგნი უდაოდ მისი ხანგრძლივი და ნაყოფიერი შრომის შედეგია, რითაც მან გამოიწვია სადისკუსიოდ მთელი პლეადა კოლეგა მეცნიერების, პოლიტიკოსების და ყველა იმ მოაზროვნე მოქალაქეთა სახით, ვისაც გულწრფელად აინტერესებს ჩვენი ქვეყნის ბედიღბალი, მისი ხვალინდელი დღე.

წიგნი შედგება 21 თავისაგან. ოითოეულ თავში მოთავსებული ქვესაკითხები საშუალოდ, რომ ავიღოთ ოთხზე ნაკლები არ არის, ხოლო უმეტეს თავებში ხუთზეც მეტია. რაც შეეხება მე-18 თავს, ავტორს განხი-

ლული აქვს 14 ქვესაკითხი. თვით ამ თავის სათაურია „საერთაშორისო საეალუტო ფონდის როლი საქართველოს ეკონომიკის რეფორმირებაში".

სარეცენზიო წიგნს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ისიც, რომ სარჩევი ინგლისურ ენაზეცაა და ამდენად, ალბათ დადგება დრო რომ მთლიანად წიგნი რუსულ და ინგლისურ ენებზეც მიეწოდება ფართო საზოგადოებას, რადგან ინგლისურ ენაზე სარჩევის გაცნობისას მათ უთუოდ აღეძღვრებათ ასეთი სურვილი. რაც შეეხება წინასიტყვაობას, ისეთი ფრაზებით იწყება და იმდენად მნიშვნელოვანია, რომ აღფრთოვანებით კითხულობ და ცდილობ ყოველი სიტყვა დაიმახსოვრო.

მაგ. ასეთი ფრაზა „უინსტონ ჩერჩილის სიტყვების თანახმად, დემოკრატია მართვის ყველაზე ცუდი სისტემაა, მაგრამ სხვა დანარჩენი კიდევ უფრო უარესია". იქვე მოტანილია შედარება, რომ პრაქტიკულად იგივე შეიძლება ითქვას ბაზარზეც: „ბაზარი რაიმე მომგებიანის რეალიზაციის ყველაზე ცუდი საშუალებაა, მაგრამ ყველა სხვა საშუალება კიდევ უფრო უარესია". იქვე იშველიებს წყაროს და უთითებს იმ ავტორებს, ვინც აღიარა და გაიზიარა აღნიშნული შეხედულება. თავის წინასიტყვაობაში ავტორი სწორად შენიშნავს, რომ „სულ ცოტა ბოლო ათი წლის განმავლობაში მსოფლიოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ პროცესთა შორის ერთ-ერთი წამყვანი საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლაა. ამასთან ერთად, ავტორი იმასაც სწორად დასძენს, რომ მისი კანონიერების შესწავლას არაერთი განმასხვავებელი გამოკვლევა მიეძღვნა, მაგრამ ამ პრობლემების გარეშე არსებული მეცნიერული პუბლიკაციების სიუხვის მიუხედავად, საკითხთა დიდი ნაწილი ჯერ კიდევ სადისკუსიო და გადაუწყვეტელია.

ავტორის აზრით, უდაოდ გასათვალისწინებელია ცალკეული ქვეყნებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკა, როდესაც დღის წესრიგში დგება თეორიულად გამართული სქემებით შედგენილი რეფორმატორული პროგრამებით წარმატების მიღწევა. საიდუმლოებას არ წარმოადგენას, რომ დღეისათვის ეს საკითხი არ არის სათანადო დონეზე პრაქტიკაში დანერგილი და მოგვარებული.

ავტორი იმასაც აღნიშნავს, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პრობლემატიკას ქართველმა მეცნიერებმაც არა ერთი ნაშრომი მიუძღვნეს, რომლის დასადასტურებლად დასახელებული აქვს ამ მეცნიერთა გვარები, მათ მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომთა თარიღების ჩვენებით. ყოველივე ეს მისი კოლეგებისადმი სათანადო სითბოსა და პატივისცემის გამოხატვაზე მეტყველებს.

ნაშრომის მეორე თავის პირველ პარაგრაფში „ეკონომიკური თეორიის მისადგომი" ავტორი სწორად შენიშნავს, რომ ეკონომიკურ მეცნიერებას მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება აქვს, თუმცა ის როდი იყო მხად დროული და თანაც სწორი პასუხი გაეცა იმ საჭირბოროტო

საკითხებზე, რომელთაც დღის წესრიგში პრაქტიკა აყენებდა. მიუხედავად ამისა, ეს „ჩამორჩენა“, როგორც წესი, რამოდენიმე წელიწადში არ აღმოიფხერებოდა, რაც შემდგომში ეკონომიკური განვითარების პრაქტიკულ ამოცანათა გადასაწყვეტად ახალ იმპულს იძლეოდა“.[18]

კომუნისტური რეჟიმის კრახმა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებსა და საბჭოთა კავშირში, ამ უკანასკნელის თითქმის იმავედროულმა დაშლამ და თხუთმეტი დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღმოცენებამ, დასძენს ავტორი, დღის წესრიგში თვისებრივად ახალი პრობლემები დააყენას, რომელთა გადაწყვეტაც იმ კლასიკური სქემის ფარგლებს სცილდება, რომლებიც ეკონომიკური მეცნიერების მიერ მთელი წინა ისტორიის განმავლობაში იქნა გამომუშავებული“.[2] მკითხველი დამეთანხმება, რომ ავტორის ეს ანალიზიც არ არის მოკლებული ჭეშმარიტებას.

ავტორი იმაშიც სწორია როცა აღნიშნავს: თანამედროვე ეკონომიკურ მეცნიერებას ჯერჯერობით არ ძალუძს თეორიულად დასაბუთებული და ამასთანავე ამომწურავი პასუხი გასცეს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ბევრ საჭირბოროტო საკითხს. ეს აღიარებულია ჩვენი დროის ცნობილი ეკონომისტების მიერ და, შეიძლება ითქვას, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ეკონომიკური თეორია ჯერჯერობით არ არსებობს. აქვე ავტორი იშველიებს ცნობილი უცხოელი მეცნიერების გამონათქვამებს.

მსურს ერთხელ კიდევ მკითხველის საყურადღებოდ აღვნიშნო: მოცემული წიგნის თითოეული თავი და მასში შემავალი პარაგრაფები იმდენად მნიშვნელოვანია და საინტერესო, რომ უდავოდ დადებით შეფასებას იმსახურებენ.

დასასრულს, მაინც არ შემეძლო გვერდი ამეცლო და არ შევხებოდი საკითხებს, რომლებიც მოცემულია წიგნის მე-20 თავის §2 და §3-ში, რომელთა სათაურებია შესაბამისად „გლობალური ეკონომიკური კრიზისის შესაძლებლობა საერთაშორისო ანტიტერორისტული ომის პირობებში“ და „მოსალოდნელი გლობალური ეკონომიკური კრიზისი და საქართველოს ეკონომიკური სტრატეგია“. ავტორი იხილავს დღეს მსოფლიოში დაწყებულ თვისებრივად ახალი საეროაშორისო ანტიტერორისტული ომის პირობებში გლობალური ეკონომიკური კრიზისის შესაძლებლობისა და აშშ-ის მიერ მსოფლიოში ეკონომიკური ჰეგემონიის შენარჩუნების შესაძლებლობის საკითხებს, რაც უდავოდ საინტერესოა და უნდა გახდეს რიგი ქვეყნებისათვის ფართო მსჯელობის საგანი.

ავტორი სწორად შენიშნავს, რომ აღნიშნულ კითხვებზე გასაცემი პასუხი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რა მასშტაბებს მიიღებს ანტიტერორისტული კამპანია და ტერიტორიულად რამდენად იქნება განფენილი.

---

[18] ვ. პაპავა. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა. თბ., გვ. 32.

[2] იქვე.

ამ შემთხვევაში ავტორი ორი სცენარის გათამაშებას იხილავს: პირველში, „რომელიც ავღანეთით შემოიფარგლება და ტერორისტების მხრიდან საპასუხო დარტყმები აშშ-სა და მის მოკავშირეებზე ვერ განხორციელდება. ამ შემთხვევაში ანტიტერორისტული ომი აშშ-ის მიერ ვიეტნამსა თუ ერაყში, ნატოსი კი იუგოსლავიაში წარმოებული ომების ხასიათს მიიღებს“.[1] მოვლენების ასეთი განვითარება აშშ-ის ეკონომიკისათვის, ავტორის აზრით, უკეთესიცაა, რადგანაც მასში, როგორც აღინიშნა, სულ უფრო მეტად იკვეთება ჭარბწარმოების არასასურველი სიმპტომები, ხოლო ჭარბი საფინანსო და მატერიალური რესურსები ომის პირობებში სამხედრო საჭიროებისათვის „გაიშიფრება“. ეს კი აშშ-ის ეკონომიკური აღმავლობის სტადიას უფრო გაახანგრძლივებს“.[2]

აქვე ავტორი იმ გარემოებასაც სწორად უსვამს ხაზს, რომ აშშ – საერთაშორისო ანტიტერორისტული ომის წარმოებისას მხოლოდ ერთი რომელიმე ქვეყნით იფარგლება და სხვა ქვეყანაში მსგავსი ოპერაციის დაწყება მხოლოდ მაშინ განახლდება, როცა ის წინა ქვეყანაში დასრულებულია. კერძოდ, ერაყში ანტიტერორისტული საბრძოლო კამპანიის საკითხი მხოლოდ ავღანეთში მსგავსი აქციის დასრულების შემდეგ დადგა. როგორც აღვნიშნე, სრულიად ჭეშმარიტად მსგავსი სცენარით წარიმართა, როგორც ავტორმა თავის წიგნში აგვისახა.

მეორე სცენარს, როგორც ავტორი აგვიწერს, იმ შემთხვევაში ექნება ადგილი, როდესაც საერთაშორისო ტერორიზმის გამოვლინების მორიგი ფაქტების წინააღმდეგ ბრძოლა ერთი კონკრეტული ქვეყნის მასშტაბს გაცდება. ამასთან, ავტორის შეხედულებით, მათთან ბრძოლა ისე გართულდება, რომ მათი დამარცხება პრობლემატური გახდება. ამ ბრძოლის პროცესშიც აშშ-ის და მისი ვალუტის ყოვლისშემძლეობის შესახებ წარმოდგენები ნგრევის წინაშე აღმოჩნდება. ყოველივე ამის შედეგად აშს დოლარის, როგორც საერთაშორისო ანგარიშსწორების საშუალების გამოყენების არეალი მნიშვნელოვანწილად შემცირდება. ავტორი თავის ამ შეხედულებას ადასტურებს უტყუარი ციფრობრივი მაჩვენებლების მოტანით. ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ ავტორს მორიგი, უაღრესად სწორი ანალიზი აქვს გაკეთებული და მეტად მნიშვნელოვანი დასკვნები აქვს მოცემული წიგნის ბოლო თავის პარაგრაფებში. მათი გაცნობის შედეგად ისეთი წარმოდგენა შემექმნა, რომ წიგნის ავტორი, პროფე-სორი, ბატონი ვლადიმერ პაპავა, რომელიც ოკეანეს გაღმა მრავალი ათასი კილომეტრითაა დაცილებული ამერიკას, მ'სიურ საქართველოში ცხოვრობს და მოღვაწეობს, გაცილებით უკეთ გრძნობს ამერიკის მაჯისცემას და უკეთაა გარკვეული მის ეკონომიკასა და პოლიტიკაში, ვიდრე ზოგიერთი, ამერიკის თუნდაც ცნობილი მეცნიერები. ამდენად, ამით

[1] იხ. აღნიშნული ნაშრომი. გვ. 439.
[2] იქვე.

შემოვიფარგლები და მეტად აღარ შევაწუხებ მკითხველს წიგნის შემდგომი განხილვით. მხოლოდ დასასრულს ასეთი დასკვნით დავამთავრებ: მოცემული წიგნი უდავოდ მაღალ დონეზეა წარმოდგენილი, იგი ღრმად მეცნიერულია, თითოეულ თავსა და პარაგრაფზე ავტორს გაკეთებული აქვს ამომწურავი შესაბამისი დასკვნები, რაც სათანადო ინსტიტუტებმა უნდა გაითვალისწინონ და პრაქტიკულ ცხოვრებაში გამოიყენონ.

რაც მთავარია, მკითხველი და ყველა დაინტერესებული პირი, განსაკუთრებით კი ეკონომისტი მეცნიერები უთუოდ შემოქმედებითად მიუდგებიან წიგნში მოცემულ დებულებებს და გამოიყენებენ საბაზრო ეკონომიკისა და საერთოდ ამ ეკონომიკური გარდაქმნის პერიოდში წიგნში მოცემულ წინადადებებს და დასკვნებს და, თავის მხრივ, გამოიჩენენ ინიციატივას, როგორ უკეთ მოაწყონ ქვეყნისა და ერის სასარგებლოდ ეკონომიკა, რომ ყოველი ოჯახი უზრუნველყოფილი იყოს საყოფაცხოვრებო მინიმუმით და ამასთან, მის ქვეყანას აღარ ჭირდებოდეს სხვათა ქვეყნის ქველმოქმედება თუ დახმარება.

მე, ჩემი მხრივ, ერთ ასეთ წინადადებას დავამატებდი და მოვუწოდებდი ყველა მეცნიერს რომის პაპის მსგავსი სიტყვებით, რომელმაც თავისი სიცოცხლის პერიოდში დაადანაშაულა მისი წინამორბედი სულიერი ხელმძღვანელები, რომ ყველა ღონე არ იხმარეს, რათა ფაშიზმი არ მიეშვათ იმ ზომამდე, რომ ესოდენ დიდი ზარალი მიეყენებინა მას მსოფლიო ცივილიზაციისადმი, მატერიალური და მილიონობით ადამიანთა მსხვერპლის სახით და ჩანასახშივე რატომ არ ალაგმეს იგი. იგივე გამეორდება ბევრად გაათკეცებული სახით, თუ მსოფლიოს ძლიერი ქვეყნები არ გაეროიანდებიან საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ და ასევე ჩანასახშივე არ მოსპობენ ტერორისტულ დაჯგუფებებს და იმ თეითმკვლელ ტერორისტთა მშობლებს, რომლებიც დაბადებიდან საკუთარ შვილებს ტერორისტებად ზრდიან, შთააგონებენ თავისი თავის აფეთქებით და მშვიდობიანი მოსახლეობის მოსპობით პირდაპირ სამოთხეში მოხვედრას.

ამრიგად, დღეისათვის პირადი საქმეების კეთების პარალელურად, ვინც არ უნდა ვიყოთ, დიდი თუ პატარა, მუშა თუ გლეხი, მეცნიერი თუ სახელმწიფო მოღვაწე, ყველას ვალია დავირაზმოთ საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ.

მიხეილ როკეტლიშვილი
იურისტი და ეკონომისტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი,საქართველოს ღირსების ორდენის კავალერი და თბილისის ეროგულების მედალოსანი

გამოძახილი საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, ცნობილი ჟურნალისტის, ბატონ რევაზ ფაჩულია ინტერვიუზე: „დედა ადამიანებმა გაწირეს, მგლებმა კი გადაარჩინეს“

ბოლო რამდენიმე წელია, რაც თითქმის ყველა ქვეყანაში და, მათ შორის, თვით ამერიკაში, ისრაელსა და საქართველოშიც იწერება იმ აებედით წლებზე (1930-იანი და 1937 წლების პერიოდზე), როდესაც დიდი განუკითხაობა სუფევდა ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკებში; არც საქართველო იყო გამონაკლისი, რადგან მისი ელიტის დიდი ნაწილიც იმ დროინდელი მასობრივი უკანონობისა და რეპრესიების მსხვერპლი შეიქმნა.

აღნიშნული წერილების ავტორებია დაღუპულთა ოჯახის წევრები, ისტორიკოსები, მეცნიერები, აგრეთვე თვალთამხილველი მოწმეები. მე პირადად ასეთი მამხილებელ წერილების ერთ-ერთი მკითხველი, მილიონობით უამრავ მკითხველებთან ერთად, ყოველთვის განვიცდიდი ჩვენი ხალხის ამ პერიოდის ტრაგიკულ ისტორიას. წერილების თუ წიგნების საფუძველზე ბევრმა რეჟისორმა კინოფილმებიც შექმნეს, უფრო ცხადი და მკაფიო გახადეს ეს ენით უთქმელი განელილი პერიოდი. ჩემი ამ სარეცენზიო გამოძახილის საფუძველი გახდა აკადემიკოს რევაზ ფაჩულიას ინტერვიუ, რომელიც გამოქვეყნებულ იქნა ქ. თბილისში გაზეთ „ფენომენში“ 2002 წლის 1-10 თებერვალს. ამ წერილს მე გავეცანი მიმდინარე 2006 წლის აპრილის თვეში – ამერიკაში. იგი თბილისიდან ჩამოიტანა ჩვენმა საერთო კოლეგამ და მეგობარმა, ცნობილმა მეცნიერ-ეკონომისტმა, ბატონმა დავით კურტანიძემ. იგი ნიუ იორკში ჩამოდის ხოლმე სტუმრად თავისი ორი ვაჟიშვილის სანახავად, რომლებიც აქ სწავლობენ და მსახურობენ კიდეც. ამჯერად კი მიზანშეწონილად ვთვლი ჩემი შეხედულება და გამოძახილი ბატონ რევაზ ფაჩულიას ზემოხსენებულ სტატიაზე, მისი მშობლების ტრაგიკულ თავგადასავალსა და ისტორიაზე, გავაცნო ფართო საზოგადოებას.

წერილის შინაარსიდან რამდენიმე ფრაზას მოვიყვან, რათა უფრო ნათელი გახდეს იმ პერიოდის ზოგიერთ პიროვნებათა არა ადამიანურობა, რაც გამოიხატება მათ მიერ ჩადენილ საშინელ ბოროტებაში. როგორც აღნიშნულ ინტერვიუშია ნათქვამი, 1937 წლის დეკემბერში, ერთ სუსხიან დილას ბატონ რევაზ ფაჩულიას სახლში მოსულმა ჩეკისტებმა, ხალხის მტრის ბრალდებით მამამისი დააპატიმრეს. ცხადია, არავითარი ხალხის მტერი ის არ ყოფილა, უბრალოდ ერთ-ერთმა თანასოფლელმა, ინტრიგანმა კაცმა საჩივარი შეიტანა ჩეკაში და ბატონი რევაზის მამა პირადი

შურისა და ღვარძლის გამო დააჭერინა. მისი მამა ამ დროს 36 წლის იყო. დედა კი – მანანა ხაბურსანია 23 წლისა. დედას ორი პატარა ჩვილი ბაღშვი, თეით რევაზი და მისი დაიკო, ორიეე ორ წლამდე ასაკის ხელში შერჩა უკაცოდ დარჩენილ ოჯახს. მოხუცმა ბაბუამ, რომანოზ ფაჩულიამ მოხვია ხელი და თავისთან გადაიყვანა. 29 დეკემბერს, როგორც ბატონი რევაზი დასძენს – დედა სატუსაღოში, ანუ ციხეში დაიბარეს, რათა რევაზის მამისათვის ქვეშაგები და სანოვაგე მიეტანა. სენაკში დილიდან ჩასულ დედას, მხოლოდ საღამოს ჩამოართვეს სურსათი. ქვეშაგები კი აღარ მიიღეს – შენი ქმარი ისედაც თბილად გვყავსო. სინამდვილეში მამა ცოცხალი აღარ იყო (ალბათ ჩვენების გამოძალვის, ან წამების მეთოდებით დაკითხვის დროს თუ შემაკედათ იგი, რაც ხშირი იყო, ამას ვგულისხმობ, როგორც იურისტი და ამჯერად რეცენზენტი. მ.რ.). საღამოს 8-9 საათი იქნებოდა, ზამთარში, სოფელში არავითარი შანსი არ იყო დაბრუნების, რადგან სატრანსპორტო საშუალება არ დადიოდა და რევაზის დედამ ნათესავს მიაკითხა ღამის გასათევად. მათ თავაზიანი უარით გამოისტუმრეს: „ხალხის მტრად გამოცხადებული კაცის ცოლს ღამეს ვერ გაეათევინებთ, ვინ იცის, ეს ამბავი ჩვენც ძვირი დაგვიჯდესო“. შემდეგ სხვა ნათესავებს მიაკითხა დედამ, მაგრამ ამაოდ. ყველას ეშინოდა მისი თავისთან შეფარება. არადა გარეთ, თოვდა, თოელი თითქმის მუხლებამდე იყო. გარეთ რომ დარჩენილიყო, სულერთია, მაინც გაიყინებოდა, ამიტომ რადგან სხვა გამოსავალი არ იყო, გადაწყვიტა სოფელში ფეხით წამოსულიყო. ეს სოფელი კი სენაკიდან 20 კილომეტრით იყო დაცილებული და ამასთან ხუთ კილომეტრსე მეტი მანძილი ტყე იყო გასასელელი. ამ მონაკვეთსე დღესაც არავინ არ ცხოერობს.

ამდენად დედამისი დაადგა სოფლისაკენ მიმავალ გზას. თოვამ იმატა, თეთრად ბარდნიდა. დედა ტყეშია. დილით გაკვალულ გზას ეეღარ ხედავდა ხეირიანად. როგორც ბატონი რევაზი აღნიშნავს – დედა უფრო ორიენტაციით მიიწევდა წინ. გაჩერება არ შეიძლებოდა. ათას რამეზე ფიქრობდა, განსაკურებით კი პატარა ბაღშვზე, რომელიც ძუძუთი იკვებებოდა და იმჯერად უდედოდ იყო დარჩენილი. იმ დროს სითეთრეში თითქოს შავი ღრუბლები შეინძრნენ. დედამ მგლების ხროვა შეამჩნია, იგი შეჩერდა, აღარ იცოდა რა ემოქმედა. გაოგნებული იყო. მგლების წინამძღოლი მისკენ გამოემართა. რამდენიმე ნაბიჯით დედის წინ შეჩერდა, მერე თითქოს რაღაც გადაწყვეტილება მიიღო, შეტრიალდა და უკან გაძუნძულდა. ხროვაც თან გაჰყვა. დედაც რატომღაც მისდაუნებურად მათ ნაკვალევს გაჰყვა. სულერთი იყო მისთვის, გზას მაინც ეეღარ აგნებდა. საშველი არსაიდან ჩანდა. სამი კილომეტრი თურმე დედას და მგლებს ერთად უვლიათ. მეტად სასწაულია არა? წინ მგლები მიდიოდნენ და უკან ადამიანი მათ ნაკვალევს მისდევდე?! ასე იყო თუ ისე, ფაქტი სახეზე

გახლდა. დედას უფიქრია მთელი გზის განმავლობაში ნეტავი ამ მხეცებმაც არ მიმატოვონ ამ უკაცრიელ ადგილასო.

თავს გადახდენილი ეს ამბავი დედამ წლების მერე უამბო შვილებს, როდესაც წამოიზარდნენ და შეძლებდნენ ამ საოცრების წარმოდგენას და გათვიცნობიერებას. ბოლოს როგორც იქნა, ტყე დამთავრებულა და ჭრაქის სინათლე გამოჩნდა და დედამ უკვე შეიგრძნო ადამიანთა არსებობის და იქვე მათი ადგილსამყოფელის სინამდვილე და შვებით ამოისუნთქა. ამას მეორე სასიხარულო ამბავი მოჰყვა. წინამძღოლი მგელი შეჩერდა და დაიყმულა. სხვებმაც ბანი მისცეს. იგრძნობოდა თითქოს დედას უთხრეს: „აჰა, შენს ჯილაგში მოგაცილეთ. ახლა მათ რომ არ შეეჯამონ ჩვენ წაველთ და აწი შენ იცი“-ო. ბელადი მგელი გახტა სხვა მიმართულებით და დანარჩენებიც თან გაჰყვნენ. დედამ უკვე თავი სრულიად სამშვიდობოს იგრძნო და ამჯერად დამშვიდებულმა მადლიერების გრძნობა გააყოლა მგლებს. როგორც დავრწმუნდით, საკუთარი ჯილაგისაგან ხელნაკრავი დედა მხეცებმა აშკარა სიკეთილს გადაარჩინეს. ბატონი რევაზი თავის ინტერვიუში, რომელიც ჩამოართვა ცნობილმა ურნალისტმა ქალბატონმა გიული თუნგიამ აღნიშნავს შემდეგს: ნათქვამია „სანთელ საკმეველი თავის გზას არ დაკარგავსო“. ცოდვაც სულს ისე ამძიმებს, ბოლოს მაინც გასტანჯავს და არ მოასვენებს მის ჩამდენს. სწორედ ასე მოუვიდა იმ არაკაცს, სულით მახინჯს, ვინც მამას ცილი დასწამა, ჩეკაში დაასმინა, თითქოს მამა ხალხის მტერი ყოფილიყოს. წერილში ამ ბოროტი დამბეზღებლის გვარი არ არის დასახელებული, რადგან მთელმა სოფელმა ისედაც იცოდა მისი ვინაობა. ადრე ეს ბოროტი კაცი აინუნშიაც არ აგდებდა ამ დაობლებულთა ოჯახს, ხოლო მერე, როდესაც ბატონი რევაზი კომპარტიის რაიკომის მდივანი გახდა, დასჯირდა და რაიკომში მიაკითხა, სახლის შესაკეთებლად მასალა სთხოვა. რევაზი მაინც დაეხმარა, მიუხედავად ცნობილი ამბებისა. ეს კიდევ არაფერი. ამ კაცმა მეორედ მიმართა, უფრო რთულ საკითხზე. მისი ვაჟიშვილი დაიჭირეს და დახმარება სთხოვა. ამ შემთხვევაშიც დახმარების მაქსიმუმი გაუკეთა, რადგან დაპატიმრებული 5 შვილის მამა ყოფილა და ძალზე შესცოდებია. ძალზე ძნელი სათქმელია რა გრძნობა ამოძრაებდა ამ ინტრიგან კაცს, რომ ბედავდა თხოვნით მიემართა და მეორე კი ორივე შემთხვევაში რომ დაეხმარა. პასუხი აქ ასეთი შეიძლება იყოს. პირველს ამოძრაებდა უსაზღვრო უნამუსობა, ხოლო მეორეს – ბოროტებაზე სიკეთის გადახდის მაღალი იდეალები. რასაც მოჰყვა ის რაც უნდა მომხდარიყო. ცოდვამ სიბერეში იცის სინდისის ქენჯნა და სწორედ ეს დაეწყო ენით უთქმელ ავაზაკს.

აი რას იხსენებს ბატონი რევაზი: სენაკის აღმასკომში დგას ეს ინტრიგანი შუა დერეფანში და ღრიალით მოთქვამდა: „ხალხო ჩამქოლეთ, ანგელოზების მამის მკელელი ვარო.” ყველა ამაზრზენით უყურებდა,

არაეის შესცოდებია. ზოგმა მიაფურთხა კიდეც. ყველამ იცოდა მისი ავკაცობის ამბავი. თურმე ახალგაზრდობაში იმდენად გათავხედებული ყოფილა, ყველას ემუქრებოდა და ეტრაბახებოდა „ჭკვიანად იყავით ხალხო, თორემ „თქვენც დომენტიევით ამოგალპობთ ციხეშიო“. წერილში ნათქვამია იმის შესახებაც, რომ ამ ინტრიგანმა კაცმა სხვა ოჯახებიც გაამწარა და ბევრს შეუთითხნა საქმე. მათ შორის, მათი თანასოფლელი პედაგოგი ქალის ძმა დააჭერინა და დიდად დაამწუხრა მათი ოჯახი. ამ პედაგოგმა ქალმა დაღუპული ძმის შური რამდენიმე წლის შემდეგ იძია ძალზედ ორიგინალურად. მოხუცი ინტრიგანი რომ გარდაიცვალა და დაკრძალეს, მიეიდა ეს პედაგოგი ქალი იმ ღამესვე და ამოაგდო საფლავიდან მიცვალებული და ყვავების საჭიჭგნად დააგდო. შეშფოთებულმა ჭირისუფალმა მეორედ დამარხა იგი. მაგრამ გამწარებულმა ქალმა მეორე ღამესაც არ დატოვა მიცვალებული საფლავში, ამოაგდო და ხეზე ჩამოკიდა. ჭირისუფალმა და მთელმა სოფელმა ძალიან კარგად იცოდა ვინ აკეთებდა ამას, მაგრამ ხმას ვერ იღებდნენ, ცოდვა ანუმებდათ. პირიქით, იმისი უფრო ეშინოდათ არ მიგვიხვდეს ის ქალი, რომ ვიცით ჩვენი მიცვალებულის ამომდგები ეგ რომ არისო. ჭირისუფლებმა სხვა გამოსავალი რომ ვერ ნახეს, იძულებული გახდნენ მიცვალებული სახლთან დაეკრძალათ. ეს ამბავი გენიალურმა რეჟისორმა თ. აბილაძემ კინო-ფილმ „მონანიების“ სცენარშიც კი შეიტანა.

ინტერესმოკლებული არ იქნება მკითხველს გავაცნო რეზო ფანულიას ბიოგრაფიული მონაცემები.

რეზო დომენტის ძე ფანულია დაიბადა 1936 წლის 27 ივნისს, დაამთავრა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სოფლის მეურნეობის ეკონომიკა-ორგანიზაციის ფაკულტეტი, ამავე უნივერსიტეტის ასპირანტურა. სხვადასხვა დროს მუშაობდა: მეურნეობის ეკონომისტად, ფაბრიკის საგეგმო განყოფილების გამგედ, რაიაღრიცხვის ინსპექტორად, სენაკის რაისაბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიის თავმჯდომარედ, რაისაბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების გამგედ, კომკავშირის და პარტიის რაიკომის მდივნად, საქართველოს სახელმწიფო დაზღვევის მთავარ სამმართველოს უფროსად, სახელმწიფო დაზღვევის გენერალურ დირექტორად, იყო ფინანსთა სამინისტროს კოლეგიის წევრი. მუშაობდა ფინანსთა სამინისტროს ფინანსების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში ჯერ წამყვან მეცნიერ მუშაკად, შემდეგ ბანკებისა და დაზღვევის განყოფილების გამგედ, ამავდროულად, თბილისის საფინანსო-იურიდიულ აკადემიაში კითხულობს ლექციებს. არის საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) ქვეყნებში მან პირველმა დაარსა გაზეთი “დაზღვევა და ცხოვრება”.

საქართველოსა და საზღვარგარეთ გამოქვეყნებული აქვს 40-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. მათ შორის: „საკუთრება, დაზღვევა,

ეკონომიკური კულტურა“, „ბუნებრივი და ეკონომიკური რისკები სოფლის მეურნეობაში“, „დასღეევა ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების გარანტი“, „ციეილიზაციის რისკტეევადობის ზრდა და დასღეევა“, „რისკის ეპოქა“ და სხვა.

ქეეყნის აქტუალურ პოლიტიკურ, ეროენულ, ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებზე გამოქეეყნებული აქვს 100-ზე მეტი პუბლიცისტური წერილები. მათ შორის „ნუ დაჰკარგავთ სამშობლოს სამშობლოში“ (1992 წ.), „ჰეი, ეარა! შეჩერდით, დად!“ (1998 წ.), „დაჯექ, დად, დაჯექი, მაგას ასეთები არ ესმის“ (1993 წ.), „ჰომეროსზე ძველია გეოპოლიტიკა“ (1998 წ.), „ქურთული იგავ-არაკი და სხვა“ (1996 წ.), „მართალი იყო ვოლტერი?!“ (1998 წ.), „აბორჯებული“ (1992 წ.), „სამეგრელო არასოდეს გახდება აბორჯებული“ (2000 წ.), „აკუტაგავას ბაყაყები ქართულ პოლიტიკურ ჭაობში“ (2001 წ.), „გვეყოფა ნგრევა ეირწმუნოთ ერთმანეთი“, „ხალხი აჯანყებას კი არა წესრიგს ელოდება“ (2001 წ.) და სხვა.

დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის ორდენით“, „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით, ბიზნესისა და ადმინისტრაციის ლიდერთა საერთაშორისო აკადემიის ოქროს მედლით „დასღეევის პროფესიონალი“ (აშშ), „სადასღეეო საქმიანობაში მიღწეული თვალსაჩინო წარმატებებისა და დსთ-ს ქეეყნების მზღვეეებთან საქმიანი თანამშრომლობის განეითარებისათვის“ დიპლომით და დიდი მედლით.

რ. ფაჩულიას სახელი შეტანილია „გამორჩეულ ლიდერთა საერთაშორისო დირექტორატის ცნობარში“ (აშშ). არის ქალაქ სენაკის და აბრამ ლინკოლნის მიწის (ილინოისის შტატი, აშშ) საპატიო მოქალაქე.

დასღეევის პრობლემების შესახებ მონაწილეა შეიდი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის, ერთ-ერთი ინიციატორია დასღეევის შესახებ დსთ-ს ქეეყნების პირეელი კონგრესის მოწეეისა, კონგრესზე დაჯილდოვდა საპატიო სიგელით.

1997 წელს კვალიფიკაციის ამაღლების კურსები გაიარა ინგლისში (ლონდონი).

არჩეულია საქართველოს ეროენულ და სოციალურ ურთიერთობათა და საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად.

მიხეილ როკეტლიშვილი
იურისტი და ეკონომისტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი,საქართველოს ღირსების ორდენის კავალერი და თბილისის ერთგულების მედალოსანი

რეცენზია
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, სოციალ-ეკონომიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის წევრ-კორესპონდენდენტ რ. შენგელიას ნაშრომზე:„პრივატიზაცია და ძირითადი კაპიტალის განახლების სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები“ (იხ. ჟურნალი „ეკონომიკა“ № 10-12, 1998 წ. გვ. 64-74)

ნაშრომი ეხება საბაზრო ეკონომიკის აქტუალურ და ქართულ ეკონომიკაში ნაკლებად გაშუქებულ საკითხს. ავტორის მსჯელობა მრავალმხრივადაა საინტერესო და ბევრი საგულისხმო დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა.

ავტორი, პირველ რიგში, მიმოიხილავს პრივატიზების დიდ პრაქტიკულ გამოცდილებას უცხოეთის მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, სადაც შესაძლებელია მისი თეორიული დამუშავების დონეც უფრო მაღალი იყოს, მაგრამ ამასთანავე ასკვნის, რომ ეროვნული თავისებურების გათვალისწინებით, ქართველი მეცნიერებისა და პრაქტიკოსების მიერ შემუშავებული პრივატიზების განხორციელების რეკომენდაციები უფრო გამოსადეგი იქნება, ვიდრე უცხოეთის ქვეყნებიდან მოწვეული სპეციალისტების მიერ შემუშავებული წინადადებები და რეკომენდაციები.

ნაშრომში პრივატიზებულ და პრივატიზაციის გარეშე დარჩენილი საწარმოთა მდგომარეობის შესწავლის საფუძველზე გაკეთებულია ფრიად საყურადღებო დასკვნა. კერძოდ: ა) ასეთ საწარმოთა უმრავლესობა ან სულ გაჩერებულია ან საწარმოო სიმძლავრეთა უმცირესი დატვირთვით უშვებს პროდუქციის საკმაოდ უმნიშვნელო მოცულობას; ბ) მათ მესაკუთრეთა უდიდეს რაოდენობას ჯერ კიდევ კარგად არა აქვთ გაცნობიერებული, რომ პრივატიზაცია მიზნად არამარტო მესაკუთრეთა ახალი ფენის ჩამოყალიბებას ისახავს, არამედ იმავდროულად პასუხისმგებელია სამეურნეო საქმიანობის შედეგებისათვის; გ) საწარმოთა ხელმძღვანელები ჯერჯერობით მხოლოდ ქონების გადანაწილებით კმაყოფილდებიან და უფრო მეტად ფართობის გაქირაებით და სხვა კომერციული საქმიანობით არიან დაკავებულნი; დ) ძირითადი კაპიტალის შემადგენლობა უაღრესად მოძველებულია, ვინაიდან იგი ბოლო 8-9 წლის მანძილზე ფაქტობრივად არ განახლებულა, მათი 60-65 % 10-12 წლამდე ასაკისაა, რაც მორალური მოძველების გარდა ფიზიკურადაც მაქსიმალურად გაცვეთილია. სამწუხაროდ, დღეს ქვეყანაში არსებული მაკროეკონომიკური გარემოც ვერ უწყობს ხელს კერძო სექტორის უკეთ ფუნქციონირებას – მორალურად უვარგისი ტექნიკური და ტექნოლოგიური

პარკი ამუხრუჭებს მაღალკონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვებას და უცხოური, მდარე ხარისხის, ხშირად ჯანმრთელობისათვის მავნე იაფი ნაწარმით გაჯერებულ შიგა ბაზარზე პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის სამამულო ნაწარმის რეალიზაციას.

ზემოაღნიშნული დასკვნების საფუძველზე ავტორი ძირითადი კაპიტალის განახლების პრობლემას უფრო აქტუალურად მიიჩნევს პრივატიზებულ საწარმოებში, რადგან ტექნიკისა და ტექნოლოგიის განახლების, წარმოების მოდერნიზაციისა და რეკონსტრუქციის გარეშე შეუძლებელია:ა) საუკეთესო ხარისხისა და მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი საქონლის წარმოება; ბ) შრომის პირობების გაუმჯობესება, რომელიც თავისთავად არის ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესების ფაქტორი; მართლაც არ შეიძლება რომ არ დაეთანხმოთ ავტორს იმაში, რომ შრომის პროცესი, სადაც უშუალო მწარმოებელი თავისი ცხოვრების დროის მნიშვნელოვან ნაწილს (თითქმის 2/3-ს) ატარებს, თუ არ გახდება საინტერესო და მიმზიდველი შეუძლებელია ეიფიქროთ პროდუქციის მაღალ ხარისხზე. ამიტომ, თუ დღეს პრივატიზებულ საწარმოთა უმრავლესობაში ჯერ კიდევ დაბალია ყურადღება შრომის სოციალური პირობების გაუმჯობესებაზე, ერთ დროს რეალური მდგომარეობა იძულებულს გახდის მეწარმეებს ასეთი ღონისძიებები დროულად გაატარონ. ეს უშუალოდ გამომდინარეობს წარმოების ჰუმანიზაციის საერთო სოციალური ეფექტიანობის ამაღლების მოთხოვნილებიდან.

ნაშრომში ავტორი სვამს მეტად აქტუალურ კითხვას: როგორია მორალურად მოძველებული ძირითადი კაპიტალის, განსაკუთრებით სოციალურად უვარგისი ტექნიკისა და ტექნოლოგიის (ასეთი ტექნოლოგიის მოძველებას ავტორი პირველად ეკონომიკურ ლიტერატურაში, მორალური მოძველების ცალკე, მესამე, სოციალურ ფორმას უწოდებს) განახლების პერსპექტივა ჩვენს სინამდვილეში, პრივატიზებულ საწარმოებში, როდესაც ქვეყანა საერთოდ პროდუქციაზე მწვავე დეფიციტს განიცდის და ამიტომ ხშირად უხარისხო, ჯანმრთელობისათვის მავნე პროდუქციაც კი იყიდება? ნაშრომში ამ კითხვაზე პასუხი ზუსტად და კონკრეტულად ასეა გაცემული: საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში მორალურად მოძველებული ძირითადი კაპიტალის განახლების პრობლემა უფრო მეტ სოციალურ-ეკონომიკურ შინაარსს იძენს საკომანდო ეკონომიკასთან შედარებით. კონკურენციის შედეგად ტექნიკური პროგრესი და, შესაბამისად, მისი შედეგი – ტექნიკის მორალური მოძველება გზას იკაფავს. იხურება ის საწარმოები, რომლებიც ჩამორჩებიან მსოფლიოში არსებული უახლესი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის მხრივ, რაზედაც დასავლეთის მაღალ განვითარებული ქვეყნების არაერთი გამოცდილება მეტყველებს.

რაც შეეხება სოციალურად უგარგისი, მოძველებული ძირითადი კაპიტალის განახლებას საბაზრო ეკონომიკის აღმავლობის პირობებში (პრივატიზებულ საწარმოთა ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღების პარალელურად) ეტყობა მეტი პერსპექტივა ექნება. იმთავითვე ცენტრალურ ადგილს დაიკავებს თანამედროვე თაობის ტექნიკის შექმნის, დაპროექტების, ახალი საწარმოების მშენებლობის და რეკონსტრუქციის დროს სოციალური ნორმატივების შესრულების რესურსებით უზრუნველყოფის პრობლემა. სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში მოსალოდნელია, რომ ეკოლოგიურად არანორმალურ პირობებში მყოფი საწარმოების მსგავსად ბევრი საწარმო დაიხუროს იმის გამო, რომ ამ საწარმოთა შიგნით არასახარბიელო შრომის პირობებია. მაგრამ ამასთან საჭიროა დაიწყოს ახალი საწარმოების შექმნა, რომლებიც სოციალურ ნორმატივებს უპასუხებენ, რისთვისაც უნდა გაგვაჩნდეს საბაზრო ეკონომიკის შესატყვისი შრომის პირობები, შესაბამისად, მორალურად მოძველებული ტექნიკის განახლების მაროვის წინასწარ გააზრებული პროგრამა, რითაც სახელმწიფომ უნდა შექმნას ნორმალური მაკროეკონომიკური გარემო საკუთრების ყველა ფორმისათვის. ასეთმა პროგრამამ უნდა დაიცვას ადამიანის ჯანმრთელობა კერძო ბიზნესისაგან, უცხოეთის ინვესტიციების მისწრაფებებისაგან, შემოსიდოს ჩვენს ქვეყანაში ისეთი ტექნიკა და ტექნოლოგია, რომელიც სხვა ქვეყანაში აკრძალულია და მორალურად მსოფლიო სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს.

ამდენად ნაშრომი ძალზე საინტერესო და ორიგინალურია. მისი გაცნობა, ვფიქრობთ, დააინტერესებს მკითხველთა ფართო წრეს.

აქვე მინდა მკითხველს გავაცნო რ. შენგელიას მოკლე ბიოგრაფიული ცნობები: რევაზ შენგელია დაიბადა 1953 წლის 5 აპრილს (ჩხოროწყუ, საქართველო), დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი და ასპირანტურა, არის ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი. ეწევა სამეცნიერო პედაგოგიურ მოღვაწეობას საქართველის ტექნიკურ უნივერსიტეტში, 1993 წლიდან მუშაობს ჟურნალ "ეკონომიკის" მთავარ რედაქტორად.

მიხეილ როკეტლიშვილი
იურისტი და ეკონომისტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი,საქართველოს ღირსების ორდენის კავალერი და თბილისის ერთგულების მედალოსანი

გამოძახილი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის ბატონ ლეო ჩიქავას წიგნზე: „ინოვაციური ეკონომიკა“

წიგნის გაცნობამ სრულიად დამარწმუნა, თუ რაოდენ სამართლიანად და ობიექტურად იძლევიან მეცნიერ რედაქტორი, პროფესორი როსტა ასათიანი და რეცენზენტი, პროფესორი ნუგზარ სანთელაძე წიგნის დასაწყისში განმარტებას, თუ რას ნიშნავს ინოვაციური ეკონომიკა, იმასაც სწორად აღნიშნავენ, რომ მონოგრაფიაში ნამდვილად განხილულია ინოვაციური ეკონომიკის არსი, მისი ძირითადი ნიშნები, მაჩვენებლები, დაფინანსების წყაროები, აგრეთვე სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკა, მისი რეალიზაციის მეთოდები და სხვა საკითხები. არსებითად დასახელებულია და განმარტებული ცოდნის ეკონომიკისა და ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის განვითარება-ფუნქციონირების კანონზომიერებანი.

ეს მეტად რთული პრობლემაა, რომელსაც მხოლოდ ბატონ ლეო ჩიქავას მსგავსი პიროვნება თუ შეეჭიდებოდა და თავს გაართმევდა. პიროვნება, რომელიც რამდენიმე დარგობრივი აკადემიის წევრი, აკადემიკოსი, ერთერთი მთავარი ეკონომიკური მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტია, რესპუბლიკური მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დემოგრაფიული და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის დირექტორი, სახელმწიფო სამსახურის მართვისა და მოსამსახურეთა მომზადება-გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრის უფროსი. აკად. პაატა გუგუშვილის სახ. უნივერსიტეტის რექტორი, ნიუ იორკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. ერთი სიტყვით, კაცური კაცი. 50 წელზე მეტი სამეცნიერო შემოქმედებითი სტატუსის მქონე პიროვნება.

აი რას ამბობს ბატონი ლეო, სახელდობრ, ინოვაციის შესახებ: „ინოვაციური, ანუ ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკა არის ცივილიზაციის ახალი ეტაპი, რომელშიც კაცობრიობა თანდათან შედის, მაგრამ უცილობლად და სულ უფრო მზარდი ტემპებით. მისი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია ცოდნის გადაქცევა კაცობრიობის მთავარ სიმდიდრედ და ძირითად წარმოებრივ რესურსად, რომელიც არსებითად ამცირებს ეკონომიკური ზრდის დამოკიდებულებას ამა თუ იმ ქვეყანაში ბუნებრივი რესურსების ძირითადი კაპიტალის, ადმინისტრაციული კაპიტალისა და სხვა ექსტენსიური ფაქტორების არსებობასთან.“

ჩვენი სახელოვანი მეცნიერების უამრავ მონოგრაფიას და ნაშრომებს გაეცნობიერ, მაგრამ ასეთ პრობლემურ სიახლეს იშვიათად წაეწყეტებულვარ. მისმა ამ ნაშრომმა მოლოდინს გადააჭარბა. ამიტომაა, რომ თვითონაც სწორად შენიშნავს მიუხედავად ინოვაციური ეკონომიკის ესოდენ დიდი მნიშვნელობისა, იგი ღრმად მეცნიერულად დღემდე შესწავლილი არ არის, განსაკუთრებით ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში

ავტორი არც იმას უარყოფს, რომ ნაშრომი პოლემიკური ხასიათისაა, რაც გამოწვეულია აზრთა სხვადასხვაობით. ამასთან, იგი იმასაც სწორად დასძენს, რომ ცოდნის მასშტაბების ზრდის მთავარი მამოძრავებელია არა მარტო მისი წარმოება და მიწოდება, არამედ მათზე მოთხოვნილება. სწორედ მოთხოვნილება განსაზღვრავს იმას, მას სიცოცხლე უწერია თუ არა.

ავტორი სწორად აღნიშნავს, რომ თავიდანვე სრულყოფილი არცერთი ინოვაცია არ ყოფილა (და არც შეიძლება ყოფილიყო) იმთავითვე სათანადოდ სრულყოფილი და ტექნიკურად გამართული. იქვე მოყავს მაგალითი, რომ თვითმფრინავის შექმნის იდეა შემუშავებულ და მეცნირულად დასაბუთებული იქნა, მაგრამ პირველი ექსპერიმენტის დროს იგი ხშირად ვარდებოდა ძირს. ე.ი. ჰქონდა სუსტი „წერტილები“, რომელთა აღმოფხვრა თანდათან ხდებოდა. დღეისათვის კი თითქმის ჩვეულებრივ მოვლენადაა ქცეული რეაქტიული აეროლაინერებით მგზავრობა მსოფლიოს ნებისმიერ წერტილამდე. იგივე შეიძლება ითქვას მობილური ტელეფონების შესახებაც, 15-20 წლის წინათ იგი (მისი პირველი ნიმუშები) ძალზე მძიმე, დიდგაბარიტიანი და გამოსაყენებლად ნაკლებად მოხერხებული იყო, ამჟამად დახვეწილი, მაღალი საექსპლუატაციო თვისებების მქონე და გამოსაყენებლადაც ფრიად მოხერხებულია.

საფუძვლიანად, რომ გაეერკვეთ ინოვაციური ეკონომიკის შინაარსში ავტორი გვთავაზობს მოკლედ მაინც განვიხილოთ ინოვაციური ციკლის რგოლები, სტადიები და ეტაპები. ზოგადად კი თუ გვსურს მის განსაზღვრა, დასძენს ავტორი, ინოვაციური ციკლი მოიცავს მანძილს, რომელიც იწყება ინოვაციის (სიახლის) შექმნის იდეის შემუშავებით, და მთავრდება ამ სიახლის დანერგვით. ციკლის ძირეული რგოლებია: მეცნიერება (მეცნიერული კვლევა) – წარმოება – მოხმარება. ავტორის მიერ განმარტებულია თითოეული ეს რგოლი.

შემდეგ ავტორი იხილავს სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის რეალიზაციის მეთოდებს. მისი შეხედულებით, ინოვაციური პოლიტიკა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია, რომელიც გამოხატავს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ფუნქციონირების მიზნებს, ძირითად მიმართულებებსა და მეთოდებს[1].

[1] ლეო ჩიქავა. ინოვაციური პოლიტიკა. თბილისი, გვ. 65.

იქვე დასძენს, რომ სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკა მოწოდებულია შექმნას ინოვაციური ეკონომიკის დაჩქარებული განვითარებისათვის აუცილებელი ეკონომიკური, სამართლებრივი, ინფორმაციული, ორგანიზაციული და სოციალურ-ფსიქოლოგიური წინამძღვრები. მასვე ნაშრომში ჩამოთვლილი აქვს თუ რა ძირითადი მიმართულებებია საჭირო სახელმწიფოს მიერ ინოვაციური საქმიანობისადმი მხარდასაჭერად[2].

ავტორი იხილავს აგრეთვე საკითხს ცოდნის ეკონომიკის შესახებ. ამ საკითხზე მსჯელობისას ავტორს მხედველოვაში აქვს ინტელექტუალური, ანუ გონებრივი შრომის უშუალი (პირველადი) პროდუქტი (მაგალითად გამოგონება) და არა მისი გამოგონებით მიღებული მატერიალური ფასეულობა.

სწორია ავტორი, ბატონი ლეო ჩიქავა, რომ არ იზიარებს ზოგიერთი იმ ავტორთა შეხედულებას, რომლებსაც ინტელექტუალური საკუთრება მიაჩნიათ საკუთრების განსხვაებულ ფორმად, და არა თავისებურ სახეობად, რამდენადაც იგი მოიცავს ფრიად სპეციფიკურ ფასეულობებს და გამოხატავს ადამიანა ინტელექტუალური საქმიანობის შედეგების ფლობის, განკარგვის, გამოყენების და მითვისების თაობაზე აღმოცენებულ ურთიერთობებს, ანუ, აღნიშნავს ავტორი, საკუთრების უფლებას ინტელექტუალურ პროდუქტებზე ნებისმიერ სფეროში. ერთ კიდეე მეტად საგულისხმო განმარტებას იძლევა ავტორი, რომ ადმინისტრაციულ-მბრძანებლური, ანუ უნიტარული მეთოდით მართვად ქვეყანაში (მაგ., ყოფილ სსრ კავშირში) ინტელექტუალური საქმიანობის თითქმის ყველაზე მნიშვნელოვან შედეგზე უფლება ფაქტობრივად ერთ მესაკუთრეს – სახელმწიფოს ჰქონდა. მეცნიერულ-ტექნიკური ინოვაციების შემმუშავებელი საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, დასძენს ავტორი, ძირითადად სახელმწიფო პოლიტიკის პირდაპირ დაფინანსებაზე იმყოფებოდნენ, ამიტომ მათი ინტელექტუალური პროდუქციის მესაკუთრედ სახელმწიფო ითვლებოდა.

ავტორი ასევე კარგად აღწერს საკითხს: „ცოდნა, როგორც საქონელი და მისი თავისებურებები“. ნებისმიერი მატერიალური თუ არამატერიალური წარმოების პროდუქტი, რომელიც აკმაყოფილებს ადამიანთა მოთხოვნილებას და ჩართულია გაცვლით ურთიერთობებში, საქონელია, დასძენს ავტორი. ამ მხრივ, არც ცოდნაა გამონაკლისი, როცა იგი ყიდვა-გაყიდვის ობიექტად იქცევა, საქონლად გვევლინება. თუმცა ცოდნა, ისევე როგორც შრომის ნებისმიერი სხვა პროდუქტი საქონლად იქცა საზოგადოების განვითარების გარკვეულ საფეხურზე, როდესაც საფუძველი ჩაეყარა შრომის საზოგადოებრივ დანაწილებას და კერძო საკუთრებას. ამის შემდეგ ავტორი, უფრო ვრცელ განმარტებას იძლევა და

აღნიშნავს, რომ მიუხედავად ამისა, სრული საფუძველი გვაქვს ვამტკიცოთ, რომ ცოდნა გაცილებით გვიან ჩაერთო გაცვლით ურთიერთობაში, ვინემ პირველადი მოხმარების საგნები (ხორბალი, სიმინდი, ხორცი, ყველი, თაფლი, მარილი და ა.შ.). ეს იმით იყო განპირობებული, რომ ცოდნის წარმოება და ორგანიზებული სახით სხვა პირებისათვის მისი გადაცემა (მოწოდება) შედარებით გვიან იქცა ადამიანთა გარკვეული ჯგუფის სპეციფიკურ საქმიანობად. ისე როგორც მეფუტკრემ თავის სპეციალობად და არსებობის წყაროდ გაიხადა თაფლის წარმოება და მისი გაცვლა სხვა სასურველ საგნებზე, ან საყოველთაო ეკვივალენტზე – ფულზე, იგივე ნაბიჯი გადადგეს მეცნიერმა და პედაგოგმაც, მიმართეს რა თავიანთი ინტელექტუალური შრომის პროდუქტის – ცოდნის, როგორც საქონლის, ეკვივალენტურ გაცვლას მათთვის საჭირო სხვა საქონელზე ან ფულზე, რომლითაც შეეძლოთ ნებისმიერი საქონლის ყიდვა.

ინოვაციური ეკონომიკის ეპოქაში გაცვლით ურთიერთობათა სისტემაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ცოდნა, როგორც საქონელი. ეს იმით აიხსნება, დასძენს ავტორი, რომ ინოვაციური პოლიტიკა არის საზოგადოების განვითარების ისეთი საფეხური, სადაც ცოდნა იქცევა გადამწყვეტ ფაქტორად. ავტორის აზრით, დღეისათვის კამათს არ იწვევს არა მარტო ის, რომ ცოდნა შეიძლება გაიყიდოს საქონლის სახით, არამედ ისიც, რომ საქონელბრუნვაში მისი ადგილი და როლი განუხრელად იზრდება.

ავტორს არ დავიწყებია ადრეულ წლებში ნასწავლი ილია ჭავჭავაძის მიერ 1883 წელს სოფელ წინამძღვრიანთკარში სამეურნეო სასწავლებლის გახსნისას წარმოთქმული ბრძნული სიტყვა იმის შესახებ, რომ „ცოდნა თვითონ თავისთავადაც სიმდიდრეა. მერე იმისთანა მადლიანი სიმდიდრე, რომ რაც უნდა ბევრს დაურიგო, ბევრს გაუნაწილო, შენ არა დაგაკლდება-რა, თუ არ მოგემატება. ამ შემთხვევაში ცოდნა ანთებულს სანთელს ჰგავს: ერთ სანთელზედ რომ ათას სანთელს მოუკიდო, სანთელს ამით არც ალი დააკლდება, არც სინათლე, არც სიცხოველე, პირიქით, იმატებს კიდეც, რადგან ერთის მაგიერ ათასი სხვა სანთელი ერთად დაიწყებს ლაპლაპს[1]“.

ავტორს სხვა წყაროებიც მოჰყავს. იგი აღნიშნავს, რომ თუ თვალს გადავაელებთ წინა ისტორიას, დავინახავთ რომ თომას ჯეფერსონს თავის დროზე ცოდნის სწორედ ეს სპეციფიკა ჰქონდა მხედველობაში, როცა აღნიშნავდა: ის ვინც იდეას იღებს ჩემგან და სარგებლობს მისით

[1] ი. ჭაბუკიანი. თხზ„ პაველ ინგოროყვას შესავალი წერილით. თბილისი. 1957. გვ. 536

არ მაღარიბებს მე, მსგავსად იმისა, ვინც იღებს სინათლეს ჩემი ლამპარიდან, წყედიადში არ მაგდებს.

რაც შეეხება მეცნიერული ცოდნის გაცემას, ბატონი ლეო კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს როგორც ინტელექტუალური შრომის პროდუქტს და დასძენს, რომ იგი მოხმარების პროცესში არა მარტო კარგავს თავის სამომხმარებლო თვისებებს, არამედ პირიქით, სულ უფრო ივსებს და მდიდრდება. ცოდნა წარმოშობს ახალ ცოდნას. ასე რომ, ეს უწყვეტი პროცესია, რომელიც თაობიდან თაობაში გადადის და ყოველი მომდევნო თაობა თითოეულ საკითხზე დაგროვილ ცოდნას რაღაც ახალს სძენს.

ცოდნის ამ სპეციფიკის მნიშვნელობის საილუსტრაციოდ ავტორი კვლავ იშველიებს ქართველი ცნობილი მწერლის ილია ჭავჭავაძის სიტყვებს: „ცოდნა სანთელს მარტო იმაში არა ჰგავს, რომ სანთელი როცა იქნება, ჩაიწვის და გაქრება ხოლმე: ერთხელ ანთებული ცოდნა კი თავის დღეში არა, მამიდან შვილზე გადადის, შვილიდან შვილიშვილზედ. უფრო გადიდებული, უფრო გაძლიერებული[1]“.

ავტორი, ბატონი ლეო ჩიქავა იხილავს შემდეგ საკითხებს: მეცნიერება, როგორც უშუალო მწარმოებლური ძალა, მაღალი ტექნოლოგიებისა და მცირე ბიზნესის როლი ინოვაციურ ეკონომიკაში, ინოვაციური ეკონომიკის ეფექტიანობა, ეკონომიკის ინტელექტუალიზაცია და მისი პერსპექტივები საქართველოში, ინოვაციური ეკონომიკის ეკოლოგიური ასპექტები, მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურების შემცირება, ეკონომიკური კატასტროფისაგან კაცობრიობის ხსნის მთავარი მიმართულება და სხვა კიდევ პრობლემური საკითხები.

ავტორის უდიდესი დამსახურებაა ისიც, რომ ნაშრომის თოთქმის ბოლო 80-მდე გვერდი დათმობილი აქვს მნიშვნელოვან ტერმინთა სიღრმისეულ განმარტებებს, რაც დიდად შეუწყობს ხელს ნებისმიერი დარგის მეცნიერებს და განსაკუთრებით, ეკონომიკური დარგისას.

დაბოლოს, ისღა დაგვრჩენია, მივმართო მკითხველთა უმრავლესობას თავიანთ რეცენზიებში მოუწოდონ ხელისუფლების სათანადო ორგანოებს ბატონ ლეო ჩიქავას აღნიშნული ნაშრომი წარდგენილ იქნეს სახელმწიფო პრემიაზე.

მიხეილ როკეტლიშვილი
იურისტი და ეკონომისტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი,საქართველოს ღირსების ორდენის კავალერი და თბილისის ერთგულების მედალოსანი

[1] იქვე.

გამოძახილი
მწერლის, დრამატურგის, ღირსების ორდენის კავალერის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, აწ განსვენებული, ბატონ გიორგი ხუხაშვილის ერთ-ერთ ნაშრომზე: „ბიბლიური მოტივები"

ვიდრე უშუალოდ ხსენებული ნაშრომის ირგვლივ რაიმეს ვიტყოდე, მსურს მკითხველს მოვაგონო ადრე გამოცემული ჩემი წიგნიდან ბატონ გიორგი ხუხაშვილის პიროვნების შესახებ ზოგი რამ:

ქართველი მკითხველი უდიდესი მოწონებით შეხვდა ბატონ გიორგის პოეტურ კრებულებს, როგორიცაა: „მშვიდობის სიმღერა", „მომღერალი ბიჭი", „ლურჯი ფანჯრები", „ფიქრები ხმამაღლა", „ბიბლიური მოტივები" და სხვ. მათში შესული ლექსების ლირიკული გმირი ჩვენი თანამედროვეა, რომელიც შეიძლება ითქვას, მისი ცხოერების წიგნს წარმოადგენს და რომელსაც სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

ქართველი მკითხველი გიორგი ხუხაშვილს იცნობდა როგორც ფართო დიაპაზონის კრიტიკოსს, რომელიც დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით იკვლევდა ქართული მწერლობისა და თეატრალური განვითარების გზებსა და ტენდენციებს, მაგრამ იგი მაინც, უპირველეს ყოვლისა, დიდებული დრამატურგი გახლდა, რომელიც შესანიშნავად გრძნობდა ჩვენი მღელვარე დროის მაჯისცემას და მშობლიურ მწერლობას ამდიდრებდა მაღალმხატერული და აქტუალური პიესებით. მისი შესანიშნავი პიესები გახლავს: „ზღვის შვილები", „ცხოერება კაცისა", „დღიურები ჩემი ქალაქიდან", „მოსამაროლე", „ამბავი წუთისოფლისა" და მრავალი სხვა, რომლებიც წარმატებით იდგმებოდა, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. არაერთი მათგანი აღინიშნა პრემიებით. ამასთან დაკავშირებით, ცნობილმა მწერალმა (ჩემმა თანაკლასელმა, თბილისის ვაჟთა II საშუალო სკოლიდან თამაზ ჩხენკელმა) გიორგი ხუხაშვილი ასე შეამკო: „იგი ბრძოლაში დაუცხრომელი და შეუპოვარი ერის შვილია და ამგვარივე ერის წიაღშია კაცად გამოძერწილი. გიორგი ხუხაშვილს ბევრჯერ გაუთბია თავისი მეგობრების გული დაუყვედრებლად და დაუმადლებლად და ესეც მისი გულუხვობისა და გულთბილობის გამოვლინება იყო".

ბოლოს ასე ასრულებს თავის წერილს თამაზ ჩხენკელი: „მომავლის მღვიმეებიდან დაბერილ ცივ ქარებს ოდნავადაც არ ჩაერეცხოს მისი სიყვარულით სავსე გული", აი კიდევ რა მისწერა ასევე ცნობილმა მწერალმა, დრამატურგმა, სომხური თეატრის ყოფილმა დირექტორმა ბატონმა გივი შახნაზაროემა გ. ხუხაშვილს დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით: „არცერთი შენი მოკალმის შემოქმედებითი წარმატება არ გამოგრჩებოდა ჩემო გიგლა. ზოგს თუ საგანგებო წერილით ვერ

გამოხატავდი და ვერ გამოეხმაურებოდი, ისეთ სიტყვას მიუძღვნიდი შენი ომახიანი ხმით, რომ ყველას სამუდამოდ გულს გაუხარებდი. ბოლოს ასეთი სიტყვებით დაასრულა: „დამერწმუნეთ, პირადად მე არ ვიცი მეორე პოეტი, ვის შემოქმედებაში იმდენი მიძღვნილი ლექსი იყოს, რამდენიც შენს ბიბლიურ მოტივებშია დასტამბული. ნამდვილი პროფესიონალი ხარ. შენმა მაძიებელმა შემოქმედმა სულმა მოსვენება არ იცის. შენს ყოველ ჟანრულად განსხვავებულ ნაწარმოებს სწორედ პოეზიის მადლი სცხია, რადგან ყოველთვის პოეზიით იწყებდი. არ დარჩა თითქმის არცერთი მწერალი, რომელსაც ჯგუფურად თუ ცალკე არ მოელოცოს გიორგი ხუხაშვილისათვის დაბადების 70 და სასოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლისთავი.

აქვე უმჯობესია შევწყიტო მისი დახასიათება და შევუდგე მის ერთერთი საუკეთესო წიგნზე „ბიბლიური მოტივები“ რეცენზიის წერას. ავტორმა წიგნს წაუმძღვარა წინათქმა, რომელშიც გამოთქმული აქვს უაღრესად საინტერესო აზრები. სახელდობრ, დასაბამიდან არავინ იცის საიდან იწყება ადამიანის ცხოვრებაში პოეზიის შთაგონება. იქნება მაშინ, როცა ჯერ კიდევ ყმაწვილურ სულს პირველი განცდები ეუფლება, როგორც დიდი წვიმის შემდეგ უეცარი მზიანი გამოდარებისას. ასეა თუ ისე, წინამდებარე კრებულის შედგენისას ბავშვობის დროინდელი ლექსებიც შევიტანე, რადგან ეს წიგნი, დასძენს ავტორი, ჩემი ცხოვრების ორმოცდაათ წელიწადს მოიცავს – სიყმაწვილიდან სიჭარმაგამდე. აქვე ის ლექსებიც შევიტანე, რომლებიც ადრე არ გამომიქვეყნებია სხვადასხვა მიზეზის გამო. უფრო იმიტომ, რომ ჩემს თავს მეტ მოთხოვნებს ვუყენებდი. საბედნიეროდ, ისინი წლების შემდეგ ცოცხალი აღმოჩნდნენ და ორგანულად მოთავსდნენ ჩემი ცხოვრების წიგნში. მეც ამ პრინციპებს მივსდევდი, როცა გარე სამყაროსა და ადამიანებთან ურთიერთობით არ გასვენებს „სიცოცხლის ლექსად გარდაქმნის“ ძლიერი სურვილით და ისეთი ყოველისმომცველი დრამატული მდგომარეობითაა შეძრული სული, როცა „ლექსი თვითონ გწერს“.

ამიტომ ეს ლექსების წიგნი ისევე უწყვეტელია და თანმიმდევრული, როგორც ჩემი ცხოვრება. ყოველი ლექსი მკითხველისადმი მიმართული და მასთან გულახდილი დიალოგია ნაგულისხმევი. რამდენად ვაღწევდი მიზანს, ეს თვით მკითხველმა განსაჯოს. მე იმედი მაქვს ადამიანებისა, რომლებიც ჩემთან ერთად ცხოვრობენ, ეძებენ და პოვებენ, ბედით და სულით მონათესავენი. ჩვენ ხომ უფრო ბევრი რამ გვაერთებს, ვიდრე გვაშორებს, მოკრძალებით და იმედით ვთავაზობ ამ წიგნს ყველას, ვინც წარსულში, აწყმოსა და მომავალში ჩემი ფიქრის, სიყვარულის, სევდისა და აღტაცების საგანი ყოფილა. ჩვენს რთულ დროში, ბევრი ჭირისა და ლხინის მნახველი, ბედნიერი ვიქნები, თუ ეს წიგნი ერთი სანთელი იქნება ტრაგიკული მშვენიერების ტაძარში.

მინდა მჯეროდეს, დასძენს წინასიტყვაობის შემდეგ ავტორი, რომ „ბიბლიური მოტივები“ გათიშულ სულთა გულგრილობისა და სკეპტიციზმის მიჯნებს გადალახავს და სულიერად სულიერად გამაერთიანებელი დიალოგი შედგება.

მე მგონი, მკითხველი არ მიწყენს, ეიდრე ხსენებული ნაშრომის რეცენზიის წერას შევუდგებოდი მე მას გავაცანი ავტორის წინასიტყვაობა, რომელიც უდავოდ ნათელ წარმოდგენას შეუქმნიდა ნაშრომის მნიშვნელობაზე და უდიდეს სიამოვნებას მიანიჭებდა მას.

წიგნი „ბიბლიური მოტივები“ იწყება ლექსით „საქართველო“. მე ბევრ ლექსებს გავცნობილვარ არაქართველთა მიერ დაწერილს საქართველოზე, მაგრამ ასეთი ღრმა შინაარსისას და ესოდენ შემკულს სიტყვებით პირველად ვეცნობი ბატონ გიგლას ხსენებულ წიგნში. შევეცდები შეძლებისდაგვარად რამდენიმე სტროფი მოვიყვანო და შევაფასო. აი როგორ საოცრად იწყებს იგი:

„სამარადჟამოდ შენს შვილებს ვეძმე,
შენს გულს მოვენდე წრფელს და ღონიერს,
მომხვიე ხელი და მაღალ მთებზე
მზის შესახვედრად გამიყოლიე.

შენი წყლითა და პურ ღვინით მზარდე
მუხლში ვეფხვების ძალა ჩამიდგი,
და შემაჩვიე თოვლიან სამთრებს
და აღტაცებას მზიან ამინდით.

ჩემში ნაოობენ შენი ფრესკები,
ქვებზე ნაკვეთი ეპოხი ჩუქურთმად,
როცა მეძახდნენ შორით ფესვები
კეთილ იმედის იდექ შუქურად.

მე არ მჭირდება შენთან ფიცვერცხლი,
გაჭრილ თითიდან სისხლის გაღება,
შენს უბერებელ მზეს ვეფიცხები
შენი დალოცვა გზებზე დამყვება.

მეც დავრგე ეპოხი ფესვებმაგარი,
ველეწე ხორბალი მბრუნავ კალოზე,
ბეჭზე ძლიერი ხელი დამკარი
და შენს მელექსე კაცად მაქციე.

იქ გამითეთრდა შენთან თმა-წვერი,
სვეტიცხოველი სადაც მოჭრილა,
ჩემი ცხოვრება ლექსად დაწერე
და შენს კალოზე დავდე მორჩილად.

დამაძმობილე ნეტარ აჩრდილებს
როცა გახსენი ჩვენი საძვალე,

ტანჯვის ატანას შენ შემარჩიე
და ჭირთაომენაც ბრძნულად მასწავლე.
ბნელში ამინთე შუქის კოჭობი,
ნედლ სიტყვასა და ფერებს მიქებდი,
შემაძლებინე ჩემი კოჭლობით
მომეველო შენი გზა ბილიკები.
და მინდა მუდამ შენი მემართოს,
დღედაღამ მხოლოდ შენზე ეფიქრობდე,
განელო ჟამი და მიეემატო,
შენს პოეტებს და ერთგულ მწიგნობრებს.
სადაც არ წავალ, შენთან მომიყვანს
ყველა ბილიკი, გზა თუ ორხიდე,
და მინდა როცა მიწად მომიხმობ,
საფლავზე ფიჭვის ხედ ამოხეიდე"

აი, პატივცემულო მკითხველო როგორი მძაფრი და გულში ჩამწვდომი ლექსი გამოუთქვა ავტორმა საქართველოს, ამ უძველეს ქვეყანას, მსიურს და ედემის ბაღად წოდებულს, რომლის ხალხი ქართველი ერის სახით ყველაზე სტუმართმოყვარე და ინტერნაციონალურია მსოფლიოში.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ყოველი ქართველი ებრაელი, რა დარგის სპეციალისტი არ უნდა იყოს იგი, არ შეეცდები თუ ვიტყვი, რომ მეტნაკლებად იგიეე აზრისა და შეხედულების არიან საქართველოსა და ქართველი ერის მიმართ, როგორც ბატონი გიორგი ხუხაშვილი, ისინიც ასევე ეტრფიან მათ და მათი სიყვარული ყველგან თან დაჰყვებათ, პლანეტის ყველა კუთხეში, სადაც კი ბედის უკუღმართობამ ბინა მიუჩინათ.

ამის შემდეგ იერუსალიმზე აქვს შესანიშნავად გადმოცემული მთელი მისი თაეგადასავალი:

„შენ ისევ დგეხარ ვერ დაძლეული,
თეთრად ელვარებ, კვამლისაგან განა შავდები,
გარდაუვლიათ წვიმებიევით ათასწლეულებს
და ისტორია უწერიათ ცხელი შანთებით.
ფესვები მძლავრად გიდგას მიწაში,
ათასჯერ იღუპები და მეორდები.
შენ გტკივა ქვები დაქცეული ბეთამიკდაშის,
და სდის ცრემლები კედელს გოდების.
მოთმინებით და სათნოებით სიკვდილს აჯობე,
შენ ნისლს გადიყრი და ჭრილობებს თითქოს მისვენებ.
შენი შვილები ფხიზლად დგანან და დარაჯობენ,
ათასჯერ იავარქმნილ შენს კარიბჭეებს.

მე მივიტანე რაღაც წმინდა დღემდე უთქმელი,
ამოკითხული ქვებზე ნაწერი.
წერს შენს წიაღში შოთა რუსთველ,
რეხამიაზე აღმართულა ჯვრის მონასტერი.
ასე იყო და ასე არის ჩემი ცხოვრება,
მოვდიოდი და უსასრულო გზები ბოლავდნენ.
აქეთ და იქით ნუ ჩამითელი შენ გაორებად,
თუ სიყვარული ორივესი შემრჩა ბოლომდე".

სწორედ ასეთმა გამოთქმებმა და, ამასთან, ორივე სამშობლოსადმი სიყვარულმა, და რაც მთავარია, ისრაელში საქართველოდან მუდმივ საცხოვრებლად ჩასულმა ქართველმა ებრაელობამ დაუდასტურა ქართველ ერს, რომ მათ თან გაიყოლეს სითბო და სიყვარული, რომელსაც გრძნობდნენ 2600 წლის მანძილზე მათთან ერთად ცხოვრების პერიოდში – საქართველოში. ორიოვე ეს ერი ძმურად და ერთად ინაწილებდნენ ჭირსა და ლხინს საქართველოში. ორივე ერთად ებრძოდნენ თავგანწირვით გარეშე მტრებს, და ერთად იცავდნენ საქართველოს თავისუფლებას და დამოუკიდებლობას.

სწორედ ამ გარემოებამ ათქმევინა ქართველ ერის მეცნიერებს, ხელოვნების დარგის მუშაკებს, საერთოდ ინტელიგენციას და თამამად შეიძლება ითქვას, მთელ ქართველ ერს, რომ ერთად ერთი თქვენ, ქართველო ებრაელებო, თქვენ გამოიჩინეთ მადლიერების გრძნობა და მხოლოდ თქვენ დაგვაფასეთ, თუმცა თქვენთვის იმდენი და ისეთი არაფერი არ გაგვიკეთებია, რაც სხვათა ერებისათვის უფრო მეტი არ გვეკეთებინოს.

ავტორი, ბატონი გიორგი არანაკლები მნიშვნელობით და საოცრად გარითმული ლექსით აგგვიწერს ჯვრის მონასტრის და შოთა რუსთაველის ისტორიას, თავისებური მახვილი ენით. შემდეგ „მასალა"-ს ეხება, რომლის ტრაგედია ცნობილია ყველა ქვეყნებისასთბეის როგორც ენით აუწერელი ასეულ ადამიანთა ტრაგიკული სიკვდილი მათ მიერ ჩადენილი თვითმკლელელობით, რათა მტერს არ ჩაბარებოდნენ ცოცხლები. ავტორი ლექსს უძღვნის აგრეთვე მრავალი ენის მცოდნეს (პარალელურად, თავისი მშობლიური ენებისას) იცხაკ დავიდს, მკვლევარ მეცნიერს, უდიდეს პატრიოტს ისრაელის და საქართველოს ქვეყნების, მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს. შეეცდები აქაც ნაწყვეტები გავაცნო მკითხველს. ასე მაგალითად, მისდამი მიძღვნილი ლექსის სათაურია „მკვლევარი". (იცხაკ დავიდს):

ყველაფერს გასცემ არაფერს ითხოვ იდუმალების წიაღს ჩასცქერი,
ამ ნანგრევების ხნისა ხარ თითქოს ამომშრალია ფსკერი ჩანჩქერის
რა შემოგენთოთ ცეცხლის ალივით და ჩენს თვალებში უცხოდ კიაფობს,
ძველი კედლები იერუსალიმის, თუ გარინდული ზღვასთან იაფო.
ეს ძახილია მარადისობის, ნანგრევებზე, რომ ღვიის ცეცხლივით

იდუმალება ქვაზე იცნობა. წარღვნის წვიმებით გადარეცხილი
უცრად თვალს გჭრის სორი მირაჟი, დროის დალეწილ ქვებზე ნაწერი.
თეთრი კედელი ბეთ ჰა მიქდაშის, თუ ანთებული ჯვრის მონასტერი.
თუ დაცემულხარ მოძმის გარეშე, ფეხზე დაგომას შენით ცდილობდი
შორეულ გზებზე რა გაგაგონეს, უსასღვროების სიღრმე გაშინებს,
შენ განძარცული და არასმქონე, მარადისობის ეძებ კაეშირებს
არ ჩაგიქრება სულში სინათლე, სანთლად გინთია ფიქრი ნათელი,
ეს სიყვარული შორიდან გჯერა, გულმეცნიერო და მიამიტო,
საქართველოზე ლექსების წერა ეერ მოიშალე იქნებ ამიტომ,
რადგან გინთია ფიქრი სიტყვაში, უსასრულობის ჭიაღს ჩასცქერი,
ქვაში ანთია ბეთ ჰა მიქდაში და მოკიაფე ჯვრის მონასტერი.

ნაშრომის 28-ე და 29-ე გვერდებზე ავტორი ღრმა შინაარსინ ლექსს უძღვნის საქართველოს მკვიდრს, აწ განსვენებულ ბატონ კოტე მახარაძეს, ქართველი ერის და ყოფილ საბჭოთა კაეშირის ხალხთა უსაყვარლეს და უნიჭიერეს მსახიობს. სრული რწმენით და დამაჯერებლობით ვაცხადებ, რომ ყველა ლექსი უაღრესად ღრმა შინაარსიანი და დიდად მოსაწონია, მაგრამ მე მაინც შევეცდები შერჩევით მკითხველს კიდევ წარვუდგინო მხოლოდ რამდენიმეს შესახებ ჩემი შეფასება.

92-ე და 93-ე გვერდებზე მოავსებულია ლექსები სათაურით: „ისევ იმედის შუქი დაძარი". ეს ლექსი გადავწყვიტე მთლიანად გადმომეწერა და გამეცნო მკითხველისთვის, რადგან რომ გადავიკითხე იმდენად ვისიამოვნე, მოთმინება არ მეყო და შევეცადე, რაც შეიძლება მალე გადმომეწერა, რათა არ გადამეფიქრებინა. მასში ნაჩვენებია და ნახსენები ისტორიული გმირები ამირანის, დავით მეფის, შოთა რუსთაველის, მიქელანჯელოს და ვაჟა ფშაველას პიროვნებათა პორტრეტების სახით. მაშ ასე, იხილეთ ეს ლექსი:

ისევ იმედის შუქი დაძარი

ქვეყნიერების შექმნის დღიდანვე, პირველ ნათელის
შექმნის უამიდან,
ბადებდი ქვეყნად უკვდავ ტიტანებს, რომ ცეცხლით ხელში
ეყლო ამირანს.
და იქვე იდგა შუქი გამჩენის, სადაც სატანა ქვესკნელს
ჰყოლია,
დავით მეფესაც მისთვის ანენდი, რომ მორეოდა ბოროტ
გოლიათს.
თუ არა შენ, ვინ თქვას, ვინ მოუფინოს შენს შექმნილ
ადამს დიდო გამჩენო,
სადაც ქვას დებდი მძიმეს, უფორმოს, იქვე ბადებდი
მიქელანჯელოს.
მზესც გმორჩილებდა, ავი ამინდიც, ბნელს ანათებდი
შუქ მბზინავი,
და განსაცდელსაც როცა გზავნიდი, უხმობდი მოსეს

მთიდან სინაის.
როცა აღსვედა სულთა მხუთავი ეშუქრებოდა
მიწას ქაოსი,
მაშინ მოუხმე შოთა რუსთაველს და დასვი წერად
ეფხისტყაოსნის.
სადაც აუშვი ლიუციფერი, იქვე მიეცი მშვილდი ანგელოსს,
შექმენ ჰიტლერიც, აინშტაინიც, ავის და კარგის ერთად
დამრგველო.
მხოლოდ ნაოლისგან ჩანან ლანდები, და ვარსკვლავები
ბნელში ბრწყინავენ,
აქეთ პინას ბოროტს დადებდი, კეთილს დადებდი
იქით პინას.
სიმართლის გეპყრა წმინდა სასწორი, რომ კეთილს
ვეაღრ სძლიოს ბოროტმა,
საუკუნობით და ათასწლობით ქმნილი სამყაროს
წონასწორობას.
და ღვთაებრივი კაცის გონებავ, ამჟამად ნუთუ
ისევ დაკნინდი,
რომ ბორიტისკენ გადიწონება, მისიდულობა
შენი მაგნიტის.
ნუთუ გამქრალა შენი ნასახი, არ ეომება-
უკუნს მნათობი,
ნუთუ სატანის ტეინში ჩასახლდი და ააღსევე
ავი ატომი?
შაე მდინარებად რა დაგმოდინდა, რა ძალა მიეც
სასტიკ ეულკანებს,
თუ ამოუშვი ჯინი ბოთლიდან, რად არ დაამწყვდევ
ისევ უკანვე?
არ წაგეიკეეთო კაცთა იმედი, სანამდე გვახსოვეს
ჩვენი საძვალე,
კეთილ გან'სრახვად განხორციელდი და ბოროტების
ძლევა გვასწავლე.
რომ მძლავრად ენთოს შენი კანდელი, შუქი იმედის
ყველგან მიჰფინო
ერთხელაც ითქვას: იქმენ ნათელი და მოეფინოს
შუქი მსოფლიოს.
ისევ იმედის შუქი დაძარი, ჩვენო მშველელო,
ჩვენო მტანჯველო,
მაღლობის ნიშნად შენი ტაძარი, კელავ
მოგიხატოს მიქელანჯელომ.
მოხრილი წელი ბაწრით გადმიბი, გამითბე ფუძე –
ერთი მტკაველა,
შენი სამკალი, შენი სათიბი, რომ მკას და თიბოს
ვაჟა ფშაველამ.

აღსარება *ლამარას*

ასეთი სათაური აქვს მის ლექსს ნაშრომის 124-ე გვერდზე. შევეცდები ჯერ მოკლე შინაარსი მოვუთხრო მკითხველს და შემდეგ რამდენიმე ფრაზას მოვიტან წიგნიდან.

ლამარა გახლავ სახელი ავტორის მეუღლის. როგორც ჩანს, ავტორი მეუღლის მიმართაც ვალმოხდილია და უაღრესად პატივის-მცემელი. ლექსი იწყება ასე:

დასაბამიდან თითქოს ასე ვარ,
გ'სა სიცოცხლის, ჩემი სიმბოლო,
უცებ მჩვევია სადმე გაქცევა,
რომ საკუთარი თავი ვიპოვო.

მუდამ მივილტვი და არ ვიღლები,
უნდა ვიარო და ვიწრიალო,
და კარნავალის ჭრელი ნიღბები,
არ ამთავრებენ ჩემთან დიალოგს.

ვინ იცის შენებრ ჩემი ავკარგი,
ვინ დამიყვავოს და მომიფონოს?
და მაინც მინდა ბევრჯერ დაგკარგო
და მერე ისევ ბევრჯერ გიპოვო.

ამაოდ ვძებნე, განა მერჩია,
ლურჯი ფრინველი, ოქროს ვერძები,
დავბრუნდები და თურმე შენშია,
რასაც უშორეს გზებზე ვეძებდი.

ამის შემდეგ ავტორს არ გამორჩენია უსაყვარლესი საქართველოს დედაქალაქი თბილისი. აი რა ლექსი მიუძღვნა ავტორმა თბილისს:

სიმღერა თბილისზე

დაეცალ მუდამ მოხიბლული, შენი თილისმით,
ვეძებე და ვერსად ვპოვე, მე სხვა თბილისი.

მოვიარე შორი გზები, სად არ მაწვიმდა,
ვეძებე და ვერსად ვნახე, მე სხვა მთაწმინდა.

მათრობელო ღვინოსავით აღმართ დაღმართ
შენს კედლებზე ფიროსმანი ირმებს ხატავდა.

იყო შენი სიყვარულთ ტანჯვა იოლი
შენს ქუჩებში დადიოდა გალაკტიონი.

რაგინდ გული ფიქრმა მძიმედ გადამინისლოს,
მომაგებებ მზეს და იმედს ჩემო თბილისო

რომ მოგშორდე ერთი დღითაც მომენატრები
სულში მუდამ შრიალებენ შენი ჭადრები.

ნაშრომში მკითხველი იხილავს უამრავი დასახელების ლექსებს, რომლებიც მიძღვნილია ზოგიერთ მწერლებზე, ზოგიც ხელოვნების მუშაკებზე, ნაწილიც ეროვნებებზე, ბუნებასა თუ ქალაქებზე, კომპოზიტორებზე და სხვ. იმდენად მიმზიდველადა და საინტერესოდ დაწერილი, რომ თუნდაც წიგნში დასახელებულთა მხოლოდ მეათედ ნაწილს, რომ შეეხო და შეაფასო, მაშინაც რეცენზიაც იგივე წიგნი.. მოცულობისა გამოვა. ამდენად მე შეგნებულად გადავწყვიტე უკვე წერტილი დავსვა და შევაჩერო წერა და ეუსურვო მკითხველებს მოიძიონ აღნიშნული წიგნი „ბიბლიური მოტივები“ და უშუალოდ დედანში გაეცნონ ამ დიდებულ ნაშრომს.

მეტად დასანანია, რომ ბატონი გიორგი ხუხაშვილი გამოაკლდა ჩვენს რიგებს და იგი განისვენებს ედემის ბაღად წოდებულ მზიური საქართველოს მიწაზე. ამით მან გაუნელებელი სევდა მიაყენა ოჯახს, ახლობლებს, კოლეგებს და მთელ საზოგადოებას. მისი სახელი მარად უკვდავი იქნება და მარად ეხსომებათ ყველა მათ, ვინც მას იცნობდა და ვისაც მისი წიგნები წაუკითხავთ და პიესები უნახავთ.

მიხეილ როკეტლიშვილი
იურისტი და ეკონომისტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი,საქართველოს ღირსების ორდენის კავალერი და თბილისის ერთგულების მედალოსანი

რეცენზია
პროფესორ ამირან ჯიბუტის და ივანე ღლონტის ნაშრომზე:
„საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი“

დამოუკიდებლობის აღდგენის პირველი წლები, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით უმძიმესი იყო საქართველოსათვის.

1991-1999 წლებში ეკონომიკის დაქვეითებისა და მზარდი ბიუჯეტური დეფიციტის პირობებში საქართველოს მთავრობას საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის პრობლემების გადასაჭრელად ფაქტობრივად სხვა არჩევანი არ ჰქონდა, გარდა იმისა, რომ მიემართა საზღვარგარეთის მთავრობებისა და საერთაშორისი საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციებისათვის სესხისა და დახმარებისათვის.

საქართველოს 2008 წლის 1 იანვრისათვის 2 მლრდ. 200 მლნ. აშშ დოლარის საგარეო ვალი დაუგროვდა, რომელიც დღესაც პერმანენტულად იზრდება. ასეთ პირობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო საგარეო ვალის მართვის სრულყოფისა და მათი გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების მეცნიერულად დასაბუთებული ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებას.

სახელმწიფო ვალის მართვისა და ეფექტიანად გამოყენების პრობლემის კვლევა საქართველოში ახალი საქმეა და იგი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დაიწყო. 90-იან წლებში სახელმწიფო საგარეო და შიგა ვალის სხვადასხვა ასპექტები შუქდებოდა მხოლოდ საგაზეთო და საჟურნალო სტატიების სახით. პროფესორ ამირან ჯიბუტისა და დოცენტ ივანე ღლონტის სასარგებლოდ უნდა აღინიშნის, რომ მათ ამ მეტად აქტუალურ პრობლემებზე გამოაქვეყნეს პირველი დასრულებული მონოგრაფიული გამოკვლევა, რომელიც ქართული ეკონომიკური ლიტერატურის მნიშვნელოვან შენაძენს წარმოადგენს.

მონოგრაფიის თემა მეტად აქტუალურია. მთავრობის მიერ სესხების მიღების აუცილებლობის დასაბუთება, სესხის პირობების განსაზღვრა, აღებული სესხების სწორად განაწილება, მკაცრი კონტროლის დაწესება მათ მიზნობრივად და ეფექტიან გამოყენებაზე, ადრე აღებულ სესხებზე სარგებლის გადახდის და ვალის რესტრუქტურიზაციის საკითხების გადაწყვეტა, დიდად შეუწყობს ხელს ქვეყანაში მაკროეკონომიკური არასტაბილურობის დაძლევას და თავიდან აგვაცილებს სავალო კრიზისის გამწვავებას.

დასახული მიზნის მისაღწევად წიგნში დეტალურადაა განხილული სახელმწიფო ვალის წარმოქმნის თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები, სახელმწიფო ვალის მართვისა და ორგანიზაციის, განსაკუთრებით, მიღებული სესხების მიზნობრივად და ეფექტიანად გამოყენების საკითხები.

ნაშრომში დეტალურადაა განხილული სახელმწიფო ვალის წარმოქმნის მიზეზები, განსაზღვრულია სახელმწიფო საგარეო და შიგა ვალების დინამიკა და სტრუქტურა. სათანადო ადგილი აქვს დაომობილი საგარეო დავალიანების შეფასების კრიტერიუმთა დახასიათებას.

ფართო სტატისტიკური და ანგარიშგებითი მონაცემების გაანალიზების შედეგად გამოვლენილია, რომ აღებული სესხების აბსოლუტური უმრავლესობა განაწილებულია არასაწარმოო დარგებში, ან გამოყენებულია საგადასახადო ბალანსის დეფიციტის დასაფინანსებლად და პრაქტიკულად არც ერთი ცენტი არ ყოფილა მიმართული ქვეყანაში სტრუქტურული ხასიათის პრიორიტეტული საწარმოების ასამუშავებლად.

ნაშრომში სათანადო გაანგარიშებებით დადგენილია, რომ საქართველოს საგარეო დავალიანების დასაფარავი თანხა (რომელიც შეიცავს ძირითადი და მომსახურების საპროცენტო თანხებს და ვადაგადაცილებულ დავალიანებებზე დარიცხულ საჯარიმო თანხას) ყოველთვის აღემატება ნებისმიერი მომდევნო წლის საბიუჯეტო შესაძლებლობებს.

ამდენად, საგარეო ვალის მომსახურების საკითხი საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად რჩება და მთავრობის ფისკალური პოლიტიკის მკვეთრი გაუმჯობესების გარეშე არსებული საბიუჯეტო კრიზისის კიდევ მეტად გაღრმავების რეალურ საფრთხეს შეიცავს.

ნაშრომში კრიტიკულადაა შეფასებული საქართველოს მთავრობის მიერ საგალო-საკრედიტო დოკუმენტების შედგენისას დაშვებული შეცდომები. ამასთან, მითითებულია, რომ ქვეყანაში ვალების რესტრუქტურიზაციის დღეისათვის მოქმედი სქემები არაეფექტიანია, რაც სერიოზულ პრობლემებს ქმნის ვალის ძირითადი თანხის დაფარვისა და მომსახურების (პროცენტის) გადახდისას.

ყურადღება ეთმობა საქართველოს საშინაო ვალის პრობლემებს. საინტერესოა ავტორების მოსაზრებები სახელმწიფოს მიერ მოსახლეობის მიმართ წარმოქმნილი ვალდებულებების ინდექსაციის მექანიზმის სრულყოფის თაობაზე.

ნაშრომი სათანადოდ არის შეფასებული ფისკალური სფეროს არადამაკმაყოფილებელი განვითარება, მასზე ისეთი უარყოფითი ფაქტორების გავლენა, როგორიცაა ჩრდილოვანი ეკონომიკის ფართო მასშტაბები. შემოთავაზებულია წინადადებები ჩრდილოვანი ეკონომიკის ლეგალიზაციის მიმართულებით.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ზემოაღნიშნული საკითხი მონოგრაფიაში განხილულია სათანადო მეცნიერული სიღრმით. კვლევის პროცესში მიღებული შედეგები და რეკომენდაციები ძირითადად დასაბუთებულია თეორიული მსჯელობებით, სათანადო სტატისტიკური მონაცემებით, სპეციალური უცხოური და ქართული ლიტერატურის გამოყენებით.

მონოგრაფიის ღირსებას წარმოადგენს, სახელმწიფო ვალის მართვის თეორიულ-მეთოდოლოგიური და ორგანიზაციული საკითხების შესწავლა-განზოგადების საფუძველზე, სახელმწიფო სესხების ეფექტიანად გამოყენებისა და სახელმწიფო ვალის მართვის სრულყოფის ღონისძიებების შემუშავება.

ნაშრომში დაწერილებითაა განხილული ვალების რეფინანსირების, კონსოლიდაციის, გაყინვის, რესტრუქტურიზაციის, ვალების ჩამოწერისა და ვალების გადახდაზე უარის თქმის გზებისა და მეთოდების განხორციელების შესაძლებლობები.

სარეცენზიო ნაშრომი ლიტერატურულად კარგადაა გაფორმებული და ინტერესით იკითხება. იგი ფართო პროფილიან და საფუძვლიან მეცნიერულ-პრაქტიკულ გამოკვლევას წარმოადგენს და მნიშვნელოვან დახმარებას უწევს უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიკური სპეციალობის სტუდენტებსა და ასპირანტებს, მეცნიერ-ეკონომისტებს, სახელმწიფო მოხელეებს, ეკონომიკის დარგის მუშაკებს და, საერთოდ ამ პრობლემით დაინტერესებულ ყველა მკითხველს.

აღნიშნულ ნაშრომს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრემიების მიმნიჭებელი ჟიურის დადგენილებით მიენიჭა „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო პრემის (მონოგრაფიისათვის)“.

მიხეილ როკეტლიშვილი
იურისტი და ეკონომისტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი,საქართველოს ღირსების ორდენის კავალერი და თბილისის ერთგულების მედალოსანი

სამძიმრის წერილი საქართველოს ექს-პრეზიდენტს, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს მისი მეუღლის ნანული ცაგარეიშვილის გარდაცვალების გამო

ბატონო ედუარდ!

უდიდესი გულისტკივილით ვიზიარებ ენით უთქმელ თქვენს უაღრესად დიდ განსაცდელს და ღრმა მწუხარებას უძვირფასესი და უსაყვარლესი მეუღლის, ქალბატონი ნანულის უდროოდ გარდაცვალების გამო. იგი სინამდვილეში ჩვეულებრივი მეუღლე როდი იყო. იგი თქვენი უშუალო და პირდაპირი თანამებრძოლი და სულიერი მეგობარი გახლდათ. გმირი მატროსოვიევით თქვენს დასაცავად ყველგან და ყოველთვის ტყვიამფრქვევზე მკერდით გადაფარებული და გასტელოსავით მზადმყოფი მისი გმირული ეპიზოდის გასამეორებლად, რომელმაც ნაცვლად პარაშუტის გამოყენებისა ალმოდებული თვითმფრინავი მტრის ბრძმედებისაკენ წარმართა.

ქალბატონ ნანულის შევადარებდი აგრეთვე გიორგი სააკაძის მეუღლეს, რომელიც მეომარი მამაკაცის ტანსაცმელში გარეშე მტრებთან ბრძოლის ველზე აღმოჩნდა გიორგის გვერდზე. მაგონდება კინოფილმიდან გიორგის როლში აკაკი ხორავა გაოგნებული, რომ მიმართავს ვერიკო ანჯაფარიძეს... „რუსუდან! შენც აქ ხარ?!" აი, ასეთი იყო ქალბატონი ნანული ყოველთვის თქვენს გვერდით. როგორც ჩანს, ნანული ვალში არ დარჩა თქვენს წინაშე და მანაც პირნათლად ატარა ღირსეული მეუღლის სახელი. თქვენს ახალგაზრდობაში, ვიდრე ნანულის შვირთაედით, საკავშირო ხელისუფლებამ წინადადება მოგცათ, რომ აგერჩიათ ან კომკავშირის ცეკა-ს პირველი მდივნობა, ან ნანულისთან შეუღლება, (რადგან ორივე ერთად კომუნისტური რეჟიმის პერიოდში შეუძლებელი იყო). მას მ'შობლები თურმე იმ ავადსახსენებელ პერიოდში: 30-იან, 37 წლებში უკანონოდ რეპრესირებული ჰყოლია. რა თქმა უნდა თქვენ ქალბატონ ნანულისთან შეუღლება აირჩიეთ და ამიტომაც ღმერთმა უფრო დიდად გაგიმაროლათ და არათუ კომკავშირის, არამედ პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნობას და, ბოლოს, საკავშირო მასშტაბით ისეთ კარიერას ეწიარეთ, რომ მსოფლიო არენაზე გახვედით და კაცობრიობას სამარადისო მხსნელად მოევლინეთ.

ცხადია, ამჟამად ვერავინ და ვერაფერი ქვეყანაზედ ამ მძიმე ხვედრით გამოწვეულ სევდას ვერ გაგინელებთ და ვერ შეგიმსუბუქებთ,

მაგრამ, ბატონო ედუარდ! თუ გავიხსენებთ საყოველთაოდ აღიარებულ ოქმულებას: „მარადიული, რომ ყოფილიყო სიცოცხლე არც ჩვენ გაეჩნდებოდით ამ ქვეყანაზედ"; ამ თუნდაც ჩვენი სახელოვანი მწერლის აკაკი წერეთლის პოემა „გამწრდელში" გამოთქმულ ფარასას: „მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი, გაახარებს ვისმეს განა, თაფლში ურევს მწარე ნაღველს, მტრისას მისი გამოცანა". ამდენად, მხოლოდ ისღა დამრჩენია გირჩიოთ, გამაგრდით, თქვენთვის ჩვეული ნებისყოფით აკეთეთ ის, რაც გაახარებდა ქალბატონ ნანულის. ამით უფრო უკედაესყოფთ მის სახელს. მე მჯერა და უთუოდ თქვენც დამერწმუნებით, რომ რასაც თქვენ მიაღწიეთ, ამაში დიდი წელილი მიუძღვის ქალბატონ ნანულისაც და ამდენად, უპირველეს ყოვლისა, მასაც უნდა ეუმადლოდეთ რთულ სიტუაციებში თქვენს წარმატებებს.

ღმერთმა იცის, რამდენი ღამე გითენებიათ ერთად მსჯელობისას ქვეყნისა და ერის პრობლემურ საკითხებზე, სახელდობრ, პოლიტიკასა და ეკონომიკაზე, საერთაშორისო თუ შიდა სამართალზე, და რაც მთავარია, რომელ დიდ სახელმწიფოზე აგეღოთ ორიენტაცია: მეზობლად მყოფზე, თუ ოკეანის გაღმა მდებარეზე. მართალია ცნობილი ანდაზა „შორს მყოფ კარგ ნათესავს გლახა მეზობელი სჯობია"-ო, მაგრამ სამწუხაროდ მუდამ რომ არ ამართლებს? მით უმეტეს თანამედროვე პირობებში, როდესაც ტექნიკამ უმაღლეს მწვერვალებას მიაღწია და ადვილი შესაძლებელია, შორს მყოფი ნათესავად წოდებული დიდი სახელმწიფო შენთან უფრო ადრე გაჩნდეს საშველად, ვიდრე ახლოს მყოფი ავი მეზობელი, რომელიც კარს გაცილებით გვიან შემოგიღებს და ამასთან დაგვიანების ყალბ მიზეზსაც დაგისახელებს.

საერთოდ, კი უნდა ითქვას, რომ ძნელია სწორი გადაწყვეტილების მიღება. ამაში ღმერთი უნდა დაგვეხმაროს და ხალხიც ერთ მუშტად უნდა შეიკრას, რათა ნამდვილად მივაღწიოთ ჩვენს „ცა ფირუზს ხმელეთ ზურმუხტ საქართველოს" გამთლიანებას და ყველა ლტოლვილთა თავიანთ მშობლიურ კერაში დაბრუნებას.

ვიმედოვნებ, რომ თქვენი თანამოაზრენი და თაყვანისმცემლები, შინ თუ საზღვარგარეთ მყოფნი გაიზიარებენ თქვენს ამ დიდ მწუხარებას და ყველანაირად შეეცდებიან გაგიადვილონ ამ მძიმე სევდის გადატანა, რათა კვლავ გეკეთებინოთ თქვენი საყვარელი საქმე, თუნდაც „მემუარების" წერა, რომელიც უდაოდ გამოადგებოდა არა მარტო ჩვენს, არამედ მთელი რიგი ქვეყნების ხალხებს.

იმაშიც ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ იმ წრეს და სფეროს, სადაც ქალბატონ ნანულის უხდებოდა მოღვაწეობა, ყოველთვის ეხსომებათ მისი სიცოცხლით სავსე შემოქმედება და უანგარობა, რითაც არაერთ თანამშრომელს გაუკაფა გზა და ცხოვრება გაუადვილა.

ბატონო ედუარდ! გისურვებთ კვლავ დიდხანს იცოცხლოთ და სულ ჯანმრთელი ყოფილიყავით, რათა უკედაყოთ ქალბატონი ნანულის როგორც საოცრად დიდებული მეუღლის, დედის და ბებიის ნათელი ხსოვნა.

მიხეილ როკეტლიშვილი
იურისტი და ეკონომისტი, ეკონომიკურ
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
აკადემიკოსი, ღირსების ორდენის კავალერი

ქ. ნიუ იორკი, 15 მარტი, 2005 წ.

სამძიმრის წერილი ბატონ ალექსანდრე კუჭუხიძეს მისი მეუღლის, ვენერა ესაკიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით

უდიდესი გულისტკივილით ვიზიარებ თქვენს ღრმა მწუხარებას – უსაყვარლესი და ძვირფასი მეუღლის ქალბატონ ვენერას გარდაცვალების გამო.

ბატონო ალექსანდრე! საერთოდ ცნობილია, რომ ოჯახის ნებისმიერი წევრის გარდაცვალება ცხადია უდიდესი უბედურებაა, მაგრამ მამაკაცისათვის მეუღლის გარდაცვალება, რომელთანაც ცხოვრების რამდენიმე ათეული წლები ტკბილად, ერთად ჰქონდათ გატარებული, კიდევ მეტი შემზარავი და გაუნელებელი სევდაა, რომელსაც ვერავითარი წლები (თუნდაც სიხარულების) ვერ განკურნავს. ცხოვრების ყოველი ეპიზოდები მწარე და ტკბილიც მძიმე მოგონებად რჩება.

თქვენს მდგომარეობაში მყოფთათვის ბატონო ალექსანდრე, არის ასეთი აღიარებული თქმულება: სიკვდილი, რომ არ ყოფილიყო, არც ჩვენ გავჩნდებოდით ქვეყანაზე. ამასთან, ისიც ხომ მხედველობაშია მისაღები და გასათვალისწინებელი, რომ მსგავს მდგომარეობაში ასეულობით და ათასობით ადამიანები არიან და ბუნების და განგების წინააღმდეგ წასვლა არავის ძალუძს.

ჩემი ამერიკაში 11 წლის მანძილზე ცხოვრების განმავლობაში ორი პიროვნების მიმართ მომიხდა მათი ძალზედ მძიმე სევდის გაზიარება, რომლებსაც წერილობით მივუსამძიმრე. თქვენც ორივეს კარგად იცნობთ: ერთ-ერთი ჩვენი კოლეგა, პროფესორი როზეტა ასათიანია, რომლის მეუღლე ჩვენი საერთო მეგობარი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, უნივერსიტეტში ერთ-ერთი კათედრის გამგე. იგი ამავე დროს პარალელურად მეცნიერებათა აკადემიის ყოფილ ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში მრავალ საშტატო ერთეულისაგან შემდგარ განყოფილების გამგედ მოღვაწეობდა.

ეს სამძიმრის წერილი ჩემს წიგნში შევიტანე ამ სულნათელი კაცის ხსოვნის უკვდავსაყოფად და, თურმე ნუ იტყვით, ქალბატონმა როზეტამაც თავის ბოლო ერთ-ერთ 567 გვერდიან ფართო მოცულობის წიგნში, რომლის სახელწოდებაა „პატარა ქვეყანას დიდი შეცდომების დაშვების უფლება არა აქვს“ და რომლის მეცნიერ რედაქტორი ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ბატონი ლეო ჩიქავა გახლავს 529 და 530 გვერდებზე გამოაქვეყნა.

რაც შეეხება მეორე სამძიმრის წერილი ბატონ ედუარდ შევარდნაძეს გავუგზავნე მისი მეუღლის, ქალბატონ ნანულის უდროოდ გარდაცვალების გამო, და ამ წერილის გამოქვეყნებას ჩემს მომდევნო წიგნში ვაპირებ. ეს ორი მნიშვნელოვანი ფაქტი იმიტომ გაგახსენეთ ბატონო ალექსანდრე, რომ მეთქვა მარტო თქვენი ხვედრი არ ყოფილა ეს მძიმე განსაცდელი. გამომდინარე ყოველივე აღნიშნულიდან გადავწყვიტე თქვენც ისეთივე თხოვნით მოგმართოთ, როგორც მათ, რათა თავს გაუფრთხილდეთ და თქვენთვის ჩვეული შემართებით მეცნიერული და საზოგადობრივი მოღვაწეობა გააგრძელოთ და აკეთოთ ის რაც მეტად გაახარებდა თქვენს მეუღლეს.

ბატონო ალექსანდრე! თქვენ კელავ მეტად სჭირდებით შვილებს, შვილიშვილებს, შვილთა შვილებს, კოლეგებს, შრომით კოლექტივებს, რომლებსაც წლების მანძილზე ხელმძღვანელობდით უნივერსიტეტსა თუ ინსტიტუტებში, უყვარხართ და პატივს გცემენ. მე კარგად მახსოვს ბატონო ალექსანდრე ჩემი მეცნიერებაში მოღვაწეობის ბოლო ორი ათეული წლის მანძილზე (1975 წლიდან 1995 წლამდე ამერიკაში მუდმივ საცხოვრებლად ჩემს გამგზავრებამდე) რამდენი ახალგაზრდა მეცნიერს დახმარებიხართ და მათთვის გზა გაგიკვალავთ დროის და ენერგიის დაუზოგავად, რამდენი გიხსნიათ ბოროტ და მოშურნეთა მიერ დაგებულ მახესაგან და მრავალიც დაგისაქმებიათ პირადი რეკომენდაციით, რომ მათთვის ცხოვრება გაგეადვილებინათ. ყოველივე ამის შემდეგ რა თქმა უნდა განგებას არ უნდა გაემწარებინეთ და ესოდენ მძიმე მოუნელებელი ტრამვა არ უნდა მიეყენებინა თქვენთვის, უსაყვარლესი მეუღლის უდროოდ დაღუპვით.

სულიერ მამებს ხშირად უთქვამთ, რომ მომხდარი ტრაგიკული მოვლენა, რაც არ უნდა სასწაულებრივად უცნაურად გვეჩვენებოდეს ღმერთის კრიტიკაში არ უნდა შევიჭრეთ – და მას არ უნდა ვედაოთ: რატომ, რისთვის, რის საზღაურად და სხვ. ბოლოს იგივე მამები ასეთ განმარტებას იძლევიან: ხომ შეიძლებოდა უარესი მომხდარიყო, მაგრამ ეს იკმარა. ამდენად ვირწმუნოთ, რომ აქ, თუ იმ ქვეყნად ყველაფერი დალაგდება, კეთილი თავისას იმკის და შესაფერის ადგილს იკავებს. ადრე თუ რელიგია დევნიდა მეცნიერებას, მერე შეიცვალა პოზიციები და მეცნიერება ილაშქრებდა რელიგიის წინააღმდეგ. ამჟამად კი თითქმის ორივე ერომანეთს უწყობს ხელს, და ერთიანი ძალით სურთ გადაწყვიტონ მსოფლიო მნიშვნელობის პრობლემები. ბატონო ალექსანდრე! ახლა რაზეც გესაუბრებით ყოველივე ეს თქვენ, ჩემზედ უკეთ მოგეხსენებათ, მაგრამ რუსთაველის თქმისა არ იყოს: „რა აქიმი დასნეულდეს, რაზომ გინდა საქებარი, მან სხვა იხმოს მკურნალი და მაჯისა შემტყობარი“, შეიძლება ეს ფრაზა დასაზუსტებელია მაგრამ შინაარსი ძირითადად მგონი გასაგებია.

მე და ჩემი მეუღლე ხშირად ვსაუბრობთ ხოლმე სიკეთილის თემაზე. სახელდობრ, ადრე სულ იმას გავიძახოდით, რომ ერთად სიკეთილი უფრო მისანშეწონილია, რადგან ძნელი ასატანი იქნება უერთმანეთობა. მაგრამ ამ ბოლო დროს სრული შეგნებით გადაეწყვიტეთ, რომ ჩვენი საბოლოო ნავსაყუდელი, მშობლიური მიწა, საქართველოა, ედემის ბაღად და მსიურ ქვეყნად წოდებული.

ქვეყანა, რომლის ხალხთან 2600 წელი ვიცხოვრეთ და მთელი ამ ხნის განმავლობაში ერთად ვიზიარებდით ჭირსა თუ ლხინს, და ქვეყანა რომლის გმირული და ტრაგიკული ისტორია ტყუპის ცალივით ჰგავს ისრაელის ქვეყანას.

არც ის არის საიდუმლოება და კარგადაა ცნობილი, რომ სწორედ საქართველო გახლდა ის ერთადერთი ქვეყანა, რომლის ხალხმა, ქართველმა ერმა, ებრაელობა გააცილა ისრაელში მუდმივ საცხოვრებლად თვალცრემლიანმა, სუფრა გაშლილმა და ლოცვა-კურთხევით, იმ დროს, როდესაც ყოფილ საბჭოთა სხვათა რესპუბლიკებიდან აცილებდნენ ლანძღვა-გინებით და წყეველა-კრულვით. თუნდაც ის ფაქტიც რომ სწორედ საქართველო გახლდა ის ქვეყანა, რომელმაც ერთადერთმა პირველმა ამერიკასთან ერთად დაუჭირა მხარი ისრაელს მსოფლიო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ყოველივე ამის შემდეგ როგორც შეიძლება საქართველოში შობილი და გაზრდილი, სადაც მისი წინაპრების და ახლობელთა საფლავებია სხვაგან დაიდოს ბინა და სხვაგან დაიმარხოს.

ვისაც თუნდაც მსოფლიოში ყველაზე მდიდარი და ძლიერი ქვეყნის - ამერიკის საფლავები დაუთვალიერებია დარწმუნდება, რომ თვით მილიონერ უმრავლესობათა ბიუსტებზე საქართველოში ყველაზე ღარიბის და საშუალო მაცხოვრებლის ბიუსტები უკეთესია და მათი უმეტესობა შემოღობილია მარმარილოს ქვაფენილით. მიცვალებულის საფლავი დაცულია მთლიანად. ჭირისუფალი თუ საერთოდ მნახველი მას გარშემო უელის და არა მსგავსად ამერიკისა ზედ ცხედრის საფლავზე არ დაიარებიან. ამერიკაში ჩვენს სამაროლიან შენიშვნაზე მესაფლავეთა ადმინისტრაციამ ასეთი განმარტება მოგვცა, რომ აღმართულ ბიუსტსა და ორი მეტრით მოშორებულ მიწაზე მიცვალებულის ადგილია და ზევიდან არ უნდა გაიარო, რადგან შემორაგული არ არის ეს კი ძნლად გასათვალისწინებელია. მით უმეტეს როდესაც ახალი მიცვალებულის დაკრძალვის ცერემონიალი მიმდინარეობს დამსწრე საზოგადოება იძულებულია სხვათა საფლავებზე დადგეს, რათა ერთმანეთს და სულიერ მამებს თუ სიტყვებში გამომსველელ ორატორებს მოუსმინონ.

აქედან გამომდინარე, და კიდევ მთელი რიგი სხვა სამართლიანი მოტივების გათვალისწინებით მე და ჩემმა მეუღლემ გადაეწყვიტეთ ერთად კი არ მოგვიხდეს ამ ქვეყნიდან წასვლა, არამედ ცალ-ცალკე. ეს იმიტომ, რომ ჩვენი შვილები საქართველოში აღარ წაგვიყვანენ რადგან მათი

სურვილია, რომ აქვე ამერიკაში ვყავდეთ ახლოს, ხშირად მონახულების მი'სნით. ჩვენ კი ქ. თბილისში გამ'სადებული მარმარილოს ქვებით შემოფარგლული საფლავი გველოდება, სადაც ჩვენი 25 წლის ასაკის ვაჟიშვილის საფლავია, რომელიც ხაშურის საავანდმყოფოში (მძიმე ქირუგიული ოპერაციის შედეგად) გარდაიცვალა, და სადაც ახლობელთა საფლავებია.

მიხეილ როკეტლიშვილი
იურისტი და ეკონომისტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი, ღირსების ორდენის კავალერი

ქ. ნიუ იორკი, 20 დეკემბერი, 2006 წ.

სამძიმრის წერილი პროფესორ როზეტა ასათიანს მის მეუღლის ბატონ გიორგი ადეიშვილის უდროოდ გარდაცვალების გამო

ქალბატონო როზეტა! ჩემთვის გახდა რა ცნობილი, თქვენი უსაყვარლესი და ძვირფასი მეუღლის, ბატონი გიორგის უდროოდ გარდაცვალების ამბავი, ძალ'სედ შევწუხდი და განვიცადე. უმალ თვალწინ წარმომოდგა მისი ახოვანი, ვაჟკაცური გარეგნობა, საუბრის საოცრად მომაჯადოებელი ტკბილი მანერა, მისი ხმის და ინტონაციის სასიამოვნო ტემბრი და დიქცია.

მისი გამოსვლა საბჭოს სხდომებზე, უნივერსიტეტსა თუ ინსტიტუტში, დისერტაციების დაცვისას, ან სხვა პრობლემური საკითხების გადაწყვეტისას და ლექციების კითხვისას იყო იმდენად ღრმა შინაარსიანი და ყოველთვის დამაჯერებელი, რომ ხშირად სხდომებ'ზე დადგენილების გამოტანის, ხოლო ლექციების კითხვისას კი სტუდენტების და დამსწრე საზოგადოების მიერ ხოტბა-დიდების გამოხატვის საფუძველი ხდებოდა. ამასთან, რაც მთავარია, იგი ყოველთვის მზად იყო სიკეთის დათესვის და დახმარების აღმოსაჩენად, ვინც კი ამას საჭიროებდა. რაოდენ დასანანია, რომ მიუხედავად მის მიერ მრავალი წლების მანძილზე გაღებული თავდაუზოგავი შრომისა ეკონომიკურ მეცნიერებაში, თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მას კიდევ ბევრის გაკეთება შეეძლო, რათა კელავ სიკეთე მოეტანა თავისი ქვეყნისა და ერისათვის, რაც დღეს მით უმეტეს ყველაზე მეტად სჭირდება ჩვენს ქვეყანას, საქართველოს და ქართველ ერს.

ქალბატონო როზეტა! ცხადია ვერავინ და ვერაფერი ქვეყანაზედ ვერ განუგეშებთ ისე, რომ მთლად მოგიხსნათ ესოდენ მძიმე ხვედრით გამოწვეული სევდა, მაგრამ თუ გავიხსენებთ საყოველთაოდ აღიარებულ დევიზს:" მარადიული რომ ყოფილიყო სიცოცხლე არც ჩვენ გავჩნდებოდით ამ ქვეყანაზედ", ან თუნდაც ჩვენი სახელოვანი მწერლის პოემა „გამწრდელიდან" გამოთქმულ ფრაზას: „მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვინმეს განა, თაფლში ურევს მწარე ნაღველს, მტრისას მისი გამოცანა". ამდენად ჩვენ მხოლოდ ისღა დაგვრჩენია გირჩიოთ გაუფრთხილდეთ თქვენს ჯანმრთელობას და აკეთოთ ის, რაც გაახარებდა ბატონ გიორგის და რითაც იამაყებდა იგი. მე მჯერა ის, რომ სიცოცხლე კიდევ უფრო მეტად იმისათვის უხაროდა, რომ თქვენი სახით ჰყავდა ნამდვილი სულიერი მეგობარი, უძვირფასესი მეუღლე, პროფესიით თანაბარი კოლეგა, გამგები და თანამოაზრე. ვინ იცის რამდენი ღამე გაგითენებიათ ერთად მსჯელობისას ქვეყნის და ერის პრობლემურ

საკითხებზე, პოლიტიკასა თუ ეკონომიკაზე, საერთაშორისო, თუ ქვეყნის შიდა სამართალზე. იმედი მაქვს ბატონი ლეო ჩიქავას აკადემია და როინ მეტრეველის უნივერსიტეტი, სადაც თქვენ წლების მანძილზე მოღვაწეობდით, ყოველმხრივ ხელს შეგიწყობენ, რათა შეგიმსუბუქონ ბატონ გიორგის უდროოდ გარდაცვალებით გამოწვეული ესოდენ მძიმე მდგომარეობა.

ისეთი ბუმბერაზი კორიფეების, მეცნიერების, როგორებიც იყვნენ აკადემიკოსები: პაატა გუგუშვილი და ვასილ ჩანტლაძე, მათი ხელმძღვანელობით აღსრდილნი თქვენი კოლეგები, არ დაივიწყებენ ბატონი გიორგისთანა პიროვნებას და გულით გაიზიარებენ თქვენს დიდ მწუხარებას, ყოველივეს მოიმოქმედებენ, რათა უკვდავყონ მისი სახელი და დიდება. უდავოდ, ისინიც თქვენთან ერთად განიცდიან რა ბატონი გიორგის არ ყოფნით გამოწვეულ სიცარიელეს დიდხანს გულნატკენი ხშირად მოიგონებენ მის კეთილ საქმეებს, მის მიერ გაღებულ პირუთნელ წვლილს მრავალი ახალგაზრდა თაობის აღსრდის საქმეში და შეეცდებიან გადაგატანინონ ეს დიდი ტრამვა.

გამჩენ ღმერთსა ვთხოვ ნათელში ამყოფოს გიორგის სპეტაკი სული და მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის საქართველოს მშობლიური მიწა. თქვენ და თქვენს შვილებს და ყველა ახლობლებს მრავალი წელი გეცოცხლოთ და სულ ჯანმრთელად ყოფილიყოთ, რომ უკვდავყოთ ბატონ გიორგის ნათელი ხსოვნა. მე ერთ-ერთ წერილში ბატონ ლეო ჩიქავაზე ვწერდი, რომ იგი ყველა იმ შრომითი კოლექტივების, სადაც კი მას უმოღვაწია, ერთ მუშტად შეკერის, ურთიერთ გატანის და ძმობის უდიდესი ორგანიზატორია და ამდენად ვიმედოვნებ, რომ ასეთ პიროვნებათა წრეში არ უნდა იგრძნოთ თავი მარტოდ და კვლავ უნდა გვახარებდეთ თქვენი შემდგომი სამეცნიერო კვლევითი, შემოქმედებითი მოღვაწეობით.

მიხეილ როკეტლიშვილი
იურისტი და ეკონომისტი, ეკონომიკურ
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
აკადემიკოსი, ღირსების ორდენის კავალერი

30 მარტი, 1999 წ.

დანართები

ედუარდ შევარდნაძე

ფიქრი წარსულსა და მომავალზე

მემუარები

ალიტარა I.
[illegible]
2[illegible]

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემია

საქართველოს ეკონომისტთა ასოციაცია

დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის
ინსტიტუტი

პაატა გუგუშვილი

დაბადების 100 წლისთავი


საგამომცემლო ფირმა „სიახლე“
თ ბ ი ლ ი ს ი 2006

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი

რამაზ აბესაძე

ეკონომიკური განვითარება

გამომცემლობა „მერიდიანი"
თბილისი
2006


გურამ ბათიაშვილი
სახვები და სიტყვები

გურამ გათიაშვილი


სახლები და სიტუაციები

(დრამატურგის ჩანაწერები)

1987-2003 წ.

გამომცემლობა „საარი"

გურამ ბათიაშვილი



ალფრედ ქურატაშვილი
ALFRED KURATASHVILI

ადამიანის უფლებები და ხალხის ეკონომიკური გადარჩენის თეორიები

ПРАВА ЧЕЛОВЕКА И ТЕОРИИ ЭКОНОМИЧЕСКОГО ВЫЖИВАНИЯ НАРОДА

HUMAN RIGHTS AND THEORIES OF ECONOMIC SURVIVAL OF PEOPLE

ALFRED KURATASHVILI

HUMAN RIGHTS AND THEORIES OF ECONOMIC SURVIVAL OF PEOPLE



„თანასწორობის პირობა დამოუკიდებლობა
ერის დამოუკიდებლობაა არ არის"

ალფრედ კურატაშვილი

[illegible] 60,
№ 1 (7). გვ 160

"НЕЗАВИСИМОСТЬ ДОЛЖНОСТНЫХ ЛИЦ НЕ
ЕСТЬ НЕЗАВИСИМОСТЬ НАЦИИ".

Альфред Кураташвили

Конституционные права человека и необходимость радикальной перестройки системы аттестации научных кадров. Периодический научный журнал "Интеллект". 2000, № 1 (7). с. 160.

"INDEPENDENCE OF HIGH-RANKING OFFICIALS IS
NOT INDEPENDENCE OF THE NATION".

Alfred Kuratashvili

Constitutional rights of a man and the necessity of radical reorganization of the qualification system of scientific personnel (In the Russian language). Periodic scientific journal "Intellect". 2000, 1 (7). p. 160.

საქართველოს ეროვნული აკადემიის
აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

ალფრედ კურატაშვილი

ადამიანის უფლებები და ხალხის ეკონომიკური გადარჩენის თეორიები

ეკონომიკური და პოლიტიკურ-სამართლებრივი ასპექტები

საერთაშორისო გამომცემლობა "პროგრესი"
თბილისი
2003

დავით კურძანიძე


ეკონომიკური ლექსიკონი

თბილისი 1991

დავით კურტანიძეს

ხორეპკონომიკური დეშიფრი

სსუ გამომცემლობა
თბილისი 1991


ᲓᲦᲔ ᲯᲐᲠᲘᲡ
ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ
ᲓᲦᲔᲔᲑᲘ,
ᲡᲘᲪᲘᲪᲮᲚᲘ,
ᲐᲜᲗᲠᲐᲥᲘᲡᲘ,
ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
ᲒᲐᲜᲐᲗᲔᲑᲘᲡ
ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ

სარედაქციო საბჭო



ნოდარ ჟითანავა



გიული კვიჭიძე



თეიმურაზ ბაგუნაშვილი



თამაზ იველაძე



თამაზ დანელია



გელათი. XII ს.

სარედაქციო საბჭოს, გამომცემლის, ავტორის ტელეფონები:
31-18-50; 31-14-75; 39-86-08.
საფოსტო მისამართი: ალექსანდრე ყაზბეგის 45,
საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტი.
ვებ-გვერდი: http://www.aleksandre.edu.ge

ისაკ მეგრელიანშვილი

ლტოლვილთა ქარავანი

პოემა


გამომცემლობა „ქალდეა"
თბილისი
1995

იაშა მესხია

სახელმწიფო ფინანსური კონტროლი

განვითარების კონცეფცია

ბატონ მიხეილ ჩოკოლოშვილს,
ჩვენს ძველს თანამშრომელს, საუკეთესოს ო
ლიტერატურულ მეგობარს და საზოგადო მოღვაწეს, მსოფლიო
შესანიშნავ ნაშრომის ავტორსაც
წარმატებებს, გამოცდილებას, სიფრთხილეს თანდ
ლ შრომისუნარიანობას, ჯანმრთელობას, ძალას
ლ სიგრძის მოსვლას, ტკბობისთვის ვაჟკაცობის
ლ ლიტერატურის თანდაცვის კავკასიონს
ყალიშვილი ნუცუბიძეებისა
ლ მეგობრული სიყვარულით
იაშა მესხია თბილისი 25 სექტემბერს
2008 წელი


გურამ პაატაშვილი
ГУРАМ ПААТАШВИЛИ
GURAM PAATASHVILI
ისტორიის ფურცლები
СТРАНИЦЫ ИСТОРИИ
PAGES OF HISTORY



7.09.98.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია


საქართველოს სტრატეგიისა და
საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი

ვლადიმერ პაპავა

პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა

თბილისი

2002



დისკუსია თემაზე: პრივატიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემები საქართველოში

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემია

დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის
ინსტიტუტი

ლეო ჩიქავა

ინოვაციური ეკონომიკა

საგამომცემლო ფირმა „სიახლე“
თ ბ ი ლ ი ს ი 2006



საქართველოს სსრ
უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი

ს ი გ ე ლ ი
ГРАМОТА

Президиум Верховного Совета
Грузинской ССР



ამხ. რ ო ჟ კ ე ბ ლ ი შ ვ ი ლ ს


მიხეილ ილიას ძეს

ეკონომიკური მეშაობის სრულყოფის საქმეში წვლილისათვის საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1990 წლის 31 აგვისტოს ბრძანებულებით მოგანიჭათ ოქვენ საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის საპატიო წოდება

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

თბილისი



Тов. РОКЕТЛИШВИЛИ
Михаилу Ильичу

За вклад в совершенствование экономической работы Президиум Верховного Совета Грузинской ССР Указом от 31 августа 1990 года присвоил Вам почетное звание ЗАСЛУЖЕННОГО ЭКОНОМИСТА ГРУЗИНСКОЙ ССР.

Председатель Президиума
Верховного Совета Грузинской ССР

Секретарь Президиума
Верховного Совета Грузинской ССР



მიხეილ რატიშვილი

საქართველოს პრეზიდენტის
1999 წლის 3 მარტის

№ 162

განკარგულებით დაჯილდოვდა

ღირსების ორდენით

№ 01489





ქ თბილისის მერია

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 7 6


30 ოქტომბერი 2003 წელი

„ქ. თბილისის ერთგულების მედლით“ დაჯილდოვდეს მიხეილ როკეტლიშვილი — ნიუ-ორკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრი-აკადემიკოსი.

ქ. თბილისის მერი ი. ზოდელავა









შინაარსი

წინასიტყვაობა 10

ჩემი თვალსაზრისი საქართველოს ექს-პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის წიგნ'ზე "ფიქრი წარსულსა და მომავალ'ზე - მემუარები" 11

გამოძახილი აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილ კრებულზე 35

რეცენზია პ.გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორ, პროფესორ რამაზ აბესაძის ნაშრომზე: "ეკონომიკური განვითარება" 64

გამოძახილი ნიუ იორკის მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის როზეტა ასათიანის წიგნზე: „პატარა ქვეყანას დიდი შეცდომის უფლება არა აქვს" 66

გამოძახილი მწერლის, დრამატურგის და საზოგადო მოღვაწის, ქართულენოვანი გაზეთის „მენორა" დამაარსებლის და მთავარი რედაქტორის, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, საქართველოს ღირსების ორდენის კავალერის, ბატონ გურამ ბათიაშვილის წიგნზე: „ვარ დარაჯი ჩემი ძმისა" 77

გამოხმაურება ბატონ გურამ ბათიაშვილის მორიგ ნაშრომზე: "სახეები და სიტუაციები" 92

რეცენზია ცნობილი მეცნიერის, პროფესორის, გერა დავარაშვილის ნაშრომზე: „საბაზრო ეკონომიკის ლექსიკონი" 111

რეცენზია სოციალურ-ეკონომიკური მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის ბატონ ალფრედ კურატაშვილის მონოგრაფიაზე: „ადამიანის უფლებები და ხალხის ეკონომიკური გადარჩენის თეორიები" 115

რეცენზია ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ, ბატონ დაით კურტანიძის ნაშრომზე: „ეკონომიკური ლექსიკონი" 124

გამოძახილი საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, ნიუ იორკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, ბატონ ალექსანდრე კუჭუხიძისადმი მიძღვნილ წიგნზე: „დრო გადის" 128

აკადემიკოს, ბატონ ალექსანდრე კუჭუხიძის შემოქმედებითი ცხოვრების შესახებ 150

გამოძახილი ცნობილი მწერლის ელდარ მამისთვალაშვილის წიგნ'ს: „ქართველ ებრაელთა ისტორია“ 154

გამოძახილი ექიმ-ფსიქიატრის და ნერვოპათოლოგის, პროფესორ ისაკ მეგრელიშვილის ნაშრომზე: „ლტოლვილთა ქარავანი“ 166

გამოხმაურება პროფესორ იაშა (იაკობ) მესხიას წიგნზე „სახელმწიფო ფინანსური კონტროლი: განვითარების კონცეფცია“ 172

რეცენზია საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების პრეზიდენტის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსის ბატონ როინ მეტრეველის ნაშრომზე: „ებრაელები საქართველოში“ 178

გამოძახილი ნიუ იორკის მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრის ბატონ გურამ პაატაშვილი ბროშურაზე: „ისტორიის ფურცლები“ 191

რეცენზია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტ, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორ, პროფესორ ვლადიმერ პაპავას წიგნზე: „პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა“ 200

გამოძახილი საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, ცნობილი ჟურნალისტის, ბატონ რეჟას ფაჩულია ინტერვიუსუ: „დედა ადამიანებმა გაწირეს, მგლებმა კი გადაარჩინეს“ 205

რეცენზია ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, სოციალ-ეკონომიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის წევრ-კორესპონდენტ რ. შენგელიას ნაშრომზე:„პრივატიზაცია და ძირითადი კაპიტალის განახლების სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები“ 210

გამოძახილი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის ბატონ ლეო ჩიქავას წიგნზე: „ინოვაციური ეკონომიკა“ 213

გამოძახილი მწერლის, დრამატურგის, ღირსების ორდენის კავალერის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, აწ განსვენებული, ბატონ გიორგი ხუხაშვილის ერთ-ერთ ნაშრომზე: „ბიბლიური მოტივები“ 218

რეცენზია პროფესორ ამირან ჯიბუტის და ივანე ღლონტის ნაშრომზე: „საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი“ 227

სამძიმრის წერილი ედუარდ შევარდნაძეს მეუღლის გარდაცვალების გამო 230

სამძიმრის წერილი ალექსანდრე კუჭუხიძეს მეუღლის გარდაცვალების გამო 233

სამძიმრის წერილი როზეტა ასათიანს მეუღლის გარდაცვალების გამო 237

დანართები 239